

Академия Наук Грузинской ССР—Институт Языка имени Н. Я. Марра

The Academy of Sciences of the Georgian SSR—The Marr Institute of
Languages

ЛЕКСИКА КАРТВЕЛЬСКИХ ЯЗЫКОВ

II

С. Б. МЕНТЕШАШВИЛИ

СЛОВАРЬ КИЗИКСКОГО ДИАЛЕКТА

Под редакцией В. Т. ТОПУРИА

DICTIONARIES OF THE KARTVELIAN LANGUAGES

II

S. MENTESHASHVILI

KIZIQIAN VOCABULARY

Edited by V. TOPURIA

Издательство Академии Наук Грузинской ССР
Publishing House of the Academy of Sciences of the Georgian SSR

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ენის ინსტიტუტი აკად. ნ. შარის სახელობისა

ქართულურ ენათა ლექსიკა

II

სტეფანე მენთეშაშვილი

ქიზიყური ლექსიკონი

მ. თოფურბას რედაქციით

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
პრეზიდიუმის განკარგულებით

ზ ე მ რ კ ლ ე ბ ა ნ ი

- ა ბ უ ლ.—„წიგნი სააქიმოჲ“, ლ. კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი ს გამოცემით, ტფილისი 1936
დართული აქვს ლექსიკონი, სადაც არაბულ-სპარსული სიტყვები.
შემოწმებულია იუსტ. ა ბ უ ლ ა ძ ი ს მიერ.
- ა ლ ა ვ.—მ. ა ლ ა ვ ი ძ ე, ლეჩხუმური ლექსიკონი, პროფ. ვ. ბ ე რ ი ძ ი ს რედაქ-
ციით, თბილისი 1938.
- ბ ა რ ნ.—ვასილ ბ ა რ ნ ო ვ ი, ფერად-ფერადი, 1934. გამოყენებულია ამ წიგნს დარ-
თული ლექსიკონი, შედგენილი თ. სა ხ ო კ ი ა ს მიერ.
- ბ ე რ.—გ. ბ ე რ ი ძ ე, სიტყვის-კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, С.-П. 1912.
- ბესიკი—ბ ე ს ი კ ი, თხზულებათა სრული კრებული, ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს ა და ვ.
თ ო ფ უ რ ი ა ს რედაქციით, ტფილისი MCMXXII. დართული
აქვს ვ. თ ო ფ უ რ ი ა ს მიერ შედგენილი ლექსიკონი.
- ბ უ ქ უ რ.—დ. კ ა რ ი კ ა შ ვ ი ლ ი და ივ. ბ უ ქ უ რ ა უ ლ ი, თუშურს ლექსებში
ნახმარის სიტყვების განმარტება: „ძველი საქართველო“, ტ. II,
ტფილისი 1913, განყ. V, გვ. 129—139.
- გ ა მ ს ა ხ.—კონსტანტინე გ ა მ ს ა ხ უ რ დ ი ა, მთვარის მოტაცება, წ. III, 1936.
დართული აქვს ავტორისავე ლექსიკონი.
- გ რ ი შ.—ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოქმეა, 1927.
ლექსიკონი შედგენილია ავტორისავე მიერ.
- გურამ.—დავით გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დავითიანი, ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს ა და ს.
ი ო რ დ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, ტფილისი MCMXXXI. დარ-
თული აქვს ს. ი ო რ დ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ შედგენილი ლექსიკონი.
- ე რ ი ს თ.—რაფ. ე რ ი ს თ ო ვ ი, მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი,
Тифлис 1881.
- ვაჟა I—ვაჟა-ფშაველა, I, ლექსები, ს. ა ბ ა შ ე ლ ი ს რედაქციით, ტფილისი 1922.
III ტ. III, პოემები, ალ. ა ბ ა შ ე ლ ი ს რედაქციით, ტფილისი 1930.
IV „ ტ. IV, პოემები, ალ. ა ბ ა შ ე ლ ი ს რედაქციით, ტფილისი 1933.
სამივე ტომს დართული აქვს ა. შ ა ნ ი ძ ი ს მიერ შედგენილი ლექსიკონი.
- თეიმურაზ I—თეიმურაზ I, თხზულებათა სრული კრებული, ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს
ა და გ. ჯ ა კ ო ბ ი ა ს რედაქციით, ტფილისი MCMXXXIV. დარ-
თული აქვს გ. ჯ ა კ ო ბ ი ა ს მიერ შედგენილი ლექსიკონი.
- კ ი რ.—გენსკობოსი კ ი რ ი ო ნ ი, სალექსიკონო მასალა: „ძველი საქართველო“,
ტ. II, ტფილისი 1913, განყ. III, გვ. 1—27.
- მ ა კ ა ლ. თუშეთი—სერგი მ ა კ ა ლ ა თ ი ა, თუშეთი, ტფილისი 1933.
- მ ა კ ა ლ. მთიულეთი—სერგი მ ა კ ა ლ ა თ ი ა, მთიულეთი, ტფილისი 1930.
- მ ა ყ.—დაუ. ალ. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი, მემცენარეობა (სასოფლო-სამეურნეო ტერმინო-
ლოგია. I), პროფ. ვ. ბ ე რ ი ძ ი ს რედაქციით, ტფილისი 1938.

უღ.—სერგი ქლენტი, გურული კილო, ტფილისი 1936.

საბა—სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. იოსებ ყიფშიძისა და პროფ. აკაკი შანიძის რედაქციით, ტფილისი 1928.

საძათ.—ი. გრიშაშვილი, საძათნოვა, ტფილისი 1918. დართული აქვს ლექსიკონი.

ტეჭნ. ტერმ.—ტეჭნიკური ტერმინოლოგია, პროფ. ვ. ბერიძის რედაქციით, ტფილისი 1935.

ლლ.—ალ. ლლონი, გურული ფოლკლორი. I. თბილისი 1937.

შან. რეცენზია—ა. შანიძე, რეცენზია გამოკვლევისა „მ. ჯანაშვილი, საინგილო“: „Записки Восточного отделения имп. Русского Археологического общества“, т. XXII.

შან. კვეს.—ბესარიონ გაბუური, კვესურული მასალები, პროფ. აკაკი შანიძის რედაქციით. გამოყენებულია ამ მასალებს დართული ლექსიკონი, შედგენილი ა. შანიძის მიერ: „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწადეული“, I—II, ტფილისი 1925.

შარშ.—გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი, პროფ. ვ. ბერიძის რედაქციით, თბილისი 1938.

შაჰნ. I—შაჰნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები. ტექსტი გამოსცა და წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო იუსტინე აბულაძემ, თბილისი 1916.

შაჰნ. II—აბუ-ყასიმ ფირდოუსი, შაჰნამე, ქართული ვერსიები, ტ. II, პროფ. იუსტ. აბულაძის, დოც. ალ. ბარამიძის, ბ. ინგოროძე და პროფ. კ. კეკელიძის და პროფ. აკ. შანიძის რედაქციით, კომენტარებით და ლექსიკონით, ტფილისი 1934. გამოყენებულია ორივე ტომს დართული ლექსიკონი, შედგენილი იუსტ. აბულაძის მიერ.

ჩუბ.—დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, С.-Петербург. 1887.

ჩხ.—ივ. ჩხიკვიშვილი, საქართველოს ხერხემლიანთა ნომენკლატურა, ტფილისი 1926.

ცაგ.—ავქ. ცაგარელი, კომედიები, ი. გრიშაშვილის რედაქციით, წინათქმით, შენიშვნებით და ლექსიკონით, 1936.

წერ.—ბ. წერეთელი, ზემოიშვრული ლექსიკონი, პროფ. ვ. ბერიძის რედაქციით, თბილისი 1938.

ჭყ.—ილია ჭყონია, სიტყვის-კონა, С.-Петербург. 1910.

ჯავახ. I—ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. I, ტფილისი 1930.

ჯავახ. II „ „ „ წ. II, ტფილისი 1934.

ჯავახ. მუსიკის ისტ.—ივანე ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბილისი 1938.

ჯავახ. სამართლის ისტ.—ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. I, ტფილისი 1928; წ. II, ნაკვ. I, ტფ. 1928; წ. II, ნაკვ. II, ტფ. 1929.

ჯ ა ვ ა ხ. საფ.-საზ.—ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული საფას-საზომთაშეცოდნეობა ანუ ნუმისმატიკა-მეტროლოგია, ტფილისი 1925.

ჯ ა ვ ა ხ. ქართ. და კავკ. ენები—ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, ტფილისი 1937.

ჯ ა ნ ა შ ვ.—მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საინჟილო (გამოკვლევას დართული აქვს ლექსიკონი): „ძველი საქართველო“, ტ. II, ტფილისი 1913, გ. IV, გვ. 238—274.

გაღატ. = გადატანით, გადატანითი მნიშვნელობით.

ნ. = ნახე.

შდრ. = შეადარე.

← = მიღებულია, წ. რმომდგარია.



წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომი ენის ინსტიტუტის მიერ წამოწყებული დიალექტურ ლექსიკონთა სერიის მეორე ნაკვეთია. იგი წარმოადგენს ნაწილობრივ იმ მიზნის განხორციელების ცდას, რომელიც დასახული აქვს ინსტიტუტს. ეს მიზანია—შეკრებილ და საფუძვლიანად შესწავლილ იქნეს ქართული ენის მდიდარი ლექსიკა. რომელშიც ასახულია ქართველი ერის ყოფითი მხარე როგორც შორეულ წარსულში, ისე თანამედროვე ვითარებაში.

შედგენილობით „ქიზიყური ლექსიკონი“ თავისებურია. მასში შევიდა მხოლოდ ის სიტყვები, ტექნიკური ტერაინები და იდიომატური თქმები (სულ 1260-მდე), რომელნიც

ა) აღემთე გამოსულ არც ერთ ლექსიკონსა თუ სიტყვის-კონაში შეტანილი არ ყოფილან და პირველად მათ აქ ჰოვეს ადგილი (ასეთია, მაგ.: აჯაყება, ავეური, ჩაულაზე, ამპარტაყანი მამული, მარილის ტირილი, მზის ტრიალი, კბილის ქარათ არ იყო და სხვა მრავალი);

ბ) ლექსიკონებში მოცემულ განმარტებებს ავსებენ დამატებითი პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობებით (ნ., მაგ., აჯილა, ბაწარი, კაკრა, საღვარე, ჭინჭრაქა და სხვ.);

გ) ქიზიყურში ცოცხალი ჩანან, მაგრამ, ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, არც თანამედროვე საშუალებო ქართულსა და არც კილოებში დღემდე დადასტურებული არ არიან და საბაზას ან ჩუბინაშვილის ლექსიკონებში მათი წარუდგენა კაცს აფიქრებინებდა, რომ ისინი ხმარებიდან გასული, გადაშენებული არიანო (ასეთად მიიჩნეოდა: წესმეცნიერობა და სხვ.).

დანიშნულებით ეს ლექსიკონი

1. უწინარეს ყოვლისა, დიალექტალურია, რამდენადაც მასში საყოველთაოდ ხმარებული სიტყვები თუ თქმები ქიზიყურის თავისებურებათა შესაბამისად სახეცვლილადაა შემოტანილი (მაგ.: ქლივარი 'ქლივი', წინაღამ 'კინაღამ', ძრიან 'ძლიერ' და სხვ.). განსამარტავ სატყვათა უმეტესობა დამოწმებულია ქიზიყურ დიალექტზე საგანგებოდ შერჩეულა ფრაზეოლოგიით, ანდაზებითა თუ თქმებით. ყველა ეს საკმაო მასალას იძლევა ქიზიყურის თავისებურებათა გასათვალისწინებლად და ამდენად ამ ნაშრომს გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ქართული დიალექტოლოგიისათვის.

2. ნაწილობრივ ეთნოგრაფიულიცაა, თუ შეიძლება ასე ეწოდოს მას, რამდენადაც დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი ქიზიყელთა ყოფის გამომხატველი ტერმინები. აქ გვხვდება არა მარტო საბელწოფებანი სოფლის მეურნეობის მრავალი დარგისა, სამეურნეო იარაღებისა, ნაგებობათა, ტანისამოსისა და საკმელ-სასმლისა, საბავშვო თამაშობათა, დაავადებათა, ნათესაური ურთიერთობისა და მათთან დაკავშირებული ზნე-ჩვეულებისა და რწმენისა, არამედ მოცემულია მათი შედარებით სრული აღწერაც. აგრეთვე არ არის დავიწყებული ადამიანის მეტასხელები და სხვა, ამდენად იგი შეიცავს საკირო მასალას ქართული ეთნოგრაფიისათვის.

3. ნაწილობრივ ამსახველია ქიზიყის მოსახლეობის სოციალური დიფერენციაციისა ოქტომბრის რევოლუციამდე როგორც სოფლად—გლეხთა შორის, ისე ქალაქად—ხელოსანთა და ვაქართა წრეებში (ნ., მაგ.: თაკვაცი, ბოლო კაცი და სხვა). ხელოსანთა და ვაქართა წრეების ენა იმდენად განსხვავდებოდა სოფლის მეურნეთა ენისაგან წარმოთქმისა და ლექსიკური შედგენილობის მხრივ, რომ ერთმანეთს დასცინოდნენ კიდევ. ვაჭრები და ხელოსნები გაურბოდნენ ჰ ბგერის ხმარებას და ამიტომ გვხვდება ლექსიკონში „ამქრის გახსნა“ (და არა „ამქრის გაკსნა“). სხვაობა თავს იჩენდა აგრეთვე ზოგიერთი სიტყვის გამოყენებისას ფორმაშიც და მნიშვნელობაშიც. ყურადღებას იქცევს ასაკთან: დაკავშირებული ენობრივი სხვაობაც. ამ მხრივ აქ საკმაოდ არას წარმოდგენილი ბავშვის ლექსიკა (ნ. აფუა, აჩია, ფეფი და სხვა). ამდენად ხელთ გვაქვს სანდო მასალა სოციალური დიალექტოლოგიისათვის.

4. შეიცავს აგრეთვე იურიდიული ხასიათის ტერმინებს (როგორიცაა საუუროსო, საუმცროსო, სადილო, საუღიერო, ძმად ჩაყენება და სხვა). მათი აღწერით ირკვევა უფლებბრივი მდგომარეობა ოჯახის თუ საზოგადოებას წევრთა და აგრეთვე ისიც, თუ ხალხში ოდითვე განმტკიცებული წესები როგორ იცვლებოდა თანდათანობით, სურათო ქონება როგორ იქცეოდა კერძო საკუთრებად (ნ. დაკვალვა მიწისა, დაჩემებული მამული და სხვა). ამდენად ეს ნაწილი გარკვეული ღირებულების მქონეა ქართული სამართლის ისტორიისათვის.

დასასრულ, 5. ტერმინოლოგიურიცაა, რამდენადაც მასში უხვად არის შეტანილი ტექნიკური თუ სხვა ხასიათის ტერმინები სოფლის მეურნეობისა, ხელოსნობისა და საოჯახო საქმიანობის მრავალი დარგისა (როგორიცაა: ხენათესვა, მევენახეობა, მეცხოველეობა... მშენებლობა, მეჭურჭლეობა... საქმელ-სასმელის დამზადება, კრა-კურვა და სხვა). ამდენად იგი საკმაოდ მარაგს შეიცავს ერთიანი ტერმინოლოგიის დასადგენად.

ყველა ეს, თავის მხრივ, საჭირო და აუცილებელ მასალას წარმოადგენს დიდი ქართული განმარტებითი ლექსიკონისათვის.

რაც შეეხება სიტყვათა ვრცელსა და შედარებით ზუსტ განმარტებას, იგი, უნდა ითქვას, შესაძლებელი გახადეს გარკვეულმა პირობებმა. ავტორი წარმოშობით ქიზიყელია, რომელსაც მეტი წილი აქ შემოსული სიტყვებისა პატარაობიდანვე აქვს შეთვისებული საკუთარ ოჯახში, პირველ რიგში დიდი გამოცდილებისა და ძველი ყოფის დამცველი დიდედის მეშვეობით. ავტორი თვითონ ყოფილა მნახველი და მონაწილე არა მარტო საბავშვო თამაშობათა, არამედ სასოფლო და საოჯახო საქმიანობისაც, ბევრჯერ სჭერია ხელთ სამეურნეო იარაღი, უტარებია ადგილობრივი შეკერილობის ტანისამოსი, უნახავს სხვადასხვა რიტუალი და სხვა. შემდეგ ეს პატარაობითვე აღძრული ინტერესი და მიღებული ცოდნა გაუღრმავდა და გაუჟართოვდა სკოლაში ყოფნისას, როდესაც მას მისმა მასწავლებლებმა დ. როინაშვილმა, გ. გოხალიშვილმა (ისტორიკოსი, პროფესორი) და ილო მოსაშვილმა (მწერალი) დაავალეს შეკრება ხალხური სიტყვიერების ნიმუშებისა (ანდაზა-გამოცანებისა, ლექსებისა, ზღაპრებისა და აგრეთვე „ძველკობურა“ სიტყვებისა). ამ მასალებიდან ბევრმა სიტყვამ, ფრაზეოლოგიამ და ანდაზამ პოვა აქ ადგილი. პატარაობითვე შეძენილი ცოდნა მეცნიერულად გააზრიანდა, როცა ავტორმა გაიარა ქართული საენათ-

მეცნიერო სკოლა (დამთავრა ს ტ ა ლ ი ნ ი ს სახ. თბ. სახ. უნივ. ფილოლო-
გიის ფაკულტეტის ლინგვისტური დარგი). აქ ის გაეცნო, სხვათა შორის, მასა-
ლების შეკრებისა და მათი დამუშავება-შესწავლის მეთოდებს. ზაფხულის თვე-
ებში, სათანადო მითითებათა თანახმად, იგი სწავლობდა ქიზიყურ-კახური
დიალექტის როგორც გრამატიკულ თავისებურებებს, ისე ლექსიკურსაც. უნივერ-
სიტეტის დამთავრების შემდეგ ავტორს შესაძლებლობა მიეცა ემუშავა წლების
განმავლობაში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში პროფ. გ. ჩ ი ტ ა ი ა ს უშვა-
ლა ხელმძღვანელობით. აქ შეითვისა მან ეთნიკურ წრეში ყოფილი თავისებურე-
ბების დაქურა-ალრიცხვისა და საკითხების შედარებითი შესწავლის მეთოდე-
ბი. ამ გაუმოვებამა, რომ ხელი შეუწყო ქიზიყურ ეთნოგრაფიის ვრცლად წარ-
მოდგენას ლექსიკონში. ბოლო წლებში ავტორი მონაწილეობას იღებდა განსვენე-
ბული აკად. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს სემინარებში და მის მიერვე მოწყობილ ექს-
პედიციებში. განსე. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს დავალებითა და მისი ინსტრუქციის
შესაბამისად ავტორმა შეისწავლა ქიზიყისა და მეზობელ მხარეთა შინამრეწველობა.
ამით აიხსნება, რომ ლექსიკონში თითქმის ყველა დარგის ტერმინოლოგიაა შე-
მოტანილი და ისიც არა მხოლოდ ქიზიყურის მიხედვით. ტერმინთა განმარტებაც
ასეთ შემთხვევაში მეტწილად ემყარება ხელოსანთა მიერ მოწოდებულ ცნობებს,
იშვიათად მათი ახსნაც უტყველდაა აქ წარმოდგენილი.

გავრცელებულობის მხრივ ლექსიკონის მასალა ქიზიყურ ფარგლებს არ
სცილდება. ნამდვილ ქიზიყად კი აქ ნაგულისხმევია ის ტერიტორია თავისი მო-
სახლეობითურთ, რომელიც მდებარეობს ციე-გომბორის მთის გასკვეთი ჩალაუბ-
ნის ხევისა, ბარჯის ხევისა (უკანა მხარში) და კარდიახის ხეისა (წინა მხარში)
ზამხრეთ-აღმოსავლეთით, დასწვრივ—ალაზნამდე (ალაზნის მარჯვენა მხარე) და
გადასწვრივ—ივრამდე (ივრის მარცხენა მხარე), ვიდრე იორ-ალაზნის შესართა-
ვამდე; სახელდობრ, შემდეგი სოფლები და ქალაქები: ანაგა, ვაქირი, მაშნარა, ასანუ-
რი, საქობო (წინორი), გოდაქანი. კვენაკელი, სიდნალი, ნუკრიანი, კოტორი, მალარო,
კელმეჩური, ბოღბე, ქედელი, ბოდბისხევი, ფანიანი, ხეშო მარბანი, ქვემო მარბანი,
ჯუგანნი, ტიბანი, პრასიანი, მირზანი, არბოშიკი, კოტანი, ცლუქანა, ოზანი.
ამათ გარდა ქიზიყშივე შემოდის სამხრეთ-აღმოსავლეთით შირაკის მიმართულე-
ბით ძველ ნასოფლარებსა თუ ნაქალაქარებზე ახალდაარსებული სოფლები: ძველ-
ანაგა (სადაც დასახლდნენ ქედლები და ფანიანელები), წითელწყარო (ძველად
თუქურშიშა, უფრო ადრე—დედოფლის წყარო, სადაც დასახლდნენ ზემომარბა-
ანელები, მირზანელები, არბოშიკელები და სხვ.). ქიზიყი მთლიან ერთეულს წარ-
მოადგენს არა მარტო ტერიტორიულად, აოამედ სხვა მხრივაც: იგვ სო-
ციალ-ეკონომიური პირობებით განსხვავდებოდა ქართლ-კახეთის სხვა კუთხეები-
საგან: იქ ბატონყმობა არ ყოფილა და მიწისმფლობელობა თემურა რყო: მოსახ-
ლეობა ამეგამდაც ერთნაირ მეურნეობას ეწევა, ერთნაირ ზნე-ჩვეულებას იცავს
(ჩაცმა-დახურვა და სხვ.) და ერთ კილოკავზე მეტყველებს¹.

¹ თუმცა ხშირად ვაქირულ-ანაგელები თავს არ დებენ ქიზიყელობაში (რო-
გორც ეს წინაუბროც ხდება ხოლმე: ველისციხელები და კაკაბელები თავს ატა-
დებენ ქიზიყეობად), ძაგრამ ისინი ქვემო სოფლების წრეს ეუთუნიან და არა
ზემოსას.

აღნაგობის მხრივ აღსანიშნავია შემდეგი:

სიტყვები და იდიომატური თქმები ძირითადად აღებულია ქიზიყური მეტყველებიდან და, თუ სხვა დიალექტიდანაც არის დამოწმებული რომელიმე სიტყვა, ყოველთვის ნაჩვენებია მისი წარმომავლობა (ნ., მაგ., კოტა, დელამა და სხვა) ¹.

სიტყვები გაწყობილია ანბანზე იმ სახით, რა სახითაც იგი გვხვდება საუბარში, და არა ფუძეთა და მით უფრო ძირის მიხედვით. ეს აიხსნება არა მარტო იმით, რომ სიტყვის მონახვა გაადვილებულიყო, არამედ იმითაც, რომ სხვადასხვა პრეფიქსიანი თუ პრეფერბიანი ფორმები მნიშვნელობით ხშირად ძალზე დაშორებულნი არიან ერთმანეთისაგან (შდრ., მაგ., აკვლანჯა და დაკვლანჯა, დაღრძობა, გადაღრძობა და მიღრძობა, აგრეთვე მიგლა, ნაგალი და საგალავი და სხვა). სამაგიეროდ ხშირად მითითებულია ფუძეზე, საიდანაც არის მიღებული ნაწარმოები ფორმები (წ. გალეშევა; გალეშეკვა, დალეშეკვა; დაპოპკვა და სხვ.). არაა იშვიათი, როცა ნაწარმოები სიტყვა წარმოდგენილია და მისი ფუძე თუ ძირი ლექსიკონში არა ჩანს; მაგ., გვაქვს სიხიამშიათე, სიხინტი, დაჯორჯლება, აფჩოლავება..., მაგრამ სიხიამშიათე, ჩხინტი, ჯორჯლება თუ ჯორჯალი, ფჩოლავება არაა შემოტანილი იმ უბრალო მიზეზისა გამო, რომ ისინი ცოცხალ საუბარში არ იხმარებიან.

არის შემთხვევები, როცა სიტყვა ასე თუ ისე გასაგებია ფრაზაში, ცალკე აღებულს კი მნიშვნელობა არა აქვს. ასეთ პირობებში მთელი ფრაზა წარმოდგენილი; მაგ.: „ვართარათად წავიდა“, „იოწიო წავიდა“ და სხვა. იოწიო, ვართარათად—ცალკე გაუგებარია. თუ მთელი წინადადება გაქვევებულად იხმარება და გადატანითი, ფიგურალური მნიშვნელობა აქვს, ისიც შემოტანილია ამ ლექსიკონში: „დელამიწაა არამაგლია“, „ფხაჭი კალათა დაწნა“... პირიანი ფორმებიც კი შემოვკაქვს: „მე დაგლაკე“, „გული მიკოტოტებდა“ და სხვ.

ცალკე სიტყვები, კომპოზიტები თუ ფრაზები ქიზიყურ დიალექტზეა მოცემული, ოღონდ ერთ შემთხვევაში დარღვეულია ეს წესი. 46-ე გვერდიდან სალიტერატურო ენის შეაბამისად ნათესაობითის ფორმა ყველგან აღდგენილია და ამით გარჩეულია საზღვრულთან სახელობითში შეთანხმებული მსაზღვრელის ფორმა ნათესაობითში მართული მსაზღვრელის ფორმისაგან, რომ მკითხველს ისინი ერთმანეთში არ არეოდა; ქიზიყურში კი ორივე ფორმა ერთნაირად იხმარება; შდრ. მაგ.: „გული ეყლენი აჩოია“ და „გული ასუყება“ (= გულის ასუყება). კომპოზიტები კი ქიზიყურას შესაფერისად არაის დაცული: გულიკმა, პირიპური, ფუტკრიდე და სხვ.

აქა-იქ არის ცდა სიტყვის ეტიმოლოგიისა, ნ., მაგ., დედაძუძუნი, ცია, ოდოქღერი და სხვა, მაგრამ საერთოდ თავი შევიკავეთ ამისაგან და ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის შემოვიჩინებთ.

¹ ავტორს შემთხვევა ჰქონდა მასალები შეეკრიბა ქიზიყის გარდა აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში, განსაკუთრებით კახეთის სხვადასხვა სოფელში: ფხოველსა, მელანს, ჯიმიტს, ურიათუბანს, ველისციხეს, გურჯანს, ბაკურციხეს, კარდენახსა და სხვაგან. ამ მასალების მცირე ნაწილი აქ არის გამოყენებული.

სიტყვა და მისი განმარტება დამოწმებულია სხვა ლექსიკონებითაც. თუ განმარტება ვითხვევა ლექსიკონში მოცემულს, მაშინ ნ. (ნ ა ხ ე) უწერია, თუ დაშორებულია—შდრ. (შ ე ა და რ ე); თუ სიტყვები მნიშვნელობით სავსებით დაშორებულნი არიან, მაშინ სხვა ლექსიკონზე აღარ ვუთითებთ. იშვიათად მწერლესაც ვიმოწმებთ. ლექსიკონთა ავტორები ჩვეულებრივ დასახელებულია უხუცესობის მიხედვით: ჯერ ს ა ბ ა ა, შემდეგ რ აფ. ე რ ი ს თ ა ვ ი, ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი და ა. შ.

სიტყვათა წარმომავლობას იშვიათად აღვნიშნავეთ. აქ საკმაო რაოდენობითაა არაბული, სპარსული, თურქული, სომხური, ბერძნული, რუსული და სხვა წარმოშობის სიტყვები, შემოსული ზოგი უშუალოდ და ზოგიც გასაშუალებით (აგუზიო—оружо, ათაბაბა, ასლი, ძალა, საკვი ქარი, დომუალი და სხვა მრავალი). მათი წარმოჩენა შეიძლებოდა და საინტერესო შედეგებსაც მივიღებდით, მაგრამ ეს ნაწილიც დიდ განმარტებითს ლექსიკონს დავეუბრევეთ.

ვენაობთ, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო ქიზიყიდან გამოსულ მწერალთა თხზულებები ვერ დავამუშავეთ ლექსიკოლოგიური თვალსაზრისით და სათანადო ადგილას ვერ დავიმოწმეთ. სასურველია, ეს ხარვეზი შეივსოს.

ესარგებლობთ შემთხვევით და უღრმეს მადლობას მოვახსენებთ საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს აკად. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს, რომლის ხელისშეწყობითაც დამუშავდა და გამოქვეყნდა ეს ნაშრომი.

აკად. ნ. კ ე ც ხ ო ვ ე ლ მ ა დიდი ვალი დაგველა და საკორექტურო ფურცლებში გადაიკითხა მთელი ლექსიკონი. მან, როგორც ქართლურ-კახური ლექსიკის საფუძვლიანმა მცოდნემ, არსებითი ხასიათის შენიშვნები მოგვცა და დაგვახუსტებინა ბოტანიკურ ნაწილთან ერთად ზოგი სხვა ნაწილიც. უღრმეს მადლობას მოვახსენებთ აკად. ნ. კ ე ც ხ ო ვ ე ლ ს ასეთი გულისხმიერებისა და დახმარებისათვის.

არ შეიძლება მადლობით არ იქნეს აღნიშნული ასოთამწყობ ვანო გა ლ უ ს ო ვ ი ს შრომა: მან მარტომ იკისრა ამ ლექსიკონის აწყობის ტვირთი.



აბეჩხარი ნახევრად გადამზარევი ვენახი (პლ. ჩუბ., ვაჟა I); გლავ. მოსულელი.

აბეჯარი მოსულელი (ჩ. აბეჩხარი).

აბიზ-ბაბიზ საბავშვო თამაშია. ბავშვს, რომელმაც უკრ კიდევ თვლა არ იცის, დიდები გასართობად ეუბნებიან, რომ ოთხი თითიდან ოცს გამოვიყვანთო, და თვლიან: „ა ბ ი ზ, ბ ა ბ ი ზ, ბ ი ზ და ო ც ი ო“. თვლას იწყებენ ნეკიდან (პლ. ანეკი-ბანეკი).

აბლაბუდე აბლაბუდა, ობობას ქსელი.

1. აბლაკი (ადამიანი) მცირე ქუის ადამიანი. გლავ. აბლაკი; აბლაკი.

2. აბლაკი ჩითი, აბლაკი ქსოვილი თხელი, უხეირა ჩითი, თხელი ქსოვილი.

აბუქარი მკვებარა, ბაქია.

აბოტება ხელების მიშველებით გაჭირვებით ასვლა ხეზე ან სხვა რაზეზე (პლ. ჩუბ., ვაჟა III აბლატება).

აბლუნძვა ცუდი შეკერილობის გამო ნაკერზე ნაოქის დაყრა. აქედან: აბლუნძული ტანისამოსი ნაკერზე ნაოქმეყრილი ტანისამოსი.

აგანგალობა, ანუ ახშარიობა საბავშვო თამაშობაა. ბავშვები ერთად დასხდებიან ხოლმე, ერთი დედაა, სხვები — შვილები, დედას ხელში სარტყელი უჭირავს, იმით გამოსახავს რომელიმე ცხოველის სიდიდეს და ამბობს: „ამოდენა თითონ არი“; შვილები იტყვიან: „ა განგალა, განგალა“. შემდეგ დედა სარტყლითვე გამოსახავს თავს და ამბობს: „ამოდენა თავი აქვს“, შვილები უპასუხებენ: „ა განგალა, განგალა“ და ასე უჩვენებს ნაეარაუდვეი ცხოველის ყველა ნაწილს. დასასრულ, სარტყლის

წვერს მისცემს ხელში მოთამაშებულ (შვილებს) და ეკითხება, თუ რა ცხოველია. ვინც გამოიყვანოს, ის სარტყელს გამოართმევს და წინ გაირეკავს დანარჩენებს ასიოდე მეტრის მანძილზე. იქ მას სარტყელზე ფეხს დაუდგამენ. დედა დაიძახებს: „ახშარ-ახშარ“ (ჩ.), ყველანი გაძოქცევიან. თუ დედამდე მიიბრუნა გამომცნობმა ისე, რომ ვერ დაიჭირეს, მაშინ თვითონ დგება დედად და თამაში ხელახლა დაიწყება; თუ ვერ მიუწვრო და გზაში დაიჭირეს, მაშინ თვალებს აუბამენ და ხელისგულზე ურტყამენ სარტყელს. გატყუაის შემდეგ თამაში ხელახლა იწყება (ჩ. კირ. ავანგალი).

ავღანი ჩ. ჰავდანი.

აგუზიო სათბილო, საკონლის (ძროხის, ხარის, კამეჩის) უკანალი.

აგულგულავიბა ფქვილის ისე გაყრა, რომ ხორბლის გულის ფქვილი გავიდეს და ქატო საცერში დარჩეს (პლ. საბა გულგული, ქ. გურგული).

აგურის დატოკება სააგურეში პირველად ცეცხლის მიცემისას რომ აგური ცოტა შეიძვრის და დაჯდება.

აღრე გაწაფხული, ახლაგაწაფხული გაწაფხულის დამღვეი, მარტის თვე.

აღრე კეცა: აგურის უკანალი გამოწველა აგურის კეცა: აგურის უკანალი, ე. ი. დაძვრება.

აღრე შამადგომა შემოდგომის დამღვეი, ენკენისთვის დრო. აგურის უკანალი გამოწველა აგურის უკანალი, ე. ი. დაძვრება.

ავაკება ვაკეზე გასვლა აღმართისათვის თავის თავის დაღწევის შემდეგ.

ავალა: „საკირეს მალალი ავალა აქვს, რომ ცეცხლს ასწიოს“; „ბუხარს მალალი ავალა უნდა, რომ ბოლს ასწიოს“ (ჩ. ალავე).

აქანგი თამბაქოს ხმელი ფოთლებს აქედნულა. თოკზე ასხმული თ.მბაქო რომ განხმება, ორ ასეთ თოკს (ს.) ერთად მოკეცვენ ოთხად, ხის ჩანგალს (კავიან ჯოხს) შეაბამენ და ჩამოჰკიდებენ სარაიის ქვრზე.

აქანდახტი ოქრომჭედლის ხელსაწყო: სვეადის სანაყი კუროკელია, ლითონისა (შკრ. ჩუბ. ავანგდასტა, ავანდასტა).

აქანტყოფობის მიქცევა მორჩენისაკენ პირის ქმნა.

აქანტყოფობის ნაღო ავადმყოფობის შემდეგ დარჩენილი უძლურება, სისუსტე. ავანჩაფანი (საქმისა) ს ქმის მეთ-ური, საქმის ვითარების მცოდნე (შკრ. ჩუბ., გ.ყ.).

ავგარდანი ხის ტარიანი სპილენძის დიდი საწენე წყლის გადასაღებ-გადმოსაღებად (შკრ. ჩუბ., გრიშ.).

ავღიხურული (ალვისხეური?) წინდის ქრელის ერთ-ერთი სახეა.

ავხევა გენავისა ვენახის შეესება ვახით.

ავქაში ნ. ამქაში.

ავლანი გლახაკი, დაფლეთალტანისამოსიანი ადამიანი (შკრ. ბარნ.).

ავულო შეუსმენარი, ჯიუტი, ყველაფერი რომ უკუღმა ესმის. კავ... და ავუ... ხან; ვა... უკუ... გას...

ავ ცხვირს არ დადევნხ ოქსი: არა უშესა რა (ნ. ბარნ.).

აზადი ბერწი, უშვილო საქონელი.

აზლაკი კალტი, მოთალი. ყველის ამოღების შემდეგ დარჩენილ შრატს მოადლეებენ, აიკრება და ხვარხერი (ნ.), სქელი, თეთრი, ცომივით გახდება, ამოღებენ ქაფკირით, მარილს მოაყრიან, დახელენ ხელისგულზე და გუდაში ჩადებენ, გატენიან მაგრად და შეინახავენ. ასე აკეთებენ დოსგანაც. აზლაკს უფრო დედაკაცები ეძახიან, წანაკაცები კი—კალტს. თუშებიც კალტს

ეძახიან. გამოღის, თითქოს ცხერისას, ე. ი. ყველის ამოღების შემდეგ შრატისაგან გაკეთებულს—კალტი ჰქვია და ძროხისას, ე. ი. კარაქის შედგენილ შემდეგ დოსგან გაკეთებულს—აზლაკი, რადგან ყველს უფრო მამაკაცები აკეთებენ და კარაქს—დედაკაცები.

აზლაკის შავამანდი აზლაკს წყალში გაქნიან, მოადლეებენ, ხახვსა და ცეხეცოს უხამენ და მიირთმევენ წინაუ (ცერეცოს ზოგი დოს კალტს თავიდანვე უშვრება სურნელებისათვის, როცა მ აზნი აკეთებენ).

აზრობს გამანასკვა ნ. გამონასკვა მ.

აზლუთი პერანგის გვერდებზე ჩასყენებელი ნაქერი სიგანისა და ირბობის მისაცემად (ნ. საბა, ჩუბ.; შკრ. გრიშ. აზლუდი; ნ. ჩიბუხი 1, 1 ხიშტაკი).

ათაბაბა მამა-პაბა. ათაბაბინდელი ძველისძველი, ძალიან ძველი (ნ. გრიშ. ათადან-ბაბადან).

ათეული ერთად დადგნული თერამეტი ძნა (ნამდვილად კი ათი ძნა უნდა ყოფილიყო, როგორც ამას სახელწოდება გვიჩვენებს). მიწაზე დაიდგა ოთხი ძნა— ორ-ორი ტყუპ-ტყუპისე, რომ თავთავები შიგნით აქვე ერთიმეორისაკენ მიქცეული; ზემოდან კიდევ ოთხი ძნა დადგება ამავე წესით შემდეგ ძნათა შუა ორი ძნა დაედგება ისევე ერთიმეორისაკენ შექცეული, დაწევიან რომ არ ჩავიდეს, ერთ ძნას კიდევ, მეთერთმეტეს, სულ ზემოდან დაიდგენ გარდიგარდმო (ნ. ბარნ.).

ათვალმახევა მოწონება. ჩუქმა პაქმა კრათი გოგო ათვალმახევა და ბინა მარს, ას უნდა მოეგანო.

ათლაჯჩა ულამაზო, უშნო გარეხულადაც და ყოფაქცევითაც.

ათლოჯნა ატალახება, სველი ეზო ტარების გამო რომ აიხილება.

ათთამა წისქვილის ნაწილი, რომელიც ღერძზე ბრუნავს (?).

აკანქურება ფევისა მტკივანი უხვის
ნაღლა აწევა, რომ მიწას არ დაეკაროს
(ს. ვაჟა IV).

აკარაკი შეესწინარი, მოსულელო
და ყბედი (პლ. სომხ. *հակասակասէք*).

აკატება წაწყმედა. აქედან: აკატე-
ბული წაწყმედილი. ა. ს. კ. ტ. მ. უ. ლ. ა.
ა. ა.

აკაუჭება, ფევის აკაუჭება აგაჟ, რაც
აკანქურება ფევისა (ნ.)

აკებაჟე: აკებაჟე ლაპარაკი უთავ-
ბოლო ლაპარაკი, ადამიანი რომ აზოს
ვერ გამოუტყვამს.

აკენჭვა ხაწანე-ნაბარში კენჭს არ-
ჩევა აკრება და ერთ ალაგას დაყრა.
აკეტება ნ. გუნი აკეტება.

აკვალთა ჩოხის ან კაბის კალთის
აკეცვა და სარტყელში ჩატანება (პლ.
ვაჟა I აიკვალთოსა).

აკვირძღება (ნაწარმოებია კვი-
რადალ სიტყვისაგან) საქმეზე ან
კამაზე ხელის აღება. აიკვირადლა
საქმეზე ან ჰამაზე ხელი აიღო.

აკვლანჯა ამოგება. აქედან: აკვ-
ლანჯული ამოგებილი, თითქოს ავად
არისო.

აკვრა ცაგა. მოპარვა. *ჩვენებანი ვა-*
ნამ გუპან ანუშუაჟა ერთი კალცატოც
აქაქა.

აკილა წვეილმტვენიანი რქა, ას-
კრიან და ისე ინახავენ (პლ. საბა,
ჩუბ, კირ., ჯაგა ხ. II, 482 და სხ.).

აკლანჭული (—კანჭი?) მალალი,
კოჭმალალი ადამიანი. *ჩვენებანი შიკრას*
მალიან აკლასქულია.

აკლერტვა ნაბარში ბალახის ძირე-
ბის (კლერტის ნ.) არჩევა. მს ან ვი-
რებს აკმევენ (კარგად ჰამენ, სხვა სა-
კონელი კი მაინცდამაინც არ ეტანება),
ან წვავენ.

აკოკლავება კონუსებით ახვინვა,
მაგ., მიწისა ან სხვა რამისა (პლ.
ჩუბ.). აქედან: აკოკლავებული.

ალათი ფანჯრის მინის ჩარჩო.
ალალი შვილი თავისი ნაშობი შვი-
ლი, არაგერი (პლ. ჩუბ. ალალი).

ალალელი წყალში უჩინარი კლდე,
ტინი, რომელსაც შეიძლება ნავი მუ-
ჭხედეს და დაიმსხვრას.

ალაო დაწვიმული ხორბლის პური.
ხორბალს რომ დააწვიმს, ჩანურდება.
ანის ფქვილისაგან გამომცხეარი პური
არ ვარგა, საპონივით არის: ცომი
თორწეში არ ჩერდება და არ ცხვება
რიგინად; გააგ. უხეირო ადამიანი
(პლ. საბა, ჩუბ., შარშ.).

ალატი, საფქვილე წსკვილის ნაწი-
ლი, რაშიც ფქვილი ცეცია (ნ. საბა,
ჩუბ. ალა, ალატა).

ალაფა შალაფა (*Sorghum hale-*
pense) ლერწამსა ჰგავს, მაგრამ ღერო
გულიანი აქვს; თავზე ფოჩს იკეთებს.
ფოთოლი სიმინდს მიუგავს და მჭრელია.
ნორჩობაში ტკბილია. საქონელი ძა-
ლიან ეტანება, ბევრსა კაჟს. საქონელს
ხოცავს.

ალაღება აგაჟ, რაც აყვირება (ნ.).

ალაყაფო ორკაპა, ყბიანი ხე. ურ-
მის თვალს რომ სოლი გაუტყდება და
მის გამოცვლას დაუშლელად ვერ შეს-
ძლებენ, ყბიან ხეს შეუყუდებენ ხოლ-
მე სოლის ადგილას; ყბა ფერსოში
აქვს მიცემული და უჭირავს, მეორე
მხრე ეორგვება დაბჯენილი.

ალაშა ჩამაკაცის მეტსახელია (პლ.
კყ.).

ალაჩოყი დროებით დადგმული ნაბ-
დის სადგომი, *სურტა* (პლ. საბა, ჩუბ.
ალაჩუბი).

ალთა და ბალთა: *ერასი უკვა ალთახა*
აქლა შიკრე ბალთა — იტყვიან მოზე-
ტიალე, ერთ ალაგას რომ ვერ ჩერდება,
ისეთ ადამიანზე (პლ. ბერ.).

ალიბუხარი ხილია, ქლიავისმაჯა-
რი (პლ. ერისთ. ჩუბ.).

ალიზი 1. გამოუწვავი აჯური, ნზე-
ზე გამზარია და ქურაშა გამოსაწვავი;
2 ბზეშერეული აჯლო მიწისაგან გა-
კეთებული საშენი მასალა, ზომით
8x4x4 გოჯი (ზ. საბა, ჩუბ.).

ალილავება ცემისაგან დაღურჯება
ხორცისა.

ალინთვა არეე-დარევა ნიუთბისა
თუ სხვა რისამე. აქედან: ალინთული
არეული.

ალმეზად გეზად, ცერად.

ალმი ხე ალვა, ალვის ხე.

ალმი ხე შაფოთლილი ჩატებიანი
და უჩატებო წინდის ქრელის ერთ-
ერთი სახეა.

ალო ხენის დროს გუთნეულში (ნ.)
შემავალი ერთეულისათვის—გუთნისა,
ხარისა, მეხრისა და გუთნისდღისა-
თვის განკუთვნილი სარგო. მაგ: წინა
ჩხარში გუთნიადღდას ორი ალო (ორი
დღიური) ერგება, ღამია მეხრეებს
(ორია)—ორ-ორი თითოს, დღის მეხრეს
(ერთია)—ერთი, ხარს (12-ია)—თითო
ალო, გუთანს—ორი, ცხენს—ერთი და
ერთი ცათრეველაა (ნ), სულ 23 დღი-
ურია და ამით დასრულდება ერთი
მთელი ალო, შემდეგ ახალი იწყება.
გაუე კახეთსა და უკანა მხარში ალოთა
განაწილება ცოტა სხვანაირია: იქ ადა-
მ-ანებს მეტი წილი აქვთ. ალო ეწო-
დება აგრეთვე ერთ დღიურს (პარ.
საბა, ჩუბ., ვაჟა IV).

ალოგარდო უქნარა, უსაქმური.
ალოგარდო სიარული უმიზნოდ,
უსაქმოდ სიარული, ხეტიალი (პარ.
მეგრ. ალოგარდული უგულოდ,
არამუყითად).

ალოვნობა (სოფ. ურიათუბანში) გა-
დაბნით (ნ.) ხენა და ალოთა განაწი-
ლება (პარ. ჩუბ. ალოვნება).

ალოღლეტია ადაშიანი, რონელიც
საქმეზე სათვალავშია, მაგრამ არა-
ფეა აკეთებს.

ალუხმალუხი 1. შიგნეული; 2. ყვე-
ლაფერი წეროლ-მსხვილი.

ალოს ართმევა ალოს ალება, გუ-
მანის მიტანა. ალო ავართვი
მიუხედავ. ჩვილი ბავშვის შესახებაც
იტყვიან ხოლმე—ალოს ართმევა,—რო-
ცა ის პირველად დაიწყებს ხოლმე
დედ-მამისა და მახლობლების ცნობას.

ალოხანა (დიდი კვაბი?): „ალოხანას
ჩალოხანა მოსდევს“; „სადაც ალოხანა,
იქ ჩალოხანა“ (პარ. ჩუბ., კირ.).

ალოხაჯი, არხაჯი ცხერის საყარი,
ცხერის დასასვენებელი ადგილი შუა-
დღისა.

ალო საჩხის (ნ.) სვეტების თავზე
ჩამოცმული ხეძირკველი, რომელზედაც
კავებია გადმოწყობილი.

ალო სულადის (ნ.) შესანახი დიდი
ხის ყუთი. ას ფუთამდე ჩადის (პარ.
ჩუბ., ჯავახ. II, 96).

ალოღლევა ათვალწუნება, ადამი-
ნის შედუღება. რა ალოღლევა, ქა, რა პარ,
აშაქლევა?

ალოღლევა ცუცხლი რომ შეკამანდს ას-
წევას და ცოტა დანწვრის გემოს მის-
ცენს. აქედან: ალოღლევი შაკა-
მანდი.

ალონი (ბერძნული ამენ კვემარ-
ტად) ხალხს რწმენით სულია. მას ნა-
ტურის შესრულება შეუძლია. თუ ადა-
მიანმა რამე ინატრა, ან დაწყველა და
ამ დროს ამინმა ჩამოიარა, უიკველად
ახდებო.

— ერთი გულა ოქროს მოცეცქე! — მეო-
რე იტყვის:

— აშაქლევა რა საშაქლევა?

— რათა მწველია, ქა, აშაქლევა რა
საშაქლევა და რა აქედან!

ალობრამტვა ამოწყვეტასავით. წყ
აშაქლევა მტე ეე ულოს მტეა!

ალობრუება (ნაწარმოებია ბუ-საგან)
ვისიმე მოძულდება, გარიყვა, ახლოს არ-
მიკარება. აქედან: ალობრუებულნი.
აშაქლევა ულოს აქედან.

ა' ოხ ქნა სადაბლო ტერმინია: პატარა დემურით (ნ.) ტყავზე დარჩენილი ბალნის გაცლა. დაბახანაში ტყავი სხვადასხვა სტადიის გაივლის. ერთერთი სტადია აროს ქნაა.

არტიშკა დურგლის იარაღია ხის ავეჯის დასაქრელგებლად.

არტყმა გაჯატ. მოპარება.

არუშეთი შეუსმენარი, გაუგონარი, ავი. ოქო-ქო, რა არუშეთი პაქია, ქაა! არუი ახი. არუ - მავაჟე, რაც ქაუჯაჯა.

არუში ნ. ახში.

არშაქარი აშარი, მოჩხუბარი დედაკაცი. მხოლოდ დედაკაცი ეტყვის დედაკაცს ჩხუბის დროს: არ შ ა ქ ა რ ო .

არწივი 1. წყლი არ წივი წყალში იცის, აბრეშუმის ძაფივითაა. თუ ადამიანმა ჩააყოლა, მოკლავს; 2. ცხვარს უჩნდება ფილტვებში ძაფივით, თუ ზამთარში ბევრი თივა ჭამა. კლავს.

არხაჯი ნ. ალხაჯი.

არხი ნ. ტყავის არხი.

არხოზა ურშიხა ურშის თავს ამართვა და უკანა ნაწილზე დაბჯენა. ურეში ჩვეულებრივ დარხოზილია (ნ.). როცა წონასწორობა დაირღვევა და თავს აიშვერს და უკანა ნაწილზე დაბჯინება, მაშინ აერხოზა ხოლმე.

არჯაკელი მცენარეა. ნორჩობაში მას ყლორტებს ამტვრევენ და მზლად აკეთებენ. დამპარული იკმება. ანდახა: „არჯაკელი ჯაგუბოდა, ქალსა გული უკვდებოდა“ (პრ. საბა, ჩუბ. არჯაკელა, ერისთ., ქუ. არჯაკელი, ჯანაშვი. აქანკერ, ჯავახ. II, 166).

არჯალი აჯა, რაც აჯალი (ნ.).

არჯანოთი პური (რუს. ржаной) შერისის პური.

ასაბმელი კვერის თავზე ადგილი, სადაც საბელს მოსდებენ ცხენს შესაბმელად.

ასაკრავი ურუის ხელნის, ფეროს, კოკისა და მისთანათა სიმაგრის მისა-

ცემად წყარული წიკლა, გათლილ-გა-სუფთავებული ჯოხი, пшавка (პრ. საბა, ჩუბ., ჯავახ. I, 250).

ასანთი ხმელი შეშის ნათალი, ბურბუშელა და სხვა, ცეცხლის ასანთებად სახმარი.

ასახი ლამის დარაჯი (ნ. გრიშ., ცაგ.); ვინც თავზე დაადგება და არ მოუყენებს, სანამ თავის სურვილს არ დასრულებინებს. რასისსოგოთ აქაქეოქოქე.

ასაჰყალო 1. კურკელია, მასში ხსნიან კირს და უსვამენ ფხსაძმლის საპირის ტყავი დაბლები; 2. უსტაბაშის თანაშემწე. იყო დიდი ასაჰყალო და პატარა ასაჰყალო (ნ. გრიშ. აღსაჰყალო).

ასკლავანჯი ასპიტი, ავი სული. პალანსესკლავანჯი გოგო.

ასლი ნამდვილი, ორიგინალი. ასლანას; ასლანაჟი ნამდვილი თავეისი დედა (ნ. ჩუბ., სადათ., შარშ.).

ასო-ტანი სხეული. ასო-ტანსეუ უარჯატო (ნ.) ჟურა.

ასოლება სოლის (ნ.) გამოსკლა. ზამთარში ხახვი თუ სითბოშია, სოლი გამოუვა.

ასტამა ნ. საფხეკლა.

ასტამი ცომის ასაფხეკი და პური მოსახველი თორნის იარაღია, რკინისა, ხელისგულისოდენა, ბრტყელი პირი აქვს ნიჩაბსავით (ნ. საბა, ჩუბ., გრიშ., ცაგ.; პრ. ვაჟა IV; ნ. კინკორტი).

ასუყება ცხიმეულის ქამისაგან მადის დაკარგვა (პრ. გულის ასუყება).

ატალახება ნ. ეზოს ატალახება.

ატაცხილი ატაცებული, ექსტაზში მოსული, სიყვარულით გატაცებული. პალანსესკლავანჯი გოგო; ატაცხილია, ქაა, ხეჭარულისა და ხეჭარული იაკო.

ატეხილი ადამიანი თავისნათქვამი ადამიანი, დაიყინებს და რომ აღარ გადათქვამს.

ატმი ჩირი შემწვარი ატამი, სახამ-
თროლ ინახავენ.

ატროკება ატება; ა ტ რ ო კ ე და
ატყდა.

ატრუჟვა ნ. ტუჩის ატრუჟვა.

აფლა ღონე, ჯანი, შეძლება. ზაგ
შეტ აჟ ა ლ ა ა ზ გ ა ჯ ?

აფახება გადადარება, წვიმის გადა-
ლება; გაატ. ნირის შეცვლა. ა ლ ა მ ა -
ჟ ა ს ა მ ო კ ე რ მ ა ა ლ არ გადაიღო წვიმა
ამ ოხერმა (შარ. სვან. მენხე).

აფიჩხული ჭრელი წინდის ჭრელის
სახეა.

აფრა ფიცრული (აფრიანი ნ.) სახ-
ლის კუთხის ბოყვი, რომელშიც ერთი
თავით ჩასმულია კედლის ფიცრები.
კარსა და ფანჯარასაც აქვს ასეთი ბოყვი
(ნ. ბერ.).

აფრაკი ნაგებობაში რომ ერთმა-
ნეთს ვერ შეეწოება ნაწილები, იმაზე
იტყვიან (მაგ., კარი ჩარჩოში ვერ შედის
და სხვ.); მრული (ნ. ჩუბ.); გაატ. მჩატე,
თავქარიანი ადამიანი.

აფრიანი ხახლი ფიცრული სახლი,
კუთხეში რომ აფრა (ნ.) აქვს და კედლის
ფიცრები მასშია ჩასმული.

აფუხფუხება გვალვისაგან მიწის
გახმობა და ბუქად (ნ.) ქცევა, ათხრა
სიცხისაგან. აქედან: ა ფ უ ხ ფ უ ხ ე ბ უ -
ლი. კერ გააკა, აგრა ხცხსაგან აჟ უ ს -
ჟ უ ხ ე ბ უ ლ ი მ ა წ ა, ზგ ჩეჟულობა.

აფურუჟვა ფხვიერი რამისა და
წყლის ოდნავ ერთმანეთში არევა (მაგ.,
ნაცრისა და წყლისა და სხვ. შარ.
ჩუბ.).

აფროლავება, ჯელის აფროლავება
ხელგაშლით, გაუფრთხილებლივ ხარ-
ჯვა. კელი ა უ ფ ჩ ო ლ ა ვ ა გაუ-
ფრთხილებლივ ხარჯა.

აჟვრება 1. კოვხით ცხელი სითხის
ამოღება და უკანვე ჩასხმა, რომ გაცივდეს.
ა ჟ ა ვ რ ე. დეჟაჟეცო, რე გეჟეჟეჟე; 2. ხურ-
გზე ტვირთის მოკიდებაში შემწეობა,
ხელის წატანება. შარ., ერთ ა ჟ ა ვ რ ე.

აჟაჟვა აშლა, ცოტაოდნად ათხრა.
ა ჟ ა ჟ ვ ა ა ჟ ა ჟ ე, ა ჟ ა ?

აჟია (არაბ.) აშბაევი, თავგადასავა-
ლი. ერთი შენა ა ჟ ი ა გეანსე (ნ. ტყ.).

აჟოჟვა პირველჯერი ჩაყვრება, ხე-
ლოხის კალთები ჯერ ერთმანეთს წაფრდება,
შუალედ გააჟეჟევა და დალანსაგაგვა (ქიზი-
ყური შინამრეწვ. მასალებიდან; შარ.
ს ა ბ ა დაჟოჟვა, ჩუბ. აჟოჟლევა).

ალახანი თეთრი ბამბის ქსოვილი
(შარ. გრიშ.).

ალაღი ურმების ქარავენი.

ალღება დიდმარხვის წინა კვირა, ხსნი-
ლია (ნ. ჩუბ.).

ალღებაზე მეთამბაქოვობაში გავრცე-
ლებული ტერმინია: პლანტატორი მე-
თამბაქოეს წინდაწინ ფულს რომ მის-
ცემდა, პირობას დაუდებდა: რაც მისცა,
მას მოსავლის აღების შემდეგ თუ
პლანტატორი უკანვე დაიბრუნებდა
საერთო ჯამიდან, იმას „ალღებაზე“ და-
დებული პირობა ეწოდებოდა და ამ
შემთხვევაში მეტს ფულს აძლევდა
პლანტატორი მეთამბაქოეს; თუ არ
აიღებდა, იმას „ჩაველაზე“ (ნ.) დადებუ-
ლი პირობა ერქვა და პლანტატორი
ნაკლებს ფულს აძლევდა.

ალღებამე დიდმარხვის, მარიამო-
ბისთვის მარხვისა და ქრისტეშობის-
თვის მარხვის წინა ღამე (ნ. ს ა ბ ა,
ჩუბ. აღების ღამე).

ალმადიდება დიდი პატივი. ცოლს
აგრა კარგა ინსაჟს, სუ ა ღ მ ა დ ი დ ე მ ა შ ი
აჟაჟ.

აყაჟება ძალიან აობება. აქედან:
ა ყ ა ჯ ე ბ უ ლ ი. წითლად-ვეთლად აზო
ჟურ ა ჟ ა ჯ ე ბ უ ლ ი, და შაჟაჟს?

აყვირება, ალაღება ნანხვ ადგილზე,
თუ ნოტიო ამინდია, მაღალი და ხშირი
ბალახის ან ყანის ამოყრა. არ ვარჯა.
აქედან: ა ყ ვ ი რ ე ბ უ ლ ი. წილს ნანან-
განს შაჟკანთ, ნოტიო იყო და ა ჟ ე ბ ე -
გ ა ლ ა ვ ა ნ ხ ე, დეჟაჟეჟეჟე (შარ. ვაჟა I
აყვირებულ).

ახალფერო მინერალური საღებავი, მდარეა (ახალმემოღებულია). ა ხ ა ლ - ფ ე რ ი მ ე ჰ ე რ ი უ ლ ი მ ა ი ა მ ი თ ვ ა რ ე ა , მ ა ლ ე ს უ ხ რ ე ა .

ახალციხური ყაირი ახალციხიდან შემოსული დიდთავა და მრგვალწვერიანი ლურსმანი ნალისა.

ახვევა ვახის ახალგამოტანილი ცლორტების კიგოზე მიკვრა, რომ ქარმა არ ატოკოს, подвизка винс-градной лозы (ნ. წერ. მ ა ყ.); გ ლ ა ტ . გ უ ლ ი ს ა ხ ვ ე ვ ა ც ხ ი მ ე უ ლ ი ს კ ა მ ი - ს ა გ ა ნ მ ა დ ის დ ა კ ა რ გ ვ ა .

ამაში მდინარის დაწრეტა, რომ თეგზი დაიკირონ ნაწყლეფში (ნ.).

ამში ზურგი ფეხისა, ფეხსაცმლისა. უგესსესელ ღაბაღი (მადლო) ა ხ მ ი ა ქ ე . მ ა - ღ ლ ა ა ხ მ ი ა ნ ი (ღაბაღ ა ხ მ ი ა ნ ა) უგეს ა ქ ე .

ახური აგეგა, აც ბაგა (ნ. ს ა ბ ა ; ჰ ლ . ჯ ა ნ ა შ ვ . , წ ე რ . ა ხ ვ ი რ ი , ა ხ ო რ ი) .

ახშარ-ახშარ დაძახილია „აგანგალა-ობა“, ანუ „ახშარიობა“ (ნ.) თამაშის დროს. ამ დაძახებაზე გამოიქცევიან ზოლმე დედისავენ.

ახშარიობა ნ. აგანგალაობა.

ახში, არუში ბოლოს, დასასრულ. ა ხ შ ი მ ა ლ ი მ ა ლ ე მ ს ი ქ ე ; ა ხ შ ი ღ ა - კ ა ს რ ე ნ ე უ . (შ ლ . კ ი რ .)

აჯოჯილი, აყუყილი უშნოდ მაღალი ადამიანი.

აჯურება საქონლის ატეხა; გ ა ჯ ო - ა დ ა მ ი ა ნ ზ ე დ ა ც ი ტ ვ ი ა ნ .

აჯათი სამუშაო იარაღი, მაგ., გუ-თანნი, ბარი, ურემი, წერაქვი და მისთა. აჯალი უკანასკნელი დღე, დრო სიკვდილისა. ა ჯ : ა ლ - მ ო უ ჟ ი ღ ა ღ ა მ ო კ ე ღ ა (შ ლ . კ ე . ა რ ჯ ა ლ ი) .

აჯამი უჭყო, რეგენი, სულელი. ა ჯ ა მ - ნ უ ს ა რ ე ე , გ ა მ ო ლ ე მ ე (შ ლ . კ ე .) .

აჯამი ურემი ძველებური უხარმა-ზარი ურემი, რომლის ნაწილები ზო-მაზე მეტი იყო (ქიზიყში ახლაც დიდი ურემი იკიან, ასი ფუთი დაედება; აჯამი ურემი კი ამაზე გაცილებით დი-დი ყოფილა).

აჯილდა დაუყოდავი ცხენი; ვ ა ჯ ო ტ . ა დ ა მ ი ა ნ ზ ე დ ა ც ი ტ ვ ი ა ნ , თ უ თ ა ვ ის ნ ე ბ ა ზ ე დ ა დ ის (ნ. ს ა ბ ა , ჩ უ ბ . ; შ ლ . შ ა ნ . I) .

აჯოლდება, აჩოლხება ბევრი ხალ-ხის შეყრა ქეიფში ან მისთანა ადგილას. ჩ ე რ ი ა ნ თ ქ ო რ წ ო ლ მ ა ე ვ ი ლ ჯ ე ბ ა ნ ა თ ე რ თ ი ზ ე ჯ ხ ა ლ მ ი ღ ა ა მ ო უ რ ე ს მ ე ქ ო რ ღ ა შ ლ ო .

აშაი! შოაბაგაბული ითქმის, როცა ადამიანს წააწყდებიან საღმე.

ბ

ბა, ბაო ჩვილი, ძძუძუთა ბავშვი.

ბაბა პერი ბავშვის ენაზე (ნ. ჩ უ ბ . , კ ი რ . ც ა გ .) .

ბაბათი კარგი, კეთილი; სიკარგე, სიკეთე, მ ი ლ . კ რ თ ი ა ე წ ო ბ ა ბ ა თ ი ა რ ა ა ქ ე .

ბაბაყული ქვეშ-ქვეშა, გაიძვერასა-ვით, გაუტანელი. შ ლ ო ა ნ ბ ა ბ ა ე უ ლ ა , მ ა გ ა ვ ა ნ გ ა უ ლ ე ზ (შ ლ . ც ა გ . , ვ ა ჟ ა III) .

ბაბლი, ბაბლები ნაქარგის ერთ-ერთი სახეა: სამკუთხედად ნაქარგი (შ ლ . გ რ ი შ .) .

1. ბაგა ირგვლივ მოწნული პატა-რა ადგილი გომში, ბაკში, ან ეხოში, რა-

შიც საქონელს საკვებს უყრიან (ნ. ს ა - ბ ა , ჩ უ ბ . , ჯ ა ვ ა ხ . II, 312; შ ლ . ყ ლ .) .

2. ბაგა ქვევრის პირის გარშემო გა-კეუბებული მოკვებალი, რომ სარქველ-დაზურული ქვევრი მანც მიწის პარის დაბლა იყოს და სარქველიანი ქვევ-რის პირის გარშემო ხელის შემოსმა შეიძლება. დეს.

ბადლო ხვართქლა (ნ.). ხალ-ხური ლექსია: „საწყალი ობლის ყანა-სა გადაახვევია ბ ა დ ა ლ ო , ქ ო ხ ი და ქ ო ხ ი უ ქ ი ა , თ ა ვ თ ა ვ ი არ გ ა უ ღ დ ი ა “ .

ბადაქი ბადაგი, მოდულებული ტკბილი საჩურჩხლე ფელამუშისათვის და შესანახადაც (ნ. საბა, ჩუბ. ბადაგი).

ბაზაზი ფართლის წვრილი ვაჭარი (ნ. გ რ ი შ., ვაჟა IV, ცაგ.; პ. რ. ჩ უ ბ.).

ბაზმა ნიგვზის ზეთი ანთებული. ქიზიყში ნიგოზსაც ანთებენ (პ. რ. სა ბ ა, ჩ უ ბ., ვეფხისტყ., ბ ე რ.).

ბაზო კარის ჩარჩო (პ. რ. ჭ ყ., ბ ე რ., წ ე რ. ბ აძო).

ბათქაში კედლებზე წასმული გაჯი (პ. რ. ჭ ყ. ბ აქთაში, კ ი რ.).

ბათქი ქალის სასქესო ორგანოს სახელი (გაშიარების დროს იტყვიან).

ბაკაკა ცხვარი ბავშვის ენაზე (პ. რ. კ ი რ.).

1. ბაკი ბაკში, მთვარის გარშემო სინათლის რკალი (ნ. ჩ უ ბ.).

2. ბაკი საქონლის საზაფხულო სადგომი, ირგვლივ წნელით შემოღობილი (ნ. ჩ უ ბ.; პ. რ. სა ბ ა).

ბაკურციხულა ლეღვი მოშავო-წითელი ფერის ლეღვი, გრძელი ყუნწი აქვს; დამწიფებისას ყუნწში მოიხრება ხოლმე და მსხალივით ჩამოეკიდება. სიდიდით შუათანაა. არ ფუჭდება.

ბალალა ლოგინი, აკვანი ბავშვს ენაზე; ძილი. ა. ბ ა ლ ა ლ ა, ჰელო; ბ ა ლ ა ლ ა გ ა ლ ა, ჰელო?—იტყვის დედა თავის შვილს.

ბალახათა შარი, დავა, დავიდარაბა.

ბალბალუკა ერთგვარი თამაშის დროს ერთი იტყვის „ისნა-ისნა“ს, მეორე უპასუხებს: „ბალბალუკა“ (პ. რ. სა ბ ა, ჩ უ ბ.; ნ. ისნა-ისნობა).

ბალბის მოხარშვა სამაგიეროს გადახდა, სანაცვლოს მიგება, ობტაში მოსვლა (ნ. პ. რ. ბ ა ლ ბ ა ლ ა ს შ ა ლ ა ლ ბ ა ლ ა ს.).

ბალთამანი ბეთალმანი, უპატრონო, ოხერი, ვერანი; მგლის შესაქმელი საქონელი (პ. რ. ჩ უ ბ. ბეთალმანი, ვაჟა III ბათალმანი).

ბალთვა ქრა; გააქ. ამოხოცვა, გაწყვეტა. აგოი ღანა მე. ლ სუ მ ბ ა ლ თ ა მ ს; დევეშა ნ ა ბ ა ლ თ ე მ ნ ე ნ ა მ ა მ ა ი ა ი (ნ. საბა, ჩ უ ბ., ვაჟა III).

ბალია კოკლი (თითქოს ცოტა უფრო შემსუბუქებული სახელია კოკლისა).

ბალიში ბოძის თავზე შედგმული ძელი, რაზედაც ზემირკველი ძეგს, დაუკრეღებელი ბულაური (ნ. ჩ უ ბ.).

ბალნიხ დაძვრა ბალნის ცვივნა.

ბალლაში ჩირქი; გააქ. მწარე რამე; უსიამოვნო, ავი ადამიანი.

ბალღინჯო ბალღინჯო; გააქ. იტყვიან ბალღზედაც მის მასხრად ასაგდებად.

ბალღოჯი ველური მწარე ბალი (ნ. საბა, ე რ ი ს თ., ჩ უ ბ., ჯ ა ნ ა შ ე. ბალღენე, მ ა ყ.).

ბალყუში ბალლაში, ჩირქი, ბაყლი (ნ.); გააქ. მწარე, უსიამოვნო ადამიანი. პ. რ. ბ ა ლ ღ უ შ ა ა ლ ა მ ა ნ ა, შ ა ლ ა რ ა გაშპაკებს (პ. რ. ჭ ყ.).

ბამბეული ბამბის ქსოვილი.

ბანჯვანა მამაკაცის ნეტსახელია.

ბანზე დაყარე შენი პური იტყვიან, როცა ბევრი პური მოუვა ვისზე და მყიდველი აღარ არის.

ბანიანი სახლი ერდოიანი სახლი, მიწის ბრტყელსახურავიანი სახლი.

ბანჯგვლიანი ძალღი ქოფაკი ძალღის ჯიშია, გრძელბალნიანი, დიდი ტანისა, ქოსა ძალღზე (ნ.) ნაკლებ ანჩხლია, მაგრამ უფრო ლოწივია.

ბაო ნ. ბა (პ. რ. კ ი რ. ბ ა ჯ ა).

ბარამბო (Melissa officinalis) სურნელოვანი ბალახია, ღეროზე მობრტყო, გულისნაირი ფოთოლი აქვს. ფუტკარს აწით იოგურებენ (ნ.; ნ. საბა, ჩ უ ბ., ე რ ი ს თ., ჯ ა ნ ა შ ე. ბარანბო, ჯ ა ვ ა ხ. II, 248, მ ა ყ.).

ბარგანი სიარულში ფეხის ჩაკეცვა (პ. რ. სა ბ ა ბარგანობა).

ბარგიანი ზორბა, დიდი ტანისა. ბარგიანი ცხინა; ბარგიანი ქალა.

ბარიზარ, ბარდაზარ თანაბრად, თანასწორად. ბარიზარ ში ქვით. ანდახა: ბარგიანი თუცა ცხინა (ნ. კირ.).

ბარიზალი ჩხუბი, დაეიდარაბა. შოგაღა ღა ელო ბარგიანი ამტესა.

ბარ-საკვეთის მონათვლა ბარ-საკვეთისთვის ნაცრის წყურა მკედლის მიერ, რომ ბზარები დამალოს.

ბარცაკალი, ბარცაკელი ლოგინის (ნ.), ტახტის ნაწილი: თათვან ირიბად დადებულ ფიცარი, რომელიც მუთაქის მუვიგრობას ეწეოდა თურმე. ბარცაკალსა და ლოგინის თავს შუა ცარიელ ადგილში სადგედაცო წიკამაკს (ნ.)—ნემსს, ძაფს, ნაჭრებს ინახავდნენ თურმე) ჰქვ. კირ. ბაცანკალი).

ბარძახი ბარძახი, ფეხის ნაწილი მუხლის კვერიდან მენჯამდე.

ბარჯი 1. თევზის საჭერი იარაღი, კბილებიანი ჩანგლები აქვს; თევზს რომ ჩაეყრება, ველარ გამოძვრება. ჯარჯსაც ეძახიან (ნ. საბა, ჩუბ.). 2. აღამიანს ზუმრობით გამოაბამენ უკან რამეს, რომელიც აეთრევა და დაუწყებენ დაცინვას: „ძალსა ბარჯი ჰკიდა, ჩემი არა ბრალია“, ან: „ძალსა ბარჯი ჰკიდა, ვერა გაუგია რა“. ჟფრო სწორია: „ჯალჯაბაჯი აგდია, ვერა გაუგია რა“ (ხალხი ასე ამბობს ჩქარ ლაპარაკში); ან კიდევ: თუ კაცი რასმე მიათრევს, იტყვიან: «რა ძალლი ბარჯივით მიათრევსო».

ბარჯი აგეკა, რაც ბარჯი 2. რა ძალსა ბარჯის კითხვით აქითაქით.

ბასილა ჯვრად გაკეთებული ადამიანის გამოსახულების პური, რომელსაც საახალწლოდ აცხობდნენ თორნიეში, საკვლეველზე დებდნენ და შემდეგ წყალკურთხევას (ნ. იანვარს) ტეხდნენ (ნ. კირ.).

ბასმა ლეჩაქის დასაკრელებელი თეთრი საღებავი (ჰქვ. ჩუბ., გრიშ. დაბასმული ლეჩაქი).

ბასრი რკინა (მომდინარეობს ერაციის ქ. ბასრა'დან, განთქმული იყო იარაღით) ძალიან მჭრელი რკინა, ფოლადი, ჩემი ღის აგეთა, რეგორც ბასრი რკინა.

ბასტი ფუტკარი, ბაფტი ფუტკარი მამალი ფუტკარი. მოშავოა, კანს მხოლოდ და არა ნაგრობს (ნ.). ივლისში კლავენ მუშა ფუტკრები, მანამდე კი ინახავენ დედაფუტკრის გასანაყოფიერებლად.

ბასტურმა სამწვადე ხორცს ქულამა-ქულამად (ნ.) დაკრიან, ზედ ალყად დათლილ ხახვს დააყრიან, მარილსა და პილიქს (შავს, იხდოეთისას) უზამენ, ძმარს დაახამენ. მეორე დღეს ბასტურმა. შეწვავენ და კამენ. თვით პროცესს ბასტურმად ჩადებას ეძახიან. „ამოილა... დანა, თითონ ააქრა (შველს) სუკები, ცალკე თეფშზე დააწყა და დააბასტურმა“ (ვაჟა V, 71; ჰქვ. ჩუბ.).

ბატიფვალა წინდის კრელის სახეა.

ბატკანი კრავი დაბადებიდან პირველ გაპარსვამდე (მთიდან ჩამოსვლამდე), შემოდგომამდე; შემდეგ თოხლია (ნ.).

ბაფთა შეიდიშზე (ქვედა საცვალზე) მოსაკრებელი აბრეშუმის ზონარი (ნ. წერ.; ჰქვ. ჩუბ., გრიშ. ბაბთა).

1. ბაქანი ყურძნის საწური ნავის (საწინახლის) პირზე სიგრძივ გაკეთებული ფიცარი, რომელსაც ყურძნით სავსე გოდორს ადგამენ და ნავში ისე ყრიან ყურძენს (ჰქვ. საბა, ჩუბ.).

2. ბაქანი კაკაობის სათამაშო ორმოს ზემოთ ვაკე ადგილი (ორმოს ფერდოზე აკეთებენ), სადაც ესერიან კაკალს და კაკალი ორმოში ჩამოგორდება.

ატარებენ, ჩლას (ნ.) ასწვევენ, დგიმი ქსლის კენტს ან წყვილ ძაფებს ასწვევს; ქსოვილი რომ მტკიცე გამოვიდეს, სავარცხლით ბეჭავენ. მერმე მოაბრუნებენ და ზედას კიდევ გამოატარებენ, კიდევ მობეჭავენ და ა. შ. (ნ. საბა, ჩუბ., ვაჟა III ბეჭ).

ბეჯაათად იშვიათად. ბეჯაათად მასკობა ხელზე ქვემო კაცოსკლა.

ბეჯილი გიჯი. ბავშვის ხმით ტირილი, გაბმით ტირილი. ასეა ბეჯი. ბეჯი, რა მოგვიჯა?

1. ბია ველური კომში (ნ. ჩუბ., მაყ.; შარ. საბა, ერისთ.).

2. ბია საქონლის ნალურსმნევი ჩლიქის აყროლება და ჩრკეტების გამო.

ბიაბრა შეუოაცყოფა. ბიაბრა მასკობა (შარ. ჩუბ ბიაბრუ, ცაგ. ბიაბრობა).

ბიბილა ყვავილია. ბიბილას ავით მაჟყდა—იტყვიან, ავადმყოფობა ერთბაშად რომ მოსწყვეტს ხოლმე კაცს. აქედან: გვარი ბიბილავილი (შარ. ჯანაშვი.).

ბიზი სადგისი, სარაჯის (ნ.) იარაღი (შარ. ჩუბ.).

ბიკონი მკვარი (ნ. კირ.).

ბილია მინდვრის ნახი ყვავილია. ბიშვის ყვავილებზე იტყვიან: აა, ბაო, ბილილი; გიჯი. ბილილას ავით მაჟყდა ამ ყვავილს: ვით დაქვანა, მოკვდა (ნ. ბარნ.).

ბინა 1. საქონლის სადგომი; 2. ჩე. საქონლეობაში, უმთავრესად მეცხვარეობაში, სამეურნეო ერთეული, რომელშიც შემდეგი რამ ივარაუდება: ცხვარი 4000—5000-მდე (1500 ბატკანი, 1500 მეწველი, 1500 მშრალი, 500 ყოჩი და ქედლია), 60-მდე ცხენი, 30-მდე ვირი, 30-მდე ძალი, 15 მწყემსი; უკანასკნელთაგან 2 მწყემსი მიჩენილი ჰყავს ბატკანს, 2—მშრალს, ერთი—ყოჩებსა და ქედლიას, ერთი—ცხენს,

ცხრა—საწველს. საწველაიდან ორი მწყემსი მეწველს დასდევს საძოვარზე და ორიც საღამოთი მიეშველება (უკანასკნელთ დღისით ბინაში აქვთ საქმე), ერთი საჩქობს (ნ.). ბარგი—ბარხანა ზოგი ცხენზეა აკიდებული, რასაც ცხენის ბინა (ნ.) ეწოდება, ზოგი—ჯორზე, რასაც ჯორის ბინა (ნ.) ჰქვია. ბინაშია: სამი ქვაბი: ერთი—ცხვრიანი, მეორე—ფეშვიანი (ნ.), მესამე—ფელიკიანი (ნ.); უკანასკნელი მებატყენსა აქვს; ცხრა დურკი (ნ.), ერთი კოდი (ნ.), ერთი დიდი ქვაბი კალტის (ნ.) მოსაზღველი, საჯი (ნ.) ფათიერების (ნ.) გამოსაცხობად, ორი თოფი. გარდა ამისა კაცზე მოდის თითო ხანჯალი, დანა და ჯოხი (შარ. ჩუბ., ვაჟა III); 3. საბავშვო თამაშობის დროს (გაკვრა ბურთი იქნება, დედაეშიშველაობა თუ სხვა) ის ადგილი, სდაც თამაშობა წარმოებს.

ბინი თავი ბინის (ნ.) უფროსი, ბინის პატრონი.

ბინის დაჯება დაბინავება.

ბინის ჩამოჭლობა ბარჯის ჩამოჭობა საკიდრებისაგან და დაბინავება.

ბირღუშ მთლად, სულ, სრულიად.

ბიშმა, ანუ კოჭლობა ცხვრის სატკივარია. მთავრი ბაკმი რომ ცხვარს სწველიან, შიგ სისველე და ტალახია და, რადგან ცხვარს დიდხანს დგომა უხდება, ჩლიქებს შუაეყვლება (ნ. გამოყვლება), უხურდება, უწყლულდება და უფუჭდება ჩლიქი. წამლად დამწვარ შაბიამანს ხმარობენ (შარ. თურქული).

ბიჭა ბატკანი დაბიჭებული, მოლონიერებული, საკმაოდ მოზრდილი ბატკანი, სიარული რომ შეუძლია მთამდე (შარ. საბა ბაჩაბიჭა).

ბიჭას ჩავარდნა აბრეშუმის კრის თესლში თითო-ორიოდა რომ და წყებს გამოჩეკას და ქიკტელოვა, იტყვიან. ბიჭა ჩავარდნა. ბიჭა ჩავარდნა. ბიჭა ჩავარდნა.

ბიკაქუა გოგო, ბიკსავით რომ იქ-
ცევა.

ბლანდი, ბლანდის ძაფი დასალამ-
ბავი ძაფი (შეკერვის შემდეგ გამოარ-
ღვევენ ხოლმე; ჰ.რ. ჩუბ., კირ.
ბლანდვა).

ბლანტე წყალი კაობის წყალი, ცუ-
დი გემო აქვს, მლაშეა და მძიმე; სწყენს
ადამიანს (ჰ.რ. საბა, ჩუბ. ბლანტი).

ბლარდნა ტანისამოსის უხეროდ
მიკვრა ტანზე. უშნო სამოსლის შესახებ
იტყვიან: ტ ა ნ ი ს ა მ ო ს ი ს ზ ე დ ე ბ -
ლ ა რ დ ნ ე ბ ა ო (ჰ.რ. საბა, ჩუბ.
ბლარდნვა).

ბლიაობა: ნუ ჰ ბ ლ ი ა ო ბ ო — ე ტ -
ყვიან სიციხიან ადამიანს, როცა ოფლია-
ნია, შფოთაეს, საბანს იხდის და ხე-
ლებს მაღლა იყრის.

ბლონდი, ბლონდი ლეჩაქი (რუსუ-
ლის გზით ფრანგ. blonde აბრეშუ-
მის მაქმანი) ერთგვარი სადა ლეჩაქი
(ნ. კირ.; ჰ.რ. გ რ ი შ. ბლონდის
ჩიქილა).

ბლოყინი ბოყინი.

ბლურჩვა წყლის (და საერთოდ
თხიერის) ერთბაშად სმა.

ბნელა ლურჯი მუქი ლურჯი. ა ნ ე ლ ო
ლ უ რ ჯ : • ც ზ ე ნ .

ბობი 1. ფურცლის (თუთის ხის)
ოდნე გაშლილი კვირტი, რომლითაც
აბრეშუმის კიას პირველ დღეებში (მუ-
რობაში ნ.) კეზავენ; 2. ნეკრესის ქარი.
ბობიანი ნეკრესის ქარიანი, ფეხებში
(თითებში) სტკივა კაცს. და ძლივს
დადის.

ბოდოშა უსუფთაო, კუტყიანი, თა-
ვისი თავისა და ოჯახის სისუფთავე
რომ არ უყვარს.

ბოვერა წყლის მკურნალობის ნივთიერება
სიტყვის ბუერა (ნ.).

ბოზბარიქა ბოზი, კახა; ბ ო ზ ბ ა -
რ ი ქ ო ბ ა ბოზობა, კახაობა.

ბოზბაში წვნიანი საკმელია. მოხარ-
შულ ცხერის ხორცს ხახვს ჩააკრიან;

თუ დემა აქეთ, ჩააკეპვენ და მარი-
ლით შეზავებენ. ზაფხულში ქანძაც
უზამენ. თუ ქაფი მოჭხადეს, მ ო ქ ა ფ უ -
ლი ბოზბაში გამოვა, თუ არა—ჩ ა ქ ა -
ფ უ ლ ი (ჰ.რ. ჩუბ., ვაჟა III, ცაგ.).

ბოილალი თავიანთწონესავით და
შეკვარასავით. ჩეი-გეორგი-მლის ბ ო -
ლ ო ს ბ ო ზ ე ნ (ჰ.რ. კ.ყ., ა ლ ა ვ. ბოილა-
ხი).

ბოკვი (Acer pseudo-platanus L.,
იიოი) ნეფრახლის სახეობაა, ოლონდ
მასზე უფრო დიდი იზრდება (ნ. საბა,
ერისთ., ჩუბ.).

ბოლი კვამლი. ქვევრების გამოწვის
დროს ქურას შემდეგი წესით ახურე-
ბენ: პირველად მისცემენ პ ა ტ ა რ ა
ბოლს ერთი დღის განმავლობაში, მერ-
მე ჩუ მ ბოლს—ორი დღის განმავლო-
ბაში, პატარა ბოლზე ცოტა მომატე-
ბული იქნება, შემდეგ მისცემენ სამი
დღის განმავლობაში უკანა ბოლს,
რომელიც უფრო ცხელია და ამიტომ
მას ცხელ ბოლსაც ეძახიან.

ბოლოკა (Rapistrum rugosum,
репица) მხალია, სულ ბოლოკსა
ჭავს. ყვითელი ყვავილი აქვს. უძირ-
ხვენოა. ყანებში მოდის თავისით. ნორ-
ჩობაში იკვება ფოთოლი. მდულარეში
გათუთქავენ, დამძარავენ და ისე კამენ
(ნ. ერისთ., ჩუბ., ჯ ა ვ ა ხ. II,
193, 199 და სხ., მ ა ყ.).

ბოლო კაცი ოქტომბრის რევოლუ-
ციამდე სოფელში ყველაზე ღარიბი
კაცი, ბატრაკი (ნ. თავაკაცი).

ბოლომძოვარა თმის სენია, ემარ-
თებათ ქალებს. თმა რომ ცოტა ჩა-
მოუგრძელდებათ, ბოლო გაიშლება
ხოლმე, ფერი ეკარგება და იფშვნება.
თმა აღარ იზრდება.

ბოლოს თრიმლი, უკანა თრიმლი შე-
მოდგომის თრიმლი, შემოსული თრიმ-
ლი.

ბოლოქანქარა ჩიტია, მომცრო ტანი-სა, სულ ბოლოს ატოკებს (ნ. ვ რ ი ს თ., კუყ. ბოლო-ქანქალა, მახზაკურა).

ბოლოქ-ბოლოქ ჯგუფ-ჯგუფად, ფა-რა-ფარა (ნ. ჩ უ ბ., შაჰნ. I).

ბოლოქი (თურქ. სიუხევე, საესება) დიდი ფარა. დიდი ჯოგი და სხვ. (ნ. ჩ უ ბ., IP IV).

ბორა (Hippobosca equina L., по-индийская кровососка) დიდი ბუზია, მონაცრისფრო, მოლურჯო-მომწვანო ფერი დაჰქრავს. ცხენსა ჰკბენს (ნ. ვ რ ი ს თ., ჩ უ ბ.).

ბორიო ოქრომკვდლის ხელსაწყო: გრძელი მილია, რომლითაც ჰრავის ცეცხლს უბერავენ და ოქროს ან ვერცხლს ახურებენ.

ბორჯის გაღვმა გალიეებულნი თესლი რომ ამოიყრის და ფეხებზე გაიდგამს. *დაჲ ვაჲლოჲ ბორჯი ვაჲდგა, უქაჲ აჲჲ აჲ (შარ. ჩ უ ბ. ბორჯლი).*

ბოტროლი დიდი სიტყვ, თან ნიავიც არა ქრის. აქედან: და ბოტო რ ა ვ ე-ბ ა (ნ.). *ბოტო-ბოტო, ბოტო ღა ბოტო-ღა ბოტო, ვანო ბოტო ნაჲვო ღო ანსო-ღან ქრის, იჲლო შაჲქიჲ!* (შარ. ს ა ბ ა).

ბოტოტი ბლომად წვინტილი. აქედან: ბოტოტიანი ბლომად წვინტილიანი; ბოტოტიანი წვინტილიანი ადამიანის მეტსახელია (ნ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ.).

ბოქვენის პატარა მუცელი, მუცელი კიჰსა და სარცხინელს შუა (ნ. ს ა-ბ ა, ჩ უ ბ., ჯ ა ნ ა შ ვ.).

ბოლლამა ამოხელილი კირკაქი (ნ.; შარ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ. ბოლლამო, გ რ ი შ. ბელლამა).

ბოლმა გაღატ. ბოროტი, სახარი, აუ-ტანელი ადამიანი. *ბოლო ღაჲ, აშოანს ღო გაღატქსი* (შარ. კუყ, ვაჲა III).

ბოლჩა იგუყ, ღოცის სარტყე-ლი (ნ.).

ბოყვი უკურკო ნაყოფი ტყემლისა და ქლიავისა, ვერ ვითარდება და ცვი-ვა (ნ. კუყ, ა ლ ა ვ.).

ბოში რბილი, არამაგარი; ფონე, მოშეებული. ბო შ ი თ ა მ ბ ა ქ ო ა რ ა-მაგარი თამბაქო; ბო შ ი ჩ ლ ი ქ ი რ ბ ი-ლი ჩლიქი; ბო შ ა დ ყ ო ფ ე ნ ა მოშეე-ბულად, უსაქმურად ყოფნა (ნ. ვაჲა IV).

ბოჩოლა ხო დაბადებიდან წლამდე (შარ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ., კუყ; ნ. კბო, ტანა).

ბოჭური ან ისრის კილო ცხვის ან ძროხის ყურის სერი. ყურის წვერე იცა მოჭრილი, რომ ბოძის ყბას ან ის-რის კილოს (ნ.) მოგაგონებს (ნ. მ ა ე ა ლ., თუშეთი, 53).

ბოჭვი პარკი ცუდი, არამაგარი. პარკი.

ბუნატი მინდორში (ხშირად კაობი-დან) გამომდინარე წყარო.

ბუირი იგუყ, ღოც ბუირი (ნ.).

ბუირი, ბუირი მშვიერი, უგულო ფე-ტვი; განიავებისას ნიავს მიაკვს ან გვერდზე ჰყრის (ნ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ. ბუი-რი, შ ა რ შ. 2 ბუირი, მ ა ყ. ბუირი მარცვალი).

ბრანძი, ბრანძიველა ძალიან ძველი ტანისამოსი. აქედან: და ბ რ ა ნ ძ უ ლ ი ძველტანისამოსიანი ადამიანი. *ბრანძი ბრანძიველა მამაგლეღა ღო შოღლ შამოაღ ამეო გამატაჲნეჲ* (შარ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ. ბრანძი).

ბრანძვა ხოცვა. ჟლეტა (ნ. ამბ-რაბტვა, ამოსაბრანძტვი, გაბრანძვა, გასაბრანძტვი).

ბრაციბრუცი ბარბაცი, უხვირო სიარული მთვრალი კაცისა; უხვირო მოსიარულეზე და მოხუცზედაც იტყვიან. *ბრაციბრუცი წინი იგოლო ღო ბრაცი-ბრაცი მორიდაჲ.*

ბრაცუნი უხვირო სიარული. ფეხის წამოკვრითა და მუხლის კეცვით სა-არული; ბეცი ადამიანის სიარული. *ბრაციბრაცი უნეჲ ვან ხარ, ბრაციბრაცი იგო-არეუღ წამაჲღა ღო კიხერი ან შოტყიო!*

ბრე მსხვილი ბზე. ამ ბზეს კალოს მოაყრიან ხოლმე (ნ. მობრევება) იშ

დღეს, როცა არ ლეწავენ, რომ მზემ კალო არ დახეთქოს; გაღატ. როცა რა-ბის ძალიან დაღეწავენ, ან ვისმე სცემენ, იტყვიან ხოლმე: სულ ბრეგადინაო (პაღ. საბა, ჩუბ., ალავე, ნინოშვი. II ბრე, ჯანაშვი. ბრეგ).

ბრეთელა, ბრეცელა ლიბრიანთვალეზიანი; თვალების მობრდღელიაღე (წ. კვეტელა).

ბრეცელა წ. ბრეთელა (პაღ. საბა დაბრეცა).

ბრიმა სოლი, ბრმა სოლი პატარა სოლი. გარედან ფერისონ ბრიმა სოლს აძლევენ ურმის თელის სოლის გასამაგრებლად (წ. დაბრიმასოლავება).

ბრიც წ. ჩიტი.

ბრმა სოლი აგაკვა, რაც ბრიმა სოლი (წ.).

ბრმა-ყრუა (ბრმა და ყრუ) გაღატ. გაუგებარი, შეუსმენარი; აუწონ-დაუწონავი, განუსჯელი ადამიანი. ძველად ამბობდნენ: ქვეყნის ბრმაყრუა. ბრმაყრუა აგაკვა.

ბროზალი ბუკუელა წისქვილის (წ.) ბორბალი.

ბროზო ბგერისმონაცვლეობით გოგოსთან შერითმული სიტყვა. გოგო, ბროგო, ახტეხო ბენა; გოგო, ბე ბროგო, ახტეხო ბენა.

ბროცი სუფთა, თეთრი რამე. გაზან და ბროცო-გაოთ გაოთი; აუგო თეთრად, ბროცოდ ბროცო.

ბროწოლი ბროწული. ბროწულის ჯრუბია: ტუბილი ბროწოლი, მუვე ბროწოლი, მალა ბროწოლი (ტუბილსა და მუვეს შუა; წ. ჯანაშვი. კე. ბროწი).

ბრუტიანი, ბრუციანი ბრმა (პაღ. საბა, ჩუბ., ცაგ).

ბრუცო, ბუცო ბეცი, ახლომხედველი ადამიანი (პაღ. ბრუციანი; ჩუბ., ცაგ.).

ბრუციანი წ. ბრუტიანი.

ბრუცუც ბეცისადმი მიმართვა. აი, ბრუცუც ვი, ბრუცუც, ხოთ მხეცელ? (პაღ. საბა, ჩუბ. ბუცუცი).

1. **ბუღე** დაბადებამდე რაშიც ბავშვი იმყოფება დედის მუცელში. მშობიარობის შემდეგ ბუღეს მონაყოლი ჰქვია (წ. ჩუბ.).

2. **ბუღე კოხის** (წ.) ჩასახსაში ნახერეტი ადგილი კვერში.

ბუღეშური, გუღაშური, გუღეშური საკმელი ყურძნის ჯიშია, თეთრი, ძალიან ნაზი, ტუბილი; მსხვილი მტევანი იცის; მოგრძო, წვრილი მარცვალი აქვს. თუ კარგად დამწიფდა, მოყვითალო გახდება. ორიოდ კვირით ადრე ნეწდება. წინათ ღვინოდ აყენებდნენ თურმე და ნაზი, საამო გამოდიოდაო; ახლა ღვინოდ არ არის პატივენი (წ. საბა, ჩუბ., ვერისთ., კე. ჯანაშვი. II, 411 და სხ.).

ბუღუსო საკაბე ფარჩა.

ბუერა ვაზი ვაზის ჯიშია. თამამი ვაზი იზრდება; თეთრი, მსხვილი მტევანი იცის; მრგვალი, მსხვილი მარცვალი აქვს; ხმარობენ საჩურჩხლედ (წ. ჯანაშვი. II, 406 და სხე; პაღ. კირ. ბუერი, ვეა III, IV ბუერა).

ბუერა ლეღვი, ბურთა ლეღვი, ყარფუზა ლეღვი ხე თამამი იზრდება, დიდი ტოტები ხშირად მიწაზეა გართმული; სქელი, ფართო და მრგვალი ფოთოლი აქვს; თეთრი ბურთ-ბურთი ლეღვი იცის. ლეღეს დამწიფებისას ყვითელი ფერი დაჰკრავს, ზედ ჩამოეკადება ხოლმე, ყუნწი ძირში სწყდება და ძირს ვარდება. ძალიან ტუბილია. საუკეთესო ჩირი გამოდის. კაკრას (წ.) ერთხელ ისხამს და ის მწიფდება. სხვა ლეღვი ორჯერ ისხამს კაკრას. მხოლოდ ქიხიყში მოდი, ბაკურციანის ზემოთ არ გვარობს. ცხელი ხოლის ხეობა, წყლის პირი და სიოიანი ადგილი შეუვარს.

ბუთა ოქრომკედლის ხელსაწყოა: სადნობელა. თიხის კურკელია ოქროვერცხლის დასადნობად და დასახალასებლად.

ბუინა წვრილ ცხოველთა ფარა (ჯოგო) ან ფრინველთა გუნდი; გაც. ბე. რი, უთვალავი. შოკ. ბუ-სა ქათამი აჟე; ბუ-სა აჟიკი კი ნიშნავს: ბევრი ტილი ახვევია (პლ. ვაჟა I, IV ბოინი).

ბული-ბული ბატებისა და იხვების დაძახება (ს. საბა; პლ. ბე რ. ბოლი-ბოლი!).

ბულულა ფიწლით აღებული თივის თალამი (ნ.); გაც. მსუბუქი რამ (ნ. ჩუბ. ბულული; პლ. კყ. ბულული, ვაჟა I).

ბულაური, ბურლული დაროწილი მოხალული ხორბალი. მსხვილმარცვალა ხორბალს აარჩევენ, ცეხლზე მოხალავენ და ხელსაფქვეით დაროშავენ. აკეთებენ კოკოტსა და სხვ. (პლ. საბა, ჩუბ. ბულლური).

ბულღურის შავამანდი ბურღულს რიან, ფუკილს შეინახავენ საკოკოტედ. დარჩენილ დაროშილს მოხარშავენ, ცხიმით, ხახვითა და მარილით შეაწელებენ და წყნიან საკმელად ხმარობენ.

ბუნაკზე ძაფის დასხვა, დაბუნაკება ბუნაკზე (ნ.) ტყავის საკერავე ძაფის დამავრება.

ბუნაკი ხარაზის ნემსზე აგებული ძაფი, რომელსაც ჩააგრებენ ტყავის საკერავე მსხველ ძაფს.

ბუნჩულა ფუნჩულა. პკა პლ. ბ (ნ.) ლა პკარაჟნი ბუნი ულა.

ბუჟლა მოხდენილი მსუქანი და თმახუქუქა ადამიანი; უფრო იტყვიან ბავრზე. რაკარი ბუჟლა ქსწულა.

ბურახიანი ადგილი ხმირ და მსხვილობალახიანი ადგილი, საბაროსკენ (ნ.) იცის.

ბურბუშელა ტუჩები მსხვილი, გადაბრუნებული ტუჩები.

ბურდნა (ნაწარმოებია ბურდო სიტყვიანადან) ფეტვის ლეწვა. ფეტვი ჩვეულებრივი გაგებით არ ილეწება, რადგანაც წველი (ნ.) ნედლი აქვს. კვერს რომ ატარებენ, მართო პტკველი (ნ.) ილეწება და მარცვალისცევი. ბურდო ფეტვის წველი (ნ.), არ ილეწება (ნ. ბურდნა; პლ. საბა, ჩუბ., ვაჟა III).

ბურჯაკო გოჭი ორიდან ექვს-შვიდ თევმდე; ნაწილის (ნ.) შეჩვევიდან უკვე ლოჩია (ნ. საბა, ჩუბ.).

ბურჯა ლედვი აგაჟ, რე ბურა ლედვი (ნ.).

ბურთა ქვა საშუალო ზომის მრგვალი ქვა. ქვიციოის აშენებისას ხმარობენ ხურდად (ნ.).

ბურსო საკაბე ფარჩა (პლ. საბა, გრიშ. ბურსეული).

ბურღული ნ. ბულღური (ნ. ჩუბ.).

ბუსლა ქვა ადამიანის მეტსახელია.

ბუჟაკო გოჭი ორ თევმდე.

ბუტაუი პირმსუქანი, მაგრამ არაუშნო ადამიანი; ასეთი სიმსუქნისაგან შნოიანი (ს პირბუტაუი; პლ. კეს, გრიშ. ბუდალი).

ბუტრაობა ყირაშალა კოტრიალა (ლოგინში იციან ბავშვებმა). რაა მ ბუტრაობა, თქვე გასწავლულია, რაა ელვა ქუბაა.

ბუტული ბორას (ნ.) მატლი. ბორა ხაფხულში კვერცხსა დებს საქონლის ტყავში. იგი ვითარდება ტყავსა და ხორცს შუა და მეორე წელს გამოიჩეკება და გამოვა მატლი. მატლის მოძრაობით შეწუხებული საქონელი (უმთავრესად ცხენები და ტანები (ნ.) დარბის. რა ლეიკარა, რატო გერ დამჯადხარკოთ აღამა, ბუტულე პო მ პეჯად, რა დამახარა? (პლ. ჯანა შვ. ბუტული).

ბუჭი წენ. კი მიწა ჰაერში ატანილი (პლ. საბა, ჩუბ.).

ბულაური ბოძის თავზე დადებული დაქრელებული ხე. ამაზე დებენ ძელს (ნ.), რომ ძელს ბოძის შეხების მეტი აღ- გილი ჰქონდეს და არ გატყდეს (ნ. საბა, ჩუბ.).

ბულაური ბოძი ზოგჯერ კანკარ- ტაოთ აგაი. და დედაბოძი.

ბუჩი ნ. დაბუჩება.

ბუჩინა (ქართულურად ფუჩინა „ხბო“) ხაქიწლამდე (ნ. ყოყინა; შარ. ჯანვან, ქართვ. და კავკ. ენები, 183).

ბუცო აგაი. და ბრუცო (ნ.).

ბუწქარა ბუწქარა, ჩირგენარა (ნ. საბა, ჩუბ.).

ბუწუწი თმა. ბუწუწეა ბუწუწეა (შარ. საბა, ჩუბ., გრიშ., ცაგ. კვ. ბუწუწობა).

ბუჭულა 1. ბუჭულა წისქვილი ნ. კოდის წისქვილი (შარ. საბა, ჩუბ., ალაგ.); 2. მეტსახელია კაცისა. ბუჭულთა პატარა სახლი, ქოხივით სახლი.

ბუხრი დავჩობა ბუხარს რომ სა- ცვანზე მიღს მალე დაუვიწროებენ, იმა- ზე იტყვიან (იციხე უხეირო კალატოზ- მა). ბოლი კარგად ვერ გადის და სახლში დგება.

ბუხრი თავი ბუხრის წინ წამოწეუ- ლი ნაწილი, რომელზედაც ლამბას, სა- მარილესა და მისთ. დგამენ.

ბუხრი კედელი ბუხარდატანებუ- ლი კედელი, ერთი არშინი აქვს სისქე- ამავე კედელში განჯინაცა დატანებუ- ლი (ნ. განჯინი კედელი).

ბუხრი ქუდი (გეოგრაფიული სახე- ლისაგანა ნაწარმოები: ბუხარა) კრ- ეელი, ცხურის ტყეის ქუდი.

ბუჭება ზრომა. კულუბა ბუჭება (ნ. დაბუჭება).

ბლანაი მბლანაი, რაც ბლავის. ბლანაი ბლანაი ბლანაი მბლანაი. ბლანაი ბლანაი ბლანაი (ნ. ვაჟა IV ბლავ: მბლანაი).

ბლანძალი ხუმრობით კიდაობა. ბლანძალი ბლანძალი ბლანძალი (ნ.).

ბლარი ბალლი, ბავშვი (ნ. ჩუბ.).

ბლარტი ბარტყი, შვილი გარეული ფრინველისა და მწერიანა (ნ. ჩუბ., ვა- ჟა IV).

ბლარტის თაფლი ფუტყრის ბარტ- ყის, იმ ხაფხულს გამოჩეკილი ფუტყრის მიერ შეგროვილი თაფლი. ყელსა წვავს. ეს თაფლი ყოლის (ნ.), ახალგამოჩეკი- ლი ფუტყრის საკმელად არის გან- კუთვნილი თვით ფუტყრების მიერ.

ბლავი ზღაპური ბალლი, ბავშვი.

ბლოტება: ზღაპური ბლოტება, არ სა- ზღაპური. ბლოტება, ბლოტება (ნ. აბლო- ტება; ჩუბ. ბლოტება, ვაჟა I ბლათ).

ბლუნაობა თავსა და მუხლებზე ბრუნვა კიდაობის ან მუცლის ტკი- ვილის დროს. ბლუნაობა ბლუნაობა (ნ. ბლუნაობა).

ბლუნვა თავით ტრიალი, რამე მრ- ხეხის გამო აღამიანის მიერ თავით მიწის თხრა (შარ. საბა, ჯანაშვი. ბლუნვა).

ბულაა გაბარდული ტოტები, გრჯლა (შარ. ჩხა).

3

გაავწევება ბავშვის გაკაპრიზება; ავადმყოფობის ან სხვა მიზეზით ბავშვის ტირილი რომ დასჩემდება (შარ. ჩუბ. ავხენ).

გაანდევება (ნაწარმოებია სიტყვი- საგან ან დე ნ.) ორიენტირება; წარ-

მოდგენა, ვარაუდი. გაანდევება, გაანდევება (ნ. გაანდევება).

გაასრება მეტისმეტად გაბრაზება. განრისხება; აქედან: გაასრებულნი გაბრაზებულნი. გაასრება გაასრება (ნ. გაასრება).

გაბალთვა გაატ. ამოწყვეტა, ამოხ-
ცვა. ლეკო შიშაღიქნ და გაბაღა ზე
ლო ხოყლეპი (ნ. ბალთვა; შარ. საბა
ბალთვა, დაბალთვა, ჩუბ., ვაჟა III)

გაბარჯღული (ხე. ტყე) ერთმანეთში
გაბლართულტოტებიანი (ხე, ტყე). გა-
ბარჯღულ - ტვი ჟო. შიგ კაცო გრ გა-
კაღა.

გაბალღვა მწვანილის სულ დაკრეფა
უწყსრიგოდ. ე დასაღუჟო მინა შიშულა
ბიკანა და ზუ გაბუბღღაშ წაწაღ-
(ნ. ბალღვა; შარ. საბა ბალღვა, ჩუბ.).

გაბერწყება საქონლის მიერ მკვდარი
ხბოს (ხაქის, კოცის, მუტრუკის) და-
ბადება. ანდაზა: ჟო წაღ ბეწო ბოთ
უჟო ბო დაკკლეპი (შარ. საბა ბერწყობა,
ჩუბ.).

გაბზევება პურეულის ქცევა ბზედ.

გაბზა მანჯანიკის (ნ.) ჩარხზე ამო-
ხევეული ძაფი (ერთი ლიტრისა) ერ-
თად შეკრული, 200—300 გრამადღე.
ბა ლეჟ ბიღამ შიშაღი კრთი გაბზა ბიღე-
შუმი და შიშაღი კრთისა (ი. ტავეტავა-
ძე, უკაცია-ადამიანი? ნ. კიფი, ხაია-
თი; შარ. ჩუბ.).

გაბმულა ჰამაკისებრ ორ ხეზე გაბ-
მული თოკი, რომელსაც უაკნობის
დროს ბავშვის ჩასაწყენად ხმარობენ
ხლომე.

გაბმული ლაპარაკი გაუთავებელი
ლაპარაკი, მოსაბებრებელი ლაპარაკი.

გაბოტვა (ნაწარმოებია სიტყვისა-
გან ბოტო) გაატ. გაკერება, გაჯიუ-
ტება, თავის ნათქვამის შესრულება.
გაბოტა და ჯაღა გაატოქა, თაჟ
სიტყვა ბაღულა (შარ. ვაჟა III ბოტ).

გაბრახტვა გაწყვეტა, დახოცვა, ამო-
ხლეჯა. აქედან: გაბრახტული გა-
წყვეტილი, დახოცილი. ხარ ჰაღა გა-
ბრახტული, ამოჟნ გაბაღა და ბაგან
შეკანეს (ნ. ბრახტვა).

გაბრეჟვა გაკიშვა, გაბზევა; აქედან:
გაბრეჟილი გაბზევილი (ნ. საბა
ბრეჟა, ჩუბ., შარ შ.).

გაბრინჯული სავსე თავთავი; გაატ.
ძალიან გამძღარი ადამიანი; ძალიან
თორღლებდაც იტყვიან. გაბრინჯუ-
ლ - ჟო და ჰაღა შარ. შარ შ.,
წერ. ბრინჯვა, გადბრინჯული).

გაბუბა (ბუსავით გახდომა?) გა-
ფაფუება; მაგ., ბალიშის გაბერტყვა
და ბუბბულის გაფართოება, გაშლა.
აქედან: გაბუბული. ლოკან გაბუ-
ტეა და გაბუბი; გაბუბუჯა: თაჟ
(შარ. ჩუბ. გაბუბება, ვაჟა I გაბუ-
ებული).

გაბუბუბუება ხმელი რამის წყალ-
ში დაღობა და გაფუება. შაჟა წაღ
ღაგანაჟ. გაბუბუბუება; კულჟუწა-
ღა ბიღა და გაბუბუბუება (შარ.
შარ შ. ბუბუბუი).

გაბუსკვა ბავშვის ან პატარა
ცხოველის ძალზე გაცდომა; გაატ. დიდ-
ხედაც იტყვიან: გაბუსკნაო. აქე-
დან: გაბუსკნული ძალზე გამ-
ძღარი.

გაბღერტვა გაბერტყვა; გაატ. გა-
ტყება, მაგრად ცემა (ნ. ჩუბ., ვაჟა I,
IV ბღერტა).

გაბძნლი (გაბრძნებელი?), გამ-
ზნლი ძალიან ნასწავლი, გამოცდილი,
ქვეყანაშემოვლილი. შიგ კო და ბაღან
გაბძნლ - ზე შეჟაღა; ბაღან გაბძნლ -
ღა ბაღან.

გაგანჯღული განავლითა და სხვა
სიბინძურით დასერილი (ნ. განჯღლა).

გაგება დარგული ან დამყნობილი
მცენარის განარება. ნკენა ნაშენა გაგო.

გაგოზგრა ჩახსაკრავის (ნ.) ფორმე-
ზე სირმის დახვევა, რომ არ დიშა-
ლოს, შეიკრას კონსავით და ბოლო
გაეშალოს.

გაგოზვა დაგლესა, წასმა რისამე,
რომ ფორები ამოივოს; მაგ., კარ-ფან-
ჯრების სახსრების დაგლესა ტალახით
ან სხვა რამით. აქედან: გაგოზილი
დაგლესილი. კარგა გაგოზე, ბაჟო, ჰაღა,

გადასასმელი გულგამოღებული ყალიბია კრამიტის ზურგის გამოსაყვანი. კრამიტის დასაყალიბებლად გულის გამოსაყვანი ყალიბი არსებობს, ზურგის გამოსაყვანად კი ყალიბში ჩადებულ საკრამიტე გუნდას ზემოდან გადასასმელს გადაუსვამენ.

გადახევა გადამტერება, გადაკიდება. აქედან: გადასეული გადამტერებული, გადაკიდებული. გადამტერება - არის და ერთხელის ხისელ დასაყვანი უჭებენ (პლ. ჩუბ. გადახევა).

გადაფურცა კალთის გადაფარება-საყვით; გადამტ. წაქომაგება. აქედან: გადაფარული ქომაგი, მეშვილი. გადამტერება - არის და ერთხელის ხისელ დასაყვანი უჭებენ (პლ. ჩუბ. გადახევა).

გადაფურცა ჯიშის გადასხვაფერება, ჯიშის სხვაობის შეტანა. აღმა დასაყვანი უჭებენ (პლ. ჩუბ. გარდაფურცა).

გადაფურცა გადავარდნა, გადაჩება. გადამტ. დასაყვანი უჭებენ (პლ. ჩუბ. გადახევა).

გადაქანა, პირის გადაქანა წინდისათვის უკანასკნელი შემოქსოვა. წინდის პირს ეს შემოქსოვენ, რომ აღარ დაიკრულეს. წინდის დასაყვანი უჭებენ (პლ. ჩუბ. გადახევა).

გადაღალული ხაყელი გადაღალილი, გახსნილი საყელი.

გადაღება ერთი ქვეყრიდან მეორეში ღვიშის გადასხმა, რომ ძირში მყოფი ლექე (ნ.), მღვრიე ღვიშო გამოაცალონ. თუ ლექე არ გამოაცალეს, ღვიშო გაუშუქდება, დაცხარდება. პირის გადაღება ერთი ლასტიდან მეორეზე გადატანა აბრეშუმის პირის ნაწილისა და აგრეთვე ნაძირის (ნ.) გამოცვლა (პლ. ჩუბ. გარდაღება).

გადაღობა, შიშხილით გადაღობა შიშხილით გადაღება, შიშხილით გამოწვეული ფიზიკურ-ფსიკური განცდა. აღმა დასაყვანი უჭებენ (პლ. ჩუბ. გადახევა).

გადაღობა - არის დასაყვანი უჭებენ (პლ. ჩუბ. გადამტერება).

გადაყენება 1. კვერთხი შებმული ცხენის კალოდან ფანატურში გადაყენა დასაყენებლად; 2. ბეჭის გადაყენება მოსაშარდავად და სხ.

გადაჩემიჩება მეტისმეტი დაღლილობისაგან ახრის დაკარგვა აქედან: გადაჩემიჩებული. აღმა დასაყვანი უჭებენ (პლ. ჩუბ. გადახევა).

გადაცალვა საკიდარის (ნ.) ტვირთის წინასწორობის დარღვევა: ერთი ცალის გადაწონა. საკიდარს აწვალებს.

გადაწვენა გადაწიდება. ვახის გვერდზე მიწას გათხრიან მუხლამდე, ვახიდან ახალ რქას წამოიღებენ და გადაწვენით სხვა ძირს ამოუშებენ და ახარებენ. გადაწვენით ვეჩხის ამუშება სჯობდაო (სანამ ფილოქსერა არ იყო გერცელეული ჩვენში), რადგან ვეჩხის მიერ დაქერილ მთელ ადგილს ვახის ძირ-ფესვები ჰქონდა მოღებული (ნ. მაყ.).

გადახრუკული გადამწვარი, უნაყოფო მიწა.

გადაჯამბერა საყვერის ხარის ფეხის ჩადგმა ჯამბარაში (ნ.); ამ შემთხვევაში ყვეარი აირევა და ხენა ან ურმის ტარება ჩრდება, სანამ ფეხს არ ვადმოადგმენინებენ; აღმა დასაყვანი უჭებენ (პლ. ჩუბ. გადახევა).

გადაგვევა გათქვეფა.

გადაგვა კუროს გასვლა ფურზე დასამაკებლად, დამაკება. აქედან: გადაგვილი დამაკებული. აღმა დასაყვანი უჭებენ (პლ. ჩუბ. გადახევა).

გაღიდავლება აღმა დასაყვანი უჭებენ, გაამპარტყენება, გაამპყება. აღმა დასაყვანი უჭებენ (პლ. ჩუბ. გადახევა).

გადოყება ახლამოყრილი ყლორ-
ტის გათამამება (ნ. დოყი).

გადრეცილი უხეიროდ გაკიმული
აღამიანი. ჩეჩეხისი გადრეცელ-
ისისი (ნ. დრეცა).

გადრუნჩული (ნაწარმოებია სიტ-
ყვისაგან დ რ უ ნ ჩ ი) გაბერილი, დაბ-
ღვერილი აღამიანი.

გავაყება 1. ვაკეზე გასვლა. წყაღ-
გ ა ე კ ა ე ; 2. ფერდი ადგილის გასწორე-
ბა ვაკედ, ვაკედ ქვევა. უაღა აუა ღა
გ ა გ ა გ ა ე ს ა ხ ა ლ ე ჯ (ნ. ჩ უ ბ.).

გაფარდნილი იტყვიან სახელგატე-
ხილ ქალზე (შარ. ჩ უ ბ.).

გაზაფხული მატყლი (თუშები
რი ი ს ვ ა ხ ი ა ნ) გაზაფხულზე გაკრე-
ჭილი ცხვრის მატყლი. რბილია, მაგ-
რამ მოთელილია ნაბადივით, რადგა-
ნაც ზამთარში ცხვარი ხშირად წვეს
ნაშარდევ სისველეში (შარდი არბი-
ლებს მატყლს).

გაზები წვივის ძელები. აქათ ღაღ
გამაღა. თარეჩ გაზებე შამაგაღეჩამ (შარ.
ს ა ბ ა, ჩ უ ბ., კ ე, გურამ., შ ა ნ. კეეს.
გ ა ზ ა; ვ ა ჯ ა IV გ ა ზ ი, ა ლ ა ვ. გ ა ზ ე ბ ი ა).

გაზერქნა გატყენა. აქედან: გა-
ზ ე რ ქ ნ ი ლ ი გა ტ ყ ე ნ ი ლ ი (ნ. ზერქნა;
ჩ უ ბ. გაზერგნა).

გაზევა გატყება, მაგრად ცემა.
აქედან: გაზ ე ვ ე პ ი ლ ი გა ტ ყ ე ბ ი ლ ი
(ნ. ზევა; შარ. მეგრ. ზეპუა).

გაზიპული ნ. ზიპი.

გაზუნჯლა ძალზე დასველება. აქე-
დან: გაზუნჯ ლ უ ლ ი ძალიან დასვე-
ლებული (შარ. ჩ უ ბ. გაზუნჯლა).

გაზღვარზღვარება გადიდება, გა-
ზვიადება. ნუ აც შენ ვაღაღა გაზღ-
გ ა ზ ლ გ ა ზ ე ა.

გათავცელება კელში მოგდება მარ-
ტო. კარ გაგათავცელა რი ერო-
შეგა შეწევა.

გათათანება აცახცახება, აკანკალება;
გაღატ. ძალიან მონდომინება რისამე.

ოჩხულა ქალა შეგე კატო რი ღანასი,
გ ა ა თ ა თ ა ნ ა (ნ. თათანი).

გათათვა 1. გალანძღვა-გათრევა
(ნ. ჩ უ ბ.; შარ. ს ა ბ ა თათვა, გურამ.
დათათვა); 2. ფეხების განიგან გადგმა
და ისე დგომა. გაბოტვა; გაღატ. გაჯიუ-
ტება, გაკერება. აქედან: გათათხუ-
ლი გალანძღულ-გათრეული; გაჯიუ-
ტებული, გაკერებული.

გათანჯვა (ნაწარმოებია სპარსული
სიტყვისაგან თანჯი ნ.) გაშეშება,
შეკრა; სიტყვისაგან გაშეშება; მოკვ-
დომა. აქედან: გათანჯული გაშე-
შებული. გაგთანჯა; ეათანჯა
მოკედა; გათანჯულ-მოკა ხევისაგან
(შარ. ჩ უ ბ., ბარნ., გურამ. გათან-
ჯული).

გათართვლა დასვრა.

გათოთხარება საქმის გართულება;
ორკოფობა. გათოთხარა, გაღარაჟე-
რი გაუწეო. აქედან: გათოთხარე-
ბული დაბნეული, ვერც ერთი საქმი-
სათვის თავი რომ ვერ გაუბრუნებია.
ამოქი ხევისაგან გათოთხარეული
კარა გაღარაჟე გაუკეო (ნ. თოთხარი).

გათრეველა, გათრეულა, ჯამბრისა
გუთნის გატანის პირველ დღეს მონხუ-
ლი. გუთნის გატანის პირველ დღეს,
სანამ გუთანი გაიმართებოდეს, ძალიან
ცოტა იხენება. ეს პირველი დღე გუთ-
ნისდღესია იყო გუთნის ზე-ხუსა (ნ.) და
ჯამბრის სარგოდ, ალოში (ნ.) არ ჩაი-
თვლებოდა. ზედმეტად ეძლეოდა გუთ-
ნისდღესს.

გათრეულა ნ. გათრეველა (ნ. კ ი რ.).
გათქერა გათელვა. ნუ გაგთქერე თ
ქეშეგა. თქე გასაწეატო! (შარ. შარ შ.
განთქერა, წ ი რ.).

გათქელეშა გახეთქასავით; გაღატ.
ბევრის კება, ხეთქა (ნ. თქელეშა).

გათხვრა გასვრა. აქედან: გათხ-
ვრილი გასვრილი. ნა გაგთხვა-
ნა ნა გათხვრელ-ისა, გოგო, შე ს-

ნაცლეშა (ნ.), ზესა; კაცო, მადო, კე ბაჟე-
აჟეცე, გათხლეშა.

გათხლეშა გაღატ. უშნო ნებიერობა,
უხეიროდ განაზება. აქედან: გათხლე-
შილი უხეიროდ განაზებული. რაბო-
ხლეშა, ქაჯის მალან გათხლეშა-
ლო მეგოთ ვაგო დარო გათხოვება. მკ
კაცო, ლოგო წაჟე სეჟე, ლოგო მოჟურანეს
ქაჯეულისა (პდრ. ჩუბ.).

გაიში! გაიში! მოიში! შედახილი
გუთნისდედისა. თუ გუთანი კვლისა-
კენ დაიწვეს და ვიწრო კვალს გაიტანს,
გუთნისდედა შესძახებს: გაიში! ან
მოიში! მებრეთ კვლის ხარს დაი-
ლალავს (ნ.), რათა ამ ხარს გააწე-
ვინოს და უურო ფართო კვალი გაა-
ვლონ (პდრ. ზედა. დაკვალება; ნ. დავე-
ლება).

გაიჭერა თაენება, კერპი. მალან
გათხლეშა, კერპურ უსემ (პდრ. ჩუბ.);
გაიჭერაობა თაენებობა, კერპობა,
თავისნათქვამობა; ქალებზე იტყვიან:
დაჩუქულ ხარ გაიჭერაობა და ბეჭე
ჰესი, შე არ გატყვისსე.

გაკანჯვა, ხული გაკანჯვა ხმის ჩა-
წყვეტა, ხმის გაკმენდა, გაჩუმება. ხუ-
ლი გაკანჯვა; ხმა გაკანჯვა.

გაკაჭვა მოცელვა; გაკაჭვა, გაჩეხა;
გაღატ. გაწყვეტა, ამოხოცვა. აქედან:
გაკაჭული გაჩეხილი ტყე; ამოხო-
ცილი ხალხი, საქონელი და სხვ.

გაკეთებული გაღატ. მოსუქებული
ადამიანი ავადმყოფობის ან სიგამბდ-
რის შემდეგ. ლამაზად გაკეთებული,
ქა, კაო ჟელზე შეწეხა. გაკეთებული
ადამიანი, გაკეთებული ოჯახ-
ის მდიდარი, შეძლებული ადამიანი,
ოჯახი (ნ. ჩუბ., ბარნ.).

გაკეთება ძილის გაფრთხობა.
გაკეთება ჯდ და ჯდ დამანა.

გაკეთებულობა საქონლის ტყავის კე-
მუხტად (ნ., ხეარხეარპირიანად) გამო-
ყვანა; გაღატ. გაკეთება. გამაგრება. აქე-
დან: გაკეთებულობა.

გაკერწვა, გაკეწვა ღორთა სქესო-
ბრივი კეწიროი, დამაკება (პდრ. საბა,
ჩუბ. კეწილობა; მეგო. კეწი 'ნეწეი
ღორი').

გაკვრა ბურთი ერთგვარი ბურთო-
ბა. მოთამაშე ბავშვები ორ ბავშვად
იყოფიან. ტაშიმუშის (ნ.) შემდეგ ერთ
ჯგუფს ბინაზე დარჩენა მოუხდება და
იქიდან ჯერ-ჯერით ბურთის გაკვრა
(ბურთის გაკვრა შემდეგნაირად ხდება:
მარცხენა ხელით ბურთს მალაა შეა-
დებს და მარჯვენა სილას შემოჰკრავს).
მეორე ჯგუფის წევრები განაზღვრუ-
ლი მანძილის იქით დგანან და ცდი-
ლობენ ბურთი მიწაზე დაუწვებლივ
ხელში დაიკვირონ. თუ დაიკვირეს, მთე-
ლი წინანდელი დაგროვილი ქულები
ჩაილულის წყალს დალევს (ნ.); თუ არა,
მაშინ ბურთს აიღებენ და, გამომკერც-
თა მხარეზე მეტრისოდენა ბარიერი-
ვით რომ არის მიწაზე გაქეთებული,
ესერიან. თუ მოარტყა, ჩაიჭრება ეს
ბურთის გამომკერცილი და ალა სხვა
აიღებს ბურთს, თუ არადა ქულა
ჩაითვლება და განაგრძობს გაკვრას.
ასე გრძელდება ბოლომდე. ჯერ გა-
კვრივინებენ ყველაზე ნაკლებ მარჯვენს,
მერმე უკეთესებს და ბოლოს გაჭრავს
დედა. დედაც რომ მოიჭრება (ნ.), შემ-
დეგ ჯგუფები შეიკვლებიან. თანაში
გრძელდება, სანამ ქულების დათქმულ
რიცხვს შეათავებდნენ. დასასრულს,
გამარჯვებულები შეასხდებიან დამარ-
ცხებულებს და ბინიდან კიკამდე (ნ.)
გააქენებენ და თან "ჰაწიანოს" აძახე-
ბინებენ (პდრ. წერ.).

გაკითხვა მათხოურისათვის მოწყა-
ლების მიცემა. გაკითხვა უჟელურ-
გლესი, ოჯახსკვლევა! (ნ. ჩუბ.).

გაკინძვა ნ. გუთნის გაკინძვა.
გაკირვა კირის წასმა.
გაკიწვა (ნაწარმოებია სიტყვისაგან
კიწი ნ.) ხილფულის დაკრეფა სულ.

გალეშკვა (ნაწარმოებია სიტყვისაგან ლეშკი.) ტყავისათვის ზედგაყოლილი ხორცის ნაწილების გატლა (ხასტებლად განკუთვნილ ტყავს აცლიან დამუშავების დროს).

გაღიშული გასიპული, ცხიანახაჩი (ნ. ლიპი; შარ. მოლიპული).

„გაღიშნი“ ნ. კოლოლი.

გალურტვა გაღევა, გაწვრილება, გახდომა. აქედან: გაღურტული გაღეული, გაწვრილებული, გამხდარი. რა გაღურტულია? რა გაღეულია?

გამმეტყვრალი გამომხტარი, მეტიჩრ-დამ მოსული. ჰეს ეშენდელი გაშამ-რეგაღა ხარ, შესკოფო და შეკოფო აგებრდი, შეკოააა?! (ნ. გამოტყვრომა).

1. გამართვა დახმარება, ხელის შეწყობა; თხოვება ან სესხება რისამე უმიხდოდ, უპროცენტოდ. კურაანო პე-რეკვა შეკარკეცო გაშამრთვა; კარკეცოცოცოც არ გაშამრთოვს თუა დეკო, შოკე-ღეო (ნ. გამმართველი, გაუმართავი).

2. გამართვა გასწორება, ფენბატკენის მიერ ნელ-ნელა კოკლორის გამო-სწორება და სიარულის დაწყება. ჩვენ ღათოკა უეკო რო შანტეკო, ვანდერო აქ-შა. შანტინა, ერთ თვეზე გაშამრთვა და სიარული დაწყო (ნ. საბა, ჩუბ.).

3. გამართვა ნ. სახლის გამართვა. გამართული ბინა ყველაფრით მოწყობილი ბინა.

გამართული გუთანი ყველაფრით გაწყობილი გუთანი: ბარ-საკვეთით, დედნით, ჯამბრით, ხარ-მეხრეებით და სხვ. (ნ. გუთნის გაკინძვა).

გამართული კაცი მდიდარი, შეძლებული კაცი, ყველაფერი თავის რიგზე რომ აქვს (შარ. ოჯახიშვილი).

გამართული მარანი მოწყობილი მარანი ქვევრებით, საწნახელ-ნავით, გოდრებით, გადასადებ-გადმოსადები კურკლეულითა და სხვ.

გამართული ოჯახი ყველაფრით სავსე და მოწყობილი ოჯახი: სახლ-კარით,

ცხვარ-ძრ.ხით, ხარ-ურმით, ქვერ-მარნითა და ვენახით. ცხენ-ჯორითა და სხვ. (შარ. ოჯახიშვილი).

გამართული სახლი 1. გაწყობილი სახლი კარ-ფანჯრებით, იატაკ-პერითა და სხვ.; 2. მოწყობილი სახლი ოთახე-ბით, ლოგინ-ტახტებით, განჯინა-წალოებით (ნ.), სკამ მაგიდებითა და სხვ.; 3. მოწყობილი სახლი მარნით, ბელლით, თველა-ბოსლითა და სხვ.

გამართული ურემო ხარ-კამერბიო, თვალ-ღერძით, ხეწარ-კოფო-კალბებით, უღელ-ტამიკებით, ჯამბრითა და ანე-რით გაწყობილი და დარკინული (ნ.) ურემი.

გამაშირება გაკვეთა, ხელის გაკვეთა, გავარჯიშება, გაწაფვა, დასწავლა (შარ. მაშირობა).

გამზილი ფეხი, რაც გაბძნილი (ნ.). გამინდვრება მინდვრად გასვლა.

გამმართველი დამხმარე, ხელშემწყობი ადამიანი. კურაანო პე-რეკვა შეკარკეცოცოცოცოც არ გაშამრთოვს თუა დეკო, შოკე-ღეო (ნ. 1 გამართვა).

გამოგება დახლართული, დაბერდული ძათის დახსნა, გაშლა და ამოხვევა (ნ. საბა, ჩუბ.).

გამოლობა ცეცხლში ჩადგებითა და გავარავრებით რკინის დარბილება, რომ მისი მოხრა შეიძლებოდეს; მაგ., საკვარავი ნემსი ნაწრთობი ფოლადია და არ იხრება; თუ უნდათ მისი დარბილება, ცეცხლში ჩადგდებენ, ამოიღებენ და უბრალად (უწყლოდ) გააცივებენ, — დარბილდება. შემდეგ როგორც უნდათ, ისე მოხრიან.

გამომანაწვევა (ნაწარმოებია სიტყვისაგან მანანა ნ.) პარკის გაკეთების დასრულების შემდეგ ცახხე შერჩენილი თითო-ორთა წენიკი აბრეშუმის ქიის ცალკე გადაღება.

გამომჯულვრა კურკლის გამოვრცევა ცხელი წყლით (ნ. დამდულვრა; შარ. ჩუბ.).

გამომინდვრება მინდვრად გამოსვ-
ლა (პლრ. ჯამინდვრება).

გამომინა ცხელი წყლითა და სხვა
საშუალებით (კინკრით, მარილთა და
სხვ.) კურკლის გამორეცხვა. ოუ გარა,
რო ჭურჭელსა იქსო არ შადეჟა, ჯერ ჭინკრით
თა და მდურით იამოშხსე (პლრ. გა-
მომდელვრა). აქედან: გამომსნილი
კინკრითა და ცხელი წყლით გამორე-
ცხილი კურკელი; ძალიან სუფთაა და
გემოს არ აძლევს. იამოშხსე ჭურ-
ჭელსა ჩადეჟა შინა- და ანთობა აქს გუ-
ამონსსეჟა 1. გამოკვანძვა, ნას-
კვის შეკვრა (ნ. ჩუბ.); 2. ნაყოფის
გამონასკევა ნაყოფის გამოღება,
ყვავილობის შემდეგ პატარა ნაყოფის
გამოსახვა (ნ. მადყ.); 3. აზრის
გამონასკევა რამის დასწავლა, და-
ხსომება, რისამე გულში ჩადება. აქე-
დან: გამონასკეული 1. გამოკვან-
ძული; 2. ახალგამოღებული ნაყოფი,
ყვავილობის შემდეგ გამოსახული ნაყო-
ფი; 3. გულში ჩადებული, დახსომებუ-
ლი. შადეჟა იქსოდა გულის გამონას-
კეულა (ნ. ჩუბ.).

გამონაქაჯო სულ ბოლოს გამონა-
წური ყურძნის წვენი, სქელია და კარ-
გი (ნ. გამოქაჯვა, განაქაჯო; უკანა წვე-
რის წვენი).

გამოფეულვა ნედლი რამის უხვიროდ
გაღწევა, დანაყვა. პლრ. არ გამოფეულ-
დეჟეჟე ოკერა კალა!

გამოფურვა ამოწურვა, დაღვევა, გა-
თავება. ერო ბერ დგინა იყო და ხუ
გამოფურვა შავ მუცელსა მისეჟა (პლრ.
საბა ფურა, ჩუბ. ფურვა).

გამორჩეული გარიყული, სწორ-ამ-
ნანაგებში გამოსხლტოლი, გაგდებული.
პენ სწორ-ამსისეჟა გამოჩხეულა ხარ;
ხო ჰე გამოჩხეულა, პესა (ნ. ვაჟა
III, IV გამორჩევა სწორებში).

გამოხავალი ნ. ვენაყის გამოსავალი.
გამოხაკრავი საკოკის (ნ.) ბოლოების
შესაკრავი თოკი. კიზიყში წყალს ვირე-

ბით ეზიდებიან. ვირს ჯერ ქევანს (ნ.) და-
აღებენ ზურგზე, მერმე საკოკეს დაადგა-
მენ. საკოკე რომ ვირს არ მოეხადოს,
ვირის მუცლის ქვეშ საკოკის ბოლოებს
თოკით გადაბამენ ზოლმე. ამ თოკს
წვოდება გამოსაკრავი.

გამოტვინებული გაატ. უტვინო, ყე-
ყერი. და გამოტვინებული ოკერა-
ქურა. ჯარაჟერ გაატვინეს! (ნ. კირ. გამო-
ტვინება)

გამოტყვრენა გამოჩენა. ეხ სალაჟა
გამატეჟერინე?

გამოტყვრომა გამოჩენა, გამოვარდ-
ნა, გამობტომა (მეტირჩად). ეს ჭარო სა-
ლაჟა გამოტყვრე, ეს ოკერა (ნ. ჩუბ.
გამოტყვრომა; პლრ. ვაჟა III, IV).

გამოფიტივა, კირის გამოფიტივა კირს
რომ შეკვრის ძალა დაეკარგება (პლრ.
ჩუბ.).

გამოფხიტივა (ყურისა) გამოფხევა
(ყურისა); გაატ. გაგონება. გამაფ-
ხე-ტე შურაჟო.

გამოქაჯვა წნეხით გამოწურვა წვე-
ნისა ქაქისაგან დაქსხვ. (ნ. ჩუბ. გამო-
ქანჯვა).

გამოქნა გახედნა, მოზერისა და ზა-
ქის პირველად შებმა [ულელში და და-
მორჩილება სამუშაოდ. შემოღგომანხე
იციან გუთანში გამოქნა, რადგანაც
გუთნის ხენა მძიმე სამუშაოა და თა-
ნაც გასახედნი მრავალ ხარკამერთანა
შებებული და ადვილია დამორჩილება
(ნ. ჩუბ.).

გამოქნილი გაატ. გამოცდილი,
მცოდნე კაცი (მაგრამ არა გაქნილი!).

გამოლარდატივა გამოჩერჩეტება.
აქედან: გამოლარდატებული
გამოჩერჩეტებული. და გამოგაღა-
რდატი, აღამინა?

1. გამოყვლევა წყლულის გაჩენა
თითებს შუა ან ღაბაბის ქვეშ (სადაც
ზორცი ზორცს ეფარება). ემართებათ
ბავშვებს.

2. გამოყვლა ცოტაოდინი ნარჩენი ვენახის სასწრაფოდ შეყვლა. გრო-კუნ-ქული (ნ.) დამარა. კელაპკელ შეყვლა და გამომკვლეამ (ნ. ყვლევა; შკრ. საბა ეყვლავე, შეყვლა; ჩუბ. ყვლევა, ჯანაშვი. დაყვლა).

გამომშუპრვა ნ. შუპრვა.

გამოცინცკვლა გამოცინცკლა, გამო-ტყუება, მოტყუებით გამორთმევა რი-სამე.

გამოწყება, დაპირვა პირგაცვეთილი საჭერის (ცულის, წალდის, ნამგლისა და სხვ.) ცეცხლში გახურება, გამო-კვერვა, პირის ბილაქლადგაბრტყვლება და გაღვსვა, იომ მკრელი იყოს.

გამოწყვრიშვლა ბარგი-ბარხანის ან სხვა რამის გამოკრება და წაღება. წკნამ ქარაგმა სახლი შოლად გამოწყვ-რამლა, რა ვაშოკობა, და თან წაღო; კხიშა აღარაიეკი დაიყენა.—შემა. უ-ნის, მისი, შარული.—გვილაყურა გამოწყვრამლა.

გამოწრუტვა გამოწრუტვა, პირში გაწრუტოთ სულ დაღვეა წყლისა ან ღვინისა. კელადა გამომწრუტვა.

გამოწრელი ყურის სერი (ნ.): ყურის წვერზე გვერდიდან მრგვლად გამო-ტრელი ადგილი

გამოკუტრვლა ძალიან გავსება ნივ-თებით ან სხვა რამით (ოლონდ არა სითხით) მდგრადი ქურკლისა, მაგ., სახ-ლისა, მარნისა, ბელლისა, ქურისა, სკივ-რისა, კადობნისა, ურმისა და სხვ. სახ-ლი გამომკუტრვლა ათახი რამით; უდუმი გამომკუტრვლა გოდებობა, კალათებობა, სცალოებობა (ნ.) და სხვ. აქედან: გამომ-კუტრვლი მკიდროდ სავეს სახლი, მარანი, ურემი და სხვ., ისე რომ სხვა რამის დადგმა აღარ შეიძლება.

გამოკვრენა გამოჩენა, გამოძვრე-ნა. კელადა გამომკვრენა (ნ. კვრენა).

გამოხანხვლა, პირი გამოხანხვლა პირის დაწვა. წყაქამ კი გამომხან-ხლა.

გამოხიწვა გამოცარიელება; გაღა-ძალზე გახდომა. ამ გამომხიწვა-სუ-წა-ღა, შოლა და სუ-ტყუ, გამოხიწვა, კესო, სუ-გროსი; რამ გამომხიწვა, პაქო. გარე-ღა ლეკმაშობა? აქედან: გამომხიწული დაცარიელებული; გაღატ. ძალზე გამხდა-რი, სახლი გამომხიწული სუ-ერთან; ხიწვალი გამომხიწული შოლადა. ე. ი. გამხდარა (ნ. კირ. გახიწვნა, ქყ. გა-ხიწვნა სახლისა).

გამტკიცვა წმინდად გაცრა; აქედან: გამტკიცული წმინდად გაცრი-ლი, სამტკიცში გაცრილი ხორბლის ფქვილი, თეთრია (ნ. წმინდა; შკრ. ჩუბ.).

გამტკიცული ბურა სამტკიცში გა-ცრილი ხორბლის ფქვილისაგან გამო-მცხვარი პური, სუ-უთაა, თეთრი. აცხო-ბენ საგანგებოდ საუფლო დღეს ან ქორწილის დროს (შკრ. საერო).

გაბუშტვა ხარახთა ტერმინია: მუშ-ტათი (ნ.) საწულე ტყავის გაკვერვა.

გამლავრება კრილობის დაიარაგება, კრილობის გართელება. გამლავ-რდა ხე-ცეცხვებზე ოკურა იარა და შოლ წამოარა დატანდა პაქი. აქედან: გამლავ-რებულ იარა გართელებული ია-რა, მოურჩენელი იარა ან კრილობა.

გამჩენა, გამჩენა თავის კარგად მომჩენებელი, ფარისეველი; გაღატ. კა-ცის მეტსახელია; გამჩენაობა თავის კარგად მოჩენება. ფარისეველობა. გამჩენაობა არცეკაპაქანს და არც სხვას.

განაგისი შთამომავალი; ჯიში. ბენ-ნანანხი ნაწილი; აქი (შკრ. ჩუბ., ბარნ. ცაგ. ვასაგისი).

განაოშრება, მიწის განაოშრება მი-წის გაფხვიერება კარგი დამუშავებით. მეორე წელიწადს კარგი მოსავალი იცის.

განარღიშება გავარჯიშება, ხელის გაკვეთა, შეჩვევა საქმისა, დასწავლა;

გართხმული ვაზი მიწაზე გაშვებულ-
ლი, ჰერგომეულდგმელი ვაზი (ნ. მაყ.
გართხმული).

გართხლა (ფრინველია?) გაატ. და
გართხლ. ვაზი დატყუა—განი
გან რომ დაატეს ფეხები, იმაზე იტყვიან
(პატი. საბა, ერისთ., ჩუბ., ჩხ.
გართხლი).

გართხვა, ხარხვა, ლატანი ორ ბოძ-
ზე გადებული ჰოკი, რომელზედაც გა-
დაჰკიდებენ ხოლმე აკიდოეპს, გალებსა
(ნ.) და მისთანათ.

გართხის გართხი, გასლის გასლი
ნათესავის ნათესავი, შორეული მოკე-
თე. ლქონაჲ ვეკლჲ ქრამდოინი დიჲუაროდ
ჲი გატლის გატლის გატლის—იტყ-
ვიან ავი რძლის შეახებ.

გართხა სიმინდის ფქვილის შექამან-
ლი. ცხიმში ხახვს მოსწყავენ, წყალს
დაახანენ და აადულებენ, შემდეგ სი-
მინდის ფქვილს მოუკიდებენ და ადულე-
ბენ, ფაფასავით დადებენ. კეთდება
რძის გართხა (ნ.).

გართხვობა გართხვა. შეკლბი გატ-
ნკენი და გატნკენი: ვეკლჲ ჰეკლი ერთ-
ნაირად უნდა უყვარდეს დაჲიან.

გარტყულია საწერელი, მუწუკი, თით-
ში იცის, ძალიან მტკივანია.

გასაბრაძტავი ამოსახოცი, გასა-
წყვეტი (ნ. ბრატვა).

გასადეგარი სახლ-კარისა თუ ეხო-
ყურის გარეთ მდებარე სასოფლო ან
საუბნო მიწა-წყალი, სადაც შინაური
ფრინველი და ხელში საჭერი საქონელი
გადის. იტყვიან ხოლმე: ესა და ეს
ადეგალი ჩვენ გასადეგავია, წყის ქათამი
კაღას, სხვაჲ კაღას დაჲი (ნ. ჩუბ.).

გასამართი სახლი გაუწყობელი სახ-
ლი: მართო კედლებია (ქვიტკირისა)
აყვანილი და დახურული, მაგრამ კარ-
ფანჯრები და იატაკ-ქვრი არა აქვს
(პატი. გამართული სახლი I).

გასანავაგი (ნაწარმოებია სიტყვისა-

გან ნაშე (ნ.) წყველთ: ამოსაწყვეტი
სასიკვდილე. გოგო, შეგასანაშაქო,
სადა მდგომარ, მათს ეგპაი და მდ შეკონი
(ნ. განაშვა).

გასარდალაფება დედა-შვილი ცხვარ-
ბატყის ერთმანეთის მოხვედრება და-
საწოვნელად. მოწოვნების დროს ცხვარ-
ბატყანს ერთმანეთს დაუბრუნენ, მერმე
ერთი მხრიდან მიჰყვებიან მწყემსები,
დედას შვილს აპოვნინებენ და მოაწო-
ვებინებენ ეს ხდება ჩვილი ბატყნობიას.

გასარყვა გათანგვა (ნ.), გაშეშება,
სიცივისგან გაფრთხება, გაყინვა. აქე-
დან: გასარყული გაყინული. სიცი-
ვისგან გასარყული შოკად და პლავ
გაგთავო.

გასასანება ნდომით შეპყრობა, ძა-
ლიან მონდომება. აქედან: გასასანე-
ბული არისამე. მაგ., საქმლის (უფრო
კი აკრძალულისა) ნდომით შეპყრობი-
ლი. გასასანეგული და ღანაოჲან.

გასანუალება შუაზე გაყოფა (პატი.
ქყ. გაშუალება)

გასაწვლა (ნაწარმოებია სიტყვისა-
გან საველი) სახელოში ხელის გაყო-
ფა და ტანისამოსის ჩაცმა. გასაწვლე-
ნი გაწვადს შავრე კარგეს ტანისამოსის
(ნ. კირ. გასახლვა).

გასაბული (ნაწარმოებია სიტყვისა-
გან სიპი) გააბული, ქონწასმუ-
ლი ადამიანი ან ტანისამოსი, გაქონი-
ლი, გახეთილი; გაატ. კუჭკიანი ადა-
მიანი (პატი. შარხ).

1. გასისვება ძალიან გაბრაზება,
გაცეცხლება. აქედან: გასისვებუ-
ლი ძალიან გაბრაზებული. დაჲი გა-
სისვებაჲე, დაჲი, დაჲიანო? გასის-
ვებაჲე დაჲი დაჲი-წეო ნსუბი (ნ.
სისვი).

2. გახისვება: ციციხავით (კატახა-
ვით, კნუტივით) გახისვება საქმლის
მოთხოვნა მსუნაგად და დაყინებით.
იტყვიან უმთავრესად ბავშვზე, რომე-

ლიც დედას საქმლისათვის ხელზე ეტანება და დაჟინებით მოითხოვს საქმელს, როგორც იტყვიან, ქვამში უვარდება.

გასლის გასლი ნ. გარსლის გარსლი.

გასლურთვა გახდომისაგან გაწვრილებდა. აქედან: გასლურთული სიგამხდრით გაწვრილებული. აგრე ვად გასლურთული, რა კანისაჲსი 'ხედ იღარ შადგება' (ნ. გალურთვა)

გასუათქვა სულმოუთქმელად შექმა, შეთქმელია. აქედან: გასუნთქული შექმული; გაღატ. გაფლანგული. ერთი ცქარი ერთხად გასუნთქა; ბერე აქ ამა გასუნთქული.

გასწვრივ ლაპარაკი, გასწვრივ-გასწვრივ ლაპარაკი, გაღწვრივ-გაღწვრივ ლაპარაკი ჯიბრით ლაპარაკი, წინასწარ აღებული ახრით ლაპარაკი, მოლაპარაკე ახრთა დენას ყურს რომ არ უგდებს და თავისას გაიძახის. მხმენელისთვის ან სასაცილოა ასეთი რამის მოსმენა, ან გამაბრაზებელი. ნუ იცო შენ, წყაო მხო, გაღწვრივ-გაღწვრივ ლაპარაკი. შენ რაგო გონი, ხეა აჯამა (ნ.), ვერ ვგაგებ?

გატენილი ნიტრა. ნიტრა.

გატენიებული ტანისამოსი გაცვეთილი ტანისამოსი.

გათიყვანა (ნაწარმოებია სიტყვისაგან ტიკი) ტიკივით გაბერვა გაძლომისაგან. აქედან: გატიკიული და ძალიან გაძმდარი, ტიკივით გაბერილი გაძლომისაგან (უფრო ბავშვზე იტყვიან; ნ. კირ. გატიკიული).

გატრიზება მოტყუება, იმედის გაცრუება, როცა ადამიანს იმედი აქვს და მოატყუებენ. აქედან: გატრიზებული მოტყუებული, იმედგაცრუებული. რაგო გატრიზებული წამალი, რა შეგია კი შენად! (ნ. სიტყვის გატრიზება; ჰდრ. ჩუბ. გატრიზება).

გატრიტიანება გატრიანდება, ერთბაშად გაბრუნება წასასვლელად. ეს ხე-

ტევა რა უო ბანი, გატრიტიანდება

გატყაჩუნება გატლაშუნება, შოლტის მოქნევით ხმის გამოღება, სილის გაწვინით ხმის გამოღება. შოლტა გატყაჩუნება კაჭკა; ხელა გატყაჩუნება უხეშა.

გატყლაშუნება შოლტის მოქნევით ხმის გამოღება; წყალზე დაცემისას ხმის გამოღება (ჰდრ. ჩუბ. გატლაშუნება).

გაუმართავი კაცი სხვისთვის დახმარების არგამწვევი, ხელის არშემწყობი კაცი. მალან გაუმართავი კაცია უტრანის ბაქა (ჰდრ. 1 გამართვა).

გაუმეტარი გაუმეტებელი, ძუნწი, ვინც ვერც თავისთვის იმეტებს და ვერც სხვისთვის. მალან გაუმეტარი კაცია, ერთ კაც კერ დახწვევ, თავი თავთვინეზ ამ ექტა.

გაუჯგელა ძველებური ჩიხტა-კობი (ნ. ბერ. გაუჯგელა/ე-ა; ჰდრ. წერ.).

გაუციანარი ვინც არ იციან, მოლუშული ადამიანი; გაღატ. მეტსახელია კაცისა.

გაფათვრა, გაფატვრა გაგლეჯა (მაგ., ნადირის მიერ ცხვრისა). აქედან: გაფათული გაგლეჯილი.

გაფაშვა (ნაწარმოებია სიტყვისაგან ფაშვი) გაღატ. გაგლეჯა, დახევა, დაფრეწა. აქედან: გაფაშული დაგლეჯილი. წყაო კაც ცუდან გაფაშული შოღა.

გაფეშვაგება საკლავის შუაზე (ხერხემალზე) გაჭრა, ფეშვად გაჭრა.

გაფიჩხება (ნაწარმოებია სიტყვისაგან ფიჩხი) ძალიან შეცივება, სიცვისაგან გაშეშება. აქედან: გაფიჩხებული სიცვისაგან გაშეშებული. ხეცვისაგან გაფიჩხებული სიცოდაგა და ერთხად შეგვრად (ნ. ჩუბ.).

გაფიცვა ფიცრის დაგება სახლში, ურემზე და სხვ. (ნ. ჩუბ. გაფიცვა).

გაჯოჯულები ნ. ფოთა.

გაფრანგება გ.ა.ტ. ძალიან გაბრა-
ზება. განრისხება. აქედან: გაფრან-
გებულნი ძალიან გაბრაზებულნი. გა-
ფრანგებულნი მოლოდინს კარგად
აქედან (ნ. ფრანგვა; ჯანაშვი. გაფ-
რანგვა).

გაფურჩინა, გაფურჩქინა, გაფურჩ-
ქნა 1. ყვეილის ან კვირტის გაშლა;
2. ვახისათვის ზედმეტი რქისა და ფოთ-
ლის შეტლა (პ.ა.ტ. ჩუბ. გაფურჩინა;
ჯანაშვი. II, 392 და სხ.); 3. გ.ა.ტ.
მამწვილის მომწიფება ფიზიკურად,
გალაპახება, დამშვენება.

გაფშეკილი გ.ა.ტ. მოუხეშავი, ბრი-
ყვი, უხრდელი ადამიანი. გაფშეკილი

გაქეჩვა გენის, მიმართულების მი-
ცემა ფარისა ან ჯოჯოსათვის, ცხვრის
ფარის რომ წინ გაუძღვება თხა ან
თვითონ მეცხვარე და გაიყოლიებს
მთელ ფარას. ასე გაქეჩვა; გ.ა.ტ., წაღ-
და გაქეჩვი ტყვარა.

გაჭირი, გაჭირი ჯიუტი, კერპი,
ოჩანი (ცხენი, ჯორი, ვირი); თუ ერთი
გაჯიუტდა და გაჭირდა, ფეხს რომ ვე-
ლარ გადადგმევინებ (ნ. ჩუბ. გაჭი-
რობა).

გაჭიშტვა ფეხსაძმლის საძარე ტყა-
ვის გასუფთავება, ლეშკის (ნ) აპრა
და მისთ. (პ.ა.ტ. საბა ქაშტი).

გაქლერთვა ნ. ქლერთვა.

გაქლიაფება უხვად გაცემა რისამე,
დარიგება, თითქმის გადაყრა, გაფ-
ლანგვა, განიანება ქონებისა. აქლ-
ანგა; გ.ა.ტ. მოსაგარ; გაქლიაფება ვე-
ლიაფა.

გაქუცვა ბალნის გაცვივნა; გახუნ-
ება; გ.ა.ტ. გაღარიბება, გაკოტრება.
აქედან: გაქუცულნი თმაგაცვივნული;
გახუნებულნი; გ.ა.ტ. გაღარიბებულნი,
გაკოტრებულნი. გაქუცულნი (გვი-
ლთ) მეტსახელი იყო ერთი სიღნაღელი
ვაკრისა (ნ. ჩუბ.; პ.ა.ტ. შარშ., უღ.).

გაღარსვლა გაფტქნა, გაღარიბება,
გაღატაკება. აქედან: გაღარსლულ-
ნი ლარიბი, ლატაკი. გაღარსლულ-
ნი მოლოდინს კარგად აქედან. ხუ
გაღარს (პ.ა.ტ. ბარნ. გაღვასრვლა).

გაღვლევა ტანისამოსის გულის გახ-
სნა. აქედან: გაღვლევი გულგაღ-
ვლევი (ნ.), გულგახსნილი, საყველოგახ-
სნილი ადამიანი (ნ. ჩუბ. გაღვლა).

გაღვერა ცხვრისა თუ თხისათვის
მატყლის ხელით გაცლა, გაგლეჯა,—
გახაფხულზე იციან. ნახამთარი მატყლი
ტანზეა მოთელილი და სანახევროდ გა-
ცვივნული, თითო-ორთაა ბევრსა
უქირავს, ნახადივით აქვს მოხურული
და ცხვარს აწუხებს. ასეთი მატყლის
გაკრება უფრო ძნელია, ვიდრე გაღ-
ვერვა. მატყლიანი ტყავის გაღვერვა
იციან: ტყავს შიგნიდან კირ-წყალს წაუ-
სვამენ, დაკეცავენ ისე, რომ მატყლიანი
შხარე შიგნით მოექცეს; რამდენიმე
დღის შემდეგ მატყლი შეფუტუნდება
(ნ.), მოეშება და ადვილად სცილდება
ხელით (პ.ა.ტ. ვევა III გაღაღვერა);
გ.ა.ტ. ადამიანზედაც იტყვიან. როცა
ქონების წართმევით გააღარიბებენ.

გაღვერელი ადამიანი ქაინების წარ-
თმევით გაღარიბებული ადამიანი; ტა-
ნისამოსის შემოცვეთილი ადამიანი.

გაღვერელი ცხვარი გაღვერვით (ნ.)
მატყლ-შემოცვეთილი ცხვარი, შიშველი
ტყავი აქვს; მატყლგაცვივნული ცხვა-
რი ზამთარში უსაკულობის გამო
მკლევდება და მატყლი სცივია, მო-
წითალო ტყავი უჩანს.

გაღვერვა გაბანა, გასუფთავება. აქე-
დან: გაღვერევილი გაბანილი, სუფ-
თა, კრიალა.

გაღვება თესლი'ს მიერ ღვიის (ნ.)
გამოტანა (ნ. მ. ა. ყ.).

გაღვებვა 1. ქალის შეცდენა და
თავის მინებება; 2. მოტყუებით რისამე
გამორთმევა, გამოცინცლა. აქედან:

გ ა ლ ე ტ ი ლ ი გ ა ლ ე . ნ ა ნ შ ა ხ დ ი ლ ი ;
გ ა ქ ე ნ ი ლ ი .

გალმა მკარო ალახნის გალმამხარე.

გალორება გახელება, გაშმაგება, გა-
ცოფება, ბრახისა და ტირილიანგან
დაუცხრომლობა. ბავშვმა იცის: თან
ტირის, თან ყვირის და თან გორავს.
აქედან: გ ა ლ ო რ ე ბ ე უ ლ ი გ ა შ მ ა გ ე ბ ე
ლ ი . გ ა ლ ო რ ე ბ ე ჯ ა ნ ა ნ ა უ რ ი თ ჯ ა ნ ა ნ ა
დ ე თ ; ო თ , ჯ ა ნ ა ნ ა მ ა ლ ი ა ნ გ ა ლ ო რ ე ბ ა
(შარ. ჯ ა ნ ა შ ე .).

გალუბა გაჩაღება, გაღვივება (მაგ.,
ცეცხლისა; ნ. ლუბა).

გალუილი გატირება (უკან), გატი-
რილი; ტირილი. ჯეღა გ ა ჯ ე ჟ ე ხ
თ ა გ ი შ ე ლ ი ე ჯ ა მ .

გაყვინიზება გაბერვა, ყოყორება,
ყუხ: ყუხანა. აქედან: გ ა ყ ვ ი ნ ი ზ ე
ბ უ ლ ი ყოყორა, ამპარტავანი, გადიდ-
კაცებული ადამიანი, რომელიც არა-
ფერს წარმოადგენს, მაგრამ სხვას ზე-
ვიდან დაჰყურებს. ჯ ა მ ო ყ ვ ო ნ ა შ ე ჯ ო ,
მ შ ა მ ? გ ა ყ ვ ო ნ ა შ ე ჯ ო უ ლ ი ჯ ა ჯ ო ს (შარ.
ს ა ბ ა გაყვინიზება, ჩ უ ბ . გაყვინი-
ჟება).

გაყუნწვა 1. გაწდომა; 2. საქმის ბო-
ლომდე ნიყვანა. ჯ ა მ ო ჯ ო ე ო ნ ო , ს ა ქ მ ე გ ა ო
ე უ ჯ ო წ ვ ა . აქედან: გ ა ყ უ ნ წ უ ლ ი .

გაწანშვლა ნივთებისა, ავეჯისა, ნა-
გვსა და მისთანათა მიყრა-მოყრა; დია-
სახლისს თუ სახლი დაულაგებელი აქვს,
მოულოდნელად შემოსწორებულ სტუ-
მართან მოიბოღრუნებს ხოლმე: გ ო გ ო -
ნ ო ჯ ო მ ა გ ა ო ნ ო შ ა ნ შ ლ ე ჯ ა მ ო გ ო მ ა , უ ყ -
ც ო რ ო თ (ნ. ბარნ. გადამანშვლა).

გაწანშლული ეზო ეზო, სადაც მი-
მოყრილია სხვადასხვა სამეურნეო ია-
რალი, ნივთები, ნაგავი და მისთ. და
ფუჭდება. ჯ ა მ ო უ რ ო მ ო გ ო რ გ ა ო მ ა თ ო ჯ ა მ ო
თ ო თ ო ნ , ყ ვ ე ლ ა უ რ ო მ ო ე ო მ ა მ ო ა ქ ე თ გ ა მ ა ნ -
შ ლ უ ლ ო .

გაწანშლული სახლი სახლი, სადაც
მიმოყრილია საოჯახო ნივთები და ნა-

გავიცი. ასეთი სახლის დიასახლისზე
იტყვიან ფეთხუმიან (ნ.).

გაშრობა წველის შეწყვეტა, მეწველს
რძე რომ გაუბრუნდება და ალარ მოი-
წველის; გაჭაჭა. პირში სიტყვის გაწყვე-
ტა, სიტყვის თქმის შესაძლებლობის მო-
სპობა. გ ა შ რ ო ბ ა კ ა ც ი ო — იტყვიან,
როცა ვინმე ტყუილად უმოწმებს და
მართალ კაცს თავის მართლებას არ
შეუძლია გაოცებისა, ბრახისა თუ მღელ-
ვარებისაგან.

გაჩავება გამელავენება, საიდუმლოს
გამხელა; როცა ვისმე საიდუმლოს გა-
ანდობენ, ეტყვიან: ა რ ს ა დ გ ა ა ჩ ა ო
(შარ. ჯ ა ნ ა შ ე . გაჩივება).

გაჩვიატება გაჩენა, გაშენება. აქ ეს
ბოგინი ეშმაქად გაჭანჭანა, საქონელს
უნდაც აქლასოად და ხათამალად გადკლოად.

გაჩორკნა გაკობიტება (ნ.), შავად
გათლა. ვ ა ნ გ ა ჩ ო რ კ ნ ა ა გ რ ე უ ს , ი რ ო თ ე ე
შ ო რ ო ? აქედან: გ ა ჩ ო რ კ ნ ი ლ ი ც უ ლ ა დ
გ ა თ ლ ი ლ ი ; გაჭაჭა. გაუთლელი, უკულ-
ტურო ადამიანი (ნ. ჩორკნა; შარ. წ ე რ .
გაჩიკვა).

გაჩოყება ვახის გათამამება, ვაზი
მსხვილ რქას რომ დაიყრის და არ
მოისხამს.

გაჩახვა ცუდად დაწერა, ჯღაბნა.
შ ო ჯ ო ე რ ო თ წ ე რ ო ლ ო გ ა მ ო ნ ო შ ა ნ ო ე ბ ო ლ ო თ ო ნ .

გაჩიბვა ერთმანეთში გახლართვა.
აქედან: გ ა ჩ ი ბ ე უ ლ ი ე რ ო თ მ ა ნ ე თ შ ი
გ ა ხ ლ ა რ თ უ ლ ი . ვ ა შ ე მ ო ე რ ო მ ა ნ ე თ შ ი უ ა ნ ო ო -
ბ ე უ ლ ო ჯ ა ჯ ო ჯ ო ჯ ო გ ო ჯ ო ჯ ო ს კ ო ც ო — ა გ რ ე ო ც ო ს
უ ა ჯ ო რ ო ნ ო მ ო მ — იტყვიან მოუვლელ ვე-
ნახზე (ნ. ჩ უ ბ . გაჩახვა; შარ. ს ა ბ ა
ჩ ი ბ ე ვ ა ; შარ. გაბარჯლული).

გაჩიბული ხაქმე არეულ-დარეული,
დახლართული ხაქმე, კაცი რომ ვერც
თავს გაუგებს და ვერც ბოლოს.

გაცდა, თვალით გაცდა დანახვა;
თ ვ ა ლ ი თ გ ა ც დ ა ე ვ ი ნ ე ბ ა დ ა ნ ა ხ ე -
ბ ა . დედას ბავშვები რომ გააჯვარებენ
ხოლმე, ეტყვის: წ ა ლ ო თ , ჯ ა მ ო ე გ რ ე თ ო , თ ე -

ლიო ლად გ ა მ ე ც დ ე ე ი ნ ი თ ი! (ნ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ. განცდა).

გაცვლა მამათმავლობა; უფრო ბი-
ჭების ერთმანეთთან სქესობრივი კავ-
შირის დაკერა (ნ. გრუცაობა).

გაცქვლეფა ტყაის გაპრობა; გაჯატ.
გალარიბება.

გაძგნაფვა, სულის გაძგნაფვა განაბ-
ვასავით, სულის გატრუნვა, გაჩუმება.
აქედან: გა ძ გ ნ ა ფ უ ლ ი გაჩუმებული,
განაბული. როგო გ ა მ გ ნ ა ფ უ ლ ი ა შ ა მ-
საქსნი

გაძეკვა მაგრად გატენა, დატკეპნა
(მაგ., ფქვილისა).

გაძლებინება გაჯატ. გ. შეება, და-
ტოუება. ა შ ა ს ა დ ლ უ ა მ ა ვ ა გ ო . ბ ე მ ა მ ა მ ა
და გაძო (ხასისა და ბეკნაშ სქესლზე) აღ-
დაჯერა გა ძ მ ლ ე ბ ე ნ ე მ ა, რ ო ა ღ ო მ ა ნ ა ა ნ
ტეკნათონ გაძონსჯეფა და ან ზსკამთან: ვეაღ-
ფერი მათ ნააღვემ შეცუპში (პარ. ჩ უ ბ.).

გაძლევა მოსვლის ნებება. კრო-
ლადსად გა ძ მ ლ ი ი გ ე ნ ა თ.

გაწევა, რკინის გაწევა გახურებუ-
ლი რკინის გამოკვერვის დროს გაბრ-
ტველება-დაგრძელება, სიგრძე-სიგანის
მომატება.

გაწვერვა 1. დაღერება, მოღერება,
ვაწვერა; ჯ ო ხ ი ს გა წ ვ ე რ ვ ა ჯ ო-
ლის დაღურება. ა ა ვ წ ვ ე რ ა ვ ა მ ა და
წანაღამ თვეში ად ღაბრავე; 2. გამართვა,
გების აღება. ს ა თ გა ძ მ წ ა გ რ ე, ბ ა ლ ა?

გაწება 1. გაწებება, წკებლით ცემა
(ნ. ჩ უ ბ., ვეა III; პარ. ს ა ბ ა წ ვ ე ბ ა);
2 ტყაის (საქუდფა თუ სატანსაცმლე)
წკებლით გაბერტყვა და მტერისა და
მრჩილის (თუ აქვს) და აგრეთვე
ნაკრეჭი ბალნის გაყრევილება.

გაწკრინვა გაკურცხვლა, სწრაფად
გაქცევა პატარისა. ა მ ა, ბ ა ლ ა, გ ა წ-
კ რ ი ნ დ ა!

გაწმილება გაწბილება, შერცხე-
ნასავით. აქედან: გა წ მ ი ლ ე ბ უ ლ ი
გაწბილებული. კ ა მ ა გ ო მ ა უ ე, უ ა მ ა მ ი თ ს მ ა

და წ მ ა ი ლ ე გ ა წ მ ი ლ ე ბ უ ლ ი (ნ. წმი-
ლი)

გაწყოზილი სახლი მოწყობილი,
მორთული სახლი, სასტუმრო ოთახი.

გაპკევნა ცხენთა თუ ვერთა სქესო-
ბრივი კავშირი.

გაპირება ცრის დროს ფქვილის
ცრისას აცრის დიდხანს ტოკება, რომ
დარჩენილი ქატოს წმენიკი ნაწილებიც
გავიდეს და რაც შეიძლება ნაკლები
ქატო დაოჩეს.

გაპიჭყვნა ხელში ხშირი დაკერი
ჩვილი რამის გაქყლეტა (მაგ., ბავშვისა
და მისთ).

გაპირილი ვარდი წინდის კრელის
სახეა.

გახანხვლა ცეცხლზე ოდნავ შეწვა
(ხორცისა, კარტოფილისა და სხ.).

გახარება მცენარისა დარგული ან
დამყნობილი მცენარის გაზრდა (ნ. მ ა ყ.).

გახაშება აგვი, რე მოხაშება (ნ.).

გახედება ლურსმნის, ფარემის (ნ.),
შამფურისა და მისთ. წვერის გაყოფი-
ნება მეორე მხარეს (ნ. ჩ უ ბ. გახედვი-
ებება).

გახელება გაგიება, გატოფება. ა
რ ო გ ა ს ე ლ დ ე ბ ა, მ კ რ ი ს ა მ (ნ. ჩ უ ბ.,
ვეა I გახეღებული); გაჯატ. გახშირება,
ბლომად მოსხმა. ბ ლ ე მ ა მ ა მ ა მ ა ბ ო ლ ო მ
იცის გა ხ ე ლ ე ბ ა. აქედან: გა ხ ე ლ ე-
ბ უ ლ ი გაგიებელი, ცნობადაკარგუ-
ლი. გა ხ ე ლ ე ბ უ ლ ა შ ა ლ ო ო ლ ა და კ ე ლ-
დაჯერა ადრედა, წ ა ნ ლ ა მ ტ ე ნ ა შ ა ღ ა გ ა ზ ე რ;
კ ა ლ ა ლ ა ღ ვ ი ბ ა ს ე ლ ე ბ უ ლ ი ა.

გახეული ყურის სერი: სიგრძეზე
გაპირილი ყურის წვერი.

გახუხვა გაფიცება, ცეცხლზე გათ-
ბობა; პ უ რ ი ს გა ხ უ ხ ვ ა მ — 4 დღის
გამხმარ პურს რომ ცეცხლს მიუ-
სანთებენ (მიუფიცებენ) დასარბილებ-
ლად და გასაცხელებლად. აქედან: გა-
ხ უ ხ უ ლ ი პ უ რ ი ცეცხლზე მიფიცებ-
ბული მ — 4 დღის გამხმარი პურია,
შემდეგ წყალს გადაავლევენ ხოლმე,

წყალი სწრაფად აორთქლდება და პური, როგორც ახალი გამომცხვარი, ისე რბილდება. ზამთარში იციან. გა-
ხუხუთი ადამიანი მზისგან დამ-
წვარი ადამიანი (პარ. ჩუბ., გურამი.
ვახუხები; პარ. შარშ. ვახუხული,
წერ. გამახუხვა).

გაჭელება ხელში ჩაგდება მარტოდ.
თუ ერთი გატაკელი ხადს, ვა დელანს-
დარსა, შაშინ ხაქუქი ზღვარს!

გაჭეტება გაშტერება, გაცეცება.
აქედან: გაკეტებული.

გაჯანდგრა წინდის ჯანდრიკება (ნ.),
ყალიბზე ჩაცმა და დაკალაპოტება.

გაჯდომა 1. სათხისა (ნ. ჩუბ.);
2. ხის წვერზე ასვლა. უუყრე, ხად გა-
დომა მამის კანწვერზე (ნ.) ეცდეს დუჭავი ბიჭი.
და მამოკადღე!

გაჯინჯივება გაძნელება, გაკირვება.
პალას მამის ვეცდება ეცსქე (ნ.
ჯინჯიკი).

გაჯღლბარდება დახლართვა, გარ-
თულება საქმისა. აქედან: გაჯღლბ-
ბარდებული საქმე დახლართუ-
ლი, გაუთავებელი საქმე. კაცო, ერთ-
სქე ვამოვ: ღლებად რად ღმამიკო
არ მოკელი (ნ. ჩუბ. გაჯღლბარდება).

გდემი, **გდემლი**, **გრდემი** გრდემლი.
გდემის რქა გრდემლის ცხვარი.

გეზგეზ აღმაცერად. გეზგეზ ყუ-
რება აღმაცერად ყურება. რა გეზგეზ
მუყურე, შინ რა შამოტე?

გეზი მიმართულება გზისა. პენ ამ
გეზით წახვალ და მასილომ ჩახვალ; გეზი
არ ვცი, თორენ, რაც ვაღმა ლეკო პროსა,
მუქ გეზოვად ლეკო; კაცმა ხაქმის
გეზი უნდა ცოლად (პარ. კირ., ქუჩ., ვაუა
III, IV).

გეზის გაკეთება შამბიანში ან ტყიან-
ში გასასვლელის გაჭრა და ბილიკის
გაკეთება, ბილიკის დაჭრა.

გეიშა ტყავის ჩასაცმელი ზამთარში,
მოკლეა, წყალზევით არის კურტაკივით.

ღარიბები იცვამდნენ, რადგან გრძელი
ტყავის შვეკერის შეძლება არაა ჰქონ-
დათ.

გელაქური გელაქუნის, ანუ სვეანის
ტბის კალმახი (ნ. ერისთ., ჩუბ.,
ცაგ.).

გელიქეშად შორიახლო თვალის
დევნება მსვერავივით. უკან გაქაქე-
შად შვეკელი (ნ. საბა გელიქაში).

გემოს დადევნება ლახათის მიცემა,
საქმისათვის მარილის მოყრა. გაქო-
ლად გეგენ რა ერთი შინ გაქეკოვალ საქმედ

გემოქმინდა მხხალი ზაფხულის
მსხლის ჯიშია, მსხვილი, მრგვალი.
გრძელყუნწა, მწლაკე გემო აწვეს კომ-
შივით (სახელი კი ასეთი რეუფერებელი
აქვს).

გემრა ცხვრის კურკლის წივა. ფა-
რენში კურკლი აიწილება შარდში,
იტკებნება ცხვრის ფეხითა და ზედ წო-
ლით და ფილაქანივით ეფინება. გაზა-
ფხულზე მეტწვარეები აყვრიან ფიქლ-
ფიქალ, დააწყობენ ბინის (ნ.) გვერდზე
და, მთიდან რომ დაბრუნდებიან, ზამ-
თარში საწვავად ხმარობენ შირაქში.

გერგილი მარჯვე, ხერზიანი, ვარგა-
სი (ნ. საბა, ჩუბ.; პარ. უგერგილო;
პარ. ელ.).

გერში, **გეში** დაკარგული საქონლის
რამიმე ნიშანი: თუ მგელმა შეკვამა, მისი
ძელები ან რქები; თუ საქმანიანი ცხ-
ვნი იყო და სადმე მოეხადა, საკმანის
რამე ნაწილი და სხვ. ქეი ცხენის გეშ-
კნახე (პარ. საბა, ჩუბ.).

გეგა 1. გულგამოღებული მორა
წყლისა და სალაფავის (ნ.) ჩასახმელი
პირუტყვითათვის (ნ. საბა, ჩუბ.); 2.
ბუკი, შუაზე გაპობილი მორის ორსავე
ნახევარს გულს ამოუღებენ და ერთმან-
ეთზე დახურულს ფუტკარს უდგამენ
სკად; ქვემო ნახევარი გახვერტილია;
გადატ. გეგა ადამიანი უწნო, დ-
ბალი და მსხვილი ადამიანი (ნ. ბარნ.).

ში ამაში კრეფენ ყურძენს და მერე ცლიან გოდორში. 2—3 ფუთი ყურძენი ჩადის (პლ. საბა, ჩუბ. გოგროხი, მაყ. გოგროხონა).

გოდრულა პატარა გოდორი, გოდროხაზე (ნ.) მოზრდილი, 4—6 ფუთი ყურძენი ჩადის. მორჩეული (შერჩეული) ყურძენის გადასატანად გადმოსატანად ხმარობენ უმთავრესად.

გოწაური ღვინო-არაყის ქურქელია, თიხისა, გარედან მოქიქული, ძირგანეირი, მრგვალმუცლიანი, მაღალ და ვიწროყლიანი, პირმრგვალი და პირვიწრო, უტურო, ცალყურიანი. ყური ყელის შუა ნაწილსა და მუცელზე აბია (ნ. საბა, ჩუბ., გურამ., ჯაფახ. საფ.-სახ. 122).

გოწგარი ოქროკედის ფუნჯი, სირმა (ნ. გაგოზრა).

გოთი თავკომბალა ჯოხი, კაჩაობის დროს ხმარობენ (პლ. კირ. გოთობა; ნ. კახი).

გოლგოთა (სახარებიდან გადმოსული სახელია) მაღალი და ძნელად მისავალი გორა, მთა. კაცო, მს გოლგოთაჲ ი რა ღებოლიამ ხსლი, მადგომს ან ვინა? (პლ. საბა).

გომი მიწური, საქონლის სახამთრო სადგომი (ნ. ჩუბ.).

გომური სახლი მიწური, გომივით მიწაში გაქრილი ბანიანი სახლი (პლ. საბა, ჩუბ.).

გონგი ნექვერის ხელსაწყო: ხელის ფიცარი, ფრთა. ხელისგულისოდენა თხლი ფიცარი, მქვევრეს ხელში უპირაეს და ქვევრის კეთების დროს კედლებს უსვამს, ასწორებს და გამოჰყავს ქვევრი (პლ. ბერ., წერ. გოგი).

გონგოლა ერთგვარი ბალახი, წინიკი შტო და ფოთოლი აქვს. ადრე იცის ფოთლის გამოტანა, სხვა მცენარეს კი ამ დროს კოკორი აქვს ისევ. ახალგა-

ნოსული აბრეშუმის კიის, მუზის (ნ.) ამოსაკრეფად ხმარობენ: მურს გონგოლას დაუფენინ, ზედ გაეხვევა და გადაიღებენ ტიას კოკალზე (ნ.).

გონგორა რთელის შემდეგ ვენახში აქა-იქ შემთხვევით დარჩენილი ყურძენი (ნ. მოგონგორავება).

გონგუბრი დურგლის იარაღი: ირიბი, მახვილკუთხიანი გონიოა.

გონიო კუთხედი, კუთხის გ: სამართავი ხელსაწყო, რომლის კიდევები ერთმანეთის პერპენდიკულარულია, **гачи-гольшик** (ნ. ქყ., გრიშ.).

გონიოში გამოყვანა გონიოთი გასწორება, სწორკუთხეთა გამოყვანა.

გონჯა ორი ჯოხი ერთმანეთზე გადაჯვარედინებული ადამიანის სახედ და ზედ ჩერებშემოხვეული. დააქვთ გონჯა-გონჯაობის (ნ.) დროს კარდაკარ.

გონჯა-გონჯაობა ლაზარობა, ¹ აფხულში გვალვის დროს იცინ: ბავშვები გააკეთებენ გონჯას (ნ.), ზედ ჩერებს შემოახვევენ, დადიან კარდაკარ და ღმერთს შესთხოვენ წვიმას, თან ამბობენ: „გონჯა, გონჯა მოვიარე, გონჯა მოდგა კარებსა, აბრიალებს თვალებსა; აღარ გვინდა გორახი, ღმერთო. მოგვეტალახი“. მეკონურები გამოუტანენ ფქვილს, გონჯას წყალს დაუსხამენ, წყალს გადაასხამენ ბავშვებსაც. შეგროვილ ფქვილს გჰყიდნიან და, თუ იმდენია, რომ ცხვარი იყიდონ. საღვთოს შესწირავენ ელიას, თუ არადა პატარა სუქრას გაშლიან, ჩილაფლავს (ნ.) გააკეთებენ და თვითონ ჰამენ (პლ. დიდება).

გორახი, კორახი ბელტი, ხმელი გუნდ-აუნდა ნიწა (ნ. საბა, კირ., ქლ. გორახი).

გორგლი ძაფი გორგლად დახვეული ძაფი, მომსხოა. იხმარება უმთავრესად ძველმანების დასაკერებლად.

გორგომიქელა მთლიანი ნიგეზის ლებნების ჩურჩხელა, კუკრუქანა კაკლის (ს.) ჩურჩხელა (ს. საბა, კირ.).

გორველა სარვეელა მცენარის თესლი, ნახვარი პურის მარცვლის ოდენა, მრგვალი, შავი, საფანტსა ჰგავს და მასავით გორავს (აიტომაც ჰქვია გორველა). გული თეთრი აქვს. პურში გარეული არ ვარგა (ს. ერისთ., ვაჟ I, მანუ.).

გორია ქვეშაგები ბავშვის ენახე.

გორიელა მინდვრის ბორცვი, პატარა გორა, თეფა (ს.).

გორსალალა ძალიან მაგარი პურის ცომი. *სა გ ო რ ს ე ჯ ა ლ ა ო მ ა შ ო რ ო ს ე ლ ნ ა, ა ლ ა მ ა მ ო, ხ ა ლ ო დ ა ვ ი თ უ რ ო ნ ა მ ო ს ე ჯ ა*

გორშია გოშია, ძალიან პატარა ჯიშის ძაღლი (ხლაბრებში იხსენიება); (ს. ჩუბ. გოშია; ჰლ. ყურში).

გომპარა (გოშია პატარა?) პატარა ტანის ხლაბრული ძაღლი.

გოჭა კანარზე დიდი თევზი, ნაკლებ ფინანი, იცის ალაზნისა და იორში; იეოისა—მოლღურჯოა, ალაზნისას — აბახიანებივით მოწითალო ფერფლი აქვს (ჰლ. საბა, ერისთ., ჩუბ., ჩხ.).

გოჭიკანა, ლოჭიკანა ტიტლიკანა ბავშვი. ტიტველ ბავშვს რომ ეალერსებიან, „გოჭიკანა, გოჭიკანა“ს ეუბნებიან.

გოხი კლდის მონატები დიდი ლოდვირთ, *Гохина каменный*. აქედან: გოხი მარილი ქვემარილი, მონატები მარილის ქვა (ჰლ. ხერიში); კოხი (ს.) კი მიწია, უფრო თიხის, მონაგლეჯია; აგრეთვე ერთნაირი ქვაა, რომელიც კვირის მოსაქედად იხმარება (ჰლ. საბა, ერისთ., ჩუბ., ვაჟ I, IV).

გრდუმი ნ. გდემი.

გრიგვალი გრგოლი, რგოლი.

გრიგვლის გაკრა *გაკრატ*. სიკვდილი.

გრიგვალი გაჯკრა მოკვდა.

გრილო ჩრდილი; *გაკრატ*. მფარველობა. *ჰეკოტ, ამაგოხ, გნ-ლოცაკა*

ვიცი, ვინცა მფარველობს (ს. ჯანაშვი, ვაჟ I, III 2 გრილი; ჰლ. ჩუბ.).

გრუცაობა ძამთმავლობა, გაცვლა (ს.).

გუგრა გოგრა, კვანი; *გაკრატ*. თავი (ს. საბა, ერისთ., ჩუბ., ჯავახ II, 269 და სხვ. გოგრა).

გუგრუცანა თავმოპარსული, უთმო.

გუგულიხ ამონალები ერთ-ერთი მანებელი ჭიის კვერცხები შუიზე ბეჭედივით შემოკრული. ხალხია რწმენით კი გუგული ხის პატარა შტოზე ნერწყვისაგან თითქოს რალაცს წებოსავით შემოავლებს. იგი შარლაკივით (ს.) შეახმება შტოს და პაწაწა პარკივით გაკეთდება მის გარშემო. ასეთ შტოს მოტახენ და შეინახავენ, რომ ბედიაგები იყვნენ. უფრო ქალებმა იციან ამის შენახვა.

გუდა ყველის ჩასადები ტყავი. ცხვარს ტყავს ისე გახდიან, რომ მხოლოდ თავსა და ბოლოს ექნება გაკრილი, გამოიყვანენ, გაახმოებენ, ფეხებსა და კისერზე ჩათოებს (ს.) მოუჭერენ, გადმოთარუნებენ (ბალანი შიგნით მოექცევა), უკანა მხრიდან არის მოჭკვრელი. ხმარობენ ყველის ჩასადებად (ს. საბა, ჩუბ., ვაჟ III, IV).

გუდა ლეღვი ლეღვი რომ პირველად კაქრას (ს.) დაისხამს და დამწიფდება. გუდა ლეღვი ყველა ლეღვმა არ იცის; რომელმაც იცის, ისიც ამინდზე ჰკიდია. თუ გვალვაა, გუდაფშუტად (ს.) იქცევა და გასცვივა; თუ ნოტიო წვილიწადია, დამწიფდება. არ არის კარგი, სანახევროდ გუდაფშუტაა, მაგრამ რადგანაც უხილოობის დროს მოდის (ივნისის ბოლოსა და ივლისის დამდეგს), ამიტომ არის პატივი (ჰლ. ჩუბ.).

გუდალი გუდასავით; მოქებაუღივით; *გაკრატ*. უშნო, არაკობტა (ს. თვალგუდალი); გუდალი ტანისამოსი უშნოდ, გუდასავით გამოკრილი და

შეკერილი ტანისამოსი (ჰლდ. საბა, ჩუბ.).

გულდაფენულა ნაყოფის თესლი გაკუჭებული და შავ მტვრად ქცეული, აქედან: გულდაფენულა ყანა (პური), გულდაფენულა ლეღვი და მისთ. (ჰლდ. საბა, გრისთ., ჩუბ., მაყ., ჟღ. გულდაფენულა).

გულდაშური, გულდემური აიკაჟ, ლდ ბუღდემური (წ.).

გულას ყალი უშააკრებად ცხვრის ყველა გულაში ჩადებული. აკეთებენ კახელები, თუშები და ფშაველი მეცხვარეები.

გუთნეული ერთი შებმა გუთნის ხარკამერი: ოთხიდან რვა უღლამდე. გუთნეულის უღლია სახელებიდან ირკვევა, რომ გუთნეული ექვსუღელა უღდა ყოფილიყო. სახელდობრ, გუთნიდან რომ დავიწყეთ: 1. გუთნი თავი კარები, 2. სადგომი. კარები, 3. სადგომი კარები, 4. წასაკრავი კარები, 5. წინა სადგომი კარები და 6. წინა კარები (წ. თავ-თავის ადგილას). გუთნეულს სამი მებრე ჰყავს: 1. გუთნი თავი მეკრე (გუთნის თავის ხარებს უღდას), 2. შუალა მეკრე (სადგომის ხარებს უღდას) და 3. დღისი მეკრე (წინა სადგომის ხარებს უღდას) (წ. თავ-თავის ადგილას). თითო მებრე ყვეარ ხარ-კამერს ირეყება. მაშასადამე. სამ მებრეზე მოდის ექვსი უღელი ხარ-კამერი. გუთნეული აპეური თორმეტი ცალი აპეურია. აქედანაც ჩანს, რომ ექვსი უღელი რყო. ქიხიყში გუთნაში უფრო ხარებს აბამენ. მარდად დადიან, ბევრსა ხნავენ (ჰლდ. ჩუბ., ჯავახ. I, 269, 'საფ.-სახ. 139, მაყ.).

გუთნეული აპეური ექვსი წყვილი. ანუ თორმეტი ცალი აპეური; აპეური. ერთ გუთნეულს რომ დასკირდება.

გუთნი აკეტება ხენის დაწყება, გუთნის ბარ-საკვეთით მიწის პირველად გაკვეთა. კამოსზე ჰმკვარი ღა ჰუჭე-ტე გუთასი.

გუთნი გაკინძვა გუთნეული სათვის საკირო რაოდენობის სახრის მომხადება. ეს საქმე დღის მებრეს ევალდება. კვირა სალაძო (ამ დღეს ისვენებენ) ტყეში წავა და მოუღი კვირია საკირო სახრეს დაკრის და მოიტანს.

გუთნი გამართვა გუთნის მოწყობამოწყობიგება სახანავად.

გუთნი გატანა სახანავად მომხადება და მინდორში გასვლა. სოფელი დაადგენდა: ეკენილო, იარკალო, თუ ოსმანოლო, უ-დ, გ-გ-ტ-ნ-ო-თ-ე-უ-თ-ას-ი.

გუთნი გატარება გუთნით კვალის გაკლება.

გუთნი გაშლა ზომის ერთეულია (რა თქმა უნდა, საეარაულდო), მანძილი, რაზედაც ერთი გუთნეული—ექვსუღელა გაიშლება. იტყვიან: ერთი გუთნი გაშლა, ორი გუთნი გაშლა.

გუთნი დაზეზურება ხენის დროს გუთნის ხევ-ხევით ტარება, არაღრმად ჩაშვება გუთნისა მიწაში. ნუ ღა ჰუჭე-ს-ე-უ-ჭ-ე-უ-თ-ანი, თორღ კო მისკვალა ოდ მოა ღა მ-კარი ღად-ს-ე-პი.

გუთნი დაღრმავება ხენის დროს გუთნის ღრმად ჩაშვება მიწაში. ღრმად მოხნულზე კი მოსავალი მოდის.

გუთნი დედა გუთნის უღდა, გამოცდილი მეგუთნე, გუთნის მმართველი, მას უკიდა ხელი გუთანზე და ხენის სარი-სტას ეწევა; ჩვეულებრივ ხარ-გუთნის პატრონი (წ. ჩუბ., ჯავახ. I, 265 და სხვ. გუთნისდედა).

გუთნი თავი ბევრ წ. ღამე მეკრე.

გუთნი თავი ჯარები, ბედაური ჯარები, აიკა ღირღიტი ჯარები გუთანთან შებმული პირველი უღელი ხარები; უბამენ შოლტკავემი ქეკან. შანარ (წ.) ხარებს, რომ კვალი კარგად გაატარონ, სწორი მიმართულება მისცენ. აქ უღდას გუთნის თავის მეკრე.

გუთნი კორა, კორა ხის კოკი, რითაც მიმაგრებულია ფრთა გულანახე.

გუთნი კული, კული გუთნის ის ნაწილი, რახედაც გუთნისდედას ხელი უვლია.

გუთნი საქცევი, საქცევი ხნულის თავი და ბოლო, მიწის ის ადგილი, სადაც გუთნეული უნდა მობრუნდეს და ახალ კვალს უნდა დაადგეს. ზომის ერთეულივითაც არის; იტყვიან: ერთი გუთნი საქცევი (100-150 საჯ.).

გუთნი შამოვლა ხვნის დროს მიწის ნაკვეთისათვის ერთჯერ ირგვლივ შემოტარება გუთნისა (პლ. გუთნი გატარება).

გულაბი მხალი მსხლის ჯიშია: მოგრძო, აყიროს მსგავსი, მოყვითალო, გრძელი ყუნწი აქვს. ზაფხულში მიწიფდება, ძალიან ტკბილა (პლ. ერთისთ., ჩუბ.).

გულავშარა აღვირის მეორე წყვილი ტოტები სამკვრდულზე მიმაგრებული, რომ ცხენმა თავის მალლა გდება არ დაიწყოს.

გულაკო ფხუიანი, ცოტა რამე რომ მალე ეწყინება. რა გულაკო ხარ, კაცო, აქვსაწა ვარაურო უნდა ვთხრად.

გულბარანი მჭედლის იარაღი: ყბალია მარწუხია, მოქებაული ნივთების გახურების დროს ხმარობენ. მკალავებს ცალგულბარანიანი მარწუხი აქვთ, ცალი ყბა აქვს მოხვეული.

გულგაღელილი გულგახსნილი, ტანისმალის გულის ღილ-კილოებგახსნილი (წ. გაღელა).

გულდაღმა წოლა (აგრეა!) გულაღმა, პირის ცისკენ აპურობით წოლა, ზურგზე წოლა; პირქვე წოლის საწინააღმდეგოა (პლ. ჩუბ.).

გულდაღმერი ცურაობა (აგრეა!) გულაღმა ცურვა ხელ-ფეხის მოკეცვაგაშლით.

1. გული: კუბატის გული, ნაზუქის გული, ჭადის გული ვრობ და ხაზვი ერთმანეთში დადაღული (წ.) და ფქვილ-

მოკიდებული და მოშუშული, იხმარება კუბატის. ნაზუქისა და ჭადის გულად.

2. გული ახალუხის გული, პერანგის გული, ჩოხის გული.

3. გული (ზოგან ჰქვია: ღული, კული, ხული ან ფული) ნალბ-ნდის იარაღია: ნალის დახვეტის დროს ნალის ქვეშ ამოსადები მრგვალი, გულგაოლებული რკინა, რომ ზუმბის წვერი ზინდანს (წ.) არ მოჰხედეს.

გუთნის დიდი გოგორა, კვალში (ხნულ-
ში) რომ გორავს (შდრ. ველის ღირ-
ღობა).

კვალის ჯარი ხენის დროს კვალის
(ანულის) მხარეს შებმული (მარჯვნივ
შებმული) ხარი. ჯაფა აქვს, რადგან
კვალში დგას და მეტი ძალა ადგება.
შეუნაცვლებენ ხოლმე ველის ხარს (5.)
შუადღის შემდეგ.

კვანტი გუთნის ნაწილი: წინა ხა-
რების (6.) მოსაბმელი ლატანია კანის
მაგიერ. შუაში იხსნება და მტკავლის-
ოდნა კანით არის გადაბმული, ე. ი.
ლატნის ნახევარი კანის ცალ მხარეს
არის, ნახევარი კი მეორე მხარეს. კვან-
ტის ერთი ბოლო მტკავლისოდნა კან-
ნითვე შებმულია წინა სადგომის ხარე-
ბის დათვაზე (6.) და მეორე ბოლო
(აგრეთვე პატარა კანითვე ან წაუღით)
— წინა ხარების უღელზე. კვანტი იმი-
ტომ კეთდება ასე შუასახრღიანი, რომ
საქცევში (6.), მოსაბრუნში ხარებმა
ფეხი არ ჩადგან კაპანში და არ მოი-
ტეხონ (6. საბა, ჩუბ.).

კვანძური ამოსხმა, კვან-
ძური ამქენა ქალმისა, კვანძური ქალ-
მანი კვანძით ამოსხმა. ქალამანი
დახვრეტილია ნაპარის გაყოლებაზე.
კოპს (6.) გაუყრიან წინა ყულფის წინ
ერთი ნახვრეტით. გაყრილ კოპს მოა-
ორწვერებენ და წვერებს დაატოლტო-
ლებენ. შემდეგ ნახვრეტს სადგისით გა-
აფართოებენ, კოპს გაუყრიან შიგნიდან.
გარეთ გახედებულ წვეოს იმავე კოპის
ქვეშ გაპატარებენ შიგნით და გაივან-
ძავენ. შემდეგ ნახვრეტში კოპის მეორე
წვერსაც გაატარებენ იმავე წესით და
გაკვანძავენ. დასვენებული კოპის წვერი

ნაკვანძის ქვეშ მოჰყვება ხოლმე. აე
ქსოვენ ქალამანს მარჯვნიდან მარცხნივ.
ამგვარად ამოქნილი ქალამანი მკვიდ-
რიც არის (არ დაიშლება ნაქსოვი) და
კოხტაც. მხოლოდ ასეთი ქალამანია
გავრცელებული ქიზიყში და კვან-
ძურ ქალმანს ეძახიან (შდრ. თა-
ლათნური ქალმანი და იაფური ქალ-
მანი)

კვართი ხე მოხრილი ხე ფერსოდ
ან გუთნის რეილად (6.) განოსადგი.

კვერუული, კვერი 1. ყველი, ყველის
თავი; 2. ცვილი კურკ ლში დაყალბე-
ბული (6. ჩუბ.).

1. კვერი 6. კვერუული.
2. კვერი ჩაქუჩი (6. საბა, ჩუბ.,
შაჰ. II, ვაჟა III; შდრ. ბერ. კვერ-
კვეშო — კვერკვეშო).

კვერის თავი, თავი მუდღლის ჩაქუ-
ჩის მრგვალი მხარე რკინის საკვერავადა.
კვერნა, ყვერნა ურძის ნაწილია:
უბეს (ხელნას) ქვემოდან ღერძის საბრუნ
ადგილას ჩაყრილი აქვს კინკილაქი,
წყვილია, ღერძი უკიოავს, რომ ღერძი
ან წინ არ წაგორდეს, ან უკან (შდრ.
წერ.; 6. კოტა).

კვლმობი ოხუნჯი, ხეშარა.
კვინჭილებიანი პრელი წვრილ კენ-
ჭების სახიებიანი ნაქარგი (შდრ.
ალაფ. კვინჭილა).

კვირაძალი შაბათსალამო, იწყება
მზის ჩასვლიდან. ამ დროოდან საქმეზე
ხელს იღებენ (6. კყ, ბარნ).

კვირონი, კვირონი, კოხალა მელე-
ღია, ვიოთისტა ყყყიკა. შოშიასოდე-
ნა ფრინველია, მწვანე და მოყვითალო-
მოლურჯო. ფუტკარს ეტანება ძალიან.
„კრუ-კრუ“-ს იძახის ფრენისას (6. სა-
ბა, ერისთ., ჩუბ., ჩხ.).

კვირბა ვაჟტ. პატარა ტანის ჩა-
კნილი ადამიანი.

კვირბი 1. მუწუკის ძირი. მავ.,
ძირიდასი. მუწუკის დაწიფუბისა და
გამორწყვის შემდეგ ხელის მოჭერათ
ამოვარდნა ხოლმე და იკურნება კი-

დღე ავაღმყოფი; 2. მოკლე პატარა ნაკრები მატყლი, უვარგისია, მუთაჰაში ყრიან (ნ. საბა, ჩუბ.; შდრ. ბარნ. კვირტის წინდები); ზოგი თხისურსაც, თხის ბალნის თივთიკაც ეძახის.

კვირტი თივისა ნ. თივის კვირტი.

კვირტის გაშოწვა ახალგაზაფხულზე (ა.) კვირტი რომ გამოცოცხლდება და გაშლას დააპირებს (კვირტის გაშლის მესამე საფეხურია).

კვირტის გაღვიძება კვირტის გამოცოცხლება გაზაფხულზე და გასაშლელად მომზადება (კვირტის გაშლის მეორე საფეხურია).

კვირტის ძვრა კვირტის პირველი ამოძრავება, გასაცოცხლებლად მომზადება (კვირტის გაშლის პირველი საფეხურია).

კვირწლი მატყლს გაყოლილი ტყავის ქერტილი, მატყლის კოშტი, წვნიკი ნაკრები და მისი. (ნ. ბარნ.).

კვნიჭი კვნიტი, პატარა ნატეხი, მაგ., მარილი და სხვ „ერთი ბეწო მარილი კვნიჭი მამე, რომ შაკამანდი გავაქეთო“; „შაქრი კვნიჭი მინდა“ (ნ. საბა, ჩუბ., ალაგ. კვნიჭი).

კიბორჩხალა, კიპორჩხალა კიბო (ნ. საბა კიბორჩხალი, ერისთ., ჩუბ.).

კითი, კინთი საპენტლის ლარის საცვი ჯოხი, ტაბიკი, შინჯისა, სიგრძით 30—35 სმ. ორივე მხარეს ნახევარწრედ დაქდებული აქვს ერთი-მეორის შექცევიით. ხან ერთი მხრიდან სცემენ ლარს, ხან მეორე მხრიდან.

კიოხული ავანჯავანობა, უფროსობა, განმკარგულელობა, ვისაც ეკითხება საქმა, უვისოდაც ვერაფერს გააკეთებენ. ვისაც „ბევრი ცხვარი ჰყოლია, ბინაც იმისი ყოფილა და კითხულიც იმისი ყოფილა“.

კიკვი კომბოსტოს ფეხი, კომბოსტოს ნაწილი ძირიდან თავამდე.

კიკნა, კუქნა ციკქნა, ძალიან პატარა, მცირე რამ, ცოტა რამ. „ერთი

კიკნა კვი მამიწიწკე“; „ერთი კუკნა კველი მამე“ (ნ. ჩუბ.).

კილი ხორბლეულის მარცვლის ბუდე (ნ. საბა, ჩუბ., კირ., ჯავახ. I, 280—1).

კილითანი მესტი წინ გაკრილი, გულაზოდებული მესტი ქალისა.

კილო ნ. ისრის კილო.

კილოზე ლაპარაკი აზრიანად ლაპარაკი. „ჩვენმა დედამთილმა კილოზე იცის ლაპარაკი“.

კინთი 1. ჯარის სახელურის ტარი; 2. კითი (ნ.), საპენტლის ლარის საცვი ჯოხი, ტაბიკი (ნ. ბერ., ალაგ. კინთა).

კინკილაზე აკილია ცოტაზე ჰკილია, ბეწვზე ჰკილია, ჩამოვარდნაზეა. კინკილაზე აკილია იტყოდნენ ხოლმე ხელმწიფის მოხელეზე. თუ ის დაცემავი იყო (შდრ. ალაგ. კეკელა).

კინკლი ცხვირში გამზაზი უღვინტი. აქედან: კინკლაობა.

კინკრიხი თხემი, თავის უმწვერვალი ნაწილი (ნ. ჩუბ. კინკრიხი).

კინწერი 1. ხის კენწერი, წვერი; 2. საკირის გუმბათი (შდრ. საბა კეწერი, ჩუბ. კენწერი, კეწერი; ბერ. კინკორი, კინწორი; წერ. კინწალი).

კინწრით მყნობა, კალმით მყნობა ახალი შტოთი მყნობა. საძირეს გადასკრიან, ქერქსა და მერქანს შორის წვერწათილი შტოს, კალამს ჩაურკობენ, მერმე ზემოდან და გარშემო მონაქერს აყალი ლაფს წაუსვამენ სქლად. ჩვარს შემოახვევენ, ბაწარს შემოლუქვრენ, რომ წვიმის წყალი არ ჩავიდეს, ან მზემ არ შეაწუხოს. კინწერი გარეთ ჩანს. როცა გაიგებს (გაიხარებს), შემოხსნიან ჩვარსაც და ლაფსაც.

კინკოტი თორნიდან პურის ამოსაღები კავიანი შამფური, რკინისა, სიგრძით ორი წყრთაა. პურს შეუყრიან და თორნიდან ამოიღებენ.

კიპორჩხალა ნ. კიბორჩხალა.

კირიონი ნ. კვირიონი.

კირიხ არევა კირისა და ქვიშის არევა და მოხელა საშენ მასალად.

კირის გამოფიტვა ნ. გამოფიტვა.

კირიხ გაფუება დახელილი კირი რამდენიმე დღეში გაფუედება, იმატებს. გაფუეარი კირი კედელში გაფუედება და კედელს გახეთქსო. აქედან: გა ფ უ ე ბ უ ლ ი კ ი რ ი.

კირიხ დამუეება დახელილი და გაფუებული კირი რამდენიმე დღეს უნდა დარჩეს, რომ დამუეედეს. კედელში მხოლოდ ასეთი კირი იხმარება, მაგარი იაო.

კირკაფი ნ. სირსვალი (ნ. ჩუბ.).

კიწი მტენის პატარა ნაწილი, კლერტის (ნ.) მთავარი ღეროდან გამოსული ერთი შტო მარცვლებიანად (ნ. ჯ ა ვ ა ხ. II, 303; შდრ. ა ლ ა ვ. კიწაწი. ჩუბ. კონწოლი; ნ. მკარი).

კიწილა პატარა ქილა; პატარა ქურტელი. ერთი კიწილა მაწონი მართანა და ერთი კვირა დამიჯდა სახლში“.

კიჭი ბავშვის კბილი; კბილი ბავშვის ენაზე (ნ. ჩუბ., ბერ., კირ.).

კლამპი ცვარი, წვეთი. „კ ლ ა მ პ ი წყალი არ გვიღვა“ (ნ. დაკლამება, ჩაკლამება).

კლანჭა ბალახი აგაა, რაც კანჭა ბალახი (ნ.).

კლერტი 1. ბალახის გამხმარი ღერო (შდრ. ს ა ბ ა, ე რ ი ს თ., ჩუბ., ჯ ა ნ ა შ ე. კლერტოე, შ ა რ შ. კლარტა; ჟ ლ. კლარტე); 2. ყურძნის ღერო, მარცვალგაცილი, მარცვალგაკრეფილი მტევიანი (ნ. ს ა ბ ა. ჩუბ., ვაჟა IV, ჯ ა ვ ა ხ. II, 303).

კლირსვა პირისახის მანჭვა. „რაა ი კ ლ ი რ ს ე ბ ი“.

კმაკვან ავადმყოფის მიერ ძლივ ღებვა რისამე, ძლივ კვამა. „რა ავანტყოფივით იკმაკნებ ი, თითო იგეთი ღუკმა გაიგდმ, რო გვერდებმა კახხი დაგიწყოა“.

კმეხია წუნია ქალი.

კნაწაო, კნაჭაო გამხდარი, მკლე, პატარა, სუსტი (ნ. ა ლ ა ვ. კნაჭა).

კნაჭაო ნ. კნაწაო.

კობლა თავიანი მეტრნახევროსოდენა ჯოხი, პაწაწინა კავით, რომელიც ნისკარტსა ჰგავს (სახვა გამოყვანილ: აქვს ნისკარტი, თვალეზი, წარბები, პირი და სხვ), ხაჩაობის დროს და ალილოზე სიარულისას ხმარობენ (ნ. ს ა ბ ა, ჩუბ. კობალი; ნ. კაჩაობა).

კოდა ნ. კოდის წყალი.

კოდვა, მოკოდვა ქვის ზენაპირის გათლა; წი სქვილის ქვის მოკოდვა წისქვილის ქვა რომ გადაილუსება, იმას მოკოდვენ, რომ ხაოიანობა მიცეს (შდრ. ს ა ბ ა).

კოდი 1. გულგამოთლილი მორია დიდი ქურბელი ბოქვასავით. მასში ინახვენ სულადს (ნ.), ან მეცხვარეებთ მთაში ყველს იყვანენ (ნ. ჭ ყ., ბ ე რ. შ ა ნ. კეეს; შდრ. კ ი რ. კოდა, შ ა რ შ.; 2. ფუტყრის გეჯა (ნ.), რომელსაც ყურაზე დგამენ მიწაზე.

კოდის წისქვილი, ბუჭულა წისქვილი უჩარხო, პატარა წისქვილი. წყალი კოდში გროვდება, იქიდან გამოდის და ხედება წისქვილის ბორბალს და ატრიალებს (ნ. შ ა რ შ., წ ე რ; შდრ. ბ ე რ., ჟ ლ.).

კოდის წყალი, კოდა წყარო, რომელსაც კოდი უდგას და წყალი შიგ გამოდის (ნ. წ ე რ.; შდრ. კ ი რ. კოდა).

კოვჯი ნაცარში ჩაუვარდა განზრახული საქმე ჩაეფუეა, საქმე ჩაეშალა (ნ. ბარნ.).

კოთალი უმატვლო ცხვარი, ქოსაცხვარი.

კოკა წყლის ქურტელია, თიხისა, მაღალი, მუცელი ზომიერი აქვს, ქუსლი ვიწრო, ყელი დაბალი, პირი ვიწრო, ცალყურიანია, ჩადის ერთ ჩაფამდე (10—15 ლიტრი) წყალი. საწყაო მნი-

წენელობა. არა აქვს (შდრ. ჩუბ., შპნ. I).

კოკალი ბენარევი ნებისაგან გაქეთებული ჭურჭელი. ძროხის (ნ.) ნეხესა და ბხეს ერთმანეთში აურევენ, კარგად დახელებენ და მომცრო სინის ტოლას, რომ თავისი თავი დაიჭიროს და არ გატყდეს, ოდნავ მოგრძოსა და კეცსავით ცოტათი ნაპირებამობრუნებულს ჭურჭელს გააკეთებენ. ამაზე ჰყავთ აბრეშუმის კია, ვიდრე დაიზრდებოდეს; შემდეგ ლასტებზე გადააქეთ.

კოკბათ ერთად, ქუჭბათ. „მოდი ერთი ჩვენთვის კოკბათ დაეხსნეთ და ლამაზი პური ეკამოთ“ (ნ. შამიკობა).

კოკელი, ქუხლი ძალის ფეხის საბჯენი. თალის გადსაგლებად კედელში შეწეული ადგილი ნახევარაგურის ოდენად.

კოკიტანი (—კოკის ტანი) გატეხილი კოკის მუცელქვევითა ნაწილი ფსკერიან-ძირიანად.

კოკოლა კონუსივით, წვეტანი ხეიანი (ნ. აუკოლავება).

კოკურა კოკაზე პატარა ჭურჭელი წყლისა, კოკის მსგავსია. ჩადის ერთ ვედრომდე (8—10 ლიტრამდე).

კოლინჯი 1. მსხვილი ნაწლავის ნაწილი, *околоушной кишка* (ნ. საბა, ჩუბ.); 2. ამ ნაწლავის სენი. ქალებს ემართებათ მშობიარობის შემდეგ, ხალხის თქმით, რალაც ზღარბივით დადის მცუელში და ჩხვლეტს. თითქოს ზოგს უშობია კიდევ და განჯურნებულა (ნ. ჩუბ.).

კოლოლი, „გალტინი“ დურგლის იარაღი; ღარის ამოსაღები რანდაა, *лабталь*.

კოლტი საშუალო ზომის ტივი (რუმებზე პატარა). ტანის (ნ.) ტყავია გულად ამოღებული და მოკუპრული. ხმარობენ ღვინის ჩასასხმელად და მის გადასატან-გადმოსატანად (ნ. საბა, ჩუბ.).

კოლტი შედგებული „კოლტი სისხლი“ (შდრ. ჯანაშვი. კოლტ-კოლტ).

კონალი ნ. ყონალი. კონკიაჟლარუნე ძველტანისამოსიანი ადამიანი (შდრ. ბარნ. კონკიაჟლარუნა); კაჯატ. მეტსახელია კაცისა.

კონკიძველა ძალიან ძველი ტანისამოსი, ზალიჩა, ფარდაგი და მისთანანი (შდრ. ალავ. კინკი).

კონჩოლა გუნდა. კონჩო ხის ჭურჭელი; კაჯატ. უშნო სახის ადამიანი (ნ. ვაჟა I კონჩა).

კონწუხი ნ. კუნწუხი. კოპაკი, კოპიკი შუბლებზე ან თავზე გამოსული კოპი. აქედან: კოპაკა კოპიანი ადამიანი (შდრ. წვერ. კოპაკური, ალავ. კოპენა).

კოპი 1. წვირილი თასმა ქალამნის ამოსასხმელად (შდრ. საბა, ჩუბ. ბევრ. კოპური); 2. ჩიხტა-კოპის შემადგენელი ნაწილი: ჩიხტში ჩასადები გაღეული ნახევარი მთვარის მსგავსი ატლასში ან სატინაში შეკერილი ბამბის რკალი ლეჩაქის დასამაგრებლად (ნ. ჩუბ., გრიშ., ვაგ.).

კოპის ყური ჯარის (სართავი მანქანის) ნაწილი: მოუქნელი ტყავის ყური, ჯარატარი (ნ.) გაყრილია კოპის ყურსა და ფრთის ყურში (ნ.), ხოლო ეყენი—ჯარის ფეხებში (ნ.) და ასე მაგრადება ჯარატარი, რომელზედაც ლამბია მოდებული და ართავს მატყუს.

კოპიკი ნ. კოპაკი. კოპტონი, ნავადი ზეთის გამოსხის შემდეგ წნეხი დარჩენილი გამოწურული ჩენჩო (ნ. საბა, ჩუბ.).

კოჟანდარი ნაბოლარა, უკანასკნელი შვილი, ყველაზე უმცროსი შვილი, რომლის შემდეგ დედას მეტლად აღარ უღია. კოჟანდარს ბევრ რამეს მიაწერდნენ ცრუმორწმუნეები. მაგ., როცა ძალიან და დიდანს წვიმდა, სწამლათ,

რომ კოჟანდარმა ქვედა საცვალის ჩაიხადოს, გარეთ გავიდეს, უკანალი მალა აიშვიროს, ზედ ხელები წამოიწკაპუნოს და თქვას: გადაიღეო, წვიმა გადაიღებსო (ნ. კ. რ.).

კორა ხის კოჭი, კარის ჩარჩონება მიმაგრებული, დახურვისას კარს წამოედება და დაკეტავს (შდრ. საბა).

კორა ნ. გუთნი კორა (შდრ. ქუ., ვაჟა III).

კორაკანა, კორაკი მოწნული გოდორი, რომელშიც ფარეხში ახალდაბადებულ ბატკანს დედიბოტო ჩასვამენ, რომ სხვა ცხვარი ზედ არ შესდგეს. იმოდენაა, რომ ცხვარი ბატკნითურთ მოთავსდება; სიმაღლითაც იმ სიმაღლეა, რომ ვერც იქიდან ამოხტება ცხვარი და ვერც სხვა ჩახტება. ფარეხში რამდენიმეა კორაკანა. ცოტა რომ მოჩიტდება ბატკანი, მერმე საბატკნეში (ნ.) გადაჰყავთ.

კორაწი იტყვიან ძალიან ხმელ პურზე (კორაწი რა არის, არაეინ იცის). *პური (გამომცხვარი) გამკმარა, კორაწივით გამკდარა, რა შეაქმას, თუ არ დააღბე“.

კორახი ნ. გორახი.

კორთი ქვევრის სადგამი ქურაში. ქვევრის ქუსლივითაა გაკეთებული და გამოემწვარი. ამაში დგამენ ქვევრის ქურაში.

კორკოტი 1. პურისპური, დაროშილი ხორბლის შექმანდი. სახამთრო საქმელია. ხორბალს (კარგს, არჩეულს) მოხალავენ და მერმე ხელსაფეკვაზე (ნ.) დაროშავენ. როცა ამის შექმანდის გაკეთება მოესურებათ, საჭირო რაოდენობას ამოიღებენ (ერთ ჯამს ხუთიოდე სულისათვის) და გაცრიან. საცერს რაც გაუვა, იმას ცალკე შეინახავენ, მსხვილს მდულარე წყალში ჩაყრიან (ლამე დაიწყებენ ხარშვას). ვიდრე ფეხზე არიან, ცეცხლს უპარჯებენ, მალ-

მალე ურევენ ჩამჩას და ზღუნე. სანახევროდ რომ მოიხარწება, დატოვებენ ნელ ცეცხლზე, მთელი ღამის განმავლობაში სიცხოვლებზე იხარშება. დილით კვლავ შეუნთებენ, აადულებენ, განაცირი რომ შეინახეს, მოუკიდებენ. თან ზღუნე და თან ადულებენ. 1—2 საათში ნახად იქნება. გადმოდგამენ, წყალში ჩადგამენ, რომ ძირზე აძროს და დამწი (ნ.) მოვიდეს. ფაგასავით იქცევა. ამასობაში ერბოსა და ხაჭვს დადალავენ და მით შეახავებენ. ზოგა პიტნითაც შენაღებს. მარხის პარშვის დროს უშვრებიან. ამოიღებენ გაშლილ ჯამებზე, გულს გადაუწევენ და შვ ერბოს ჩაასხამენ. კორკოტის ლუკმას იღებენ, ერბოში აწებენ და ჭამენ (ნ. საბა, (ი.-ა. 80, 101), ჩუბ., ბერ. კორკოტობა, ჯავახ. I, 314—5; შდრ. ბულღურის შექმანდი); 2. კორკ. ადული მიკორკოტდება მეტირება.

კოროშა შებლწამოწეული ადამიანი.

კორტანა მეტსახელა კაცისა.

კორტანა მცენარეთა ნეკერის მოჭმა თხისა, კურდღლისა და მსგავს პირტყვთაგან (შდრ. საბა, ჩუბ., ვაჟა I; ნ. მოკორტანა).

კოხალა კვირიონი (ნ.; შდრ. ჯანაშვი. 151, ერისთ.)

კოხრო წოწოლა, წოწოპინა, მოგრძო თავი, დღეობრიბულ თავივით (შდრ. ბერ., ჟღ.).

კოტა (ფხოურად), ხაგალავი ქვერნა (ნ.), ურმის უპის საბურენში (ნ.) ღერძის წინ და უკან ჩაყრილი ორი პინკილაქი, რომ ურმის სვლის დროს ღერძი არ წაგორდეს. ორი ერთ ხელნას აქვს და ორი—მეორეს (შდრ. საბა, ჩუბ., კირ., ბერ., ჟღ., წერ., ალავ.).

კოტიტა მოკლე და სქელთითებიანი ხელი; უთითებო ხელი, უთითებო ადამიანი. კოტიტა და ქონით გატენილი ბალნიანი ხელები“ (კაცია-ადა-

მანნი?!" შდრ. ჩუბ, კირ. კოტიტი
თათები, ბარნ. დაკოტიტებელი ფე-
ხები)

კოტოშა წურბლების მოსაკიდებე-
ლი აყრო (ნ. საბა, ჩუბ.; გრიშ.;
შდრ. ჯანაშვი. კოტოშ).

კოტრანა ხირხიტო (ნ.), ნიკეხისა
და პამიდორის შეკამანდი. ნიგოხსა და
პამიდორს ერთად შოადულებენ, მწვა-
ნილს აურევენ. ხახვით, წიწაკითა და
მარილით შეახევენ. მსუხევი, მადის
აღმძვრელი საკმელია (შდრ. ჩუბ.
კოტრანი).

კოფა 1. კოფო (ურმისა); 2. მახა-
რის გადასაბმელი უკან.

კოშტი მაგარი, გაყინულ-გამაგრე-
ბული ქონი, ცვილი და მისთ. მაგ.,
კოშტი სანთელი და ჩამოქნალი სან-
თელი (ნ. ჩუბ.).

კოწიწი ტურქელის საწებავი ნივთიე-
რება: 1. რძეში გახსნილი კირი. რძე-
ში გახსნილ კირში ბამბას გააყიებენ
(ნ.) და შიაკრავენ გატეხილ ტურქელს,
ტურქელი გამრთელდება და სითხე
ღარ გაუვა; 2. კვერცხის ცილა. ცილა-
შიც ბამბას გააყიებენ და იმგვარადვე
ამრთელებენ ტურქელს. რძე-კირის კო-
წიწის ამჯობინებენ. აქედან: შეკოწი-
წება (ნ. საბა, ჩუბ.; შდრ. ვაჟა I).

კოწოლა წოწოლა, კენწეროსავით
აწვეული, ამართული (შდრ. ჩუბ.,
ალავე. კოწოლი).

კოწოლკავი კოწოლის კავი. ქობისა
და საბძლის უკანა მხარეს მომრგვალე-
ბული ნაწილის დაახლოებით შუაგულ-
ში ბოძია ჩარკობილი, რომელზედაც
თავის (ნ.) ერთი თავი ძევს. თავის
აქეთ-იქიდან ჩვეულებრივი კავი აწყვია
კედლიდან თავებზე, ხოლო მომრგვა-
ლებულ ნაწილში თავის ბოლოსა და
ბოძის ყბიდან სწივებდა ჩამოდის კო-
წოლკავი. ზოგი კოწოლკავი ბოძამდე
არც კი მოდის, არამედ შუამდება, რად-

განაც რამდენი კავიც პერიფერიას და-
სჭირდება, იმდენი ცენტრში არ გაი-
მართება. კოწოლკავი და სხვა კავი
ერთმანეთისაგან არაფრით განსხვავდ-
ება, ოღონდ კოწოლკავი წოწოლა ად-
გილის კავია.

კოჭაკი 1. კარის ჩამოსაბმელი დე-
დალი ანჯამა (ნ.); 2. კარ-ფანჯრის სა-
კეტის ის ნაწილი, რახედაც რახაა გა-
დაცმული და რასაც კლიტე (ბოქლოვი)
უნდა ჩაეყაროს და დაიკეტოს (ნ. ჩუბ.).

1. კოჭი 1. საქონლის უკნა ფეხის
კანკისა და ბარკლის ძვლის სახსრია
საბრუნე ძვალი, რომელსაც ბავშვები
სათამაშოდ იყენებენ (ნ. საბა, ჩუბ.);
2. საერთოდ პრიზმისნაირი საგანი.

2. კოჭა გათლილი ძელი, რომელ-
საც სახლის კედლების გადასაბმელად
და ქერისა და იატაკის დასაკრავად
ხმარობენ (შდრ. საბა, ჩუბ.).

კოჭის ძაფი კოჭზე დახვეული ძაფი,
რომელიც უმთავრესად ნაწქანაზე სა-
კრავად იხმარება; საერთოდ წმინდა
ძაფი (შდრ. ჯაფახ. საფ.-სახ., 127).

კოჭლობა ნ. ბიშმა.

კოჭური ხის პატარა ნაჭერი პრიზ-
მული სახისა, ბავშვების სათამაშოდ
გამოსადეგი.

კოხი საკვერე ქვი. კვერის სამუშაო
ნაწილის მოსაქედი ქვა, გრანიტის ჯი-
შისაა, მუქი ყომრალო ფერისა, ჩოფუ-
რია, კარგად ლეწავს. აქედან: მოკოხვა
(ნ. საბა, გრისთ., ჩუბ.).

კოხუნჯი, ქალბის კოხუნჯი ძველი
გაზხმარი ქალამნის ნაგლიჯი (შდრ.
საბა, ჩუბ., ბერ. კეახუჯი).

კრაველი 1. კრავის მატყლი; 2.
კრავის მატყლის ნაბადი საქუდედ (ნ.
ქყ.).

კრაზანა (Hypericum, зверонин)
კაქაკიანი ბალახია, მოწითალო, კრა-
ზანის (მწერია) მსგავსი ყვირელი ყვა-
ვილი იცის. მცენარეს ჭრიან, კონავენ
მკლავის სიმსხოდ, ორ ასეთ კონას ყვა-

ვილებს მხრიდან ერთმანეთს შეუერთებენ ისე, რომ ერთმანეთში გაიცვას, დაახვევენ სვიას ან ხრალს, მოხრიან მერმე მკლავსავით და ბოლოებს, ნაპირიდან ცოტა მოშორებით, წნელით გადაუბამენ. ქვევრის სარეცხად ხმარობენ. ქვევრში ჩადის კაცი და ამას უსვამს. კარგად რეცხავს (ნ. საბა, ერისთ., ჩუბ., მაც.).

კრანტი კრინტი. „კრანტი არ დაძრა“.

კრანჩხი ღრანტე კლდე. „გუშინ ფური დავკარგეთ, კრანჩხებში გადავარდნილიყო და ნადირ შევკამნა“.

კრთუნება შეძულება, შეზიზღება საქმლისა ან სასმლისა, უფრო კი ბავშვის შიურ. აიკრთუნა ძუძუ ბავშვი ძუძუს აღარ წოვს, პირს აღარ აკარებს, ეზიზღება.

კრკალი საცრის, ცხრილისა და ცხავის ხის რკალი (ნ. ჩუბ. კრკალი, ბერ. კირკალი, ჯანაშვი. კირკალ; შდრ. ქლ. კირკვალი ლობიო).

კრიკოსალა პატარა წაჩხტება, წალაპარაკება, წამდურება. „გუშინ ჩვენებიანთ პატარძლებ კრიკოსალა მოუვიდათ“.

კრინჩხვა, კრინცხვა გაკილევა, სვისი ძრახვა, გაჭორვა. „დგებარ და ქვეყანაჲ კრინჩხვაჲ, შენ რალა დიდი ვინმე მყევბარ“.

კრინჩხი თრთვილი. კრინჩხისი გაგდება დათრთვილევა.

კრინცხვა ნ. კრინჩხვა.

კროცი, **კროცი** კაკალი წინგოგაცილილი ნაჭუჭოვანი კაკალი (ნიგოზი), სუფთა კაკალი; გატ. სუფთა, გასუფთავებულ-დაბანილი ადამიანი (ნ. საათ. ლებანი).

კრუ-კრუ ფუტკრის დედა ასე ეძახისო შვილებს; ასე იძახის კვირიონიცი (ნ.).

კრუხია მეტსახელია კაცისა.

კრუხი წითელი თამბაქო ხალიანი წითელი თამბაქოს ფოთოლი, პირველი ხარისხისაა.

კუბაჩა, **კუკუზნაკი**, **კუდუსუნი** ძვალი, სადაც მალეები თავდება (შდრ. შარშ. კუჩაბ.).

კუდამოძუებული გატ. შერცხევილი, ხელცარიელად დაბრუნებული.

კუდაღებული ლობე წნული ლობე. მანა (ნ.) მეტრდამორებითაა ჩასობილი, წნელად გაუსხეპავი ფიჩხია გამოყენებული. მოწენის დროს გეხად აყირავენ ბენ ფიჩხს: თავი მიწაზე აქვს დაბჯენილი, ხოლო ბოლო მალა აშვეოილი. ასე მოსდევენ და მოსწნავენ უკან სვლით. ბაკებსაც ასე აკეთებენ.

კულბაწარა საბავშვო თამაშია. ბაწარს შეაბამენ პატარა, კაკლისოდნა ქვას, ბოლოს გამოუყვანძავენ, რომ ხელი კარგად მოეკიდოს და არ გაეშვას გასროლის დროს. თამაშობენ შეზღვენაირად: ქვამობმული ბაწარის მეორე წვერზე ხელი უვლიათ, დაატრიალებენ და შეისვრიან მალა. ვისიც შორს მიდის, ის ყოჩაღად ითვლება. ქვა მალა რომ მიდის. ბაწარი კულსავით ტრიალებს; ძირს რომ ეშვება, მაშინაც კულაწულსა ჰგავს.

კული ნ. გუთნი კული.

კუდაიანი **ჭრელი** წინდა წინდის ჭრელის სახეა: ასო მანივით ჭრელია გამოყვანილი წინდაზე.

კუდუსუნე/ი ცხერისა, თხისა და ადამიანის ხერხემლის ძვალი, სადაც ძალები თავდება (ნ. საბა, ჩუბ.; ნ. კუბაჩა).

კუწლარა კუხიანი (ნ. კყ.).

კუთხიანი ქვა გათლილი დაკუთხული ქვა კედლის კუთხეში სახმარად.

კუთხის ქვა კედლის კუთხეში სახმარი ქვა, გრძელია. თუ სახლის აშენებისას აგური არა აქვთ, მაშინ ამას ხმარობენ აგურის მაგივრად.

კუი, მარგული განუკურნებელი ია-
რა სახარის ძვლისა, წყალივით ჩირქი
დის, აღარ რჩება (ნ. ჩუბ.).

კუკალუზი ღამაზი, მოსაწონი. „რო-
გორა ხარუ“—კუკალუზად“.

კუქანა ნ. კიკანა (ნ. ჩუბ.; შდრ. კირ.
ცუცნა-კუქანა).

კუკრუქანა კაკლიდან მთლიანად
გამორიდებული გული, მთლიანი ნიგო-
ზი, რომლისაგანაც გორგომიქილას (ნ.)
აქეთებენ (ნ. სადათ. ლებანი).

კუკუზნაკი ნ. კუბანა (შდრ. კუ.
კუაუზნაქი).

კუკუთელა საქანელაზე ბავშვს თან
აქანავებენ და თან ამზობენ: „კუკუ-
თელა, საქანელა“.

კუკუნი მძიმედ, ნელ-ნელა მუშაობა.
„ჩვენი ბერიკაცი ვენახში კუკუ-
ნებდა“—ცოტ-ცოტას მუშაობს; „ადა-
მიანო, რაიქენ, რეერთსა აკუკუნებ,
რით ვერ მოხველ?“

კულა ბურთი ბურთის თამაშია.
ბავშვები ორ ჯგუფად გაიყოფიან (ორი
დღედა, დანარჩენ ბავშვებს არჩევანით
გაიყოფენ). ჯგუფები ასიოდე მეტრის
მანძილზე ერთიმეორის პირისპირ დად-
გებიან, შუაში საზღვრად კიკი (ნ.)
აქეთ. ტაშიმუშს (ნ) გავლენ და, რო-
მელ ჯგუფსაც შეხედება ჯერი, ის ის-
ვრის მეორე მხარეზე ბურთს. მეორე
ჯგუფი ცდილობს ბურთი მიწაზე დაუ-
შვებლად ხელში დაიჭიროს (თუ მიწა-
ლუკას (ნ.) არ არიან). ახლა ისინი გა-
მოსვრიან ბურთს. და ასე ერთიმეო-
რეს უგდებენ ბურთს მალლა-მალლა,
რა თქმა უნდა, და დაწესებულ საზღ-
ვრებში. რომელი მხარეც რამდენჯერ
დაიჭერს ბურთს ხელში, იმდენ ქულას
ითვლის; რასაც ვერ დაიჭერენ და მი-
წაზე დავარდება, ის არც მოგებაში
ითვლება და არც წაგებაში. დათქმულ
ქულათა რიცხვს (ოცია უფრო მიღე-
ბული) რომელი ჯგუფიც მალე აათა-

ვებს, ის განარჯვებულია და შეაჯდება
მეორე ჯგუფს სატარებლად განსახლ-
ვრულ მანძილზე, რაც სათამაშოდ იყო
გამოყენებული, და ჰაწიაწოს (ნ.) აძა-
ხებიანებს.

კულავ უწინ, წინათ. „კულავ
სხვანაირი ადათი იყო“ (შდრ. საბა,
ჩუბ. კულა, კულავ, ვაჟა IV).

კუმბუჯატი კომბოსტო.

კუმეტი იტყვიან ძალიან შავზე, ძა-
ლიან ბნელზე. „შავი, კუმეტივით
ღამე იყო, თვალში როთითი წაგეკრა,
ვერ დაინახამდი“ (ნ. ვაჟა III).

კუმში, კუმში ვაზის ჯიშია, თეთრი
ყურძენი იცის, მწვანე ყურძენსა (ნ)
ჰგავს. შეკრულ მტევანს ისხამს (ამიტომ
ჰქვი: კუმში), მრგვალი მარცვალი აქვს
(ნ. ერისთ. ჩუბ., ჯავახ. II, 408
და სხვ.).

კუნაპეტი შავი, ძალიან შავი (?).
„იგეთია, როგორუ შავი კუნაპეტი“
(შდრ. კირ.).

კუნძი ფამფალაკზე ბალიშით და-
დებული ხე (უწინ) ან რკინა (ახლა);
რომელზედაც რვილის (ნ.) თავი იდება
(შდრ. საბა, ჩუბ.).

კუნწულა 1. ხეხილის მსხმოიარე
ტიტი (შდრ. საბა კუნწი, ჩუბ.
კუნწული); 2. ქალის სახელია კიზიყში
(დმანისში ვაფის სახელად გამოგონია).

კუნწუხი, კონწუხი მთისა, ხისა,
სახლისა და მისთანათა მწვერვალი,
წვერი, თხემი. „ხეა კუნწუხზე გა-
აჯდა“; „მთაა ხედ კუნწუხზე მა-
აჯდა“ (ნ. საბა, ჩუბ.).

კუნჭული კუთხე (ნ. საბა, ჩუბ.;
შდრ. წერ. კუნჭული).

კუპატი პატარა ქადა კეცში გამომ-
ცხვარი. ცომს ჯერ ლავაშით გააბრ-
ტყლელებენ საგორავით (ნ. 4), შიგ
გულს (ნ. 1) გაახვევენ მოგრძოდ და
მერმე დაგრავენ. ზემოდან გათქვეფილ
კვერცხს მოასხამენ. ზოგი ატკობს

მაგრამ ეს საერთოდ მიღებული არ არის (შდრ. საბა, ჩუბ.).

კუპატის გული ნ. I გული.

კურაჟი ძუნწი, მეტისმეტად ხელმოკერული ადამიანი.

კურატი 1. შეწირული ცხოველი. გაკირავებული ადამიანი თავის სალოცავს შეუთქვამდა ხოლმე, ოღონდ ესა და ეს საქმე კეთილად დამიგვირგვინე და ამას (სამამლე ცხვარს, ძროხას) დაგიკლავო. ალთქმულ ცხოველს მარჯვენა ყურის წვერს მოსჭრიდა. კურატი თავისუფლად დადიოდა და ძოვდა. მას ქურდიც არ იპარავდა სალოცავის შიშით. ალთქმულ ღლეს კურატს კლავდნენ და წირვას მართავდნენ, პატრებდნენ ხალხს და აკმევე-ასმევედნენ (შდრ. საბა, ჩუბ., ევაჟ I, III, IV, შან. კვეს. კურატი, კურეტი, კურაკი); **2.** ზოგჯერ ადამიანსაც ალთქვამდნენ კურატად, უმთავრესად ბავშვს. გაკირავებული მშობლები დაჰპირდებოდნენ სალოცავს (უმთავრესად წმ. გიორგის და მთაჟარანგელოზს), ოღონდ შეილი გაგვიხარდე და ამდენ და ამდენ ხანს (ერთ, ორ, სამ, ექვს თვეს, ან ერთ, ორ, სამ წელაწადს) შენთან მოგიყვანო კურატად და გემსახუროსო. კურატობის გათავებისას სალოცავის მონა (ნ.) გამოუცხადებდა კურატს: სალოცავმა ნება დაგართო, წადი შინაო (ამას ისე ეტყუოდა, თითქოს ან სიზმარი ენახოს, ან „აქადაგებდა“ პირადად და მაშინ თითქოს ქადაგის პირით სალოცავი ეუბნებოდეს).

ზოგჯერ კურატად დაყენების მაგიერ ბაღის მაჯახე თეთრ მიტკალშო გამოკრულ ვერცხლის ორშაურთან შებამდნენ ხოლმე სამაჯურსავეით, რომელიც ალთქმის დღიდან სალოცავში მისვლამდე ხედ ება და მერმე იქ ააპრიდა მღვდელი და ფულს სალოცავის სასარგებლოდ შეინახავდა ყულაბაში. ზოგჯერ სალოცავში მიმავალ ალთქმულ ბავშვს

ყელზე შემოაბევედნენ თეორი მიტკლის ნაჭრს. რომელსაც იქ აართმევდნენ.

კურკა. კურკა რკო (შდრ. საბა, ჩუბ. კრკო, ჯანაშვი. კურკო).

კუპა პტარა ტანის კაცი, ცოტა კაცი, ქონდრის კაცი (ნ. ცაგ. კუსპარა). **კუტალი** პირსაცავი (ნ.), ვიწროპირიანი ჭურჭლის საცობი (შდრ. საბა, კირ., ცაგ.).

კუტალი კავი კობტად და მაგალდ შეგრეხილი კავი (ნ.) ქალისა.

კუტი ლობიო ლობიოს ჯიშია, ბუჩქად იზრდება, სარზე არ ადის, უაწყლოა (ნ. პეკალი), მარცვალი მომრგვალოა, პრული წითელი. არ არის ძალიან გემრიელი (ნ. ერისთ., ჩუბ. ლობიო-კუტი, ჯავახ. II, 46 და სხვ.).

კუტი პური თორნეში ნახევრად ჩვეარდნილი და ნაწილი ნაკვერცხლებზე და ნაწილი თორნის კედელზე გამოცხვარი პური (ნ. ჩუბ.), ხოლო კუტი თორნეში ჩვეარდნილი პურია და ნაკვერცხლებზე გამოცხვარი.

კუტკუტი წიწილების მოხმობა და ალურსი კრუშისაგან; კაჟტ. ერთმანეთის მიაღერებდა ადამიანთაგან (ნ. ჯანაშვი. კუტკუტი).

კუწკუწა წერილი ფიჩხი. სოფლის ახლომახლო ბუჩქნართან ტყეში ქვირეზობენი და უკონილნი (ამათი ბავშვები უმთავრესად) წვიოდონდნენ და წერილ ფიჩხს დაკრიდნენ, გულურად შეკრავდნენ და ზურგით მოიტანდნენ შინ თორნის გასახურებლად.

კუჭავ, კუჭი სააღერსო სიტყვაა პატარის ჰიმარტისას, როგორც მაგ. გულო და სხვ. „კუჭი, გაიქე ვრაი, ცივი წყალი მათარბინიე!“

კუჭი ნ. კუჭავ.

კუჭიანი ჭული წინდა წინდის კრეფის სახეა: მომრგვალო, გულში ბრტყელწერტილიანი.

კუჭიანი ხანჯალი მოხრილი ხანჯალი, ხმარობენ საბძლის (ან სხვა შენობ ს) სახურავის ჩალის ნართავის (ნ.) გაასწორებლად. დართვის (ნ.) დროს ჩალის ძირები უსწორმასწოროდ ამო-

ყოს ბოლმე თავს ზემოთ, საჭიროა მათი მოსწორება, დაკრეკა ასეთი ხანჯლით.

კუჭის გამორეცხვა: შენი კუჭი არ გამაირეცხება კაჟა შენ გულწრფელი არ გახდები.

ლ

ლაბა რქებდაბრილი, ქვევით რქებდადრეკილი ხარი, ფური და მისთ.; კაჟა დაცოლშვილიანებული, სახრუნეშეყრილი კაცი (შდრ. საბა ბელეშა).

ლაბადა ქალის სამოსელია ახალუხის მსგავსი, მუხლებამდე სწვდება, წელში გამოყვანილია, ოღონდ უნაოჭო. იყრებოდა თურმე დიბისა (შდრ. ჩუბ., შან. რეცენზია, გურამ., შარშ.).

ლაბლა კორკოტი (ნ.) ან კირი წებოსავით რომ გაუშვებს (ნ. დუდკო).

ლაგვის კოკების მალა დაშენებული კედელი. სახლს რომ ოთხსავე კედელს სათანადო ზომაზე აუყვანენ და მოასწორებენ, კოკებს (ნ. 2) დაუწყობენ ოთხსავე მხარეს. ამის სიმაღლეზე დააყენებენ საჩხის (ნ) სვეტებს. შემდეგ სვეტებზე დირეს დადებენ და დირიდან სხვა კოკებს გაუდებენ კედლისაკენ საჩხის დასაკურად. კედელს შემდეგ კიდევ დააშენებენ, რომ მალა აიწიოს და სახლისა და საჩხის სახურავი ერთნაირი დაქანებით იყოს დაფერილი. ულაბიეროდ სახლის სახურავი წოწოლა გამოვა, ხოლო საჩხისა — ვაკე და არ ივარგებს (შდრ. კირ.).

ლაგვის ტოტები აღვირის ის ნაწილი: რახედაც ხელი უვლია მხედარს.

ლაგარძალა მრავალძარღვა (Planta major, соляной подорожник). ფოთოლს ადებენ კრილობაზე: იარას არჩენს, ჩირქს წმენდსო.

ლაგაში ცხენის ყურებში მოსაჭერი თხის რქები, ხელთებიანი. დაქვედვის

დროს თუ ცხენი არ ჩერდება, ლავაშს მოსდებენ ყურებში და მოუგრებენ. ცხენი ველარ იძვოსი.

ლაგახი კათანდარა, თხელი, გამბდარი კაცი; ასეთივე საქონელი.

ლაგვარდანი კედლების გაყოლებაზე სახლის კერის შემოვლებული არშია, карниз (ნ. ჩუბ., ტეკნ. ტერმ.; შდრ. ბერ. ლაგვარდანი).

ლაგათა, ანუ ლაგათა ლავაშის მისაკრავი თორნის იარალი: ფაცარია, ნიჩბის ფორმისა, ხელის მოსაკიდი აქვს; ცალ მხარეს ბზეა დადებული და ზედ ტოლა გადაკრული, რომ ცოტა ამოზურცული იყოს. ზედ გაბრტყელებულ ლავაშს გადააფენენ და მიაკრავენ თორნეს.

ლაინი ბამბის ქსოვილი თეთრი. „ხამი სიღნაღიდან ჩამოტანილი ნართისა იყო, ლაინი შინ დართულისა, ხამი ვიწრო და მოშო იყვის, ლაინი განიერი და წმინდა“ (შდრ. საბა, ჩუბ.).

ლაკაშა ხანტი, უჯანო და გამბდარი საქონელი. „ლაკაშ, შე სამგლევი გაიწი!“

1. ლაკლაკი აქა-იქა უხეიროდ სიარული, უმიზნოდ სიარული, წანწალი. „რა და დალაკლაკებ ამ სიცხეში, თავი არ გენანება?“ „დღევანდელი დღე დავალაქე, რეერთი ვილაკლაკე და ვერაფერ გავკადი“.

2. ლაკლაკი ნ. გულის ლაკლაკი (შდრ. ჩუბ. ლაკლაკი).

ლაღვა რეკვა „სად ელაღებიან ნეტა ამთენ საქონელ?“ (ნ. ჩუბ., ვაჟა I

ლალ, III ლალვა, შ ან. რეცენზია გა-
ლალვა; შდო. შ ან. კვეს. ლალ).

ლაშბი მომსხო ძაფო (ცხვრის ნაწ-
ლავს დახეწენ, დაგრეხენ, გაკიმავენ
ჟა გაახმოზენ. მაგარია. ჩანგურის სი-
მებადაც იყენებენ და მშვილდის ლა-
რადაც). ლაშბი მოდებული აქვს მატყ-
ლის სართავ ჯარას მოძრაობის გა-
დასაცემად. იგი გადაცმულია მორგვეზე
და იქიდან მოდებული აქვს ტიბეირს
(ნ.). მორგვეს სახელურით ამოძრავებს
ადამიანი. მორგვის მოძრაობა ლაშბის
საშუალებით გადაეცემა ტიბეირს, ტიბე-
ირის მოძრაობა კი ჯარატარის მო-
ძრაობაც არის, ჯარატარი მატყლს
ართავს (ნ. საბა, ჩ უბ.).

ლაში 1. მდინარე წყლის მოზი-
დული წმინდა ქვიშა, ძალიან წინიკია
და ერთნაირი. მას კირსა და ნახშირს
ურევენ და სახლებს ლესავენ ლურჯად
(ნ. ჩ უბ., ჯ ან ა შ ვ. ლამ, ჯ ა ვ ა ხ.
II, 126—7; შდრ. საბა, ვაჟა I, III,
IV); 2. უქვო, უყენკო შავი მიწა, მსუ-
ქანია, ადგილი დასამუშავებელი. კარგია
საყანედ, სავენახედ კი არ ვარჯა, რად-
განაც დაბალი ღვინო იცის, თუმცა მო-
სავალი დიდია. აქედან: ლ ა მ ი ა ლ ა გ ი
შავმიწიანი ალაგი; ლ ა მ ი ვ ე ნ ა კ ი.

ლაში ვენახი უქვო, უყენკო შავი
მიწის ვენახი, დიდ მოსავალს იძლევა,
შავრამ ღვინო ხარისხით დაბალია. უპი-
რისპირდება ხირხატ (ნ.) ვენახს.

ლანგარი კატ. გაშლილი, ვაკე.
„იგრე უნდა შავეკო საბანი, როგორც
ლ ა ნ გ ა რ ი ვ ი თ ა ო“ (შდრ. ჩ უბ.).

ლანგი კოკლი. „ჩვენებიანთ ლ ა ნ-
გ ი ბ ი კ ი“ (შდრ. ლანგ-თემური, თემურ-
ლენგი).

ლანჩა იატაკის ფიცრის ქვეშ და-
ტანებული სოლი ან ნაფოტი კოკლო-
ბის გამოსასწორებლად, რომ იატაკმა
არ აიწ-დაიწიოს და არ იკრაქუნოს
(დურგლის ცნობა სოფ. კელმეჩურიდან).

ლანჩიფარი ყველასაგან დაბრყვე-

ბული, არაფრად ჩადებული ადამიანი
(შდრ. ჩ უბ. ლანჩარი, ლანჩარი,
ვ ა ნ ტ ა ნ გ VI-ის „დასტურლამლი“,
წ კდ. გვ. 46, 174)

ლანძვა ტარეცა, ცხარე ცეცხლისა-
გან ზედაპირის წვა (ნ. საბა ალანძვა,
ჩ უბ.. ბ ე რ. ლანჯვა, შ ა რ შ. ლანცვა).

ლაატი ნ. ლასტი.

ლაპარაკი მოუფილათ წაიხტებენ.

ლაპარაკის მოშლა ლაპარაკის შე-
წყვეტა. „აბა, მო შ ა ლ ე თ ლ ა პ ა-
რ ა კ ი“.

ლაპარტი სველი, კუნტუხი. „ამ
ლ ა პ ა რ ტ ტ ა ნ ის ა მ ო ს რ ა უ ყ ო, გაყდა
უნდა“. აქედან: დ ა ლ ა პ ა რ ტ ე ბ ა (ნ.).

ლაპარტი 1. ხონბის მარაგენი, ბარ-
ტყები. „კოკი ლ ა პ რ ე ბ ი ვ ი თ დ ი-
ფ ა ნ ტ ე ნ“ (შ. ლაპარი არ იხმარება; ნ.
ს ა ბ ა, ჩ უ ბ. ლაპი); 2. ადგილის სახე-
ლია გარე კახეთში.

ლაპუტაკი, ლაპუსტაკი, ლაპუსტ-
რაკი სალანძღვი სიტყვა: გარყვნილი
ადამიანი (უფრო მოხარბზე იტყვიან).
„აი, შე ლ ა პ უ ს ტ ა კ ო, შენა!“ „შენი-
თანა ლ ა პ უ მ ტ ა კ მ ა მ ე ე გ უ ნ დ ა
გამიბედოა?“

ლარების დაბმა ლარის დაბმა სა-
ცირკლის ამოღებისას, რომ სწორად
ამოიღონ საძირკველი და სწორე კედე-
ლი ააგონ (შდრ. საბა, ჩ უბ. ლარო).

ლარის დარტყმა ნახშირწყალში
ამოვლებულ ლარს დასახერხი მორის
თავსა და ბოლოს დაადებენ, გაკიმა-
ვენ, შემდეგ მხერხავი ხელით ასწვენს
ლარს მაღლა და ერთბაშად გაუშვებს.
ლარი მორზე დაეცემა და კვალს და-
ტოვებს სწორ ხაზად.

ლარო საფეიქო ხელსაწყო: ორკა-
პა ჯოხია ბაწრის საქსელავი. ასეთ
ჯოხს რამდენიმე ადგილას დაარკო-
ბენ, მრგვლად წრესავით შეკრავენ,
მერმე კაპებზე ბაწარს შემოახვევენ (ბა-
წარს კაპსა და კაპს შუა გაატარებენ),
ლაროებს იმ ვარაუდით დაარკობენ,

რა სიგრძისაც ქსოვილი უნდათ; შემდეგ ბაწარს ფრთხილად აალებენ და საქსოვად გაკვიმევენ (შდრ. საბა, ჩუბ.).

ლასტი, ლახტი 1. ამოკარულად (ნ.) დაწნული ჩელტი, ბრტყელ ფიცარსავითაა. ხედ ჩირს გაფენენ გასაშრობად. „ლასტი ვუგებდით ბელორაებას, ვერ გვხედავდნენ მუხანათსა“ (რ. ერისთავი; ნ. საბა, ჩუბ., ჯანაშვილასტ. 1, მ. ა. ყ.); 2. ნესე-სახამთროს ბალში ნათესი ხოლ-ხოლად გადასდევს. ერთი მწკრივის ნათესი რომ გაიზრდება და მეორე მწკრივის ნათესი შეერევა და გადაებმება, ამას: ც ლასტი ეწოდება. **ლახანი** ნ. გარინგა. ლატანს მდინარეზედაც გადებენ საცალფეხო ხიდად (ნ. საბა, ჩუბ.).

ლაფა თიხის გუნდა, რომელსაც მეჭურჭლეები ქურტლის კეთებისას ხმარობენ. ტალახს ერთჯერობაზე ხელით რომ მოიმორჩილებენ, მოხელენ, მას შემდეგ რამდენიმე გუნდად გაჰყოფენ. გუნდისაგან კი აკეთებენ ქურტელს (ნ. საბა, ჩუბ. ლაფი; შდრ. ვაჟა I, III ლაფი; შდრ. ლოლუა, სროსალი, ფილთა).

ლაფათა ფეკა, ლაფათა (ნ.; ნ. კირ.).

ლაფანი (*Pterocarya caucasica*, лавина) სამასალე ხეა, თეთრი, რბილი, დიდი ტანისა იზრდება. ფოთოლი კაკალსა და იფანს მიუგავს, ოღონდ კაკლის ფოთოლზე წვრილია, იფანისაზე — მსხვილი, ტანით კაკალსა ჰგავს (ნ. საბა, ერისთ., ჩუბ., მ. ა. ყ. ლაფანის ხე).

ლაფახი დამბლასავით. აქედან: ლაფასიანი დამბლადაცემულივით, დონდლე, საქმის კეთება რომ უჭირს; მალე რომ იღლება; აღმართს ვერ აივლის, ქშენა აუვარდება.

ლაფიხ გუნდა ერთი ქურტლის გა-

საკეთებლად საჭირო თიხის გუნდა, დაწელილია, დარჩეული, დებენ ჩარხის თაგზე (ნ. ლაფა).

ლაქათა ვითომ მოსიყვარულე, ცრუ ალერსის გამომხატველი, სიყვარულის მომჩვენებელი. „აი, შე ლაქათავ, შენა, მითამ შენც გიყვარს, თავ როგო აჩვენებ?“ (შდრ. ლაქუცა).

ლაქათი ცრუ ალერსი, ცრუ სიყვარული (შდრ. კ. ყ. ლაქაური).

ლალი ერთ მორგეში ღერძი რომ გაქედლი არ არის, იმაზე ამბობენ: **ლალია**.

ლაყაფაფუჭებული ვულგარული სიტყვების მთქმელი (შდრ. საბა, ჩუბ., შპან. I ლაყაფი).

ლაში თევზისა ლაყუჩის გარეთა მხარე (შდრ. საბა, ჩუბ., შპან. I, ცაგ., ბარნ., ვაჟა I, III, IV ლაში, შან. კვეს. ლაშ).

ლაშქარა (*Symphytum*, окопник) ბალახია, მაღალი იზრდება, მოგრძო ბრტყელი ფოთოლი აქვს, პატარა ცისფერ ყვავილებს იხსამს. ყვავილებს წყალში ჰყრიან ბავშვები სათამაშოდ. წყლის დინებისას ყვავილები ჯარისკაცებივით დამწკრივდებან ხოლმე (ნ. საბა, ერისთ., ჩუბ., ჯანაშვილასქარა, მ. ა. ყ.).

ლაჩინა მძიმე, ზორობა კამეჩის სახელია.

ლახვარივით შამოვარდა სიცივე იტყვევან ერთბაშად შემოვარდნილ მკაცრ სიცივეზე.

ლახტაობა საბავშვო თამაშობაა. ბავშვები ორ ჯგუფად გაიყოფიან. წრეს შემოხაზავენ. ტაშიმუშის (ნ.) შემდეგ ვისაც შეხვდება წრეში ჩადგომა, ჩადგება, მეორე გარეთ იქნება. რამდენი ბავშვიც წრეშია, იმდენი სარტყელია (ქამარი — ლახტი) დალაგებული წრეში თანაბარ მანძილზე, თითო ლახტს თითო ბავშვი უდგას მცველად. გარეთ

მყოფნი ცდილობენ აართვან ლახტი მაგრამ მცველები არ უშვებენ წრის გარეთ ვერ გავა წრეში მდგომი. თუ წრიდან ფეხი მოარტყა წილს ქვემოთ, მოიკრება და ახლა ისინი ჩადკებიან წრეში. წელს ქვევით შეიძლება ლახტის ცემა. ლახტი თუ მოიტაცეს, ამით სხვა ლახტებს დაუწყებენ ცემას, რომ გამოიტანონ. ყველა ლახტის გამოტანის შემდეგ სათითოდ დაიკვირნენ გარეთ მყოფნი წრეში მყოფთ და დაუწყებენ ცემას. ისინი კიდევ ცდილობენ, რომ მოკრან წრეში წელს ქვევით. როცა მოსკრიან, მაშინ შეიცვლებიან და თამაშობა ხელახლა თავიდან დაიწყება (ნ. კ. რ. ლახტობა).

ლახტი ლახტობის (ნ.) დროს სათამაშოდ გამოყენებული სარტყელი, ქამარი (შდრ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ.).

ლახტი უკან დაგდება, თოფი მალლა შაგდება საბავშვო თამაშობაა. კენკის ყრას დაიწყებენ: ერთ კენკს აიღებს რომელიმე, ერთ-ერთ მუკში დაიკერს და იტყვის: რომელმა მოგცეს? თუ შეხედება, ახლა ის სხვას უგდება და ა. შ. ბავშვებს წრეუ დასხამენ. ვისაც კენკი შერჩება, ის ჩამოუღლის და წრეს შეასკორებს. ბავშვებს თანაბარ მანძილზე დასხამს ერთიმეორისგან მრგვლად. ყველას ხელებს უკან დაიწყობინებს. გაკავებულნი უნდა ისხდნენ, არ შეიძლება საითმე მიხედვა. ვინც წრე გაასწორა, ის წრის გარეთაა, ხელში უჭირავს კალთაში გამოხვეული ლახტი (ნ.), წრეს უგლის გარშემო „კოკლობით“, ყველას უკან ჩაიხრება და ისეთ მოძრაობას აკეთებს, თითქოს ლახტს დებდეს, თან იძახის: „ლახტი უკან დაგდება, თოფი მალლა შაგდება“. ვინც მას სურს, იმას დაუგდება უკან ლახტს შეუჩინებლად და განაგრძობს ისევ მოჩვენებითს „კოკლობას“ და ყველას უკან ჩაცუქებას, თითქოს ლახტს დებდეს. ვისაც ლახტი

დაუგდო. ის გაიგებს თუ არა, დააკლებს ლახტს ხელს, წამოხტება, გამოეყიდება და, თუ მიეწია, დაუწყებს ცემას. ის გაობის და ცდილობს ბიასწორს იმის ნაჯდომ ალაგს. თუ მიუსწრებს და დაჯდება, არა სცემს. ახლა ეს დაიწყებს ისეთსავე მოქცევას და ა. შ. ვინცობა მან, ვისაც ლახტი დაუგდეს, ვერ გაიგო, მეორედ შემოვლისას ლახტის დამგდები აიღებს ლახტს და დაუწყებს ცემას, შემდეგ ისევ ის განაგრძობს ლახტის დაგდებას.

ლაჭვა ტყენა, ფეხით მიწის ტყენა (შდრ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ., ვაჟა III ლახვა, ჯ ა ნ ა შ ე., შ ა ნ. კეეს. ლაქ).

ლაჯი ერთი გადაბოტება, ნაბიჯი, სიარულის დროს ფეხთა შუა მანძილი (ნ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ.).

ლაჯუნი უხეირო, უთაბოლო სიარული, გზათუკან სიარული. „რათ გეყვარს უხეირო ლაჯუნი?“ „რაა დაა ლაჯუნივ, რატო ერთ ალაგაა ვერ დაგდებულხარ?“ (შდრ. ბ ე რ. ალაჯუნე).

ლებანი კურკის გული; კაკლის (ნიგეხის) გულის ნახევარი. კურკუნი (ნ.) ნახევარი გული (ნ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ., ბ ე რ. ნებალო, სახათ.).

ლებუა ლობიო (საერთოდ), საქმელი ლობიო.

ლექვების ურა გაღტ. მოფერება. ლექვები მიუყარე მოფერე, მოფერე.

ლექის მთა კავკასიონი კახეთისა. **ლექის ხე** (*Acer laetum, красная яблоня*) ხეა ერთგვარი (ნ. ს ა ბ ა ლეკი, ე რ ი ს თ., ჩ უ ბ., მ ა ყ.).

ლეკური სიტყვა გაღტ. ვაქრობაში — გადაჭრილი, საბოლოო სიტყვა, გადაწყვეტილი სიტყვა. „აი, მე ლექური სიტყვაა გეტყვი, გინდა მამე, გინდა არა: ხუთ მანათ მოქცემ“.

ლექური ყარფუხი სახამთროს ჯი-
შია: დიდი, გრძელი, სქელქერქა სახამ-
თრო.

ლე ლეჩი ცივი კერძი, ცხელი შექამან-
დი რომ გაცივდება. „ლე ლეჩია კერ-
ძი, ამაჲ რა შამაქმევეს?“ (ნ. კირ.).

ლემი (*Datura stramonium*, *гъ-
ман*) მცენარეა ტოტიანი, ბრტყელი
ფოთოლი აქვს; ჯაჯა. იტყვიან: ლე-
მი ვით წაეცხო ზედა ზედ დააკე-
და, მზრუნველობა გაუწია (ნ. საბა,
ერისთ., ჩუბ., მაყ. ლემი, ლემა).

ლენჯო კაკლისა, თხილისა, წაბლი-
სა და მისთ. მწუანე გარე ქერტი, დამ-
წიფებისას რომ გასძვრება ხოლმე,
წენგო. საღებავად იხმარება კაკლის
ლენჯო, მუქ ლეიძლისფრად ღებავს (ნ.
საბა, ჩუბ. ლეჯა, ლენჯო კაკლისა,
საჲათ. ღებანი).

ლერწამ-დარეჯანი ზღა:რეკი. ნეს-
ტან-დარეჯანი.

ლერწამთ ქალი ზღაპრული ლამაზი
ქალის სახელია.

ლექი, როქი ლვინის ნაძირი, ლვინის
დანალექი ქვევრში (ნ. ჩუბ., ტექნ.
ტერქი. ლექი).

ლეღვის კაკრა ლეღვის მკუხე ნყო-
ფი. ზოგი ლეღვი წელიწადში ორჯერ
ისხანს. პირველი კაკრა (ნ.) დაიფუ-
ტება და გასცივია (ზოგიერთისა მწიფ-
დება ივლისში და გუდა ლეღვს (ნ.)
ეძახიან), მეორედ გამოღებული კაკ-
რა მწიფდება. ზოგი მსუნაგი კაკრას
ნორჩობაში ქამს, მოტკობა, რძესავით
თეთრი წვენი გადმოსდის, რამაც მუწუ-
ყების გამოყრა იცის.

ლეღვის ჩირი შეწვეარი ლეღვი სა-
ხამთროდ შენახული (ნ. ჩუბ.).

ლეშა თევზი თევზის ჯიში: დიდი,
უქერტლო, უგემური თევზია.

ლეში მურღალი (ნ.), მძორი, მკვდა-
რი ცხოველის, სისხლდაუღვრელად მო-

მკვდარი ცხოველის ხორცი; სუჰრაბაოჲ-
ხორცი საერთოდ; ჯაჯა. მუქთამქა-
მელ ადამიანზე იტყვიან: ლე ში აო.
მსუქანზედაც იტყვიან: ლე ში ან ი აო
(მდრ. შალეშვა; ნ. საბა, ჩუბ., ვაჟა
I, III, IV, შან. I; მდრ. შან. კევს.).

ლეშკი 1. ყურძნისა და მისთანა
ხილულთა ხორცი, წვეგამოცლილი
ნაწილი უკანოდ და უკურკოდ (ნ.
ჯაჟახ. II, 304; მდრ. საბა); 2. ტყავ-
ზე შერჩენილი ხორცი.

ლევილი ჯაჯა, ლე რვილი (საფეიქ-
რო ხელსაწყო. ნ. რვილი 2; ნ. საბა,
ჩუბ., ვაჟა I, ბერ. ლილუა).

ლია: ლიის წაყენება წყალი რომ
დაიღვრება, იმაზე იტყვიან ხოლმე:
ლია წააყენაო (ნ. საბა, ჩუბ.,
ჯაჟახ. II, 125-6).

ლითონი საყრდენი ქვა თიხის კურ-
კლის საკეთიბელი ჩარხის ლერძისა.
ლერძი ვერტიკალურად დგას და დაყრ-
დნობილია ბრტყელ სიბ ქვაზე, რომ
კარგად იბრუნოს (მდრ. საბა, ჩუბ.).

ლილახანა იაფობა, მუქთად შოვნა-
რისამე. „ლილახანაა, რომ მუქთათ
გინდა?“ (ნ. ალაგ.; მდრ. ჩუბ.).

ლიმცლიმც პირამდე სავეს (ნ. კირ-
ლიცილიცი, ჯანაშვი. ლიცილიცი).

ლიპი სრიალა, მცურალა, სასხლტო-
მი, *скользящий*. „გაყინულია და გზებო
ლიპია“; „ლიპი ფიცარია და ფე-
კი გამიკურდა“ (ნ. საბა, ჩუბ., ვა-
ჟა IV).

ლიტაო უტოტო, სწორი, მაღალი
ხე (ნ. ბარნ.; მდრ. ალაგ.).

ლობოთა უაურმა ჯაჯა, ლე კირკა-
ქი (ნ.).

ლოგინად ჩავარდნა მძიმე ავადმყო-
ფობისაგან ჩალოჯნება, ლოგინში ჩა-
წოლა ხანგრძლივად (მდრ. ჩუბ. ჩა-
ვარდნა).

ლოგინგაყოფილი ნ. ლოგინის გა-
ყოფა.

ლოგინზე დაწოლა მშობიარობის დროს დაწოლა, მომშობიარება (ნ. ჩუბ. დაწოლა).

1. ლოგინი, ტახტი უწინდელ სახლში კედლების გაყოლებახე, მთელ სიგრძეზე, მომალლოდ გამარჯული ტახტი. ზედ ჩამოჯდომა შეიძლება, უძრავია, ქვეშ აჯათი (წვრილმანი სამუშაო იარაღი და მისთ.) აწყვია. ფარდები აქვს ჩამოფარებული, რომ ქვეშ შეწყობილი ხარახურა არ გამოჩნდეს და მორთულიც იყოს, ზედ იარანალი (ნ.) აფენია. ზედ ქვეშაგებს იშლიან და წვებიან.

2. ლოგინი ფიცრის საწოლი, რომელსაც სამი მხრივ მოაჯირი აქვს, დიდი და მოძრავი, ცოლ-ქმარი და ბავშვიც კი დაიწვინება. ბავშვისთვისაც იცოდნენ ცალკე ლოგინი, პატარა. ჩვენს ოჯახში დღევანდლამდე გვაქვს ორივე (მდრ. საბა, ჩუბ., ნინ. I, 26.).

ლოგინის გაყოფა ცალ-ცალკე დაწოლა ცოლ-ქმრისა. ქიხიყში ჩვეულებრივ ცოლი და ქმარი ერთად წვებიან ერთ ლოგინზე ერთ ქვეშაგებში. რაიმე მიზეზით თუ მოხდება მათი ცალ-ცალკე დაწოლა: ან ავადმყოფობის, ან დამღვრების გამო. უკანასკნელი ცუდ ნიშნად და სარცხვილად ითვლება. აქედან: ლოგინი გაყოფილი (მდრ. ლოგინის შეერთება).

ლოგინის ძარალი ლოგინისა და ქვეშაგებისათვის საკურო მოწყობილობა: გადასაფარებლები, ხეწრები, პირები და მისთ.

ლოგინის შეერთება ერთად დაწოლა. ახალდაქორწინებულების, ან დამღვრებული, ლოგინგაყოფილი ცოლ-ქმრის ერთად დაწოლა (მდრ. ლოგინის გაყოფა).

ლოლია ლოლია საბავშვო თამაშია. პატარა, ასე 2—5 წლის ბავშვს ართობენ

შემდეგნაირად: მარცხენა ხელის გულს გაუშლიან და მარჯვენა ხელის სალოკ თითს უსვამენ (ბავშვის ხელები უფროსს უკირავს და აპოძრავებს) და თან უფროსი შემდეგს სოტყვებს ამბობს: „ლოლია, ლოლია, ფური კრელია, კბო წითელია“. შემდეგ ნეკს მოუკეცავს და ეტყვის: „ამან მაიპარა“, ანლა არათითს მოუკეცავს და ეუბნება: „ამან დაკლა“, შემდეგ შუა თითს მოუკეცავს და განაგრძობს: „ამან მოხარშა“, ბოლოს სალოკს მოუკეცავს და დაასრულებს: „ამან დაკამა“. ამის თქმისთანავე ბავშვის მარჯვენა ხელის სალოკ თითს წაუშენს მარცხენა ხელის ცერსა და ამბობს: „ადე, ბებერო, წყალი მაიტანე!“ ეს უკანასკნელი გარემოება ძალიან იკეცეს ბავშვსა და აცინებს. ბავშვი ხელს ანლა თხოულაობს „ლოლია-ლოლიას“. ამით ლაპარაკსაც აჩვენენ.

ლოლია გრძელი, მრგვალი, ლულასავეთ დახელილი თიხა. თიხას ასე დააკეთებენ, გვერდზე დაიწყობენ ფიცარზე და მერზე დაიწყებენ თორნის კეთებას: კედელს ადებენ და აქნიან და ხელით ლესავენ შიგნით და გარეთ. ასე აშენებენ თორნეს (მდრ. ლაფა, სროსალი).

ლომა ლაფი. მეჭურჭლეს კუბუკის კეთებისას გვერდზე უდგას ჯამი წყლით. ამაში ისველებს ხელს, რის გამოც ეს ლაფდება. ამ დღელზე (ნ.) ლაფს ლომას ეწახიან. წყალს მალ-მალე ცვლიან, დღეში რამდენჯერმე, თორემ ამყარდება და კუბუკელს გეო ექნებათ (მდრ. დაჯათილი).

ლომის ჯამი წყლიანი ჯამი, რომელშიც მეჭურჭლეები ხელს ისველებენ კუბუკის კეთების დროს და თხელი ლაფი დგება (ნ. ლომა).

ლომპო დღეში.

1. ლოპრი ლორწოსავით (მდრ. საბა, ჩუბ., ჯანაშვი. ლომპორ, ბერ. ლოპერა, შარშ. ლოპერი).

2. ლოპრი ნახერეთის გასაფართოვ-
ბელი ბურლი. კუხრაკული წვერი არა
აქვს, ბრტყელი ორპირი რკინა მოხრი-
ლია სიგრძე ნახერად ისე, რომ ორი-
ვე პირით შეიძლება გაკრევისება. წვე-
რისაკენ უფრო წვრილია. ურმის მორგეს
ჯერ ჩვეულებრივი ბურლით გახერე-
ტენ, პერამე ლოპრს შოატარებენ და
გააფართოებენ.

ლოპრიანი ლორწოიანი; კაღატ.
ანაღდაბადებული ბავშვი.

ლოფორჩინა ლოკოკინა (ნ. ს ა ბ ა,
ერისთ., ჩუბ. ლოფორთქინი/ა,
ჯანაშვი. ლაფორჩინა).

ლოღნა უკბილო კაციის ლეკვა (ნ.
ს ა ბ ა, ჩუბ., ვაჟა I, კირ. ლოღნა).

ლოჟა ხელნახე საბრუნთან (ნ.) გა-
რეთა მზრიდან გამოწეული ადგილი
(ან დაკრული ფიცარი), რომელსაც
მორგვი ხედება და კამს. უტოვებენ,
რომ ხელნა არ გაცვითოს და მალე არ
გატყდეს

ლოჟოჟინა დოყლაპია, უხეირო, უნ-
დილი (შდრ. ბერ. ლოჟო).

ლოცვის სარტყელი, ბალადა, ბოდ-
ჩა, ბოხჩა შაგირდი რომ დაილოცებოდა
(ოსტატობის ხარისხს რომ მიიღებდა),
წელზე აბრეშუმის ბალდადს შემოარ-
ტყამდა ოსტატი (ბალდადს დედა აძ-
ლევიდა) და შიგ თავისი ხელობის ია-
რალს (მაკრატელს, გონიოს ან ქაფჩას)
გაურკობდა. სამ დღეს ატარებდა ასე,
შემდეგ შემოიხსნიდა და ოსტატს მის-
ცემდა. ან თვითონ შეინახავდა (ნ.
გ რ ი შ., 44).

ლოკინზე ნაკურთხი წინათ ზოგი
მღვდელი სრულიად უმეცარი იყო:
მოქრთამეთ ჰქონდა მიღებული მღვდ-
ლობა. ასეთ მღვდელზე ამბობდნენ:
კლაქში (თბილისში) არც კი ჩასულა,

ლოკინზე (მდინარეა გარე კახეთში,
თბილისის პირას) ეკურთხაო: კაღატ.
უმეცარი, ძალით თანამდებობის მიმთვი-
სებელი.

ლუბი გამხდარი, მკლე საქონელი
(ნ. კ ყ., ვაჟა I, შ ა ნ. კეეს.).

ლუკლუკი, ჩუკჩუკი ჩაჩურჩულება,
ამბის მითანა და ყურში ჩალაპარა-
კება.

ლუნგი ჩლუნგი. „ლუნგი კვა წის-
ქვილისა არ ვარგა, არა მკრის“, ე. ი.
ვერა ფეკავს (ნ. ჩუბ.).

ლურთუნგი მსუქანი ხორცი (შდრ.
კ ყ., ა ლ ა ვ. ლურთი).

ლურ(რ)ხმანი, სოლი თალის შემეკრე-
ლი კვა ან აგური, რომელიც თალის
ცენტრშია. თალს რომ ავლებენ, აგურს
აწყობენ მარჯვნივ და მარცხნივ და
ორივე მხრიდან თანაბრად მიჰყავთ.
როცა კვდელი ერთმანეთთან მივა და
უნდა შეიკრას, აქ უკანასკნელ აგურს
ან ქვას ვერტიკალურად ჩადებენ და
ამით შეიკვრება თალი და გამაგრდება.

ლურტუ კენტი (—ლუწი თუ კენტი)
თამაშია. რისამე მარცვალს ან თხილს
მუკში დაიჭკენ და იკითხავენ: „ლურ-
ტუ კენტი?“ (ლუწი თუ კენტიო?).
ბეორე უპასუხებს: „ლუწი მე“ (ან „კენ-
ტი მე“). თუ პასუხი სწორი გამოვიდა,
მაშინ მოგებულა და ყველ-მარცვალს
წაიღებს; თუ ვერ გამოიცილა, ლურტუ
კენტის მთქმელს უნდა მისცეს იმდენი,
რამდენიც არის გამოსაცნობ მუკში
(ნ ბერ. ლუწოთუკენტი).

ლუსმანა საქონლის სატყვიარია.

ლუჩუნა უნდილივით, ზოთე, უეშმა-
კო ადამიანი (შდრ. წვერ).

ლქენა რქენა, რჩოლა; კაღატ. „რაა
მე ლქინები, ადამიანო?“—რას მერ-
ჩი?

მ

მაამოი შეძახილია, ხარმა რომ მი-
მართულება შეიცვალოს.

მაღევარი ძალი მწვეარი, ძალი,

ნადირს რომ სდევს და მონადირესთან
მოადგება.

მაჯანი სახელის ნაცვალის სიტყვა: მ ა-
ვ ა ნ ი კ ა ც ი ე ს ა და ე ს კ ა ც ი.

მაზა სასურველი საკმელი, დესერტი. „მაზად რაა მირთმევთ?“ „რა მაზა-მაზასა მთხოვ“ (ნ. საბა, ჩუბ., სადათ., გრიშ; შდრ. გურამ., კირ. მაზალო, ბარნ.).

მაზანდა მტეს: ხელია კაცისა.

მაზნეფარი მანებელი, ხარალის მომტანი. „ძალიან მაზნეფარი ადამიანია, სუ იმასა ფიქრობს, ვის რა ვახნიოო“ (ნ. ზნევა).

მათა (კადრაკის თამაშში: მატ? ნ. ჩუბ.): „ძალიან მათა რამეც ვგარი!“ (შდრ. სადათ).

მათრობელა აგაჟ, წყ მონზობელა (ნ.).

მათუო (Chenopodium foliosum) ბალახია (ნ. მაყ; შდრ. ერისთ., ჩუბ.).

მათხაფი მკედლისა და დურგლის იარალი: სახვრეტი, ბურლი, ცებრუტი (ნ. ჩუბ. მათხაზი).

მათხაფ-ქამანი მკედლისა და დურგლის იარალი: ციბრუტი და მშვილდი (ნ. ქამანი).

მაიმაჯი მახინჯი, გონჯი; ფინთი; საძრახისად საჩენებელი. „ქვეყნი მაიმაკი“ (შდრ. საბა, ჩუბ., ცაგ. მაიმახი, ბერ. მოიმახი).

მაკრატელა მხალი მხალია, მაკრატელისებრი ფოთალი აქვს (შდრ. ერისთ., ჭყ., მაყ).

1. მალა ხერხუმლის ძვალი, vertebra, ძაწიოიკ (ნ. საბა, ჩუბ., გურამ. მალი).

2. მალა კალატოხის იარალი: თხელი ქაფჩაა, ბათქაშის იარალი, სახლის კედლების გაჯით სალესი იარალი (ნ. ჭყ.).

მალა ბროწოლი მუქი, ოდნავ მომჟოა-მოტკბო ბროწეული, სასიამოვნოა (ნ. ბროწოლი).

მალალი რბილი, ნაზი, სუსტი; ფუყა (ნ.), ადკლად მეტევი ზე და მისთ.

„ქლიავი მალალი ზეა და მალე ტუდება“; „კბო მალალია“ (ნ. ბარნ., ვაქა I).

მალიათი შეძლება, სიმდიდრე. „მკთენი მალიათი არა აქ, რო მაგი ყიდვა შადლოა“ (ნ. ბერ.; შდრ. ჩუბ.).

მალქაფი/ა წყლის გადასადგები ნიბიბოთ ფიცარი, რომელსაც წისკილის ღარში ჩადებენ ხოლმე (შდრ. ბერ. გადა-სა-გდებულა, შარშ. საგდულაი).

მამალი ანჯამა ჩარჩოზე კარ-ფანჯრის ჩამოსაკიდებელი მოწყობილობის ნაწილი, რომელიც კაპინია და ჩამოთეცება ხოლმე დედამ ანჯამას (ნ.).

მამალი იამანი იამანი (ნ.), რომლის განაქურნეაც შეიძლება (შდრ. დედალი იამანი).

მამალი კოქაქი კარის საკეტი ჩანგალი.

მამალი ნაწილები კარ-ფანჯრისა აგაჟ, წყ ყიდები (ნ.).

მამალი სოლი ურმისა და მისთ. თელის სოლი, რომელიც ორ ფეოსოს გადასაბმელ ადგილას ჩაყრება: ნახევრად ერთში ზის, ნახევრად მეორეში (შდრ. დედალი სოლი).

მამითაღი, მამითაჯი ნადი (ნ. საბა, ჩუბ.).

მამით ერთნი დანი და ძმანი მამით ერთი და დედით სხვა (შდრ. დედით ერთნი).

მამულ-დედული უძრავ-მოძრავი ქონება (ქონება მიწა-წყლიანად) (ნ. საბა, ჩუბ. მამული, დედული).

მამულმშვილი კაცი ვენახის პატრონი (შდრ. ბერ. მამული).

მანა სარი, პატარა მარგილი, ხმარობენ ღობითთვის. საბძლისა და ქოხისთვის (ნ. საბა, ჩუბ., ჯანაშვი. მანადა, სადათ., შან. კევს., ჯავახ. II, 320—22; შდრ. კელმანა).

მანამ სანამ, ვიდრე (ნ. ვაჟა I, III).

1. მანანა სინსლივით (ნ.) წვიმს მზე-ში იენისსა და იელისში. იცის ცაცხვი-სა და კაკლის ფოთოლზე. კინკარზე-დაც. მზეზე ბზინავს. ფუტკარი თაფლად აგროვებს (ნ. საბა; შდრ. ჩუბ., გურამ., ვაჟა I).

2. მანანა პარკის აკრეფის შემდეგ დარჩენილი თითო-ოროლა წვნიკი აბრეშუმის კია. აქედან: გამომანანა ვება (ნ. შარშ. 2 მანანა).

მანანის მანანა მეორედ გამომანანა-ვებს (ნ.) შემდეგაც დარჩენილი მანანა (ნ. 2).

მანგანა მკედლის იარალი: ქანჩი, მოსაქერი. ამას დააქვრინებენ რკინას და მერმე ქლიბავენ (ნ. ჩუბ. მანგანა, გურამ. მანგანი).

მანდალიონი კოჭი სიგრიძე დაწყობილი კოჭი, რომელზედაც იატაკის ფიცარი დაიგება.

მანჭა გუთნის კუდისა და ფრთის შემერთებული ნაწილი, ხის ლურსმანი, რომელითაც ფრთა კუდზეა დამაგრებულ-ლი (ნ. ჯავახ. II, 322; შდრ. საბა, ჩუბ. მანჭვალი, კყ. მანჭი, ბერ. მანჭო).

მანჯანოკი აბრეშუმის ამოსახვევი მოწყობილობა: ტაშტი, ჩარხი და სხვ., აბრეშუმის ამოსახვევი კუსტარული ჯარა (ნ. საბა, ჩუბ., ჯანაშვი. „საინგილო“, 125-6, წყრ. მარჯანიკი, ჯავახ. საფ.-სახ. 126-7).

მანჯანოკის ტაშტი პარკის სახარ-წავი ტაშტი, დიდი სპილენძის ტაშტი, რომელსაც მემანჯანოკებაში (ნ.), აბრეშუმის ამოხვევაში ხმარობენ. პარკს ამაში ჰყრიან, ქვეშიდან ცეცხლს უნთე-ბენ და ხარშავენ და აბრეშუმს ახვევენ.

1. მარაგი ნამგლის ყუა, ნამგლის პირის მეორე მხარე, გარეთა მხარე (შდრ. საბა).

2. მარაგი ზეგებ, ლეც ნარიგი (ნ.). მარაგი ღამე მოდრუბლული თბი-

ლი ღამე (შდრ. საბა, ჩუბ. მარაგი, კირ. მარაგანი).

მარამ მაგრამ.

მარაქა საზოგადოება, შეკრებულობა. „მარაქა ში ვრევი შენცუ“ (შდრ. საბა, ჩუბ., შან. რევენზია, გურამ., ბარნ., საათი, გრიშ., ცაგ.).

მარახოში მომყო. „მარახოში ლინო კარგია ზაფხულში“ (ნ. ჩუბ.).

მარგვა ნათესში სარეველა ბალახის გამოცლა, გამოგლეჯა ხელით (ნ. საბა, ჩუბ. მარგლა, ჯავახ. I, 213).

მარგული ნ. კუი (ნ. საბა, ჩუბ.).

მართული მავთული (ნ. ჩუბ.).

მარილგულად დაფქვა მარცვლეულის მომსხოდ დაფქვა. ასე დაფქულის ცომი რომ ფუვდება, კარგად მატუ-ლობს, ამიტომ რჩეობენ ასე დაფქვას.

მარილის ტირილი სინოტივის ჩაბო მარილის დასველება (ავდრის ნიშნად არის მიჩნეული).

მარილწყალი წყალში გახსნილი მარილი, паясола (ნ. ჩუბ.).

მარტივი ხე მრგვლად, გაუხერხავად გამოყენებული ხე.

მარლი თვალზე ლიბრგადაკრული და ელამი (ნ. საბა, ჩუბ.).

მარწუხი 1. მკედლის იარალი: დიდი გაზია გახურებული რკინის ქურიდან გამოსალეზად (ნ. ჩუბ., გორამ, უდ.); 2. ჯვარდინად გადაბმული ორი ხე, რომელსაც სახლის სათავეს შეუყენებენ ხოლმე, რომ სათავე არ დაინიქოს (ნ. ჩუბ.).

მარწყვის დედა მარწყვის ფოთლები.

მარწყვის ფოთლიანი ჭრელი მარწყვის ფოთლების მსგავსად ამოქარგული სახეები.

მახაბი რუჯული, წიგნი მუსულმანთა რუჯულისა. „შე მასაბ ძაღლო“ (ნ. ბერ. მასაფი).

მასათი მობრტყო ფოლადი ყასბის დანის პირის ასაწყობი (ნ. საბა, ჩუბ.).

მაქვან მასუან, შემდოგ, მერმე (ნ. ჯანა შვ. მასკან, საბა, ჩუბ. მასკან).

მახკვანა მეტსახელია კაცისა, რომელიც ლაპარაკში ხშირად ხმარობს მასკვანს (ნ.).

მახკვლავი ვარსკვლავი (ნ. შან. I, II, ჯანა შვ. მასკულავ, შან. კვეს.).

მახკვლავიანი კრელი წინდა ვარსკვლავებამოქარგული კრელი წინდა.

მახკუნტელა პატარა, პაწაწა რამე. *ماخكنتلا*: „ყველა მიწება-მოწება, მასკუნტელა კუნტია“ (ლიტრა).

მასლაოტი ცელქი; მეტიჩარა მოლაპარაკე.

მასრა ხის მილი, ტიკის წინა მარჯვენა ფეხს აქვს გაკეთებული, რომ აქედან ღვინო ჩამოასხან (შდრ. საბა, ჩუბ., შან. კვეს., ვაჟა III, გურამ.).

მახხალი ოქრომკედლის იარაღი: ჩუქურთმის სახის დასახაზი (შდრ. ჩუბ. მახხალი).

მატიტელა (*Polygonum aviculare*, *птичья гречиха*) ბალახია, ლეროზე მოგრძო და წვრილი ფოთოლია დამსხდარი. როცა შემოვა, მუქი მწვანე და წითელი ფერი აქვს. მატიტელას კრეფენ, კეპევენ, სიმინდის ცომში ურევენ და ინდაურის კუკებს აუმევენ (ნ. საბა, ერისთ., ჩუბ., მაყ. მატიტელა ჩიტისა).

მატაკვეცა შუბსაფენზე (ნ. 1) გადასაკრავი ხორტი. „უწინდელი თავისხურვის დროს შუბსაფენს ზემოდან მატრაკვეცა გადააკვრიან ხოლმე“.

მატყუარა ცეცხლი ნ. ქურდი ცეცხლი.

მაფრაშულად აკიდება საპალნე შედგება ორი ცალისაგან: ერთი საკიდრის (ნ.) ერთ მხარეზეა, მეორე—მეორე მხარეზე. აკიდებამდე თითოეულ ცალს მოორწვრილ (ნ.) თოქში შეკრავენ ისე,

რომ ორ ადგილას ჰქონდეს გადაველებული თოქი. აკიდებისას ჯერ ერთ ცალს მიადებენ ზურგზე გვერდიდან (ხელით უჭირავს დამხმარე კაცს), თოქის წვერები ზურგზე გადაველება და მეორე მხარეს გადაშეება ორ წვერად, დაახლოებით ერთ ფართო მტკაველზე დაშორებით ერთიმეორიდან, მერმე მოიტანენ მეორე ცალს და მიადებენ საკიდრის ზურგს მეორე გვერდიდან, ისე რომ თოქი ქვეშ მოჰყვეს; მერმე ამ თოქის წვერებს ამოატარებენ ცალზე და ჩააბამენ მეორე ცალის გამოწყულფში. ასე აკიდება კონტაც არის და მკვიდრიც, ოღონდ, თუ საკიდარი შეფარახლდა, მოეხდება.

მაფრაშული კრელი მორიელის ფეხებივით ირგვლივ გაშლილი კრელი. ასეთი სახეები გამოჰყავთ მაფრაშებსა და ფარდაგებზე.

მაფრაზი არაკეთილშობილი ფრადი ლითონი: სპილენძი, თითბერი და მისთ. (ნ. ჩუბ.).

მაფრაზი თვალი მორგვეგამოკმული (ურმის) თვალი, რომელშიც ლერძი ლაყლაყებს და თვალი იკლიბაკლო გორავს, კოკლობს (ნ. დამაფრაზება).

მაღალახშიანი მალალი ახვის (ნ.) მქონე ფეხსაცმელი, ფეხსაცმელი, რომელსაც ფეხის გულიდან ფეხის ზურგამდე დიდი მანძილი აქვს.

მაღალთავი ჩიხტა-კაპითა და ლეჩაქ-ბალდადით გაწყობილი თავი; სახეიმო თავდახურვად ითვლება (ნ. ბარნ. მალალი თავის დახურვა).

მაღალი თალი მალალჯიკიანი თალი (ნ. ჯიქა 2), აწეული თალი, ოვალური ნაწილი რომ მალალი აქვს

მაღალ ფარდებში ხიარული ნაწილი. ძალიან აპარტავენობა და თავის გამოჩენა. დიდი მოთხოვნილების მქონეობა (ნ. კირ. მაღალ ფარდებში).

მალლა ქურა ნ. ქურა.

მალლითა ქვა წისქვილისა, ზევითა ქვა წისქვილის ზედა ქვა. ბრუნავს.

მალმური უშნო, გონჯი. „რა მალმური ა, ქა, მაჯა ვინ ითხოვს?“

მაშაყი აგუკა. რე ვარშაყი (ნ.).

მაშირი გზა კარგი გზატკეცილი ვაკეზე. „მაშირი გზაა და სადილობამდე გავა ლაგოდანს“.

მაშირობა ბეჯითობა, გულმოდგინება, მუყათობა. „უმაშირებს ვენას: თოკაბ, ბარვაბ, მარგვლაბ, წამლაბ და სხვა კელ არ აკლებს და მოსავლიც კარგი მაადის“ (შდრ. გამაშირება).

მაშრატელა, ძუძუს/ა ტკივილი ცხვრის სატკივარია: ძუძუ დაუსივდება, აღარ მოიწველის. როგორც კი ცოტათი დაცხრება, მოწველა უნდა, თორემ დაყარდება (ნ.) და მეორე წელიწადს აღარ მოიწველის. წამალი არ იცინან.

მაშრაფათი ნარშარაბი, ბროწეულის ან შინდის წვენი მოდუღებული და გასქელებული. იხმარება მწვადის საწებლად, აგრეთვე ყვლის ტკივილის დროს წამლად (შდრ. ჩუბ. ნაშრაბი, კირ. ნაშრაბი).

ნანაეულარი ერთი წლის ანეული (ნ.). ზაფხულში ხნავენ ანეულს. იმ ზაფხულს დაიწვება მიწა, განოყვირდება, შემოდგომაზე აოშავენ და დათესავენ. ამ ყანას რომ მოჰკიან, მიწას ნანანე-

უღარი დაერქმევა. ანჟული უხვ ცო-საულის იძლევა, ნანაწულარიც კარგ მუსავალს მოიყვანს.

ნაბადა ვაშლი ვაშლის ჯიშია, ძალიან ბევრს ისხამს, თითქოს ვაშლის ნაბადი წაშოუსხამთო, მოწითალოა, გემოთი შუათანაა.

ნაბანგლევი ძველმანი, ნაცვამი ტანისამოსი. „წვირლშვილი ნაბანგლევი თ გამოვზარდე, ახალი არა მიღირსებია რა“.

ნაბარევი 1. ბარში ნამყოფი (ნ. საბა ნაბარები); 2. ცხერის სატკივარია. ბარში დასიცხული ან გასუქებულ ცხვარი მთაში რომ ავა ხოლმე, იქ გამოაჩნდება სიმსუქნის სენი, სახელდობრ: ასვლისას გააცივ-გააცივლებს, დაღონდება, ყურებს ჩამოჰყრის, ბალახის კამას აჰკვეთს და კვდება. ნაღვლიც უჩნდება, ხორცი უყვითლდება. ცხვირს უდალავენ: არჩენსო.

ნაბახურევი (ბახუს - ძველ ბერძენთა ღვთაების, ღვინის ღმერთის სახელისგან ნაწარმოებია) ნამთვრალევი, წინა დღის ნამთვრალეს მერე დღეს რომ შეცვლილი გუნება დაჰყვება (ნ. ჩუბ., გურამ. ნაბახური).

ნაბეჩხარი ნ. ნაოჩხარი.

ნაბია 1. სულ მუდამ განაბული (შდრ. საბა, ჩუბ. ნაბული); 2. ასეთი კაცის მეტსახელია.

ნაბინავარი ადგილი, სადაც ბინა (ნ.) იყო, ნებენაყარია და გასუქებული.

ნაბოტარი დაქოდილი თბა (ნ. ვაჟა III; შდრ. ჭყ.).

ნაბოშარი სხვადასხვა ჯიშის (მაგ., ქართულისა და უცხო ჯიშის) შენაჯვარდინები საქონელი (უფრო ღორზე იტყვიან); გაჯატ. უჯიშო, უხეირო.

ნაბუარი წვნიკი მტვერი, სწრაფი საქმიანობისგან ადენილი. „სუნაბუარი ადინა“ (ნ. ბერ., ვაჟა IV ნაბუარი; შდრ. ცაგ.).

ნაგალო, ნაგალნუგალო ჩალაბულა, ნალეწი ნამჯა, ნალეწი შამბი და მისთ., ბაგაში დარჩენილი საქონლის ნაქამი თივის ღეროები და მისთ.

ნაგერალა/ი დაუთესავად, შარშანდელ ნათეს მიწაში თავისით ამოსული მცენარეულობა. უვარგისია, როგორც ყანა, ისე სხვა მცენარეულობაც (ლობიო, კარტოფილი და მისთ.) (ნ. საბა, ჩუბ., მაც.; შდრ. ბერ. მონაკვერება, შარშ. ნაგერაი, ელ. ანაგერა).

ნაგრობა შეძენა, მორეწვა. „დღე და ღამე ვდგეყარ და სახლითინ ვნაგრობ, ძილი არ ვიცი და დასვენება“ (შდრ. ჭყ. ნეგრო, ნოგრო, ბერ. მონაგრალება, შარშ. ნაგრაში).

1. ნაგული მატყლის ჩეჩისას საჩეჩლის კბილებში დარჩენილი უვარგისი მატყლი (შდრ. კვირწლი, ნ. ჭყ. ნაგული).

2. ნაგული ნ. ხარვეზი.

ნაგურჯალა/ი მონახეჩი ყველი, ცვილი და მისთ. „ვეება ნაგურჯალა ყველი ეკირა კელში და ცარიელსა მკამდა“.

ნაგალი ნამგზავრი, ქვეყანაშემოვლილი ადამიანი; გაჯატ. გამოცდილი ადამიანი (ნ. მოვლილი, ნატარი 2; შდრ. ჩუბ.).

ნაგახი: „შე ნავა სგამქრალო, რატო ამამწყვიტე ვგარე, რატო დამღუპე?“

ნავი საწნახელი.

ნავიხ თავი საწნახლის თავი (საწნახლის თავი და ბოლო ნაწილი).

ნავლი ფერფლი (ნ. გრიშ., სადათ., ვაჟა I).

ნავნები ხარალი, დახარალებული, ვნებამიყვებულნი. „იმამ თუ ხარალი მოუვიდა, შენ კი დიდ ნავნებში შახვედი, აი!“ (შდრ. საბა, ჩუბ.).

ნავსი თარსი, ფათერაკიანი ადამიანი, ვისი დანახვაც ან ვისთანაც საქმის დაჭერა მარცხის მომასწავებელია; ხიფათიანი ადამიანი. „ფოთოლოანთ ბადო ძალიან ნავსი კაცი იყო, ღმერთ დეფეარებინა იმათან აძრახებდა, ქვეყანა დაეკამდა“ (ნ. ვაჟა IV; შდრ. ჩუბ.).

ნავსი დღე ხალხის ცრურწმენით კვიმატი დღე, ხიფათიანი დღე. ნავს დღეებად მიჩნეული იყო: კვირა, ორშაბათი, ოთხშაბათი, პარასკევი და ხანდახან შაბათიც. ამ დღეს საქმის დაწყება არ ვარგაო—იტყოდნენ ხოლმე. სამშაბათი და ხუთშაბათი კარგი, მთელი დღეაო.

ნავლანულა ნაძირალა, დანალექი (შდრ. ჩუბ. ნახლა, ნუხლა).

ნავუქი ერთგვარი ნამცხვარი. მოხელილ ცომს ლავაშავით გააბრტყელებენ, შიგ ჩაუდებენ ნახუქის გულს (ნ.) და გაბრტყელებულ ცომს ნაპირებს შეუოკრეფენ, ერთად მოუყრიან თავს და პირს შეუყრავენ, გადმოთბარუნებენ ამ გუნდას, გააბრტყელებენ და დამრგვალებენ, შემდეგ თორწნი მიაკრავენ და გამოაცხობენ. რომ დაჰხლიან გამოცხვარ ნახუქს, ცხელ-ცხელს წაუსვამენ ერბოს ზემოდან (შდრ. საბა, ჩუბ., ჯანაშვი.).

ნავუქის გული ნახუქში ჩასადები ერბო, ხახვი და ფქვილი ერთად მოშუშული. ჯერ ერბოში ხახვს მოსწვავენ, მარლით შეა ნელებენ, მერმე ფქვილს მოუყიდებენ და მოშუშავენ, დაწითლდება. ზოგი თაფლს ან შაქარსაც უშვრება, მაგრამ ეს არ არის მიღებული.

ნათავარი თავისი ნაქამი, მკენეა, თუ ადამიანმა კ-მა: მოსწამლავსო.

ნათესავის მიყოლა ნ. მიყოლა.

ნათესაობის დაჭერა ნათესაობის გაგრძელება, ნათესაობაში მისვლა-მოსვლა და ურთიერთობის არშეწყვეტა.

ნათობი 1. ახალმოთბული თივა; 2. ბალახმოთბული ადგილი (ნ. ჩუბ., მაც.).

ნაკალაური, ნაკალოარი ადგილი სადაც კალო (პურის საღვწი) იყო გამართული წინათ.

ნაკარტი ნაშთი; გვ.ტ. ნასახი. „ტანისამოსი ნაკარტი არა აქ“—არ აცევა, სულ დახეული ტანისამოსი აქვს; „ძღულები ნაკარტი არა აქ“—სულ გამქრალი აქვს ძმულები.

ნაკაი ხის დაჭრილი ტოტები, ფიჩხი (ნ. ჩუბ.). ნაკაფი ხე ტოტებდაჭრილი ხე.

ნაკაპი ნატყევაო, გაკაფული ტყე (ნ. გაკაპვა, კაპვა).

1. ნაკეთობა გზატყევილი. შარაგზა.

2. ნაკეთობი ცხრილქვეითი (ნ.), ხობლის გაცხრილვის დროს ცხრილში გასული წვნიკი მარცვლი, ბალახის თესლი და მიწა.

ნაკერი ლეჩაქი აბრეშუმის ძაფით შეკერილი საბეებიანი ლეჩაქი, აბრეშუმის ძაფით ნაქარგი ლეჩაქი.

ნაკრევი ძალიან მოკლე მატყლი, რომელიც შეუკალილია კარგ მატყლში. ცხვის კრეკის დროს მოხდება ხოლმე, რომ მონაკრევი ადგილას ხელმეორედ მოხედება დღეჭარდი და გაკრეკს დარჩენილ დაბალ მატყლს. უვარგისია, რადგანაც მოკლეა და ვერ დაირთვება.

ნაკუთალი ფეხისა რბილი ადგილი ფეხისა, ფეხის კუნთი, წვივის კუნთი (ნ. ჩუბ., გურამი.).

ნაკუწების ზოგჯერ სხვადასხვა წვრილი ნაჭრებისაგან შეკერილი ბოლჩა, ქრელია.

ნალბანდი საქონლის დამწალავი, ნალის დამკერეული (ნ. ჩუბ.).

ნალბანდის უღელი ნ. უღელი.

ნალეწი გაოხრებული დობე, ან საქონლის ფეხით გაფუჭებული მოსამკალი ყანა, თივა და მისთ. (შდრ. საბა, ჩუბ., ვაჟა III).

ნალი ქვის კედელში დატანებული სქელი ფიცარი ან თხელი კოკი, რომ

კედელი გადაბახს, შერას და არ გაი-
ბნაროს (ნ. ჩ უ ბ.).

ნაღის გული ცხენის ნაღის ამო-
ლებული შუაგული. ქართულ ნაღს
(ბრტყელი თანაბარი რკინაა) შუა ნა-
წილი გამოლებული აქვს, რომ ცხენს
ფეხისგული (ბაყაყი ნ.) არ აუყროლ-
დეს.

ნალო ურმის უკან მოსაბმელი სიმ-
ძიმე: ფიჩხის დიდი კონა, ხე და მი'თ.
დატვირთული ურმის დაღმართზე ჩა-
მოტანა სახიფათოა, დაგორდება და
გადაბრუნდება, ამის თავიდან ასაცი-
ლებლად ურემს უკან გამოუბამენ ხოლ-
მე ნალოს, რომ ურმის გორება შეანე-
ლოს (ნ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ.).

ნაღფარის ნამგალი (ნ ა ლ ფ ა რ ა
ცხენის ნაღია) დაზოდებული ნაღის
ნამგალი. გაცვეთილ ნაღს დააზოდე-
ბენ (ნ.) და იმისაგან ნამგალს გამოუქე-
დავენ (ნ. ჰ ყ. ნაღ-ფარა; შდრ. კ ი რ.
ნაღფანა).

ნამატი რაც მოემატება: 1. მოზარდ
საქონელს რომ ქონში შავ-შავი კენჭე-
ბივით უჩნდება და შემდეგ ხორცად
ექცევა ხოლმე (ნ. ჩ უ ბ.); 2. წინდის
ქსოვაში რომ თვალს უმატებენ (ნ.
წ ე რ. ნამატები).

ნამაქოვი (ნ ა მ ა ქ ა ვ ი) გა-
ფხვილი ტყავის პირზე (ბაღის მხა-
რებზე) დაყრილი მარილი (შდრ. ჩ უ ბ.
ნამაქიანი).

ნამაქოვს წყალი ნამაქოვდაყრილი
ტყავის გაშვებული წყალი.

1. ნამგალა შავი ფრინველია, მერ-
ცხალზე დიდი, ფრთები ნამგალს მიუ-
გავს, მოკლე ფეხები აქვს, ვერც მიწა-
ზე ჯდება და ვერც ხეზე. თუ მიწაზე
დავარდა, ველარ აფრინდება, რადგა-
ნაც გრძელი ფრთები აქვს და მოკლე
ფეხები. სულ დაფრინავს წაღმა-უკულმა
დიდი სისწრაფით (ნ. ს ა ბ ა, ვ რ ი ს თ.,
ჩ უ ბ.).

2. ნამგალა ნ. მონამგლე (შდრ. ჰ ყ.).
ნამდარევი: ნ ა მ დ ა რ ე ვ ა დ ქ ა მ ა
უბდომლად ქამა, რომ არ გიყვარს და
ხათრით სკამ; ნ ა მ დ ა რ ე ვ ა დ ა ლ ე-
ბ ა რომ არ გინდა და მიინც ლებუ-
ლობ.

ნამდვილი. დედაკაცის კალაპოტი
ფოსტლის კალაპოტი. ფოსტლის შესა-
კერად სულ ორი კალაპოტი ჰქონიათ
ხარახებს: ნ ა მ დ ვ ი ლ ი დ ე დ ა კ ა-
ც ი ს ა და შ უ ა ფ ე კ ი ს ა. პირველი
უფრო მოზრდილი ყოფილა და მეო-
რე—მომცრო.

ნამთევი (ამ სიტყვას ბარში ხმარო-
ბენ მთაში ნამყოფი, მთაში გასუქე-
ბული).

ნამოთკია გაღატ. პატარა ტანის
ადამიანი, ისეთი, რომელიც თითქოს
წყალს ისე ვერ დაღვევს, კურდღელივით
ნამი უნდა ლოკოსო.

ნამღევა ნაბოლარა, პაწია (ნ. ჰ ყ.
ნამღევი).

ნამორი 1. მორად მონაჭერი (ნ.
ს ა ბ ა, ჩ უ ბ.); 2. გამოჩაჩულშემო-
ნაკრები მატერია (შდრ. ჩ უ ბ.).

ნამრუდალი მრუდობით შექნილი,
ნაჭურდალი, მონაპარი.

ნამუხის ბეწვის გაცვიფნა სირცხვი-
ლის დაკარგვა; დიდი სირცხვილის გან-
ცდა. ნ ა მ უ ს ი ს ბ ე წ ვ ი გ ა მ ც ვ ი ვ-
და ნ ი რ ც ხ ვ ი ლ ი ს ა გ ა ნ ძ ა ლ ი ა ნ
შერცხვა; ნ ა მ უ ს ი ს ბ ე წ ვ ი გ ა-
ც ვ ი ე ნ ი ლ ი ა ქ ე ს უ ნ ა მ უ ს ა.

ნამუხის ქული მხურამ ნამუსიანია,
პატიოსანია. „კაცი ვარ და ნ ა მ უ ს ი ს
ქ უ ლ ი მ ხ უ რ ა მ, ს ი თ ბ ო მ თ ი ნ კ ი
არა მხურამ ქული, ნამუსითვინ მხურამ“.

ნამუხის შანახვა საიდუმლოს შენა-
ხვა, განდობილი სიტყვის არგამხელა
(ნ. შ ა რ შ.).

ნამჭერი: ნამჭერი ჭაღაღდის ქათქა-
თებს, სიმშვენიერე, პეწი აქვს. „ჩვენი
სიძე იგეთია, რომ სუ ნ ა მ ქ ე რ ი გ ა-

დაადის“; „შენ კი რაა, შენმა მზემ, ნამქერი გადადის, აი, ჩამამკურმარხარ საცოდავით“ (შდრ. საბა, ჩუბ., კირ. ნანქერი, ნამქერი).

ნამკურალევი თონე პურის გამოცხობისა და დახდის შემდეგ ხელახლა გაუხურებელი თორნე. ასეთ თორნეში ხოგჯერ ხელახლა აკრავენ პურს, მაგრამ კარგად ვერ აცხობს. „ნამკურალევე ხე დავაკარ და არ დამიცხვა პური“.

ნამჯა მომკილ ყანაში დარჩენილი პურეულის ღერო, წველი, თაეთავს ქვეითი ნაწილი (ნ. ჩუბ. ნამჯი, ვეა I, მაყ., ჯავახ. II, 89).

ნამჯობი ნაყანევი ადგილი, ახალგატეხილი ყამირი, რომელზედაც ყანა ეთესა, მოიმყო და ახლა შიგ ყანის ნარჩენია, ნამჯაა (ნ.); განაოზრებული (ნ.) მიწაა და კარგ მოსავალს იძლევა მეორე წელს (შდრ. კირ.).

ნანათი გარიყრაჟი, პირველი ნიშანი განთიადისა.

ნანაჯოგინად მთლად, სულ მთლად. „ნანაჯოგინად დაიკარგა“.

ნანეფი ნეზნყარი მიწა, ალაღებულა. თუ ნოტიო ამინდია, ააყვირებს (ნ.) მოსავალს; თუ გვალვაა, დაწვეს (ნ. ჩუბ.).

ნანი სინანული. ნანი არა მამკეს არ ვნანობ; „გულში ნანად ჩამყვა“.

ნანინატრი ნანატრი, ძალიან სასურველი, ნანდომი. „ჩემო ნანი-ნატრო შვილო“ (ნ. გრიშ. ნანი-ნატრი; შდრ. ჩუბ. ნანატრი).

ნაორმალი ადგილი, სადაც ორმო ყოფილა და მერმე ამოუვსიათ (ნ. ჰყ. ნაორმოვალი).

ნაოჩხარი, ნახეჩხარი (ვენახი) გადა-მხმარი, ამოვარდნილი ვენახი, ვახები აქა-იქლა დგას. რაც მოსავალი მოვა, უმაღლესი ხარისხის ლენო გამოუვა, რადგანაც თხელი მტევანია და ცოტა

და წენიკი მარცვალი ასხია და კარგად მწიფდება, სითხე ცოტა აქვს, შაკარი კი—მეტი. ნაოჩხარის ლენო ნაქებია (ნ. აბეჩხარი).

ნაოქიანი ახალახი წელზე ნაოქი-ყრილი ახალუხი, წინათ იცვამდნენ (ნ. საბა ნაოქიანი, ჩუბ. ნაოქებიანი).

ნაოჯარი ნაქონები. „მამე ჩემი ნა-ოკარი“ (შდრ. საბა, ჩუბ., ვეა I, IV, შახ. II, ჯავახ. სამართლის ისტ. II, 403).

ნაპარხი კანძი, ერთი ცხვრის განა-პარსი მატყლი გადაგრეხილი და გა-მოკრული მრგვლად (შდრ. საბა, ჩუბ.).

ნაპურქულები (შოლოჯ 34.) შიგნეუ-ლი. ნაპურქულები გამაადინა გასრისა, გაქულიტა (შდრ. ნაქაქურები).

ნარაფი დართული (ნ.), ჩალით დახურული (ნ. დართვა).

ნართული არანამდვილი. ნართა-ული დედა დედინაცვალი; ნართა-ული გულშემატკივრობა ცრუ გულშემატკივრობა (შდრ. საბა, ჩუბ.).

ნართი ძაფი ქარხანაში დართული ნ—7 წვერა დაუძახევი ძაფი, გორგლად არის (შდრ. საბა, ჩუბ., გურამ. ნართი).

ნარი (Cirsium) დიდი ველიანი ბალა-ხი (ნ. საბა, ერისთ., ჩუბ., მაყ.).

ნარიხანდი ნ. ნარიმანდი.

ნარიფი, მარაფი, ქნარი კვერის ბრტყელი მხარე. კვერს ორი მხარე აქვს: ერთი ოთხკუთხია ან მრგვალი და ამით კვერავენ, ხოლო მეორე ბრტყე-ლია და ამით მაშინ სცემენ რკინას, როცა მისი გადიდება-დაგრძელება ან გაბრ-ტყელება, ე. ი. გაწვევა (ნ.) უნდათ (ნ. საბა, ჩუბ. ნარიკი).

ნარიმანდი. ნარიხანდი კარისა, და-რაბისა და ფანჯრის ფიქარზე სიგრა-ძივ ამოღებული ნაწიბური, რომელშიც მეორე ნაწილი უნდა ჩაჯდეს და გა-დაეხას, ფაგაჟ (ნ. ჩუბ. ნარიმანდა). აქედან: ნარიბანდიანი.

ნარინჯი ბე ყვითლად საღებავი ბე (ციტრუსი არ არის) (შდრ. საბა., ჩუბ.).

ნარუალი ადგილი, სადაც რუ ყოფილა, რუნატარი ადგილი (ნ. ჭყ)..

ნარყევი ბე ახალგაზრდა ხეს ქარი რომ დაარყევს, სიგრძივ დაიბზარება ხოლმე, ფურჩი (ნ.) გაუნდება (გარედან არ ეტყობა). როცა ასეთ ხეს მოკრიან და მასალად დახერხავენ, ეტყობა ეს ნარყევი. სამასალედ უვარგისია ასეთი ბე.

ნარცეცხლა ეკლიანი ბალახია, ვარდით შინდისფერი ყვავილი იცის, გრძელი მკარატელა ფოთლი აქვს (ნ. საბა., ერისთ., ჩუბ., გურამ.).

ნარცხი: ნარცხის ნარცხი შორეული შთამომავალი. „ცოდვამ ნარცხის ნარცხი მაიკითხა“, ე. ი. ცოდვა შვილიშვილს გამოჰყვავა (შდრ. შარშ. ნართისნართი).

ნახამკლევი მომკალის ქირა პურის სახით, ყანის მკის დროს გასამრჯელოდ გაეცემული ხორბალი. დღეში სამი ლიტრა ხორბალი ეძლეოდა კაცს.

ნახახი კრილობისა თუ იაროს შეუდეგ სხეულზე დაჩნეული კვალი, ყაყამ (ნ. ჩუბ. ნასალი, ა. შანიძე, მნათობი 1942, № 11—12, გვ. 218).

ნახი (— ნავსი?) ფათერაკი. ნახი გატეხა ფათერაკს ასცდა; ნახი დღე ფათერაკიანი დღე. აქედან: ნახიანი (ნ. საბა., ჩუბ., გურამ., შპან I. II).

ნახიბი ბედნიერება. ნახიბი გაატანა პურის ნაწილი, მკირე პური, როგორც სიმბოლო, გაატანა (ნ. ბერ; შდრ. ჩუბ. ნახიბური ვარდის წყალი, ვაჟა IV).

ნახიცხი ნის დაცხუნების გამოტანზე დაყრილი წითელი წინკლები (შდრ. ჩუბ. ნახიცხის მუწუკი).

ნახყო ფოთლიანი ჩაღის გადაწეპი რი

ნახმურტილი უხეიროდ მოხელილი ცომი, შიგ რომ ფეკილის გუნდები და ხელზე მინაკრობი ცომის ნასორსლი ურეგია (შდრ. კირ.).

ნახსხვი ხის დაკრილი ტოტები.

ნატარი 1. ნაკვალევი, ნავალი, სიარულისაგან დაჩნეული კვალი. „ნატარ ბე მივაგენი ქურდი“; 2. ნამგზავრი, ქვეყანაშემოვლილი; გაცტ. გამოცდილი ადამიანი (ნ. ჯანაშვი; შდრ. მოვლილი, ნავალი).

ნატარს აგდებს ისეა დაღლილი, რომ სწორად ვერ გაუვლია, გვერდზე ქანდობა.

ნატეხარი თიხის კურკლის ნატეხი (ნ. კირ., ბარნ.; შდრ. შარშ. ნატეხარაი).

ნატრული მონატრული, რაიმე ნაკლებობის მგრძნობელი, რამეს ან ვინმეს დანატრულებული, ძალიან მსურველი. „წლევანდელი წელიწადი ხილის ნატრულე ბი ვართ“; „შვილი ნახვი ნატრული ვარ“; „შვილი დაკარგვი გამო იგეთ დღეში ჩავარდი, რო სიკვდილის ნატრული გავკდი“ (ნ. საბა., ჩუბ.).

ნაური სერზე პატარა ჩაღრმავებულის ადგილი, რომელიც სიგრძივ ჩამოდის, მაგრამ ხეობას არ წარმოადგენს.

ნაფაზი, ნაფაზის დარტყმა პაპიროსის კვამლის ჩაყლაპვა (ნ. ჭყ., გრიშ; შდრ. ჩუბ.).

ნაფასური ღირებულება, საფასური (ნ. წერ.).

ნაფერალი ფერდების ქონი, ცმელი. ნაფერი მემკვიდრეობითი ნიშანი. შვილს რომ მამის რაიმე ნიშანი გამოჰყვება, მამის ნაფერი იტყვიან.

ნაფეტვარი მიწა, სადაც ფეტვი ეთესა. განაოზრებულა (ნ.) და გასუქებული, კარგ პურის მოსავალს იძლევა; გაცტ. ყოველ ისეთ მიწას, რომე-ანაოზრებულა და გასუქებული

(კაქაზუნის (ნ.) ნამჯობი, ნასიმინდარი, მხესუმხირასეული მიწა და მისთ.), ნაფეტვარი ჰქვია.

ნათყვე ხნულის ერთ-ერთი ნახევარი. მიწის ხენა შემდეგნაირად ხდება: ან შუა ნაწილიდან იწყებენ და გარშემო უვლიან, ან ნაპირებიდან იწყებენ ორსავე მხარეს და თანდათან შიგნით იწევენ. პირველ შემთხვევაში კვალს შიგნით აბრუნებენ, მეორე შემთხვევაში—გარეთ. პირველი შემთხვევის დროს ხნული მთლიანია, რადგანაც გულიდან არის დაწყებული და თანდათან უმატებენ ნახნავს—ერთ დღეს ხნავენ, ორს თუ მეტს; მეორე შემთხვევაში ხნული ორად არის გაყოფილი—გუთნის ატარებისას ერთ მხარეს არის მოხნული, ჩამოტარებისას—მეორე მხარეს, მიწის შუაგული მოუხნავია და თანდათან იხენება. მაგ., მიწა თუ ხუთი დღიურია, პირველ ოთხ დღეს ნაპირებია მოხნული, გული კი დარჩენილია, მხოლოდ მეხუთე დღის დასასრულს დაიფარება ხნულით. ხშირად გლეხი მთელ მიწას ვერა ხნავს, შუაში მოუხნავი რჩება და ამის გამო მიწა განიყოფება სამ ზოლად: შუაში მოუხნავია, რომელსაც ნალარი (ნ.) ეწოდება, აქეთ-იქით დახნულია და მათ ნათეთებები ი ეწოდება. ქიხიყში რადგანაც ბევრი მიწა მოიპოვებოდა და სათემო მფლობელობაში იყო, ამიტომ ყოველი გლეხი ხარობდა და დიდ მიწას დაიკვალავდა (ნ.) ხოლმე, იმაზე მეტს, ვიდრე მოხნავდა, იმ ვარაუდით, რომ, ვინცობაა ოდესმე მეტის მოხენა მოსურვებოდა, შორს ძებნა აღარ დასჭირებოდა მიწისა და იქვე ჰქონოდა ხელდადებული მიწა. ნახნავის შიგნით, ნალარში კი ვერავინ შემოუვიდოდა. ამას გარდა ნალარში მოსული თივაც რამდენადმე ხელდადებულით იყო. ქიხიყში ასეთი წესი თით-

ქმის გაბატონებული იყო, რაც მოსავლისათვის საზარალო ჩანდა, რადგანაც ნალარებს საქონელი ეტანებოდა სამოვრად, თიბის დროსაც შეიძლებოდა ყანის წახდენა და ნათესის გვერდზე უთესი მიწის არსებობა სარეველა ბალახებსა და მინდვრის მანებლებს ამრავლებდა.

ნათყვე (კვერცხი) უმამლოდ დადებული კვერცხი (ნ. კ. ყ.).

ნაქაშურები ქამის დროს ტურებზე გადმოდენილი ნაქამი. ზოგს ლაპარაკის დროსაც ემართება: ქაფი გადმოსდის. ღორმა იცის ქამის დროს ნაქაშურები. „ნაქაშურები გადმადის პირიდან“.

ნაქვიფალი ხელახლა დაქორწინებული კვირი (ნ. ახალბედა; ნ. ჩუბ.).

ნალარი ნათყვეთა (ნ.) შუა მოქცეული მოუხნავი მიწა, რომელიც ზომით ერთი მეტრის სიგანისა შეიძლება იყოს და რამდენიმე დღიურიც (ნ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ.).

ნალვერი მატყლი ხელით გაცლილი, გაგლეჯილი მატყლი. ზამთრის მატყლი ცხვარს წოლისა და სიგამხდრისაგან ეთელება და სცივია და სანახევროდ ზედვე ჰკიდია. გახაფხულზე მატყლს გაკრეგის მაგიერ ხელით გააცლიან ხოლმე, რადგანაც ორიოდ ბეწვლა უჭირავს; ნალვერი ეწოდება აგრეთვე, ცხვრის ტყავს რომ შეაფუცუნებენ (ნ.) და მატყლს გააგლეჯენ (ნ. გაღვერვა).

ნალვერძალი ტურებზე გამონაყარი გაციების გამო. „ტურები ნალვერძლებით აქ სამსე“.

ნალვლობა დარდობა; ზრუნვა, მონარაგება. „კარგი მემცხვარე ზამთრითინ საკობსა (ნ.) ნალვლობს“ (ნ. ჩ უ ბ.).

ნალიტა დაჩაგრული ცხოველი ან ადამიანი (ხბო, ბატკანი, ბავში), პატარაობისას რომ დაჩაგრება და გაუზრ-

დელი დარჩება; გაკ.ტ. ნაბოლარა (ნ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ.).

ნაღმის კოვზი კვის ხერეთისას ნა-ხერეთის ამოსახვეტი იარალი.

ნაყაფულათ გაკეთება საქმისა, სახელდა-ხელოდ გაკეთება.

ნაყინუყი: ნაყინუყით ლაპარაკი უგულოდ ლაპარაკი, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკი, გარდაწყვეტილებასმოკლე-ბული ლაპარაკი. იტყვიან: „რა ნ ა ყ ი ნ უ ყ ი თ ა ღლაპარაკობ, თქვე, რა გინ-და“; „ჩვენებიანთ პურს ვესესხე, დაი-წყვე ნ ა ყ ი ნ უ ყ ი, გემეჯავრა, ავდემქი და წამუელ“.

ნაყოფის გამონახვეა ნ. გამონახვეა. ნაყოჩარი დაყვერილი ყორი. ყორის რამდენიმე წლის შემდეგ დაყვერავენ ხოლმე, რომ ხორცი და ქონი შეიმა-ტოს და სახორცედ გამოადგეს.

ნაშავდღვეი შავი დლით, ტანჯვა-წვალებით მონაგარი.

ნაშალი ნაყარი მიწა (შდრ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ.).

ნაშაქარი ყოფილი შაქი (ნ.), ორნა-ყოლი დედალი ცხვარი. სამი წლის შემდეგ ცხვარი.

ნაშე წყლისგან მიშლამული ადგი-ლი, სადაც ჩაფლობა ადამიანი; ლა-მიანი ადგილი წყლის ქვეშ (ნ. კ ი რ.; შდრ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ.).

ნაშენი 1. ნაგებობა (ნ. ჩ უ ბ.; შდრ. ს ა ბ ა ნაწენები); 2. ნაშიერი, ჩამომ-ვალი. „ჩემი ნ ა შ ე ნ ი სამოცამდე დაი-თვლება“; 3. შიგნული. „ხანჯალი წაუ-ყარა მუცელში და ნ ა შ ე ნ ი წინ დაუ-ლაგა“.

ნაწვიდალი მეშვიდედი. ქვრივს, თუ იგი გათხოვდებოდა, თავისი კმრის ოჯახიდან ვრგებოდა ქონების მეშვიდე ნაწილი. „ქვრივი თუ გათხოვდა, შვი-ლები, რო ყვეანდგე, ნ ა შ ე ნ ი და ღ ი ვ რ გ ე ბ ა“.

ნაშური მორის გვერდიდან ჩამო-ნახერზი, არ არის თანასწორი და ფიცი-რად უფარვისია, горнхлеб (ნ. გ რ ი შ.).

ნახხატი გაცვეთილი ნამჯობი (ნ.) ერთ-ორ წელიწადს დასასვენებლად გაშვებული, омолоетвнй перелог (ნ. მ ა ყ.; შდრ. ჩ უ ბ.).

ნაცარჭათამა (Chenopodium, марь) მხალია, წოწნარ მხალსა (ნ.) ჰგავს და მასთან ერთად იზრდება, ოღონდ ფოთ-ლის ზურგზე ნაცარსავით რალაც თეთ-რად აყრია, პირიდან ღურჯია ძალიან (ნ. ს ა ბ ა, ე რ ი ს თ., ჩ უ ბ., ჯ ა ნ ა შ ე., მ ა ყ.).

ნაცარწმენდილი ნაცარტუტა, ნა-ცარწმელი, მოდულებული ნაცარი, რო-მელიც საპნის მაგივრობას ეწვეა, რო-ცა უსაპნობაა. უფრო ცხარეა და ზოგი რამის (მაგ., ყაქის) მოსახარშავად იზმარება (შდრ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ. ნაცარ-წმული).

ნაცვალგარდა მუშაობა ერთიმეო-რის დახმარება მუშაობაში. რამდენ დღე-საც ერთი უშველის, იმდენსავე დღეს მეორე დაეხმარება (შდრ. მამითადი).

ნაცვეთი სამოსლის ნაფხევი, საშო-სელს ნაოქებსა და ნაკეცებში რომ დაუგროვდება ხოლმე მატყლსავით (შდრ. ჩ უ ბ.).

ნაცილი წერა; ფათერაკი, მოულოდ-ნელი ცული შემთხვევა. „რა ნ ა ც ი ღ ი გამოუარდა, ჭა, რო ვგრე ერთბაშათ დენარცხა“ (ნ. ბ ე რ. ნა-ცილი).

ნაძირი აბრეშუმის ქიის ნაკავი: ცურკლი (ნ.) და ჭაშის შემდეგ დარჩე-ნილი ფურკლის კინწრები. ნაძირს უცვლიან დროდადრო (ნ. ჯ ა ნ ა შ ე. „საინგილო“, 124 ნახირი, შ ა რ შ.).

ნაძრახი ქალი სახელგატეხილი ქა-ლი (ნ. ჩ უ ბ. ნაძრახი).

ნაწვინევი განაცადი, რაც იწვინია. „შენცა გაქ ნ ა წ ვ ე ნ ე ვ ი ვ ს კ ი რ ი“

ნაწიბურა ქსოვილის, მატერიის ნაპირი; ნაპირის ჩანახვევი ერთი-ორი გოჯის სიფართოვისა (ნ. ჩუბ.; შდრ. საბა).

1. ნაწილი ხორბლეულ-ქრთილეული. „დავარდნილ საქონელ ცოტა ნაწილი უნდა აქამო ზამთრობით, რო არ მოგიკვდეს“.

2. ნაწილი დილის საკამადი, საუხუმე, ხვესი (შდრ. ჩუბ., ვაჟა II).

ნაწილიანი მხალი ერთგვარი მხალია.

ნაწილის აღება პურეული მცენარის მარცლის დაბურთვა, მარცვლის გაძლიმა (ნ.). „წლეულ ნოტიო იყო და კი ნაწილი აიღო პურმა“.

ნაწილმოწყალება: „ღმერთო, ნუ გამაძლევ ამ ოჯახში ნაწილმოწყალეება (ზოგი იტყოდა: შენ უხვ-მოწყალეება)“—იტყოდნენ ხოლმე წინათ ბურის კამის გათაგების შემდეგ და თან პირჯვარს გამოისახავდნენ.

ნაწილობა საუხუმობა, წახვევება, დილაადრიან სახელდახლოდ კამა. შემდეგაა სადილობა, სამხრობა, ვახშმობა, სერიკუდა.

ნაწყლევო წყლის ნავალი ალაგი (შდრ. ჟღ. ნაწყლური).

ნაჭაჭურება (მხოლოდ პრ.) შიგნეული. „ყვირილისაგან ნაჭაჭურები გამაიღინა“ (შდრ. ნაპურკვლები).

ნაჭიობი ყაჭი, რაც გამოუვა აბრეშუმის თიხის პარკს ამოხვევის შემდეგ (ყაჭი კეთდება პეპელაგამოსული პარკისა, რომელიც გახვერტილია და არ ამოიხვევა, დაკვლევტილი პარკისა და ამონახვევი პარკის პერანგისა). ნაჭიობზე იციან გარიგება: ფურცლის პატრონი ფურცელს (თუთის ხეს ფოთლისათვის) მისცემს, რამდენიც აბრეშუმის ქიას დასკირდება, და ნაჭიობს გამოართმევს.

ნაჭურკალი 1. ნაჭუქი; 2. თიხის ტურკლის კედელი.

ნახა რახან, რადგანაც, რაკი. „ნახა შენ გინდა, წამოვალ“ (ნ. გურამ.). ნახარნუხარი ნაყარნუყარი (?), გადასაყრელი ნახრავი პური ან ხილი.

ნახევარგურგვალი ქლიბი ოქრომქედლის იარალი: ქლიბია, ცალი მხარე ბრტყელი აქვს და მეორე—მრგვალი.

ნახევარი გილანი ჩახსაკრავისა კრეულის სახე: შუაზე გადაკრილი ნაწილია მიხვეულ-მოხვეული მცენარეული ორნამენტისა, რომელიც ერთ ზოლად წისდევს.

ნახირი მთელი სოფლის მსხვილფეხა რქოსანი საქონელი სამწყემსად თავმოყრილი (შდრ. ხახანახირი; ნ. საბა, ჩუბ.; შდრ. შან. კვეს.).

ნახორმახარი ნამუსრევი, წერილი ნამტერევი, ნახორხალი (შდრ. საბა, ჩუბ., მაყ., ჟღ. ნახორი).

ნახუნაკი ღვინის ძირში დაღეკილი ტუქყი, ლექე, რომელიც ამკაეებს ღვინოს. „ღვინოა ნახუნაკი შაყოლია და დამკაეებულა“.

1. ნაჯადი ნ. კობტონი (ნ. საბა, ჩუბ.).

2. ნაჯადი ამხრალებული რქა, კანგანდილი თუთის ტოტები. რქას (ნ.) რომ აამხრალებენ, ლასტად წინავენ და ქიას შლიან ხედ. სანამ ქია არ გასულა ცახზე და პარკი არ გაუკეთებია, მანამ ნაკადის დაწვა ახ შეიძლებაო: ქია ცოდოაო (შდრ. ჩუბ.).

ნაჯანჭაღვებელი ბევრი ნავალი, ხანგრძლივ ნატარები, მიწყვეტებულ-მოწყვეტებულნი. „მდინარე წყალი ნაჯანჭალევებელია და დასალევედ კარგია, შამრგოა“; კაღატ. კირგამოვლილ ადამიანზედაც იტყვიან და ნატარებ ღვინოზედაც.

ნაჯობნი მჯობნელი, ვინც აჯობა. ნაჯობნი ვარ მიჯობნია (ნ. ჩუბ.; შდრ. საბა).

ნღოზა ერეკციისას წამონადენი სითხე (შდრ. სვან. მანდა 'თესლი').

ნებიერი გუთნის ნაწილი. საცულოე კაჩოზე (ნ.) შოლტკავის (ნ.) ქვეშიდან გამობმული და მის პარალელურად ქვევიდან მიმყოლი ძელი, რომლის მეორე თავი შოლტკავაზეა წნელით ჩამოკიდებული და რომელზედაც არის მობმული შემდეგი საყვეარი. საყვეარი რომ საყვეარს გამოუბან, არ იქნება, რადგანაც გაწევისას წინა ხარები უკანა ხარების უღელს დაბლა დასწევენ და კისერი ეტკინებათ. ნებიერი დაბლაა და საყვეარსა და უღელს არ უშლის, გაწევაში კი შევლის. ამაზეა მობმული დანარჩენი ხუთუღელა გუთნეული.

ნების კვირა ნ. შურის კვირა.

ნებრუცა მეტად ნებიერი, ძალიან განებიერებული. ამ სიტყვით დასცინიან ნებიერს: „ნებრუცა, ნებრუცა“

ნედლი თევზი ახალი, დაუმარჩილებელი თევზი (ნ. ჩუბ. ნედლი; შდრ. კმელი თევზი).

ნედლი ლობიო მწვანე ლობიო, კყინტი ლობიო (ნ. შარშ. ნედლი ლობიო; შდრ. კმელი ლობიო).

ნედლი დუნე, უფხო კაცი. „ჩვენებიანთ გოგია ძალიან ნედლია“.

ნედლობა ნორჩბლახობა შემოდგომაზე ან ზამთარში ნოტიობის დროს (შდრ. ჩუბ.; შდრ. კმელობა).

ნეზე დედალი ლორი (შდრ. საბა, ჩუბ., ჯანაშვი. ნეზ, ულ., ჯავახ. ქართ. და კავკ. ენები, 193—4 და სხვა).

ნეკრა წ. დაულაგებელი, არადარბაიული კაცი; შ. მეტსახელია კაცისა.

ნეკრი ხის წლებანდელი ფოთოლგაცივიწული ყლორტი. ზამთარში საქონელი ჭამს (ნ. საბა, ჩუბ., მაც.).

ნეკი ვახის 2—3 კვირტზე გასხლული რქა (ნ. წერ. ნეკი ვენახისა, ჯავახ. II, 328 და სხვა; შდრ. ბერ. ნეკა).

ნეკის ძაფი გაშლილ ცერსა და ნეკი ამოკეცილი ძაფი, რომელიც შულო-

სავით (ნ.) არის შეგრეხილი. მსხვილი ძაფია, საჩურჩხლედ იხმარება.

ნელა გვიანურა, გვიან რომ მწიფდება (უპირისპირდება ადრეულას). ნელალობით გვიანურა ლობიო; ნელა მოსავალი და გვიანებული მოსავალი (ნ. ჯანაშვი. ნელა, მაც. ნელი).

ნელა მოგებული გვიან მოგებული (ხბო ან ბატკანი,—არა თებერვალში ან მარტში, არამედ აპრილში ან მაისში).

ნელი თონე თორნე გვიან რომ ხურდება და პურსაც გვიან აცხობს. ბენარევა თორნე იცის (შდრ. ბერ. ნელი).

ნემსალაინა „ამერიკა“, ბამბის უბეში ქსოვილი საცულებისათვის.

ნემსის აგდება გარკვევა. „რამთენი ხაჩია, ნემსი არ ამიგდიაო“—თქვა ერთმა თერძმა.

ნემსის წვრილ კერვა ნემსის წვრილ წმინდად აკრეფა და შეკერვა, წმინდა გვირისტი.

ნენა ნელა.

ნენე ქალის სახელია (ნ. ვაჟა III).

ნერბვა, ნერგვა ყოჩისა და დედალი ცხერის სქესობრივი კავშირი (ნ. საბა ნერბუა, ჩუბ., ჯავახ. ქართ. და კავკ. ენები, 182 და სხვა).

ნერბო ყოჩი (ნ.), დაუყვერავი მამალი ცხვარი, სანერბავად არის გაშეებული ხუთ წლამდე (შდრ. საბა, ჩუბ., ჯავახ. ქართ. და კავკ. ენები, 182 და სხვა).

ნერგვა „გაჟი“, ჯი ნერბვა (ნ.).

ნეფე ერეკლის მწვადი მსხვილი ნაჭრების მწვადი, დიდი მწვადი.

ნეფიონი პატარძლიანთას მიმავალი ნეფე თავისი მყარებითურთ. მყარიონისაგან იმით განსხვავდება, რომ მყარიონში ნეფე შეიძლება არ ერიოს, ნეფიონში კი უეჭველად არის.

ნება კილობი ან სქელი პატერიის ჩამონაკრებისაგან დაწნული საფენი (ნ. საბა, ჩუბ.; შდრ. მაც.).

ნიადაგ რუდამ, ყოველთვის (ნ. საბა, ჩუბ.; შდრ. ვაჟა I, III)

ნიაფის დაკვრა გამკრავი ქარის მოხვედრა და შეცოცება ადამიანისა, ავად ხდის. „ნიაფმა დამკრა და გვერდები მტკივა“.

ნიათი: ნიათი გამეღლივა გაღარბდა. აქედან: ნიათგამოღეული უპარაქო ადამიანი, არაფრის მქონე, ღარობ-ლატაკი; ძალაგამოღეული, ყუაუგამოღეული (შდრ. უნიათო; ნ. ქუ., კირ. უნიათო).

ნიგვზის ჩურჩხელა ჩურჩხელა, გულად რომ ნიგოზი აქვს (შდრ. ჩამიჩის ჩურჩხელა).

ნივრის კბილი ნივრის თავიდან გამოღებული ერთი ნაწილი, ნივრის თავი შედგება კბილებისაგან (შდრ. ქუ. კბილა, ბერ. კბილი).

ნიწია ბაკი გაატ. ისეთი შენობა, სადაც ყველას თავისუფლად შეუძლია შესვლა, არაფინ დაუშლის. გადმოცემით ვინმე ნინიას ჰქონია ისეთი ბაკი (ნ. 2), სადაც ყველა თავისუფლად შედიოდა (შდრ. წერ. ნინიას ბალი).

ნიორწყალა მეტად საღარბო შექამანდია: ნიორი და წყალია მაილით შეხავებული. მიწოდორში, ყანაში, იციან ამის ქამა, გრილია.

ნიორი წესი, რიგი, ზნე. „ერლი ბეწონი რი ვერ შეუწხივა“; „ნიორი ჩუ ეცლება“ (ნ. ქუ.; შდრ. საბა, ჩუბ.).

ნიხლა ნისლისფერი, მოთეთრო „მოღურჯო“ ხარის სახელო (ნ. ვაჟა I).

1. ნიტრა აგეკ, ზღე ლიტრა. საწყაოა, ხისა, მრგვალი, 13 გირვანქა ხორბალი ჩადის (იმისდა მიხედვით, თუ როგორ არის გავსებული, გარჩეულია: გადასმული ნიტრა, გატენილი ნიტრა, თავმობმული ნიტრა, სილაზე

სავე ნიტრა, ფიფქლოც საესე ნიტრა) (ნ. ჯაეა ხ. საფ.-სახ. 71—73 და სხვ. ლიტრა).

2. ნიტრა ლიტრა, პატარა ხელადა თიხისა, რამდენადმე მომალლოა, ძირი ფართო აქვს, ყელი მაღალი, პირვიწროა, ყურიანი, ჩადის ორი ლიტრი (ნ. ბერ ნიტრა:ე-ე).

ნიქვთი ძვირფასი ნივთი (შდრ. წერ, ელ.); აქედან: ნიქვთეული განძი, ზინეთი, საღარო.

ნიღნიღი ცხვირში ლაპარაკი, ჯუჯღღუნა. აქედან: ნიღნიღა ცხვირში მოლაპარაკე ადამიანი, ჯუჯღღუნა (ნ. ჯანაშვი. ნიღნიღა).

ნიღრი წალდის ცხვირი (შდრ. საბა, ჩუბ.).

ნიშანი 1. აბრეშუმის ქვის მიერ მთელ სახლში პირველად გაკეთებული პარკი; 2. ბელგა (ნ.), საპატარძლოს დანიშნის დროს სასიძოსაგან მირთმეული საჩუქარი: ბეჭედი. საყურე და მისთ. (ნ. ჩუბ, ჯაეა ხ. სამართლის ისტ. I, გვ. 162).

ნიშაქი ხევის, ცოტა რაზე დასაბაქრებელი, მცირე საქმელი.

ნიშნის მიგება საყვედური. „ჩემი ღედამთილი ეზლა დგაა და ნიშანს მიგებს, ხო გითხარი. ნუ წახელო“ (ნ. ჩუბ. ნიშნის მოგება, ვაჟა I ნიშგებით; შდრ. გურამი).

ნიჩურე ღორის დინკი (შდრ. საბა ნიჩერი, ჩუბ ნიჩერი).

ნიხაჩო ფარეში, ხის ლურსმანი ორი ძელის გადასაბმელად დარქმული.

ნიჯგვა ცხვირგანიერი და ნოლა (ნ.) ადამიანი.

ნობათი ჯერი, რიგი. დიდ ოჯახებში რძლებსა აქვთ ნობათი შემოღებული: ერთ დღეს ან ერთ კვირას ერთი დიასახლისობს, მეორე დღეს ან კვირას—მეორე და ა. შ. (ნ. საბა, ჩუბ; შდრ. გურამი).

ნობგარი ნ. ნუგბარი.

ნოლი ნორჩი. ნოლი ბალახი ნათიბში აედარზე ახლანოსული ბალახი, მოლი, ნორჩია, ნოყიერი (ზდრ. კყ., ბერ. ლორდი, ნორდი).

ნოტო (ცხვრის) ფარის ან ნახირის ერთი ნაწილი, ერთი ჯგუფი. ნოტო-ნოტო ნაწილ-ნაწილად, ჯგუფ-ჯგუფად (ნ. ბუქურ.; ზდრ. მაკალ. მთიულეთი, 131).

ნოქარი: ნოქარი აყრია კარგ ბედშია.

ნოლა პაქუა ცხვრის წვერი ზემოთ რომ აქვს აწეული.

ნოჯო ცხვრჩაწეული, მსხვილტუჩებიანი და ლოყისთავებამოწეული ადამიანი.

ნობრევა ვასვას ც (ნ.), კარგი ქსოვილის ტანისამოსი ადამიანის სიარული-

სას ზღვასავით რომ ღელავს და ნაირ-ნაირად ბრწყინავს. „მუხაზი შალი ჩოკა მუდამ ინსხრევა“.

ნუგბარი, ნობგარი ნორჩი (ზდრ. საბა, ჩუბ., კირ. ნუგბარი, მაყ., ცაგ.).

ნუკარჩიკო არშინასავით მოსავლები იყო ტანისამოსზე.

ნუქო ბადალი, მაგიერი. „განა ეგ ამის ნუქოთია?“

ნუშის გული ნუშისნაირი კრელის სახეა: ხშირად რომბის ან კვერცხის სახეს იღებს.

ნუხის ნალი ქ. ნუხიდან გამოსული ნალი, ცხენისა, ფურცლოვანი რკინისა, ბრტყელი, გლუ, გული დიდად აქვს ამოქრილი, რამ ცხენს ბაყაყი (ნ.) არ აუყროლდეს და არ გაუფუქდეს ჩლიქი, განთქმულია.

ღ

მალა (თურქ. იალლაა 'ღმერთი შენთან იყოს'), გაღატ. წადი, გაიქეცი. „მალა უთხარ“; „აბა, მალა, სანამ ათ დაკოვლი, აქ გაჩნდი“ (ნ. ბერ. იალლაა).

მანა კარ-ფანჯრის გვერდის ფიცრები, რომლებიც ჩარჩოს წარმოადგენს კარ-ფანჯრის გულისათვის.

მანა-მანა ხიარული გარე-გარე სიარული. „რა მანა-მანა დახვალ, საღამოზე შინ არ მოხვალ, მაშინ გაჩვენებ შენ სვირ!“

მანი თართისა და ტარაღანის ქვირითს ზემოთა ნაწილი, თხელფერდი (ზდრ. ქრეში-მანი).

მარამაწი (თურქ.) უვარგისი; ცუდი; თავქარა, ოხერი, დარდიმანდი.

მახა (თურქ. yaka 'საყელი') ნ. მოსავლები (ზდრ. გრიშ. იახა).

მონაჯახი ნალბანდის იარალი: ჩლიქის სათლელია.

მაუშა შეძახილი ძაღლის წასასისინებლად, დასატყვად.

ო

ობაყალი, ობაყლური (ნაწარმოვბია ადგილის სახელისაგან ობაყალი, სოფ. ბოდბისხევის ბოლოზე, სადაც მშვენიერი ვენახები იყო) ვახის ჯიშია, ხიხვსა (ნ.) ჰგავს, მოყვითალო ყურძენი

იყის, კარგია (ნ. ჯავახ. II, 409, 498 და სხვ.).

ობლის კვერი: ანღაჰაჰა: „ობლის კვერი ცხვაა, ცხვაა, გვიან გამოცხვა, მაგრამ კარგად გამოცხვა“, გ. ი. ობ-

ლის ხვედრი ძნელია, მაგრამ ბოლო კეთილიაო.

ობოლკვერი ერთადერთი კვერი.

ოგური ახლო ნათესავი, თავისიანი; შეჩვეული (?). „კაცმა თავისი ო გ უ რ ი უნდა იცოდეთ, თავისიან უნდა აცნობდე, თავისიან და უცხოა არჩევდე“ (ნ. დოგურემა; შდრ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ.).

ოდი სინოტივისა და სთბოხსაგან წანახდენი პურის სოკო (ნ. ს ა ბ ა, გ რ ი ს თ., ჩ უ ბ.; შდრ. გურამ.).

ოდიგარი (ფშავლებში მამაკაცის სახელად გამიგონია) ნ. ომი და ოდიგარი.

ოდიფერი (ოდოში-ლერი) არასრულად დამწიფებული პურეული, ნახევრად ხმელი, ჭანარი (ნ.; ნ. ოდოში).

ოდოში სანახევროდ შემოსული ყანა. ერო-ორ ხელეურს მოჭრიან ხოლმე, ცეცხლზე მოტრუსავენ, მარცვალს გამოარჩევენ, ცოტათი მოხალულია და ჭამენ. გემრიელია. იციან გახაფხულზე, როცა ძველი პური გამოლეულია და ახალი ჯერ შემოსული არ არის (ნ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ., ჭ ყ., მ ა ყ.).

ოდრუგელა 1. ცინგლიანი პატარა ბავშვი (შდრ. ჭ ყ. ოდრიკალი, კირ. ოდორგელა); 2. პირმსუქანი პატარა ბავშვი.

ოდური ხახლი ნ. მოხვეული ხახლი. ოთხში ნესვი ნესვის ჯიშია (ნ. ჩ უ ბ.).

ოთხ გზად მოტანა ნ. ორ გზად მოტანა.

ოთხშალალო ოთხშაბათი (ნ. ორშალალო).

ოთხშაშვებული ნ. შაშვებული.

ოთხა ჩოხა-ახალუბის უკანა შუალა კალთა, რომელიც ბეჭებთან ერთად მთლიანად არის გამოჭრილი.

ოლე კუანტიან (ნ.) ადგილში ტალახის გუბე ან ტალახის „მდინარე“ (ნ. ჩ უ ბ.).

ოლოლო! ~~პა-ს-კ-ე-უ-ლ-ა~~ ნიშნის მოგების გამოსახატავად. ადამიანს რამეში მარცხი რომ მოუვა, ეტყვიან: „ოლოლო შენ!“ „თუ კაცი ვარ, ორმოცი უნდა იყოს. ოლოლო შენ, მე გამოვიცან“ (ი. ჭ ა ვ ე კ ა ვ ა ძ ე, „პაცია-ადამიანი?“ ნ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ.).

ოლოპოქე მეტსახელია კაცისა.

ოლლუნი ხეა. ნარინჯისფრად ღებავს ბაწარს (ნ.).

ომი და ოდიგარი ბრახიანი, მოჩხუბარი, ბურტყუნა ადამიანი.

ომ-ომ ნ. ვომ-ვომ.

ონა ერთგვარი ფრინველია (?). „ონა ს ა ვ ი თ ღვეცა გზირი და ააფორიაქა სოფელი“.

ორანა სასოფლოდ დატოვებული საძოვარი.

ორ გზად მოტანა (ან წალემა) ტვირთის ორ თანაბარ ნაწილად გაყოფა და ორ ტვირთად მოტანა. იტყვიან: ს ა მ გ ხ ა დ მ ო ტ ა ნ ა, ო თ ხ გ ხ ა დ მ ო ტ ა ნ ა და ა შ. „ორ გ ხ ა დ მ ო ვ ი ტ ა ნ“.

ორიანი კარი კარედი, ორი კარი შუაზე რომ იღება (შდრ. ჩ უ ბ. ორიანი).

ორი მგზავრობა ორჯერ მისვლა და მოსვლა. „ორ მ გ ხ ა ვ რ ო ბ ა ხ ე ა მ დ ე ნ ი და ა მ დ ე ნ ი მოვიკ“.

ორისა აბრეშუმის ქიის კანის გამოცვლა მეორედ (აბრეშუმის ქია ოთხჯერ იცვლის კანს. ნ. „ერთისა ამოვიდა“, სამისა, ქერქისა).

ორკაბა ბოძი დიდი ბოძი, თავი ორად აქვს გაყოფილი, განტოტილია (ტოტები გადაჭრილია, ასე რომ ყბარჩება). ამაზე უდებენ ძელებს, კოჭებს (შდრ. ჩ უ ბ. ორკაპი).

ორმაგი წინდა ორპირი წინდა. გართა პირი კარგად იქსოვება, კრულდება ოლონდ, შიგნითა პირი კი იქსოვება ხვეულად (შდრ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ. ორმაგი).

არმოვლილი ნ. მოვლილი.

არმოთბა საბავშვო თამაშობაა. კაკალს თამაშობენ ორმოში: ერთი ორმოზე ღვას, ორმოს დედა, მეორე მოშორებით ორმოში კაკლებს ისერის. თუ გარეთ წყვილი დარჩა (ორი, ოთხი და სხვა), რამდენიც შიგ ჩაცვივდა, იმდენი უნდა ჩაუყაროს ორმოზე მდგომმა (დედამ); თუ სულ ჩაცვივდა, მაშინაც აგებს დედა იმდენსავე; თუ გარეთ კენტი დარჩა (ერთი, სამი და სხვა), მაშინ ორმოზე მდგომი იღებს ორმოში ჩაცვივულ კაკლებს (ზოგ სოფელში წინაუქმოა). რომელიც იგებს, ის რჩება ორმოს დედად (ნ. კირ.).

არმოცე მიცვალებულის დამარხვიდან მეორმოცე დღე, როცა ქირისუფლები მეორედ მივლენ საფლავის სანახავად და სატირლად (ნ. შარშ.; შდრ. ჩუბ., შდრ. თაუზე, სწორო, რიგი).

არნაყოლი ორჯერ მონაგები ფუარი, ცხვარა, ორზე მეტი რომ ჯერ არ ჰყოლია.

არხ ნალბანდის იარალი: ლურსმნის საწვეპი პატარა გრდემლია (ნ. ბერ. ორსი).

არტყუპა ნ. ტყუპი.

არღობე სოფლის გზა, ორ ღობეს შორის მოქცეული გზა, აქეთ-იქით ბალ-გენახები და სახლები აქვს (ნ. ჩუბ.).

არშალალა ორშაბათი. დღეების სახელებია: ორშალალა, სამშალალა, ოთხშალალა, ხუთშალალა, პაალალა, შალალა, ყვინტილა.

არშაშვებული ნ. შაშვებული.

არწვერა ქვის გასაკოპიტებელი (სათლელი) იარალი, ორსავე მხარეს წვეტიანი წვერი აქვს.

არწვერი ბაწარი წმინდა ბაწარი (ძაფი), დაძახული ორი წვერი ნართით. ასეთი ძაფით საბაზრო წინდა იქსოვება (ნ. ჩუბ. ორწვერი).

არწვერი წინდა ორწვერი ბაწრის (ნ.) წინდა. თხელია, არ არის მკვიდრი, საბაზროა.

არხაზიანი კალაპოტი ნ. ერთხაზიანი კალაპოტი.

არხუა დიდი ხალიჩა (ნ. საბა, ჩუბ., შაპნ. I ორხოვა, ორხოა, გრიშ. ორხოვა).

არჯელაღიანი ღვინის ჭურჭელია თიხისა, ძირგანიერი, მუცლიანი, დაბალყელა, პირფართო, ცალყურიანი (შდრ. კელადა).

არკენწიფე დიდი ხელმწიფე, მეფეთა მეფე. „რა იყო, შენ კი ორკენწიფე მყევხარ, რო არა აკადრულობ, თუ?“

არჯამიანი დიდი თიხის ჯამი ორი ჯამის ტევადობისა.

არხალის ფოლადი კუთხიანი ფოლადი იყო, კარგი, საჭერი (ნ.) იარალი სათვის ძალიან გამოსადეგია.

არხატე საერთოდ მასწავლებელი, კერძოდ კრა-კერვისა და წერა-კითხვის მასწავლებელი ქალი. წინათ კრა-კერვისა და წერა-კითხვის მცოდნე დიასახლისთან სწავლობდნენ ახალგაზრდა ქალები. „მე იმისთანა ოსტატს გიშოვნი, რომ უფულოდ გასწავლოს“ (ი. კავკავაძე, „გლახის ნამბობი“; ს. სოფრ. მგალობლიშვილის „მოგონებანი“, გვ. 33—34; ნ. საოსტატო; ნ. ჩუბ.; შდრ. საბა).

არტოველა, ჰოტოველა ხეარე, რეგენი, გაუგებარი ადამიანი (ნ. ბარნ.; შდრ. ტყ. ოტროველა).

არფეტი წყრთის ოდენაზე (დაახლოებით 0,5 მ. სიგრძეზე) დაქრილი ნედლი შეშა, რომელსაც ნახშირის ქურაში ჩაჭერიან ხოლმე ჩასაქრობად (ნ. საბა; შდრ. ჩუბ.).

ოფი (*Populus nigra*, осокорь, черная тополь) ხეა (ნ. საბა, ერისთ, ჩუბ., მაყ.).

ოქანსოქანი პირში მაქებარი.

ოქლაქი ნ. ოყლაყი.

ოქროჲ ყურძენი ვახის ჯიშია, ხიხე-სა (ნ.) ჰგავს, მოყვითალო ყურძენი იყოს (ნ. ჯავახ. II, 410 და სხვ. ოქროს-ყურძენი).

ოღიაჩოღია მიკიბ-მოკიბვა. „მე ოღიაჩოღია არ ვიცი, პირდაპირ მითხარი“.

ოღური (?): „საწყალ ჩვენებიანთ გოგიაჲ, რაც ცოლი მოუყვდა, ოღური ი ვეშალა, აღარსად უდგება გული“.

ოყლაყი, ოყრაყი, ჩოყლაყი, ოქლაქი უშნო და ახმახი, ზორბა ტანის ადამიანი, აყლაყუდა, *версия* (ნ. ბერ., აღა ვ. ყლაყი).

ოყრაყი „გაჲ“, ჯაც ოყლაყი.

ოშოშა (*Glechoma hederacea*, ნყა-*ра*) ბალახია. ძროხის ჭონში მოშუშულს დაეყილის წამლად ხმარობენ (ნ. საბა ოშოში, ერისთ., ჩუბ. ოშმეშა, ოშოშა, მაც.).

1. ოჩხი ავაჲ, ჯაც ოჩხარი (ხევს. ოჩხხარი). გაკირვებული კაციისათვის დახმარების აღმოჩენა. გლეხი ქეიფს გაუმართავედა მინდორში მეცხეარებს და ისინი არუქებდნენ ცხვარს, მატყლს. ზოგჯერ დახარალებულ მეცხეარეს სხვა მეცხეარეები გაუმართავედნენ ოჩხს, დაპატივებდნენ ახლომალო ბინებიდან ყველას და ისევ აღუდგენდნენ ცხვარს (ნ. ჩუბ. ოჩხარის გაბუჟრის, კევს. მასალეები, 129—130, მაკალ. თუშეთი, 101; შდრ.: ბერ. ოჩხარი).

2. ოჩხი ფაცერი, თევზის საჭერი ლასტა. წყალში ლასტი ისეა გავლებული, რომ თევზი გადის გადლობილში, ხოლო

უკან ველარ ბრუნდება. ხანგამოშვებით შედიან და იპერენ თევზს (შდრ. საბა, ჩუბ.).

ოხება ნ. გულის მოხება, გულის მოჯერება (საქმლით, ლანძღვა-გინებით, ტირილით). „კარგა ვიოხე გული იმი ლანძღვით“; „გული ვიოხე ტირილით“.

ობროხოში (*Petroselinum sativum*, *петрушка*) ოხრაბუში (ნ. საბა ოხრაბუში, ერისთ. ოხროხოში, ჩუბ. ოხრახოში, ოხროხოში, მაც. ოხრაბუში).

ობტი: ოხტი მოხვლა ნაცვლის მიგება, სამაგიეროს გადახდა, შურისძიება, ჟინის ამოყრა. „შენ ოხტი ში მაინც მოვალ“; „შენ ოხტი ში კაცი ვერ მოვალ“ (ნ. ჩუბ. ოხტიში მოხვლა, ბერ. ოხთი, ოხტი, ცაგ.).

ობჟუმი მეგობარი, დოსტი. „ესა და ბებია ძალიან ოხტი შები არიან“ (შდრ. გრიშ. ოხტიშობა).

ოჯერმოჯერი დარდიმანდსავით. „ძალიან ოკერ მოკერი იდგება (= იხრდება) ჩვენი ბიჭი და არ ვიცი, რა უყო“ (შდრ. ვაჲ I ოხერ-მოხერები).

ოჯრად 1. ავაჲ, ჯაც ოჯრად; 2. ბლომად; ძალიან იყად. „ყველაფერი ოკრად არი“.

ოჯრება: აჯრია ბლომად აქვს. „ცოტა აჯრი ია?—გადაკდევინე“.

ოჯაქური ოჯაქური, ოჯახდაქციული. „შე ოჯაქური, მეტყობი და მოიტანდი, რადიდი რამეა იმი მოტანა?“ (ნ. ვაჲ IV ოჯახ-ქორი).

ოჯახიშვილი ბევრი ცხვარ-ძროხის პატრონი, ძამარავალი ოჯახი; გლეხ-მდიდარი, შეძლებული.

3

პაალა პარასკევი (ნ. ორშალა-ლა).

პაატუნა პატარა, პაწაწინა, ძალიან პატარა (შდრ. ბერ. პატაჩინა).

პაიმიანი პაემანი, შეპირებული დრო. „შენი ჭირიმე, ეგებ ამა და ამ პაიმან ხე უეჭველად მოხვიდე“ (ნ. საბა, ჩუბ.; შპნ. I, 11 პაემანი).

პაკური მამაკაცის საკუთარი სახე-
ლია.

პალანი, ფალანი ვირის კურტანი.
ტილოში შეკერილია ბზე, სქელი, კუბიან-
სავით, შუაში ჩაზნექილია ტვირთის და-
სამავრებლად. აქედან: საპალნი ერთი
ტვირთი; გაჟ. საწყაოს ერთეული
(ნ. ჩუბ., ჯაგახ. საფ.-სახ. 75—76;
შდრ. საბა).

პალდუში, ფალდუში პალნის (ნ.)
„საძუე“, ოლონდ ეს სახედარს (ვირს) კუ-
დის ძირში კი არა აქვს ამოდებული,
არამედ ბარკლებზეა მოდებული და შე-
მოსდევს გაეახე; ორივე წვერი პალან-
ზეა დამაგრებული. კუქუხობე (ნ.) გარ-
დიგარდმო გადავლებული აქვს თასმა,
რომლის წვერები დამაგრებულია პალ-
დუშზე გაეასთან, რომ პალდუში დაბ-
ლა არ ჩავარდეს და ფეხებში არ მოე-
დვას (შდრ. საბა, ჩუბ.).

პამპლაუშობა ყოყლოჩინობა, ამ-
პარტაენობა, амаптио (ნ. ბარნ. პაპ-
ლაუქობა; შდრ. საბა, ჩუბ. პამპლა-
ვაქი, შარშ. პაპლაუქი).

პანტა მსხალი მსლის ჯიშია, წვრი-
ლი, ზაფხულში მწიფდება (ნ. საბა,
ერისტ., ჩუბ., ვაჟა I, შაყ; შდრ.
შაჰ. I პანტა).

პამლაყვერა ნაცარქვეჩა ადამიანი,
სულ რომ შინ ჯდომა და ტრაბახი
უყვარს.

პატა პატარა, ცოტა, მცირე. „პა-
ტა პური გამიკოხზე“ (ნ. ჩუბ.,
ჯანაშვი. ვაჟა III).

პატარა ბოლი ნ. ბოლი.

პატარა ზურჯი, ზურჯულა ბავშვის
წამოსაკიდებელი თივის ან ფიჩხის
ტვირთი.

პატარა მუცელი მუცელი სარცხვი-
წელსა და კიბს შუა, ბოქვენი.

პატარა ღირღობა აგაჰ, 40 კვლის
ღირღობა (ნ.).

პატარძლეს მოხართავი ოსტატის

(ნ.) გასამრჯელო, საოსტატო (ნ.). ნე-
ფე რომ პატარძლის წასაყენად და
ჯვარის დასაწერად მოვიდოდა მყვრიო-
ნით, მორთულ პატარძალს თავისი ოს-
ტატი ჩაჰყეტავდა სახლში და არ გა-
ატანდა საამისოდ მიგზავნილ ნეფის
მეჯვარეს, სანამ, რაც მიღებული იყო
წესად (3—5 მან.), არ გადაუხდიდა ოს-
ტატს (შდრ. ჩუბ. პირის-მოსართავი).

პატივი კოკაობისას მოგების ორი
ქულა. ერთგვარი კოკაობისას ორი
მსხდომარე ბავშვი თამაშობს, ორივე
მხარე თანაბარი რაოდენობის კოკებს
ჩამოდის 3—3, 4—4, 5—5 და ა. შ.
ვისი ჯერი იქნება, ის ჰყრის. თუ ერ-
თი ალჩუ დაჯდა, ჩუჩგენი (ნ.)
ჰქვია და ერთი ქულაა; თუ ორი—
პატივი და ორი ქულაა; თუ სამი—
ქიშია (ნ.) და სამი ქულაა (იგებს
ქიში). თუ თოხანი მოვიდა, მას წვე-
პენ (ნ.) კოკებს ჯერ-ჯერით ჰყრიან,
ქულები ინახება. ვინც ადრე აათავებს,
ე. ი. ქიშს რომელიც უწინ იტყვის,
მოგება მისია.

პატულანა ბინძური, კუპყიანი, ფეო-
ხუმი (ნ.); უსაქმური.

პაჩი კოცნა ბავშვის ენაზე (შდრ.
ჩუბ., კირ.).

პაწკო პაწია ბავშვი, ჩვილი ბავშვი,
პეპელა ცხვრის სენი: ბრტყელი
კია უჩნდება ღვიძლში. კაობიან ალაგ-
ში ძოვამ იცის. ხმელი ბალახის კამა-
ზე გამაჩნდება ცხვარს შემოდგომაზე
ან ზამთარში. უეტრივ ალკვეთს კამას
და კვდება. ქიხიყში წამალი არ იციან
(ს. მაკალათიას ცნობით, თითქოს თუ-
შებს სცოდნიათ წამალი, მაგრამ ჩემი
თუშური მასალების მიხედვით არც თუ-
შებმა იციან. ნ. შაკალ. მთიულეთი,
57, თუშეთი, 61, ბერ. პეპელა/ვ-ა).

პერანგი ამოხვეული (გამოხდილი)
პარკის ნარჩენი, რომელსაც ცოტაოდენ-
ნი აბრეშუმი კიდევ აქვს. ყაჰად (ნ.)
ნარშავენ.

პერანგის გული პერანგის წინა კალთა.

პერანგის შამდეგი, შამდეგო ქვედა-საცვალი, პერანგის ამხანაგი.

პერწენიკი ნ. პეწენიკი.

ბეშვი: ერთი ბეშვი საწყაოდაა მი-ღებული წვნიკი თესლეულისათვის, მაგ., ხახვის თესლისა და მისთ. რაც კურ-პელსავით მომრგვალებულ ცალ ხელზე თავშობით დაეტივა, ის ერთი პეშ-ვიცა (შდრ. საბა, ჩუბ.).

ბეწენიკი, პერწენიკი კობტა, კეპე-ლა, კეპეწია (ნ. კე. პეწენიკი; შდრ. ალაკა. პეწენიკობა).

ბუწი შნო, ლახათი; პრიალი (შდრ. ჩუბ., კე.).

პიი-პიი ინდაურის ქუცების დაძა-ხება დასაპურებლად.

პილატეს ცრემლი გაც. არაყი (ნ. ბარნ.).

პილი პირი (ნ. კირ.).

პილიპური ნ. პირიპური.

პირადი კაცი პირში მართლის მთქმელი კაცი, პირამთქმელი, რაც გულში აქვს, პირში რომ ეტყვის (ნ. საბა პირადობა).

პირაოში პირში მთქმელი, მოური-ღებელი მოლაპარაკე.

პირახალშართი აღმართი. ზოგან ეს საკუთარ სახელადაა ქცეული; მაგ., სოფ. ქვემო მაჩხანსა და ტიბანს შორის არ-სებულ აღმართ გზას პირასაღმართი-ჭქვია (შდრ. პირშაღმა; შდრ. საბა პირ აღმართი, აღმართი, ჩუბ. პირ-აღმარ-თი).

პირბუტაყი პირმრგვალი და პირ-მსუქანი ადამიანი, თანაც არაუშნო (ნ. ბუტაყი; ნ. ჩუბ. პირ-ბუტაყი).

პირგურგალი, პირგურგვალი, პირ-მგურგალი მრგვალი სახის ადამიანი.

პირველი ღამე ღამის პირველი ნა-ხევარი, 10-12 ს. პირველი ღა-მის ძილი მაგარა და ქურდიც მაშინ ცდილობს*.

პირთავკვე თავდაღმართი, თავკვე, ზემოდან ქვემოთ. „კამჩებმა ურემ თავი ველარ დაუჭირე და ურემი პირ-თავკვე დეშვა“ (ნ. ვაჟა III, IV).

პირთხელი თხელი პირისახის, გამ-ხდარი სახის ადამიანი.

1. პირი ნ. ტყავის პირი.

2. პირი შუშა 3/4 არშინზე დახერხი-ლი და ერთ საყენ სიგრძეზე და სიმა-ღლეზე დაწყობილი. 4 პირი ერთი სა-უენია.

პირის გამოხანხვლა ნ. გამოხანხვლა.

პირიშვე სამხრეთისაკენ პირმიქცეუ-ლი მიწა, მხიანი ადგილი (შდრ. პირ-ჩრდილი; შდრ. ვაჟა I, III, IV პირ-მხითი).

პირიპური, პილიპური პირის პური, თორნის პირზე დაკრული პური, კარგად ვერა ცხვება, ტყლურტია (ნ.), ფერადაც მკრთალია: მიწისფერი (შდრ. ძირი-პური).

პირისანახვი მოსალოცავი, თავკა-დასადგები. პატარადას ქმრის ნათესა-ვები პირველ ნახვაზე მოართმევენ სა-ჩუქარს (ნ. ჩუბ. პირის-სანახვი, გრიშ; შდრ. ბერ. პირის-სანახვი).

პირის ართმევა საქმის დაწყება, ნაპირიდან საქმის დაწყება იმ განზრახ-ვით, რომ უეჭველად დაამთავრებ. „პირ-თავართვი ცალი მხრიდან, მივ-ყე და გავაოხრე მთელი ნათესულობა“ (შდრ. ბარნ. პირი აერთვა ოჯახს).

პირის აწყობა მკრელი იარაღის (დანის, სამართებლისა და მისთ) სახელდახვლო გაღვსვა მასათზე (ნ.) ან თასმაზე. ქვაზე გაღვსვას დიდი დრო უნდა და მოკლილ დროს ლესავენ გულ-დადებით (ნ. ჩუბ. პირის გამოწყობა; შდრ. შარშ. პირის მოწყობა).

პირის გადართხმა პირის გაღება ფართოდ, ბევრი ლაპარაკისაგან, ყბე-ღობისაგან თითქოს ტუჩები ყურებამ-

დე წაუვიდათ. „პირი გადაიერთ-
ხა ბევრი ლაპარაკისაგან“.

პირის გადაქნა წინდისათვის ნ. გა-
დაქნა.

პირის კითხვა სხვისი აზრის გაგე-
ბა, გამოკითხვა. „პირი უკითხე“
(ნ. კირ.).

პირის მოწმენდა გატ. ყოფნა,
კმარება. როცა რამე არ ეყოფათ, იტ-
ყვიან: „ათი კელადა ღვინო რა პირ
მა აწმენდა მსოც კა“.

პირის მოხეხვა გატ. გათავება, და-
სრულება, შესრულება. „აი ესეც წაიღეთ
და მებრე კი პირი მაიხეხეთ“.

პირის ორთქლად ამოღება თქმა;
თქმის გაბედვა. „ქაა, როგო ვნანობ
ეხლა, რო ჩემ გულში ნადები პირი
ორთქლათ ამოიღე და იმა
გავაგებინე“.

პირის პრუწვა ბაგეების შეკვრა, ბა-
გეების ხშვა; გატ. დაწუნება.

პირი ჩრდილი ჩრდილოეთისაკენ
პირმიქცეული მიწა (შდრ. პირიმზე).

პირკატა ეცა სახტად დარჩა, მივი-
და, ნახა და არაფერი დახვდა, მგულე-
ბოდა კი (ნ. კირ.).

პირმგურგალი ნ. პირგურგალი.

პირსაცავი ხის საცობი; ვიწროპი-
რიანი ჭურჭლისათვის, კუტალი (ნ.;
შდრ. ჩუბ. პირსაცობი).

პირისიხლიანი გატ. ძალიან გა-
ჭირვებული. „პირსისხლიანი რო
შივადგე, მაინც არ გამმართავს ჩვენე-
ბრანთ დათა, იგეთია“.

პირტუტუბანა, ტუტუბანა პირ-
მსუქანი, საესე სახის ადამიანი.

პირფადი (— პირბადე?) პატარ
ძლის თავსაბურავი ჯვარისწვრის დროს.
ორი ლეჩაქია ერთმანეთს მიკერებუ-
ლი და ჩამოფარებული აქვს თავზე
ისე, რომ უფარავს თავ-პირს, გულ-
მკერდსა და ბეჭებს მენჯებამდე (შდრ.
ვაჟა III პირ-ბადე).

პირქვე დახმარხავი წყალა. „შე
პირქვე დასამარხათ“.

პირქვე დასამხოზი წყალა. „შე
პირქვე დასაეხოზო“.

პირქუში მუწუცი თავდაუჩირქებე-
ლი დიდი მუწუცი, ძალიან მტკივნეუ-
ლია.

პირშავი ლობიო ლობიოს ჯიშია,
ბუჩქად იზრდება, პატარა პწკალი (ნ.)
და გრძელი პარკი იცის, მარცვალი
წვნიკია, თეთრი, კიბთან შავი წიხწყა-
ლი აქვს.

პირშამლა აღმართი. „ნელა იარე,
შვილო, გხა პირშამლა და დაი-
ლლები“ (შდრ. პირსალმართი).

პირში ენის არ ქონება სიტყვის
თქმის უუნარობა, ენის ვერ დაძვრა.
„იგრე დამთვრალიყო, რო პირში
ენა აღარა აქონდა“.

პირში ნერწყვს წოვნა გატ. ერთ-
მანეთის უდიდესი სიყვარული. „ესენი
ერთმანეთ პირში ნერწყვსა
აწოვენ“.

პირში შადგომა, პირში შადლომა
ლაპარაკში შებმა, სიტყვის არ შერჩენა.

პირში შადლომა ნ. პირში შადგომა.

პირწყალი პირში მორეული ნერ-
წყვი, დიდი ნდომის დროს რომ იცის,
ან მკევის დანახვაზე რომ მოდის (ნ.
ბარნ. პირწყალი მოუვიდა ნდომით;
შდრ. ჩუბ. პირ-წყალი).

პირქმელი გამხდარი სახის, ხმელი
პირისახის ადამიანი (ნ. ჩუბ. პირ-
ხმელი).

პირჯვრის გამოსახვა მოკე პირჯვ-
რის დაწვრა.

პიტალო კლდე მაგარი მთლიანი
კლდე (შდრ. საბა, ჩუბ., ვაჟა IV
პიტალო).

პლურწვა ძილმორეული ნაძალადე-
ვად რომ თვალებს ცოტათი გაახელს;
გატ. თვალების ან ტუჩების პრანჭვა
(ნ. თვალების პლურწვა, ტუჩების
პლურწვა).

პოლორტიკი (სახელწ.), ხარატული (სახელწ.) ტიკის ნახვრეტში გაკეთებული ხის მრგვალი ნაჭერი, რომ ტიკს სითხე არ გაუვიდეს (შდრ. საბა, ჩუბ. პოლორტიკი).

პოპოლოი ნ. მოპომპოლიკება.

პოპოი ნ. პოპოი.

პოპოი, პოპოი 1. ბამბის გაუშლელა კოლოფი; 2. ლობიონაირ მცენარეთა პარკი.

პოპოლა, პოპოლა პერეულის ჯიშია, უფხო, მარცვალი კილიდან ადვილად სცივია. კარგი მოსავალი იცის, მაგრამ ფანტეციის და ამიტომოდოჟლერს (ნ.) მკან (შდრ. წითელი პოპოლა; ნ. ჯაფახ. I, 337, აღაფ.).

პრევი კანაფი, წვრილი თოკი.

პროპოლა ნ. პოპოლა.

პრუწვა გუგუ. ზღა პირის პრუწვა (ნ.; შდრ. საბა პრუწ).

პტყველი ფეტვის კილი.

პური უთაფლო ფიჭა.

პურიგული საჭმელია. შინდის ან მურაქის (ნ.) გამონახარში ჩაგხნაან გამომცხარი პურს გულს და მოხარშავენ. ავადმყოფს აჭევენ მადის მოსაყვანად. მარგებელიაო.

პურის ამშვიება ყანას მარცვლის გამოღებისას თუ გვალვა შეესწრო, თავთავი ვერ ავესება მარცვლით, ხორბალი წვნიო, გალეული, მშვიერი იქნება.

პურის გახუხვა ნ. გახუხვა.

პურის დაკვრა თორწეში პურის ჩაკრა გამოსაცობად.

პურის დეა გრძელ-გრძელი მარცვლი, ჩვეულებრივ წითელ პურში ურევია. ეს პურშიც ურევია, ბარაქიანიაო, — იტყვიან.

პურისპური კორკოტი. მსხვლმარცვალა პურს (დოლის პურს ან თავთუხს) მოხალავენ, დაფქვავენ ხელსაფქვაზე და იმის შეკამანდს ან ფაფას აკეთებენ ამაზე ერთი თქმულებაა: ერთმა პა-

ტარძალმა თურზე თავი ქმარს უთხრა: კაცო, გეყარე შენ ძმებ. დედ-მამა, ცალკე გავიდეთ და პურისპურ გაქმევ და წაჯე-უჯუჯეა ცეცხლზე გაათბოფო. ქმარმა გაუგონა. გეყარა ოჯახ. ცოლი გავიდა მინდორში, მოკრიფა კაქაქუქაქი (ნ.), ჩალაბულა, მიიტანა და ცეცხლ შაუყეთ, ხედ ქვაბი შამოდა, კორკოტი დადა. აბრიალდა კაქაქუქაქი პირისახე ვეტკრიცა და უკან მიჯდა; ჩაქრა კაქაქი ცეცხლი, შაეცივდა ქმარ, წინ მიჯდა; კიდე შაუყეთა დედაცა კაქაქი, აბრიალდა, სახე დეწვა, უკან მიჯდა; ჩაქრა, შაეცივდა, წინ მიჯდა. ახლა ჩადმოულო კორკოტი და დაუდგა წინ. ქმარმა დაახედა კორკოტსა და უთხრა ცოლს: ეს არი პურისპურიო და ეს არი წაჯე-უჯუჯეა ცეცხლიო? — პოფო, — უპასუხა ცოლი. ქმარმა უთხრა: შენთეინ დამილოცნია ერთი და მეორეც, მე კი ლევეცივით შოთ პურსა და მუხი მუგუბერებ (ნ.) ვენაცვალე, ძმებთან უნდა მევიდე იგრევაო“ (ნ. სულხან-საბა ორბელიანი, „სიბრძნე სიკურისა“, იგვე 80, გვ. 101—102).

პურის ფჩხილი, ფჩხილი შოთი პურის თხელი მხარე (შდრ. პურის ყუა).

პურის ყუა, ყუა შოთი პურის სქელი მხარე (შდრ. პურის ფჩხილი).

პურის წვერი, წვერი შოთი პურის წვრილი მხარე, ბოლოები.

პურ-მარილი კალთაზე უყრია უპურ-მარილია, უმადურია, რაგინდ სიყეთ უყო, მაინც მტრობას არ მოგაკლავთ.

პურტი თხელფერდი, ნეკნეზს ქვეშოთა გვერდი, ფენთხი (შდრ. ჩუბ.).

პუწვა მორცხვობის გამო ნაზობა.

პუჭი-პუჭი ბავშვს რომ ჰბანენ, თან აღერსით გასაჩუმებლად ეუბნებიან ამას (შდრ. კუპა-კუპა).

პქალი 1. მხვიარა (ნ.) მცენარის (ვზის, ლობიოს.) უღვაში, რითაც

მცენარე ხეს თუ სარს მოედება და აპყ-
 ება (ნ. ჯავახ. II, 302, წერ.
 ბრკვალი, პკვალი ვენახისა, მაყ.; შდრ.
 ბუქუ რ.); 2. წნელის ტყეი, რომლისა-
 განაც კალათას წნავენ. თხილის, შინდი-
 სა და მისთანათა შტოებს სიგრძივ
 ზღეჩენ შუაზე და ამ ნახევარს აწკალს
 უწოდებენ.

აწილი ფრჩხილი (საერთოდ).
 აწინვა ბრწყინვა. „აწინავს
 სარკესავით ჩემი კმალი“. აქედან:
 აწინვალე ბრწყინვალე.
 აწკლის კალათა შინდის, შვინდარ-
 წლის (ნ), თხილ-სა და მისთ. შტოე-
 ბის ტყეისაგან დაწმული კალათა (ნ.
 აწკალი 2).

უ

უანგარო შვი საღებავია. თავშავა
 (ნ.) ბალახს მოადუღებენ წყალში, შიგ
 ჩაყრიან წიდასა და ძველ რკინეულს
 და კარგ უბუნო შავ საღებავს მიიღე-
 ბენ (შდრ. საბა, ერისთ., ჩუბ.).

უაჟუნო გაღატ. 1. სხმა; 2. სმა. „წვი-
 მამ წუხელ მთელ ღამეა უაჟუნა“;
 „დასხდნენ ბიკები და დილიდამ საღა-
 მომდინ უაჟუნეა ღვირა“.

უაჟუნა ლეწვა; ბეგვა. „ერთი ბეწო
 ძნა გვექონდა, ვაჟელთ, ვაჟელთ
 და ძლივ გაავაჟუნეთ“.

უაფი ფორი, სერეტი. „ამ აგურ
 თავი უივი შაკმული აქვ, აღარ
 ვარგა“—თქვეს ნანგრევ აგურზე. სი-
 სველისაგან, კირისაგან თუ სხვა მიზე-
 ზით უივი (ფორები) რომ გამოვსებული
 ექნება აგურს, სხვას აღარ მიიღებს და
 შედუღაბებაც აღარ მოხდებაო.

უაბიტაურო წყალწყალა ღვინო.

უაჟმატი წვნიკი, წლიოკი (ნ.), ძა-
 ლიან წვრილი მარცვალი (ნ. ჩუბ.,
 ჯანაშვი, მაყ.).

უაბა თვალზე ლიბრგადაკრული.

უაჟნა ქლუბა, ამოწვება (ნ. გა-
 ემენტა).

უაოლი ნაყარი, ფუტყრის ბარტყი
 ახალ გეჯაში (ნ.) ან სკაში რომ გადა-
 დის

უაოლოლი ჯონჯოლი.

უაოკროკი ქლურტული, მერცხლის
 გალობა.

უაინტი წვეთი. „უაინტი წყალი
 არა დგა“.

უაოლი ნდომა; უაოლიტელი. „უაოლი
 მაიკლა“; „უაოლი აიტანა“ (შდრ.
 საბა, ჩუბ., კირ. ურუქ). აქედან:
 უაოლია.

უაოლი დუქი, პირზე მომდგარი ქაფი.

უაოლია აგაჟა, აგე შუილა (ნ.).

უაოლიტული (Stellaria media, მოკ-
 რიხა) ბალახია, აღარ გახაფხულზე (ნ.)
 მოდის, ღია მწვანეა, მოგრძო ფოთლე-
 ბი აქვს, მოთეთრო წვნიკი ყვავილი
 იცის, ძალიან ნორჩია, კრეფენ და ბა-
 ტის ქულებს აკმევენ (ნ. ერისთ.,
 ჩუბ., მაყ უაოლიტული).

უაოლი წყლულის ნადენი, ჩირქო-
 ვანი სითხე, მცირე წალა (ნ.; ნ. საბა,
 ჩუბ. უაოლი).

უაოლი წვეთი. „უაოლი უაოლი წყა-
 ლი არა დგა“ (შდრ. საბა, ვაჟა I
 ურ.; ჩუბ. უაოლი, ჯანაშვი. უაოლი).

უაოლი შავ მოწითალო. „უაოლი
 ვით თვალები აქვ“ (ნ. საბა; შდრ.
 წერ., ჯავახ. II, 459).

უაოლი ევენება და ხარი, ეტლიში
 შემბულ ცხენს რომ ჰკიდია ყელზე (ნ.
 ჩუბ. უაოლი).

უაოლი ვახის ჯიშა (უაოლი მხარში
 უაოლი გავრცელებულია), მოშავო ყურ-

ძენი იცის, მომევეო გემო აქვს. სანაირი ქლიაა ცოტაოდენი განსხვავებით (6. ერისთ., ჩუბ., ჯაგახ. II, 404 და სხვ.).

ქლლა შეევა, ბეევა. „ყურძენი ურ-

მით არ წაილება, ი ქ ლ ე ბ ა, საკიდ-
რით უნდა წაილოა“.

უღრიალი გატეხილი ხარის ან ქურ-
ქლის ან კრამიტის მიერ გამოცემული
ხმა (6. საბა, ჩუბ. ქრიალი).

რ

რათა ხანია რა ხანია, დიდი ხანია
(6. კირ.).

რამწაფე რაწამსვე (6. ჩუბ. რამ-
წამს).

რანდა 1. ოქრომქედლის იარალი:
ერთგვარი ქლიბია; 2. დურგლის ია-
რალი: შალაშინია (6. ჩუბ.).

რანჯოი ძალიან ყვითლად გამოყვა-
ნილი თამბაქოს ფოთოლი, გამხმარი,
უმალღესი ხარისხისაა.

რაფი ფოსტლის შესაკერი მოწყო-
ბილობა: კალაპოტი და მისი ნაწილები.
რაცრაცი ბარბატი.

რაც ხიგრძე ვაქ, ხიჯანეა მოქცემ
ისე ძალიან გცემ, რომ გაგაბრტყვლებ,
სიჯანეს გაგითანაბრებ სიგრძესთან.

რახმე ვარგისობა, გამოსადევობა.
„გოგიაა კიდე რა ხმე აქ, შენ სხვა
თქვი, ისინი არაფრად ვარგანან“.

რჯენა შეხვდომა, რგება. „ამითანა
რ გენასაც რა უთხრა, რამი გამა-
მადგება ეხლა მე ესა“ (6. მორგენა;
შდრ. ვაჟა I რგ: გრგენია).

რევაზბეგი ვაშლი ვაშლის ჯიშია
(6. ერისთ.).

რეტი ცხვრის სენია. ცხვარი ირგვ-
ლივ ტრიალებს და დარბის. მკურნა-
ლობენ ასე: დილით უმძრახნი ღვებთან
და ყურის უხერტენ (შდრ. საბა,
ჩუბ., შაჰნ. I, მაკალ. თუშეთი, 61).

რეულობა არეულობა, მღელვარება,
ჯანყი. „ამობენ, რე უ ლ ო ბ ა ა ო“.

რვანო ჰელადა ნ. კელადა.

რვილი 1. გუთნის ნაწილი: მოხრი

ლი ხეა ან რკინა (რკინის გუთანში),
რომელხედაც ასხმულია დანარჩენი ნა-
წილები. მისი ბოლო დადებულია
ლირილიტს კუნძეხ და ჰანჭიკით და-
მაგრებული და ხედ შოლტკაეია წამო-
დებული (6. საბა, ჩუბ., მაყ.,
ჯაგახ. I, 172 და სხვ.); 2. „გუა“, რც
ლეილი (6.), მრგვალი ხე მოქსოვილი
ხამის დასახვევად (6. ჩუბ.; შდრ.
მაკალ. მთიულეთი, 70 რვილი).

რთვა, დართვა, ჩალობ დართვა ჩა-
ლით დახურვა შენობის სახურავისა,
ჩალის წყება-წყება, სართულ-სართულ
დახურვა.

რიანდი (Rheum, ревма) რევანდი
(6. საბა, ერისთ., ჩუბ., მაყ. რე-
ვანდი).

რიბლი (риблы) ლიბრი.

რიგი მიცვალბეულის დამარბვის
შემდეგ პირველ შემოდგომაზე ან წლის-
თავეზე გამართული საწესო ქელები (6.
თავეზე, სწორო; 6. შან. კეეს., ვაჟა III).

რიკი 1. უძუო ან უბალნო კული
საქონლისა; 2. ყურძნის საწურ ნავში
ტოპკირის (6) ქვეშ ჩასაწყობი მოკლე
მრგვალი ჯოხები, რომ ტოპკირი ნა-
ვის ძირს არ მიეკრას, ჰაქ.მ არ გადა-
ლესოს და ტბილი (წვენი) არ დააგუ-
ბოს. ტოპკირი მალლა უჭირავს. რიკს
ხიდსაც ეძახიან (შდრ. ჩუბ.).

რიხვე გახაფხულზე განაქრეკი მა-
ტყლი, წმინდაა (6. ჰყ.; შდრ. საბა,
ჩუბ. რისია).

რკინარკუნა რკინის ნამტკრევი.

რკინა-ფოლადის ნამგალი ფოლად-დადებული ნამგალი (პირი ფოლადისა აქვს და ყუა რკინისა). არა ტყავება.

რკინის გაწვევა ნ. გაწვევა.

რკინის საკრელი ზეგე, ზეგე თეგი (ნ.).

როქი ნ. ლექე.

როყინი კამეჩის ხმინანობა, ყროყინი (ნ. ჯანა შვ. როყინ; შდრ. ვაჟა III).

როში დაღერლილი ქერი ან ასლი საქონლის საკმელად. უფრო კვიცებს აკმევენ: გრილია და გულს არა სწევასო. ქერი კვიცს სწყყანს. აქედან: რო შვ, და რო შვ, და რო შილი (ნ. საბა, ჩუბ., მაყ., ალავე.).

როჯი ერთგვარი კია, მოსავლს ახდენს. ჰქონდათ როჯის უქმე ზაფხულში. იმ დღეს არ მუშაობდნენ.

როზასტა: „საბერვლის წვერზე უკეთებთ რუბასტას ლელის ზევიდან დახრით, ზედ ნახშირს ვაყრით და ვახურებთ და ხარახურას ვადნობთ“, — ასე ახსნა ოქრომჭედელმა.

რუბი ნ. რუფი.

რუჭლი უნარი, შნო. „ერთი ბეწო ცხოვერების რუხლი არა აქვ“.

რუფი, რუფი რუ (ნ. ჩუბ., შაჰნ. II, შან. კეკს.).

რუშბი დიდი ტიკი. ბულას გუდად ამოიღებენ, როგორც წესია, გამოიყვანენ და ბეწვის მხრიდან მოკუპავენ (ნ. საბა, ჩუბ., ვაჟა IV, მაყ.).

რუშბიელი რუშბისა (ნ. რუშბი). რუშბიელი ქალმანი რუშბი რომ აღარ გამოდგება, დაქრიან საქალამნედ. რბილია. აცვიათ ქვისმტვე ველებს, რომელთაც კვა ფეხებში უპირავეთ კუპრიანი მხარე გარეთ აქვს.

რუსული ნალი ცხენის ნალი კბილებიანი.

რუსხმული „მალა შეწენებული რუ“, რომ იქიდან წყალი დაქნებთ წამოვიდეს ბერლარახე (ნ.). „მეწიქვილე ავიდა მალა რუსხმულზე“ (ნ. საბა, ჩუბ.).

რუფი; რუბი კილო, ლილის გასაყრელი, მუშაბაში (შდრ. ჩუბ.).

რუყრუჟა ნიტრა თიხის კურკელი: ლიტრა. ვიწრო მალალი ყელი აქვს, პიოიცი ვიწროა, წყალი რომ ისხმება, ხმურით მოდის და იმიტომ ჰქვია ასეთი სახელი.

რუხა დურგლის იარალი: ფიცრის გასახავია. პატარა ფიცრის ნაჭერს გვერდი ჩაჭედული აქვს და გამოთლილი, ისე რომ ფუცარს შეიძლება ნაპირიდან მიუყენო და წამოსდვა, ზედ პატარა ლურსმანი აქვს დარკმული. როცა უნდათ ფიცარზე ნაპირის გამყოლი სწორი ხახი გაავლონ, რუხას მოსდებენ ფიცარს ნაპირზე და სიგრძივ აამოძრავებენ: იგი გახახავს (ნ. წიკა-წრა).

რუხია მიტსახელია კაცისა.

რუხრუხი ლორების ხმური, ლრუტუნი (ნ. კირ; შდრ. ბერ.).

რქა ფურცლისა (თუთისა) და ვახის, საერთოდ ხის ახალამოყილი შტო ერთ წლამდე (ნ. საბა, ჩუბ., გურამ., მაყ., ჯავახ. II. 293 და სხვა).

რქაწითელი კახეთში გაბატონებული ვახის ჯიშია, თეთრ ყურძენს ისხამს, მაკრატელა და მრგვალი მსხვილი ფოთოლი და წითელი რქა აქვს, თხელი მტევანი იცის საერთოდ, მრგვალმარცვლიანი. არის წითელი რქაწითელი და მწვანე რქაწითელი. სჯობია წითელი რქაწითელი. ღვინო ორივესი კარგი დგება, თეთრი. არის მამალი რქაწითელი და დედალი რქაწითელი. მამალმა ფახხატი, ძალიან თხელი მტევანი იცის, მცირემოსავლიანია, სამაგიეროდ ღვინო კარგი ხარისხისაა; დედალი უფრო კუმს მტევანს ისხამს, მოსავლიანია, მავრ.მ ღვინო მამლისაზე მდარეა. ხო-

გის სიტყვით წითელი რქაწითელი და მამალი რქაწითელი ერთი და იგივეა ისევე, როგორც მწვანე რქაწითელი და დედალი რქაწითელი. რქაწითელმა თავი ღვინო იცის (ნ. ერისთ., ვაჟა IV, ჯაეახ. II, 299, 406 და სხვა).

რღვნა 1. დიდი წვიმა; წყალდიდობა (ნ. საბა, ჩუბ.); 2. ლაპალუპით ცრემლის დენით ტირილი.

რჩოლი აგუკა, ჭაც ჩრიჩვალი (ნ.), დაგრებილი წნელია პატარა რგოლი (ნ. კირ.).

რძიანა (Euphorbia, मोलочай) ბა-

ლახია, რომ მოწყვეტენ, რძე გასდის. ყვითელი საღებავის დასაყენებლად იხმარება (ნ. საბა, ერისთ., ჩუბ., მაყ.; შდრ. ულ. რძია-რძიაუ)

რძის გარდა რძეს სიმინდის ფქვილს მოუყიდებენ და აადლუბენ, ფუასავით დაადგება (ნ. გარფა).

რწყილიღელა შავი დიდი მწერია, დაფრინავს ბზუილით. სახლში შემოვარდნილი ისე მაგრა ეხეთქება ფანჯარას, რომ გატეხს ხოლმე მინას ან თვითონ კედება. ამბობენ: რწყილს ესაყრისო (ნ. ერისთ. რწყილის-დედა, ჩუბ.).

ს

სააგურე აგურის ქარხანა, აგურხანა (შდრ. ჩუბ.).

საარაყე არაყის სახდელი ქარხანა (შდრ ჩუბ.).

საახყალო (თურქ. aksakal 'ჭალარა-წვეროსანი; მამასახლისი') გამომჩენილი, დარბასიელი კაცი, სოფელში გავლენიანი კაცი. „ქვეყნი სარდალი საახყალო კაცი იყო“ (შდრ. ასაყალო 2).

საბანდი საცალოს (ნ.) პირზე წასაფარებელი ქსოვილის ნაქერი, ძველი ტანისამოსი ან ტყავი და მისთ. საცალოს პურეულით რომ აავსებენ, პირს კი არ მოუკრავენ, არც გაუკვრავენ, არამედ პირამდე სავსეს ზედ წააფარებენ საბანდს, მერმე საცალოს ნაპირებში დატანებულ ყულფებში სახლართს (ნ. I) დაატარებენ, მოუტერენ და ისე გაამაგრებენ.

საბანური ფარების სათვალი, საიდანაც გემრას (ნ.) ყრიან გარეთ. აქედან სინათლე და ჰაერიც შედის.

საბარგე წალოსავით (ნ.) სახლის კედელში შეჭრილი ადგილი ბარგის შესალაგებლად. უკაროა, ფარდა აფარია (შდრ. საბა).

საბარო ვაჟე ადგილი მთაში; მთის ძირი, სადაც მთაში ასვლის პირველ დღეებში მეწველი ცხვარი ძოვს.

საბარო ურემი პატარა, დაბალკალებიანი ურემი. ძნისა და თვისათვის არ გამოდგება (შდრ. სამქე ურემი; ნ. საბა, ჩუბ.).

საბატკენ 1. ფარების ის ნაწილი, სადაც მოთავსებულია ბატკანი. გარშემო ლასტები აქვს შემოფარებული, რომ ბატკანმა მიწა არა ჰამოს; ქვეშაც კაპაჭია (შამბის ლეროები) დაფენილი, რომ სისველე არა ჰქონდეს. კორაკანი დან (ნ.) საბატკენში გადმოჰყავთ; 2. მთაში ბატკნის საძოვარი ადგილი. მთის უმაღლესი ზონაა, ყველაზე გრილი და სათუთი ადგილი. აქ ბალახი სულ ნორჩია, ყვავის. დანარჩენი ცხვარი ამის ქვემოთ ძოვს. საბატკენდ ბევრი ადგილია გაშვებული. ბოლოს, შემოდგომაზე ცხვარსაც უშვებენ იქ, რომ გასულქდეს.

საბაუთი საბაბი; საბუთი. „რასაბაუთით დაითხოვე ე დედაკაცი?“

საბეგველი, საბეგვი კეტი, რითაც ბეგავენ თათავს, უმთავრესად ფეტვს, რადგანაც ის არ იღეწება.

საბეგვი აკაჲ, აკ საბეგველი (ნ.; ნ. წერ.).

სახელი თხის ბალნის თოკი ცხენის დასაბმელად (ნ. საათ.; შდრ. საბა, ჩუბ., შპნ. I, გურამ.).

სახელზე სახლი სახლი თუ ოთახი, რომელშიც ბეგელი და ამბარი დგას, სულადის (ნ.) შესანახი ოთახი.

საბიჭრობა: სა ბ ი ზ ლ რ ო ბ ი ს შე ტ ა ნ ა დაბეზლება.

სახლის თრევა კატ. მოთმინებით ნებას დაყოლა, მოთმენა. „სა ბ ე ლ ი უ თ რ ი ვ ე, ვთქვი. ვნახოთ. რაჲ იხამს-მეთქი“.

სახლის მიწა კალოების ახლომან-ლო მდებარე მიწა. წინათ ქიზიყში სახნავ-სათესი მიწები სასაფლო მფლობელობაში იყო, ვისაც რამდენი უნდოდა, იმდენს ხნავდა, ოღონდ კალოების ახლომდებარე მიწებს 3—5 წლის ვადით იყოფდნენ, მერმე ხელახლა არეფდნენ და ხელახლა გაიყოფდნენ, რადგანაც მოსახლეობაში ცვლილება მოხდებოდა: ზოგი ამოწყდებოდა, ზოგი მგეომური გაიყოფოდა. გაყოფისას საბლით ზომავდნენ და ამიტომ ერქვა ეს სახელი.

საბრიყვო ჯარიმა. თუ ვინმე სხვის მამულს გააფუჭებდა, მოწინავედეს (ნ.) სა ბ რ ი ყ ვ ო ს ახდევინებდნენ მისგან მიყენებული ზარალის კვლობაზე.

1. საბრუნო, სადათვე, დათვა/ი ხელნების ის ნაწილი, სადაც ღერძია გაგდებული (ნ. დათვა/ი 1).

2. საბრუნო სავენახედ გადასაბრუნებელი ადგილი.

საბუზე ცხენის შუბლზე ჩამოსაფარებელი, რომ ცხენი ბუზმა არ შეაწუხოს.

საბძელ-კალო ქათმის ასო, კურტუმ-

სა და კისერს შუა ხერხემლის ნაწილი საწიწკარებიანად (ნ.; ნ კ ყ საბძელი).

საგალავი ნ. კოტა.

საგანძი შესანახი ნივთი, განძად გამოსადეგი ნივთი; სიმდიდრე. „აბა, შვილო, საგანძი თუ გაქ რამე“ (შდრ. შპნ. II, ჯაყაზ. სამართლის ისტ., II, 172 საგანძური);

საგარეო ტანისამოსი სასტუმრო, სადღესასწაულო ტანისამოსი, სახლ-გარეთ ჩასაცმელი ტანისამოსი (შდრ. საბა, ჩუბ., საგარეო).

საგველი 1. მცენარეა (ნ. ე რ ი ს თ, ჩუბ., მაყ.); 2. ფეკილისა და მტერის გადმოსაწმენდი, აკეთებენ ერთგვარი თავფოჩიანი მცენარისაგან (კაობში იცის).

საგვერდული გომის ან საბძლის კეღების გასწვრივ ჩასმულ ბოძებზე გადებული ძელი, რომელზედაც ეწყობა მკლავკოკები (გომის სახურავის ფერდების გასაკეთებლად).

საგვერდული ბოძი საბძლის ან გომის კედლის გაყოლებაზე ჩასმული ბოძი.

საგლეჯი გუთნის ნაწილი: დათვაზე (ნ. 2) წამობმული ლატანი, რომელშიც შებმულია მეორე უღელი ხარი, საგლეჯი ხარები (ნ.). საგლეჯზე საყვეარია (ნ.) წამობმული.

საგლეჯი ჯარები საგლეჯში (ნ.) შებმული—მეორე უღელი—ხარი. ახალ-გამოქნილი გივი მოხერხებია, ძალა აქვთ, ამით უნდა გლიჯონ მიწა. უკან გუთნი თავი ხარებია (ნ.), წინ—საძირი ხარები (ნ.). საგლეჯის ხარებს მეკრე არ უღდას, ერეკება გუთნი თავი მხრე (ნ. გუნენული).

საგოგავი 1. აკენის ფეხი (ნ. მაკალ. მთიულეთი, 125); 2. ბარის სატერფული, ბარის ტარში, ბარის კოტა ხემოთ, შეყრილი კოტა ფეხის დასადგმელად, რომ ბარს დააწვეს და მიწაში ღრმად ჩაიყვანოს

1. საგორაეი მრგვალი ხეა, ქსელში გაუგდებენ ხოლმე ამოდგიმვის შემდეგ. რომ ხევითა და ქვევითა ქსელი გაყოფილი ამყოფოს, რომ ქსელი ერთმანეთში არ აირიოს.

2. საგორაეი ვიწრო და გრძელი ნაბადი ტახტზე გასაშლელად სუფრის გაყოლებახე. ზედ იარნალს (ნ.) შლიდნენ.

3. საგორაეი მრგვალი ძელი, რომელსაც ქვეშ ამოუდებენ დიდ მორსა და მისთ. გასაგორებლად (შდრ. ჩუბ., ბერ. საგორაეი, ულ.).

4. საგორაეი მოკლე მრგვალი ჯოხი ლავაშისა, თახანისა და სანახუქე ცომის გასაბრტყელებლად. ოდნავ გაბრტყელებულ ცომს დაადებენ საგორაეს, გააგორებენ და ცომი თანაბრად გაბრტყელდება.

საგრილო ხეები ყანაში მიწაში ჩასმული ოთხი სარი, რომლებზედაც ტოტებს გაუდებენ და ზედ ნათობს დააყრიან, რომ ჩრდილი გაიჩინონ (შდრ. საბა, ჩუბ. საგრილი, ჯანაშვი. საგრილოა).

საგულაეი ქვევრის ქურის წინა კედელი, რომელიც ქვევრების ქურაში შელაგების შემდეგ ამოშენდება და გამოვლების წინ ინგრევა. ქვევრების ქურას არსებითად სამი კედელი აქვს. წინა მხარე ღიაა, რომ ქვევრების ქურაში შეტან-გამოტანა თავისუფლად შეეძლოს. გამოწვის დროს საჭიროა ქურა მთლად დაიხუროს, თორემ ისე ტემპერატურის მაღალ დონეზე აყვანა შეუძლებელი იქნება, ამიტომ წინა კედელს დროებით დაგულავენ, დახურავენ ხოლმე.

საგულაეი დანა საეცი დანა (ნ. ჯანაშვი. საგულავ დანა).

საგულე ტილოს წინაფარი, ფარავს გულსა და მთელ წინა ნაწილს ადამიანისას ფეხებამდე. პურის მცხობულ დედაკაცებს აქვთ აფარებული. პატარა ხონრით კისერზე წამოდებუ-

ლია და ზორტებით წელზე შეკრული (შდრ. საბა, ჩუბ.).

საგულეხელი ქალის სამშობლოაანი: თავისიანი, ახლო ნათესაეი, ლეიძლი ნათესაეი—ძმა, და, ძმისწულები, დისწულები, მშობლები (შდრ. ჩუბ.).

საგალო საგხალი, მშრალი საკმე-ლია ჩვეულებრივ: პური, ყველი, ხახვი, ნიორი და მისთ. (ნ საბა, ჩუბ. საგხალი).

სადათვე (ველისციხის რაიონში) აგა, 4/11 1 საბარუნი (ნ.).

სადა კედელი სახლის ერთ-ერთი კედელი, რომელსაც არაფერი აქვს დატანებული (წალო, განჯინა, ბუხარი და მისთ.), სხვა კედლებზე უფრო თხელია: სამი ჩარეკია (5/1 სმ.) სისქით.

საღამ სანამ.

სადგომი გომში ადამიანის სამყოფად განკუთვნილი ადგილი კარის ახლოს სახამითოდ. გომს ერთი კარი აქვს, შუგ იყოფა განყოფილებებად. სხვა განყოფილებებში საქონელია (ნ. საბა).

სადგომი სახლი (ოთახი), საცხოვრებელი სახლი სახლი თუ ოთახი დღენიადაგ რომ არიან (სხვა ოთახები ან სასტუმროა, ან მარანი, ან საცხოობის სახლი, ან საბელლე ნ) (შდრ. ჩუბ.).

სადგომი ჯარეზი, შუალა სადგომი ჯარეზი გუთანში შებმული მესამე უღელი ხარები, კერძოდ, საგლეჯის (ნ.) წინა ხარები. აქ მეხრე უდგას, რომელსაც შუალა (ნ) მეხრე ეწოდება (ნ. გუთნეული).

სადელმე დედლად შესანახი ქათამი. „სადელმე თ მინდოდა ეგ ვარია, რატო დამიკალა?“

სადიდო გაყრის დროს მშობლები-სათვის მიცემული ქონების ნაწილი. ძმები როცა გაიყრებოდნენ, მშობლები შვილებს ან წილში ჩაუდგებოდნენ (ნ.) და იმდენსავე მიიღებდნენ, რამდენსაც თითოეული შვილი (ეს არ იყო მიღებული), ან საერთო ქონებიდან ნაწილს, თავიანთ

სამყოფს სიკვდილამდე, აიღებდნენ (წილზე ნაკლები გამოდიოდა ხოლმე ჩეულებრავ, მაგრამ თუ ცოტა დოვლათი ჰქონდათ და დედ-მამაც უჯაათობას გასწევდა, მაშინ წილზე მეტიც გამოვიდოდა), დანარჩენს შერეული გაიყოფდა წესით. ამის გარდა მშობლები სამკვდროს (ნ.), ანუ სამარხსაც (ნ) აიღებდნენ. გაყრის შემდეგ თუ უნდოდათ, რომელსამე შვილთან გავიდოდნენ, თუ არადა ცალკე იქნებოდნენ (შდრ. საუფროსო, საუძოროსო).

სადილი დილის (11—12 ს.) საკმელო, სადილობის დროს (11—12 ს.) საკმელი (ნ. საბა, ჩუბ.).

სადილობა მეორეჯერ კამა (დილის 11—12 ს.). კარგი, მაილარი საკმლის მიღება ციან. თუ აქვთ, სველაღუკმას (ნ.), წვნიან საკმელს მიირთმევენ (შდრ ნაწილობა, სამხრობა, ვაკშმოვა, სერიკუდა; შდრ. ჩუბ.).

სადლობელა ტუვისის სადნობი რკინის ქურჭელი, პატარა ტაფასავით, გვერდზე ტუჩი აქვს გადმოსასხმელად, ყური — ხელის მოსაკიდებლად (შდრ. ჩუბ. სადნობი, სადნობელი).

სადორდლე სადობლემ, ბავშვის გულსაფარი, რომ ტანისაპოსი არ დაისველოს ნერწყვისაგან, აგრეთვე კამის დროს.

სადულარი შექამანდის გასაკვებელი მოდილო თიხის ქურჭელი, ქილასავით.

სადლობელი სადღვებელი. ხის მუგრძო კასრია, თავბოლოდახურული, გვერდზე ხელისგულისოდეხად ამოჭრილი აქვს, საიდანაც ასხამენ მაწონს; ვგვეო სასუნთქია; ჩამოაშულა თოკზე, აქანავებენ და დღვებენ (ნ. საბა, ჩუბ. სადღვებელი, სადღვები, მაკალ. მთიულეთი, 53).

საერო (პურა) საცერში ჩეველებრივი წესით გაცრილი ფქვილის პური, არაგამტკიცული ფქვილის პური.

სავათი გარეული ფრინველია, ბატ-

სავით, პროფი, ძუიკ (ნ. საბა, გრისთ., ჩუბ., ვაჟა I საოთი, ჩხ).

სავალზე პატარა უნილო საკოელო, პატარა წაუდასა ჰგავს, ყუნწით დაგებულა ხის ტარზე, ტარი გრძელია. ვახის სახლავად ყოფილა წინათ მიღებული.

1. სავარცხელი საფეიქრო ხელსაწყო: ფარდაგის საბეჭველი ხის იარაღია, დაკბილული. ქსოვენ და თან ამას სცემენ, რომ ნაკისვი შემკიდროვდეს, გაატკიცდეს (ნ. საბა).

2 სავარცხელი ნ. 2 კმალა.

3. სავარცხელი ფიცრის პატარა ფირფიტა კარ ფანჯრის ნაწილების ერთმანეთზე გადასაბეღლად მიცემული ამოღებულ ყბაში. კარ-ფანჯრის რონელიმე ნაწილი ერთმანეთს რომ შეუერთონ, გადააბან, საჭიროა ეოთს გული გამოულონ და მეორე რე გათალონ, რომ პირველში შეჯდეს, ე. ი. ეოთს ნარიმანდი (ნ.) ანოვდება. მეორეს ქანიშკაფი (ნ.) ამათ შესაერთებლად და გადასაბეღლად შუაზე აძლევენ სავარცხელს (ნ. საბა, ჩუბ.).

4. სავარცხელი ლაყუჩი.

სავსები, სამაგები აყაროსაგან (გრძელყელა ღრუგულიანი გოგრა) გაკეთებული წყლის აალები ქურჭელი, ხისტარიანი (ნ. ჩუბ.).

სავსე შამული ვენახიანი მამული; ხეხილიანი შამული (შდრ. ცარიელი მამული).

სავსე სახლი სიკეთით ავსებულ სახლი: ავეჯით, საოჯახო მოწყობილობით, სასოფლო-სამეურნეო იარაღით, ქვევე-მარნით, ბელელ-ამბრებით და სხვ.

საზარდული საცხენლის ახლას არსებული ჯირკვალი (შდრ. საბა, ჩუბ.). საზარდული ხამოსკლა ამ ჯირკვლის დასივება.

სათაბუნო მიწა სასოფლო მიწა. საერთო სარგებლობაში მყოფი მიწა.

სათავე სახლის საქარებზე (ნ.) გადადებული გრძელი ძელი, რომელზედაც დაწყობილია კავი და ზედ კრამიტი ჰბურავს (შდრ. წერ.).

სათაველი სატანა (ეშმაკის სახელიაო) (ნ. გ რ ი შ. სათაველი).

სათალი თართის (ნ.) ფურდისა და მუცლის ანაკური დაშაშხული (ნ. ჩ უ ბ , ვაჟა IV).

სათალხოზელი თალხი, სამგლოვიარო ტანისამოსი.

- 1. სათაური ნ. შარვლის სათაური.
- 2. სათაური ნ. ჩურჩხლის სათაური.
- 3. სათაური ნ. ჩხირის სათაური.

სათალე ქვა თალის შესაკვრელი ბრტყელი და გრძელი ქვა. ქვის თალებს საძირკველში აკეთებენ, თუ ნაორმალი შეხდებათ.

სათბილობელი თბილი ტანისამოსი (პალტო და მისთ.).

სათესი დიდი ფეშტამალი (წინსაფარი), მთესველს რომ პურის თესვის დროს წინ აფარია და თესლი უყრია.

სათვალე ბანიანი სახლის მალლა დატოვებული კუპრუტანა, საიდანაც სინათლე ჩამოდის სახლში და ბოლი ადის. ასეთივე სათვალე აქვს გოჰსაც, როლონდ სახურავის არა ცენტრში, როგორც ბანიან სახლს, არამედ სახურავის გვერდზე, საიდანაც სინათლე შემოდის და ნებესა ყრიან გარეთ.

სათვალიო საქონელი ლამაზი მსუქანი საქონელი, ნახვისთანავე რომ თვალში ეცემა ადამიანს (ნ. ჩ უ ბ. სათვალო).

სათბული ბალახის სათიბი ნამგალი, ცოტა გაშლილია სამკალ ნამგალთან შედარებით (ნ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ.).

სათიფე ოთხ ბოძზე დადგმული თივა საზამთროდ (შდრ. ჩ უ ბ.).

სათითე მომკლისა ხის სათითე, მომკალი რომ მკის დროს წამოიცვამს მარცხენა ხელის ნეკზე, რათა ნამგალმა ნეკი არ მოსჭრას.

სათლელი ნალბანდის იარაღი: ჩლიქის სათლელი.

სათონე ოთხ ბოძზე გადახურული ღია შენობა, სადაც თორნეა ჩადგმული.

სათული ხორცის საკუწი დიდი ბრტყელი ორპირი (ორპირივე ლესული) დანა, ხანჯლისებრი, უ:ვეროა, თ:ვიდაზ ბოლოზე თანაბარ სიბრტყისა (ნ. კ უ ; შდრ. კ ი რ , ბარნ.).

საია ერთნახადი არაყი, ბოლო არაყი, სუსტია (ნ ჩ უ ბ.).

საიად ყოფნა ჩაუცემლად, საშინაოდ ყოფნა, საცულების აპარა ყოფნა (შდრ. თაყსაი; შდრ. ჩ უ ბ.).

საი სადგისი ხარახის იარაღი: საპირის საკერი სადგისია.

საი, საი! ბაღებისა და იხეების გასაქშევი ძაბილი

საისრე ჯადირის თაფი, იღებს ნადირის მკვლელი წილს გარეშე. როგორც ნ.შ.ნს მისი პირადი დამსახურებისას.

საიქ თითქმის; კანაღამ. „ეზლა სანიქ შუალამე იქნება“; „ჩუნებთანთ გოგო სანიქ ოქი წლისა იქნება“.

საიხუბე მავარი ხირხატი (ნ) მიწა, ალაზნის პირზე რომ არისო.

საკაფებელი, საკეხელი . ვ ხ ის გრძლად გაშუქული რქა, სხელის დროს რომ უნდა დაკაფეს (ნ.), მოისაროს და ისე მიიკრას სარზე.

საკაეხელი ნ. საკაეხელი.

საკეცი საყ:ნკი, შინაური ფრინველის საკეცი მარცვლელი, ჩეულებრივ ცხრილქვეითა (ნ.), პურის ნაყეთები (ნ; ნ. ჯ ა ნ ა შ ე. საყ:ე).

საკეცი ქარი შაკიკი. ულოცავუნენ წამლობის მაგიერ (ნ. ჯ ა ნ ა შ ე. საყ:ე-ქარ).

საკენჭური ჩიტებზე სანადირო იარაღი: შინდის ჯოხია მომშვილდული, რომელს:ც ლარად ბაწარი აქვს გაბმული. ერთი შეხედვით მშვილდსა ჰგავს. ლარს შუაზე მომრგვალო ტყავი აქვს დატანებული შუოფულივით. ამ ტყავში კენჭს დებენ. მარცხენა ხელი უვლიათ მშვილდზე, მარჯვენა ხელის

თითებს—ცერს, სალოკსა და ზოგი შუათითსაც—მოსდებენ კენკსა და ტყავს და მოზიდავენ როგორც ისარს და გაუშვებენ. კენკი გავარდება. ასი ფხის ნაბიჯზე ჩიტსა კლავს. ბავშვები ამით ნადირობენ ჩიტებზე.

საკვლეველი სახალწლოდ გამზადებული ხახალი (ნ.) ან ხონჩა ჩორაგი: პური, ხორცი, ხილი, ტკბილეული, ღორის თავი, ღვინო, ტყვია (ნიშნად იმისა, რომ მტერს მოხვდეს გულშიო), ბასილი (ნ.), ლულები (ნ.). ორმოები, ბედიყვრები, ლაქაშები და სხვა სახალწლო ნამცხვრები. განთიადზე სახლის უფროსი (მამასახლისი) ადგება უმძრახი (ნ.). საკვლეველს გარეთ გაიტანს და შემოღვლის თავისი კარ-მიდამოს ყოველ კუნტულს (ბოსელს, მარანს, საქათმეს და სხვას) და უკვლევს, მერმე მობრუნდება შინ. ამასობაში დიასახლისი კარს ჩაუკეტავს. მკვლე რომ მოვა და კარი დაკეტილი დახვდება, ფხს მიატყვამს და იტყვის: „კარი გამიღეთ!“ არ გაუღებენ. ჰკითხავენ: რა ნოგაქვსო? უპასუხებს: მომაქვს სავსე ხონჩა (ამითა და ამითო), სავსე ომომო, სავსე ქვეფო-მარანი, ბევრი ცხვარი, ბევრი ძროხა, სიკეთე და სიხარულიო. იესამე თქმაზე—კარი გამიღეთ—გაუღებს ცოლი (დიასახლისი) კარს. მეკვლე შევა შინ, ჩამოუვლის ყველას, აკოცებს და ლოგინშივე მწოლარეთ „დააბერებს“ (ნ.) ტკბილეულით (მისცემს გოზინაყს, ჩურჩხელას, ჩირყულს და მისთ.), მერმე თვითონ მოუჯდება საკვლეველს, კამს, სვამს და თან ილოცება. ბოლოს დაწვება და დაიძინებს.

საკიდარი ტვირთის მზიდავი ცხოველი, უმთავრესად ვირი (ცხენს საჯღომად ინახავენ) (ნ. ჩუბ.).

საკიდელა მხალი მსხლის ჯიშია. გრძელყუნწა. მრგვალი, მსხვილი, ტკბილია. მწიფდება აგვისტოში. გული უმქუდება, ასე იტყვი—დალპაო.

საკიდი თასმის ყულფი ხანჯლის ქარქაშზე (ვადის ქვემოთა სალტეზე). მიმაგრებული ხანჯლის ჩამოსაკიდებლად სარტყელზე (ქამარზე).

საკირის ქვა კირქვა, კირის საწვავი თეთრ-მოლურჯო ქვა.

საკისური საყელოს მოსაკერებელი ნაწილი ტყვის ტანისამოსისა.

საკისური ფარცხია წიქვილის ჩარხის ღერძის თავის დასადების ადგილი ძელზე, რომელსაც ემყარება ღერძი და ბრუნავს (შდრ. საბა საკისარი, ბერ. სა-კისური).

საკმანწი, საკმანძი საჯღომი ცხენის საკაზმი: უნაგირი და მისი ნაწილები (შდრ. ჩუბ. საკმანხი, საკაზმაგიჯანა შვ. საკმანხ).

საკობი საკვები.

საკოდელი ქვის მთლელისა და მეწისქვილის იარაღი, ბრტყელია, ქვის სუფთად მოსაკოდი.

საკოქე ქიზიყში წყლის საზიდავი ვირის სპეციალური საკაზმი კაპებიან ხეს მოჭრიან, ისე გამოიყვანენ, რომ გული თავისუფალი იყოს და შაგ კოკა ჩაიდგას; გარშემო წნელს შემოატარებენ, რომ კოკა არ გასძვრეს; ან ორ ჯოხს მოხრიან მშვილდით და ერთმანეთს ისე შეუერთებენ ჯვარედინად, წნელს დაატარებენ და დაამაგრებენ, რომ შიგ ჩადგმული კოკა არ გასძვრეს. ორს ასე დამზადებულ საკოქეს ერთმანეთს გადააბამენ ხურჯინით და ვირს გადაჰკიდებენ, გამოსაკრავს (ნ.) ამოუტყერენ, საძუეს ამოსდებენ, რომ წინ არ წაუვადეს, შიგ კოკებს (ერთს ერთ მხარეს და მეორეს მეორე მხარეს) ჩადგამენ და წყალს ეზიდებიან (ნ. კირ.; შდრ. გადასაბმელი).

საკოქე 1. კოქად გამოსადიგი ძელი; 2. სახლის კედლებზე კოქის გასადები ადგილი.

საკოქედ მოყრა სახლისა სახლის კედლების აშენება იმ სიმაღლეზე, რომ

კოქების გადება შეიძლებოდა. ამ დროს კედლების აყვანა დასრულებულია. შემდეგ კოტას შემოუვლიან და დახურავენ კიდეც.

საკრეფელი ნ. გოდროზა (ნ. წყრ.).

საკუჭი დანა საკეცი დანა.

სალა ბრტყელი მრგვალი რიყის-ქვა სალაობის (ნ.) სათამაშოდ (ნ. საბა, ჩუბ.).

სალავათძალი (სალავათ 'ლოცვა-კურთხევა') გინებაა (ნ. ბერ. სალავათი, სალავათი).

სალამურის ენა ნ. 2 ენა.

სალამურის თვალი ნ. თვალი.

სალამურის ყელი ნ. ყელი სალამურისა.

სალამურის წინა თვალი ნ. წინა თვალი სალამურისა.

სალაობა სალის (ნ.) თამაშობაა. კოქურს დასვამენ. ვისაც წილი შეხედება, სალას ესერის კოქურს და, რა მანძილზედაც გააგორებს, ფეხით გადახრამავს. ქულეებს ითვლიან. დათქმული ექნებათ, თუ რამდენზე უნდა აათავონ. ვინც მალე აათავებს, ის ზურგზე მოაჯდება მეორე და ჰაწიწოს (ნ.) აძახებინებს (ნ. შაკალ. მთიულეთი, 126, შდრ. თუშეთი, 164).

სალაფავი სასვარი, ძალის საკმელი. საძალღეს (ნ.) — ანაცერს ან ქერისა თუ სიმინდის ფქვილს მდულარეს დაასხამენ, თან ჩოგანს მოურევენ, რომ კარგად გაიქნას, მოიხარება და თხემლი ფაფა გამოვა. ნელთბილს აძლევენ. ძალის საკმელად (ნ. ვეჯა I; შდრ. ჩუბ.. კირ, შაკალ. თუშეთი, 99).

სალა ქვა ბრტყელი ქვა, ხმარობენ, როცა კედელს სასარტყლედ ასწორებენ (ნ.). ვიდრე კედლის შესაკრავად სარტყელს შემოავლებდნენ, კედელს მოასწორებენ (მალალ-დაბალს გაასწორებენ) სალა ქვის დაწყოებით, შემდეგ სარტყლად აგურებს შემოავლებენ ორ წყებად.

სალთა მარტოხელა კაცი (შდრ. ბარნ. სალთად ტარება დროისა, გრიშ. სალთი).

სალოკი მლაშე ადგილი, სადაც ნადირი მიდის სალოკავად. მონადირეები ასეთ ადგილებში უსაფრდებიან ნადირს და ხოცავენ. უფრო ირემზე ნადირობენ ასე (შდრ. ჯანაშვი. სალოკი).

სალოცავის მონა-გაყა, ყაც მონა (ნ.).

სალურსმნე ნალში ლურსმნის ჩასაყრელი ნახეოეტი (შდრ. ჩუბ.).

სამამლე საუგამურად, მოსაშენებლად გაშვებული მამალი საქონელი ან ფრინველი (შდრ. სანაშენე; შდრ. ჩუბ.).

სამამულე (რქა) საგაისოდ ყურძნის მოსახმელად დატოვებული რქა. ვახს ფურჩქნის დროს შარშანდელი სამამულის ძირში ყველაზე თამამ რქას დაუტოვევენ, ყურძენი რომც არ ებას იმჟამად, სარზე ააკრავენ. უფოთილდებიან, რომ არ დახიანდეს, არ მოტყდეს. გასხელის დროს ამას 7—8 კვირტზე (70-იოდე სმ. სიგრძიას) დატოვებენ, ხოლო შარშანდელ სამამულეს რაც აქვს ჩაბა (ნ.), წლევეანდელი სამამულის წინ წაპკრიან. ამის უკან, ძველიანზე 2—3 კვირტიან პატარა რქას დატოვებენ. მეორე წელიწადს კი ამისაგან გამოტანილ რქას მისცემენ სამამულედ, თორემ ერთი სულ წინ რომ ატაოონ, ვაზი მალალი გაიხრდება და არ ვარგავაზის ს.მ.მულის ძირის სიმაღლე 60 სმ.—ერთი მეტრია. შეყვლის დროს სამამულეს კავიეთ მოხრიან და საკის ისე მიაბანენ, რომ ქარმა არ ატოკოს (ნ. ჯანაშ. II, 322, 329 და სხვა).

სამარგელი ნათესაი შერეული სარეველა ბალახეული, რომელიც უნდა გაიმარგლოს (ნ. მარგელა).

სამართი წისკვილის ხელსაწყო ბერკეტული სისტემისა: ორი მკლავით რკინა ცალი მხრით ერთმანეთზე გადაბმულია ისე, რომ ფარგალივით იშლება და იკეცება, მეორე ბოლოები მოხრი-

ლია და რიკებივით არის გამოშვებული. როცა წისკვილის ზევითა (მალითა) ქვის გადმოღება უნდათ მოსაკოდად ან სხვა რამისთვის (ქვევითას ჩვეულებრივ არ იღებენ, სანამ სულ არ გაცდებდა, ან დიდი რემონტი არ იქნება წისკვილში), მაშინ იმას მოსდებენ გაზივით (ზევითა ქვას გვერდზე, ერთიმეორის პირისპირ, გახვერტილები აქვს ორგან), გახვერტილებში შეუყოფენ რიკებს, ქვას ასწვენენ და გვერდზე გადმოიღებენ საამისოდ გამოათულ დაზგაზე.

სამარხი 1. დასამარხავად (დასასაფლავებლად) გადადებული ქონება; 2. სამკვდრო, დასამარხავად მიცემული წილი მშობლებისათვის გაყრის დროს, როცა რჯახი ირღვეოდა და ძმები იყრებოდნენ, მშობლებს აძლევენდნენ სამარხად ცხვარს სამიოდეს, ძროხას და მისთ. ეს ხელუწლებელი იყო, ვერავინ შეეცილებოდა (შდრ. ს ა ბ ა სამარხო, ჩ უ ბ.).

სამ გზად მოტანა ნ. ორ გზად მოტანა.

სამერი ბინის (ნ) გვერდზე დიდი ბ კივით მოწნული ადგილი, სადაც ცხვარს ადოლებენ და ბატკანს აწოვენ-ბინებენ (შდრ. დამერვა).

სამერცხლე ნ. ერდო (ნ. კირ).

სამთვარეულ ბ ბნედა, მთვარის გაახლებახე მოუფლისო ხოლმე ამ სენით შეპყრობილ ადამიანს (შდრ. ჩ უ ბ. სამთვარიო).

სამა გზა სამჯერობახე ზიდვა ტვირთისა. „დიდი დღეა. სამ გზა მამაწრობ დღეა“, ე ი. სამჯერ მოიტან ტვირთს.

სამი მგზავრობა სამჯერ მისელა და მოსვლა. „ამ ერთ თვეში სამი მგზავრობა გავაკეთე ჯალაქ“.

სამიხა აბრეშუმის ქია მესამედ რომ გამოიცულის კანს (ნ. „ერთისა ამოვიდა“, ორისა და ქერქისა).

სამკალი ნამგალი პურეულს მოსამკელი ნამგალი. უფრო მეტად არის მოხრილი, ფიცხია და მკრელი.

სამკერდული საჯდომი ცხენის საკაზმის ნაწილი: ყელისა და გულ-მკერდის სამკაულია. წინა მოსართავზე გაბნეულია თასმა, რომელიც გამოდის წინა ფეხებშუა, მკერდთან ორად იყოფა, აქ ვერცხლის ბალთა აქვს სილამაზისათვის და ერთმანეთს გადაბმული სამი თასმის დასამაგრებლად. აქედან ორივე ტოტი ყელის აქეთ-იქითაა ამოტარებული და ტახტაზე დამაგრებული (ნ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ., ე ლ. სამკერდე).

სამკვდილი ტყავის წინსაფარი. ყანის მკის დროს მამკელი იკეთებს გულსა, მხრებსა და მკლავებზე, რომ ნამჯამ არ შეაწუხოს.

სამკვდრო, სამარხი დასამარხავად გადადებული ქონება. ძმები გაყრის დროს მშობლებს აძლევენდნენ საქლავს—ცხვრებს, ძროხას და მისთ. დამარხვის დროს დასაკლავად. ვერავინ შეეცილებოდა ამას (ნ. ჩ უ ბ., კირ.).

სამკლავე მკლავპაიტი, ყანის მკისას წინდის ყელსავით მკლავზე წამოსაცემი (შდრ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ., ქ ყ, ვა-ქა I, III).

სამკუთხა ქლიბი ოქრომკედლის იარაღი: თანასწორფერდიანი სამკუთხედი ქლიბია, სიგრძივ სამი წიბო და სამი წახნაგი ჩასდევს.

სამმოვლილი ნ. მოვლილი.

სამნაყოლი სამჯერ რომ მოიგოს ისეთი ძროხა, ცხვარი და სხვა, საძი ხბოს დედა ფური, სამი ბატკნის დედა ცხვარი და მისთ. (შდრ. ორნაყოლი).

სამორე, ჩასაკეთებელი სკირის შუა ადგილას სათვალე ცეცხლის შესაკეთებლად.

სამსები ნ. საესები.

სამსხმო გადანდები სენის—წითელას, ქუნთრუმის, ყვაილისა და მრს-თანათა ზოგადი სახელი.

სამტკიცო წმინდა საცერი. პაწაწა ნახვერტები აქვს და მხოლოდ წმინდა ფქვილს ატარებს. იქსოვება ძუისა ან სირმისა (ნ. ქ ყ, ბარნ., ა ლ ა ვ.).

სამტყუპა სამი ცალი ნაყოფი ერთად (ნ. ტყუპი).

სამურყელი ცხენის საწმენდი რკინისა, დაკბილულია (ნ. საბა სამონველი, ჩუბ, ჟღ. სამონელი).

სამღებრო ძაფის საღებავ საფერადებელი ქარხანა.

სამყურა ქვა სამკუთხა ქვა, კედლის კუთხეებში ატანენ აგურის ნაცვლად.

სამშალალა სამშაბათი (ნ. ორშალალა).

სამშაშვებული ნ. შაშვებული.

სამშრალე, შამშრალე არამეწველი ცხვრის საძოვარი ადგილი მთაში.

სამცრო საწნახლის (ნავის) წინაპირზე ჰორიზონტალურად დაკრული ფიკარი, რომელზედაც გოდორი იდგება ნაფში ყურძნის ჩასაყრელად. იგი მწურავისათვის ერთგვარ მაგდასაც წარმოადგენს: ხედ დაიწყობს ხოლმე საქმელ ყურძენს, პურ-ღვინოსა და სხვ.

სამწვერი ბაწარი სამფად დამახული ბაწარი (მატყლის ძაფი), საწინდედ ხმარობენ.

სამწვერი წინდა სამწვერი ბაწრის (ნ.) წინდა.

სამქედური სამქედლო, მქედლის სახელოსნო (ნ. ჩუბ.).

სამქვალე სამსკვალი, ლურსმანი, რითაც მაკრატელია გადაბმული (ნ. საბა, ჩუბ სამსკვალი, გურამ. სამსკვალი, ჯავახ. I, 208 სამსკვალი).

სამხაზიანი კალაპოტი ნ. ერთხაზიანი კალაპოტი.

სამხარი სამხრად საქმელი; ზოგჯერ სამხრობა (ნ.; შდრ. საბა, ჩუბ.).

სამხ(ვ)თოხ ფული, სუფრის ფული, ამქრის ფული ამქარში შეკრებილი ფული; მას ინაზადენენ ამქრის საქეიფოდ. გახაფხულზე იწყებოდა ამქრის ჩეულებრივი დღესასწაული, ამ დროს ხდებოდა შაგირდების დალოცვა ოსტატებად (შდრ. ჩუბ., კირ. სამღეთო).

სამხრობა მესამეჯერ კამა. მზე რომ

სამხრეთისაკენ გადაიწვევება, დაახლოებით 4 - 5 საათზე, ამ დროს ყველაზე უკეთეს საქმელს იღებენ (ნ. 2 ნაწილი, სადილობა, ვაკშობა, სერიკულა; შდრ. ჩუბ.).

სამჯარილოფე მხარილოფე გასაკეთებელი თასმა ან ზორტი და სხვა მისო.

სამჯრე პერანგის შიგნით მხრების ადგილას დადებული სარჩული სიმაგრისათვის (შდრ. ჩუბ.).

სანათი 1. რაც გაანათებს: სანთელი, ჩირალი და სხვა (ნ. საბა, ჩუბ.);

2. წერილად დაჩხბილი ხმელი შეშა, ქურაში ქვევრების გამოწვის დროს რომ იხმარება ალისათვის; ცუცხლის დასანთები წვრილი ნაპობი ჩხირებისა, შეშისა, ნაფოტები, ბურბუშელა და მისო.

სანაჟური, სარკმელი ძველქური პატარა ფანჯარა სინათლისათვის (ნ. საბა, ჩუბ.).

სანამყენე ხე ჯგუფი, ლეგ საძირე (ნ. 1).

სანაქებო ქების ღირსი, საქებური, ნაქები, განთქმული. „წლეულ სანაქებო მოსალია“; „სანაქებო მსხალია“ (ნ. ჩუბ.).

სანაყელი ფილთაქვა, სანაყავი მრგვალი გრძელი ქვა (ნ. ჯანაშვი. სანაყელ; შდრ. საბა სანაყელი, ჩუბ. სანაყავი).

სანაშენე მოსაშენებლად, სადგამურად გაშვებული დედალი საქონელი (ფური, ცხვარი, ქაჯი, ნუხვი და მისო.) (შდრ. სანდულე, სამამლე; ნ. შარშ. სანაშენო 2).

სანაცილე ნაცლის (ნ.) მისაცემელი, ბავშვის დასატუქსი წვევლასავით სიტყვა: სასიკვდილესავით. „გაჩუმდი, შე სანაცილევე, ნუ ძტირი!“

1. სანაცრე თორნის გვერდზე თორნიდან ამოღებული ნაცრის დასაყრელი ადგილი (შდრ. ჩუბ.).

2. სანაცრე, სანაჯირე საკირის ან ქურის სულ ძირა სათვალე, საიდნაც ნახშირი და ნაცარი გამოაქეთ (შდრ. ჩუბ.).

სანაკშირო ნ. სანაცრე (შდრ. ჩ უ ბ.).

სანელი სანელებელი, შეკამანდის შესაკაზმავი (მწვანილი, პილპილი და სხვ.) (ნ. საბა, ჩ უ ბ. სანელებელი, ჯანაშვი. სონილ).

სანთი სიმარჯვე, ხერხი. „სანთი არა აქვ“. უსანთოდ არის უხერხოდ არის, თავისი ძალა რიგზე ვერ გამოუყენებია (შდრ. ბარნ. სანთიანი).

სანუქთო სამუქთო, სამაგიერო, სანაცვლო. „მე რო მიკირდა, ჩვენებიანთ დათამ არაფერი დახოვა, სანუქთოდ შეც ერთი კარგი კედილა დავაკარე, დედა რო გადაეცვალა“ (ნ. საბა სამუქთო, ჩ უ ბ. სანუქთო, შაჰნ. I, II სამუქთო, გურამ. სანუქთოდ).

საორჯელო კვერი მკედლის დიდი კვერი, ორივე ხელით საცემი კვერი, დამხმარე მკედელი (შაგირდი იქნება თუ ამხანაგი) ურტყამს (შდრ. საცალკელო).

საოსტატო უწინ ოსტატი (დედაკაცი) შაგირდის (ქალის) გაწვრთნაში გასამარჯელოს არ იღებდა თურმე. როცა ქალი გათხოვდებოდა, მაშინ მისი ქმარი გადაიხდიდა 10—20 მანეთს, ხოლო სამაგიეროდ ნეფე ცხენის მორთვას მოითხოვდა. ოსტატიც საპატარძლოს მოაქარგვინებდა იერიშს (ნ.), ყაჯარასა (ნ.) და სამკერდულს (ნ.). ეს ერთგვარი ატესტატიც იყო. ოსტატს ერგებოდა აგრეთვე პატარძლის მოსართავი (3—5 მან), რომელსაც ნების მუჯვარე იხდიდა (ნ. საბა, ჩ უ ბ.).

1. საოფლე გადამდები სენია: ოფლის დენა იცის, ტიფი (ნ. საბა, ჩ უ ბ.).

2. საოფლე, ხარბილობელი ცხენის საკაზმის ნაწილი: შეკაზმვამდე ცხენის შიშველ წელზე დასაფენი ნაბადი, რომ ცხენს ოფლი შეაშრეს და ზურგი არ გაუფუჭდეს (ნ. ჩ უ ბ.).

3. საოფლე, შუბხაფენი შუბლსაფენი, მკის დროს შუბლზე შემოსაკრავი,

ჩითისა, შიგ ბამბა შეიძლება ჰქონდეს, ოფლს იშრობს (შდრ. საბა).

საპალნე, ხაჰანე 1. ერთი აკიდება ტვირთი (შდრ. საბა, ჩ უ ბ., შაჰნ. I); 2. საწყალო, 32 ჩაფი თხიერი ნივთიერება (ჩვეულებრივ ლენო) ინგარიშება, ზოგი 30 ჩაფს ინგარიშობს (ე. ი. 576 ან 540 ლიტრი რვიანი ხელადით, ხოლო 512 ან 480 ლიტრი ცხრიანი ხელადით). ნამდვილად 32 ჩაფი უნდა იყოს, რადგანაც ცალში (ნ. 2) 16 ჩაფს ინგარიშობენ. ჩანს, ურმის საპალნე ივარაუდება და არა საკიდრისა (ნ.; შდრ. ჩ უ ბ., ელ., ჯავახ. საფ.-სახ. 114, 117 და სხვა, მ ა ყ.).

საპანის ურემი საპალნის ურემი, დატვირთული ურემი, მძიმედ დატვირთული ურემი.

საპარაფი ბარკლებშუა ვიწრო ალაგი; აგრეთვე მისი ხორცი, კუბანის (ნ.) ხორცი, კარგი წვენი კეთდება, გემრიელია (შდრ. საბა, ჩ უ ბ.).

საპარკეთ ჰამა ქერქის (ნ.), ანუ მეოთხედ კანაზდელი ბარეშუმის ჰია ათ დღეს ძალიან ხარბად ჰამს და შემდეგ იწყებს პარკის კეთებას.

საპენტელი ბამბის საპენტი მშვილდი და ისარი.

საპირე ფეხსაცმლის პირის შესაკერი ტყვი (შდრ. საბა, ჩ უ ბ., შაჰნ. I).

საპოვენლა დაკარგული ნივთის მოკენელის ჯილდო (ნ. ჩ უ ბ. საპოვენლი).

საპოპი ატამი საპოპი ატამი, სახეჩი ატამი, ატმის ჯიშია, იხლიჩება და კურუკა ერიდება (შდრ. სახრაგი; ნ. ერისთ. საპოპი-ატამი, ჩ უ ბ. საპოპი).

საპურწყულედ გათბობა წყლისა მცირედ გათბობა, ნელთბილად გათბობა წყლისა, პურის მოსახელი წყლის გათბობა.

საყეფი ქვის მთლელის იარაღია ბრტყელთავიანი და დაკბილული, კვერსა ჰგავს. დაკბილული ბრტყელი თავით სტემენ ქვას, ქვა იძებება და შემდეგ ადვილად იკოდება.

სართის სოფლის ახლოს მარჯვედ მდებარე ადგილი, სადაც გადის სოფლის შინაური ცხოველი და ფრინველი: ინდაური, ბატი, ღორი, ურმის საქონელი და მისთ. (შდრ. ჩ უ ბ.).

სარაჯი ცხენის საკაზმის ოსტატი. **სარბილობელი** - გ. ვ. კ. 46 საოფლე (ნ. 2).

სარევი ქვევრში ჭაჭის სარევი კაპებიანი ჯოხი. მაკრობისას მალა ამოსულ ჭაჭას სარევით აწვეებიან და ჩაძირავენ (ნ. ჩ უ ბ.).

1. **სარევი ხელნახე** ურმის თვლების წინ დაკრული ლატანი, რომ თავდაღმართში ურმის თავში შებმულმა კამეჩებმა გავით დაიპირონ ურემი და ამავ დროს ურმის თვალი არ მოხვდეს. გავასა და ფეხებზე.

2. **სარევი ადგილი**, საიდანაც ნადრობის დროს მრეკავნი (ნ.) ნადირს ერეკებიან სახუნდარისაკენ (ნ.; ნ. ს ა ბ ა).

სართული ჩალის სახურავის ერთი წყება, ერთი რიგი. ჩალას ხურავენ სართულ-სართულად, წყება-წყებად. ჯერ ერთ წყება ჩალას დახურავენ და დამაგრებენ მუყენითა (ნ.) და წნელით, მერე—მეორე წყებას, შემდეგ მესამეს და ა. შ. თავამდე (ნ. იაფური დართვა; შდრ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ.).

სარიდვალა მოსარიდებელი კირი, შავი კირი, საერთოდ გადანდები სენი (შდრ. ს ა ბ ა სარიდო, ჩ უ ბ. სარიდალი).

სარის ლობიო ნ. ფიჩხის ლობიო (ნ. ჯ ა ვ ა ხ. II, 46 და სხვა).

სარისტა წესრიგი, თადარიგი; მობერხება (ნ. კ ი რ., გ რ ი შ., ც ა გ.). აქედან: **ს ა რ ი ს ტ ი ა ნ ო ბ ა** თადარიგინობა, გამკრიბობა.

სარკმელი ნ. სანათური (ნ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ., გურამ., ვაჟა I).

სარმა კიდაობის ხერხი: ფეხის ფეხში გამოკვრა (ნ. კ ვ., კ ი რ.).

სარსარაკი (*Tetrax tetrax L., erpenet*) გარეული ფრინველია, მობრდილი, ერთბაშად იცის წამოურუნა და კახკახით გაფრუნა პირდაპირ. იკმება (ნ. ს ა ბ ა, გ რ ი ს თ., ჩ უ ბ., ჩ ხ.).

სარსალი მოსულელო, ყბედი (შდრ. კ ვ. სარსამი).

სართულ-გულისპირი ქართული კაბის (ნ.) ნაწილი. **ს ა რ ტ ყ ე ლ ი** წელზეა შემორტყმული, წინ შეკრული ხრიკით (ნ.; უწინ გადაკვანძვით სცოდნიათ შეკვრა), ტოტები ბრტყელია, მოქარგული (ჩვეულებრივ ასო მანის ძსგავსი სახით) და ძირს ფეხებამდე ჩამოშვებულია (უწინ მოკლედ ჰქონიათ ჩამოშვებული). **გ უ ლ ი ს პ ი რ ი** მკერდზე აქვთ აფარებული სედატანის შიგნით ისე, რომ ჩანს.

1 **სართული** შარვლის სათაურისა (ნ.) და ქვედა საკვლის საწულური, ხვანჯარის გასაყრელი (შდრ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ.).

2. **სართული** 1. კედლის შესაკრავად მთელ კედელზე ირგვლივ თანაბარ სიმაღლეზე შემოვლუპული ორი პირი აგური (ქიზიში 2—4 პირი ქვა, შემდეგ ორი პირი აგური). აქედან: **ს ა რ ტ ყ ე ლ ი ს შ ა მ ო ვ ლ ე ბ ა**; 2. ფიცრული სახლის კედლებსაც, როცა აიყვანენ თავამდე, შემოავლებენ ძელის სარტყელს და ზედ კოჭებს დააწყობენ. ძელის სართყელი ფიცარზე სქელია და კოჭზე თხელი (ნ. ბ ე რ. სა-რტყელი).

სართულის შამოვლება ნ. 2 სარტყელი.

სარქალი უფროსი მწყემსი, ბინის თავი, გამოცდილია (შდრ. ჩ უ ბ., გურამ. სარქარი; ნ. ა. ყ ა ზ ბ ე გ ი ს „ნამწყემსარის მოგონებანი“).

სარქვეული სარქველი, ქვევრის პირზე დასაფარებელი მრგვალი ბრტყელი ქვა (ნ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ., მ ა ყ. სარქველი).

სარყვა ნ. გასარყვა. „ოჰო-ჰოო, რადიდი სიცოცხე; ს ა რ ყ ა ვ ს ყველაფერი“

სარჩიელი 1. რკინის რგოლი: წალ-
დის (წალდის სარჩიელი), ცელისა (ცე-
ლას სარჩიელი) და მისთანათა ტარზე
შემოცმული ლითონის რგოლი, რომ
ტარი არ გასკდეს და თან მაგრადაც
დაიკიროს (ნ. ბერ. სარჩილი); 2. ნ.
დუმის სარჩიელი.

სარცხი ქვევრის სარეცხი ხელსაწყო:
ხის ტარზე წამოცმულია ბალოჯის
(ნ.) კანი რამდენიმე ფენად (ნ. წერ.,
მაყ.; შდრ. საბა სარცხელი, ჩუბ.,
კუა IV)

სარჯულავი რჯული. „სარჯუ-
ლავ ძაღლი“; „სარჯულავამ დე
მიყვავ“ (შდრ. ჩუბ. სარჯული).

სასალაკი ენის კლიტე, სასის ჩამო-
შვებული ნაწილი (?) „ბევრი ტირი-
ლისაგან (ყვირილისაგან) სასალა-
კები ჩააწყდა“.

სასალი სუსტი, უღონო ადამიანი;
დაერდომილი ადამიანი.

სასანი ძლიერი ნდომბა, სურვილით
შებყრობა, გაფაციცება კამისათვის.
„რა მოგივიდა, რა სასანი გკირს,
გოგო, ყველაფერზე?!“

სასარტყლედ მოსწორება კედლის
ხედაპირის მოსწორება სარტყლის შე-
პოსავლებლად (ნ. 2 სარტყელი).

სასახლე სახლის დასადგმელი ად-
გილი.

სასახლის გამოშვება: სასახლე
გაზომავ ორნაო იტყვიან ხოლმე,
როცა ვინმე წაიქცევა, მიწაზე დაეცემა.

სასახლის გამოწორება სახლის და-
სადგმელი ადგილის მოსწორება, გაეა-
კება.

სასახლის გამოჭიშვება: სასახლე
გამოკიშავ ორნაო იტყვიან ხოლმე,
როცა ვინმე წაიქცევა, მიწაზე დაეცემა.

სასახლის გამოჭრა სასახლე (ნ.) მი-
წის მოთხრა გვემის მიხედვით.

სახინხლავი ნ. სასუნხლავი.

სახისხარი ალაგი ადამიანის ორგა-
ნიზმის ის ნაწილი, რომლის მცირე
ზიანის მიყენებაც კი სიყვდილს იწვევს,

მაგ., საფეთქელი, გული, საზარდულები
(ნ.) და მისთ. „ბიჭო, ნუ იცი სასი-
ხარ ალაგა და დარტყმა, რომ შამო-
გაკვდე, რა იზამ?“ (ნ. ჩუბ., ქყ.
სასისხარი; შდრ. ჯავახ სამართლის
ისტ. II, 483).

სასივრე სახლის კედელში სკივრე-
ბის შესალაგებლად შეჭრილი ადგილი,
წალოსავით (ნ.). შუაზე თარო აქვს,
რომ ერთი სკივრი დაბლა დაიდგას და
მეორე მაღლა. უკაროა, წინ ფარდა
აფარია.

სახოლე მორგეში სოლის ჩასაყრე-
ლი ადგილი, ამოღებულა სატახით.

სასრონი ბადე სასროლი ბადე-
მრგვალია, გარშემო ტყვიები აქვს, რომ
დამძიმოს და წყალში ჩაძიროს. შუაში
გრძელი თოკი აქვს მობმული. როცა ის-
ვრიან, თოკის ბოლო ხელში უჭირავთ
და მოზიდავენ. გასროლისას წყალზე
გაშლით ეცემა, ირგვლივ მობმული
ტყვიების სიმძიმის გაშო იკუჭება და,
თუ თვეზი მოჭყვა, ველარ გაეა (ნ. სა-
ბა, ჩუბ. სასროლი).

1. სასულე სააგურის ძირა სათვა-
ლესავით, საიდნაც ნიაეი მუშაობს და
ცეცხლი ღვივდება.

2. სასულე, სასუნთქი, ენა საბერ-
ელის ჰერსასრუტი (შდრ. საბა,
ჩუბ., კირ.).

სასუნთქი ნ. 2 სასულე (ნ. ჩუბ.).

სასუნსლავი. სახინხლავი სასუნსავი,
სამსუნავო საქმელი; გატ. ტკბილეუ-
ლი: ჩურჩხელა, ლედვის ჩირი და სხვა
(ნ. კირ. სასუნსავი).

სასწვრები სასწორი, თანავარსკვლა-
ველია, ზოლიაქოს ერთ-ერთი მონაწილე,
იმყოფება ქალწულისა და კირჩხიბის
თანავარსკვლავედებს შორის, „მკარ-
დამკარ მიდევს მრავალსა (ნ.) და კარი-
პარია“ (ნ.; საბა, ჩუბ. სასწორი).

სატანი ხმელი შეკამანდი, პურის
შესატანებელი ყველი, ხორცი და მისთ.
წლეულ იგრე ვიყავით, რომ ერთი ბე-

წო სატანი არა გვქონდა, სუ ცარიელ პურზე ვეყარებით“ (შდრ. ჩ უ ბ.).

სატენი მსხვილი კეტი ფქვილისა და მისთანათა ჩასატენად ტომარაში (ნ. ჩ უ ბ.).

სატკურა ძირტკბილა. ყვითელძირა მცენარეა, ყანაში იცის, ძალიან ტკბილი ძირი აქვს (შდრ. ე რ ი ს თ., ჩ უ ბ., მ ა ყ.).

სატყუარა მოსატყუებელი რამე, შემაცდუნებელი. „წყუელ მიკიტან ყვინტლიან გველოა ჯამფოლით (ნ.) გამოუდგამ დაძმარულ-დაქინძული ნედლი ლოქო სატყუარად, მოდი და ნუ შახვალ!“ (ნ. საბა სატყუარი, ჩ უ ბ. სატყუარი).

საუარესო სართი. გაყრისას თუ რომელიმე ძმას ცუდი წილი შეხვდებოდა ან მის მამულზე გზა გადიოდა, მაშინ მას წილში ცოტა მეტს აძლევდნენ (ნ. საღვარე).

საუბევე ხე უბედ, ხელნად გამოსადეგი ხე, ოდნავ მოხრილია, მოდევნის (ნ.). მას გათლიან და ურმის ხელნად გამოიყვანენ.

საუდიერო დამნაშავეის გადასახდელი ჯარიმა. ჩხუბში რომ ერთი შეგორეს დასჯაბნიდა და სცემდა ან დასახიჩრებდა, ჯარიმას იხდრდა დაზარალებულის სასარგებლოდ (შდრ. საბა, ჩ უ ბ., გურამ. საუდიარო).

საუმცროსო უმცროსისათვის განკუთვნილი ქონება. გაყრის დროს ძმები თანაბარ წილს იღებდნენ, მაგრამ უფროსი ძმა თუ საუფროსის (ნ.) აიღებდა, მაშინ მცირეწლოვან უმცროს ძმას (ან ძმებს) საუმცროსო ეძლეოდა იმდენი, რამდენიც მას დაევაკაცებამდე ეყოფოდა. საუმცროსო ეძლეოდა ქონების კვალობაზე და აგრეთვე ძმათა შეთანხმებით (შდრ. საუფროსი; ნ. ჩ უ ბ.).

საურმე გზა ურმის გასავლელი გზა, ფართო გზა (ნ. ჩ უ ბ.).

საურმე ხაბელი ურმის საბელი ზედადებული ტვირთის შესაკრავად. სიგრძით 20 მეტრამდეა.

საუფროსო ოჯახის გაყრისას, ძმების თანხმობით, უფროსი ძმისთვის საერთო ქონებიდან წინააღმდეგად ნაწილი. უფროს ძმას ამას აკუთვნებდნენ იმიტომ, რომ მან ოჯახში ძმებზე უწინ დაიწყო მონაგრება. დარჩენილ ქონებას „ძმაზე აყოფდნენ“ (შდრ. სადილო, საუმცროსო; შდრ. ჯ ა ვ ა ხ. სამართ. ისტ II, 377 საუხუცესო).

საფანელი ცომის დაგუნდავების მოსაყარი ფქვილი, რომ ცომი ვარცლსა და ხელს არ მიეკრას. ანაზა: „ცოლსა დიდი ცომი უნდა, ასი ნიტრა საფანელი“ (ნ. საბა, ჩ უ ბ.).

საფარობელი ხუფი ქურკლისა (შდრ. ჩ უ ბ.).

საფახტე მოედანი სააგურე მიწის გასაშლელოდ და კალს (ნ.) გასაკეთებლოდ (შდრ. ფასტო).

საფაფავი ძაფის დააფაფავი ფქვილი (ნ. დაფაფავი).

საფენი 1. ზოგადი სახელია ხალჩისა, ფარდაგისა, ჯუჯიმისა, ნაბდისა და მისთ. (ნ. ჩ უ ბ., შან. I; შდრ. საბა); 2. ალიზის დასაწყობი ადგილი გასაშრობად.

საფერავი ვახის ჯიშია, ფოთოლი მრგვალი აქვს, მუქი მწვანე, თითქმის მოლურჯო, შემოდგომაზე წითლდება, რქა მრეთითაა, მტკვანი ორთამუე იცის: არც ძალიან შეგრულია და არც თხელი, შავი მრგვალი მარცვალი აქვს. ყურძენი ნაზია, ადრე მწიფდება, საუკეთესო შავი ღვინო დგება (ნ. ე რ ი ს თ., ჩ უ ბ., ჯ ა ვ ა ხ. II, 401, 413 და სხვა).

საფთილე ჯოხი ფთილის (ნ.) დასახვევი ჯოხი.

საფილე ქვევრის ფილის (ქვევრის ქულსის, ქვევრის ძირის) ჩასადგმელი ხის მოწყობილობა, მრგვალია. ქვევრის კეთებისას საფილეში აქნებენ, რადგან

ჩვილია და თავის თავს ვერ დაიპერს, ქუსლი ჩაეკულიტება. საფილეში ისე დგამენ, რომ ქვევრის ქუსლი მიწას არ ეკარებოდეს.

საფლავის სანახავად გასვლა მიცვალებულის დამარხვიდან მეშვიდე დღეს, სწორზე, კირისუფლების წასვლა საფლავის სანახავად და დატირება. უკანასკნელ დროს ზოგნი იმავე საღამოს გადაიან, რადგან მოსულა ნათესავის მეორედ მოსვლა უმძიმთ (შდრ. ორმოცი, თავზე, რიგი).

საფუძველი შთამოწავლობის სათავე. „საფუძველი არ უფარგათ, მაგათი ქალი არ ივარგება“ (შდრ. ჩუბ.).

საფუხარი თოფის დასაპერი, თოფზე ხელის წასავლები ადგილი, ხელის მოსაკიდებელი (შდრ. საბა საბუჯარი, ჩუბ. საბუხარი, ქ. ვაჟა I, მაკალ. მთიულეთი, 110).

საფუძვილე ფიფი. „ც ალატი (ნ.; შდრ. შარშ. საქფილე: წისქვილი კოდისა).

საფუძვის ურემი დასაფუძვევი ხორბლით დატირთული ურემი.

საფუძველა, ახტამა რკინის პატარა ნიჩაბი მეკურკლის დაზგაზე ტალახის ასაფხეკად (ნ. საბა, ჩუბ. საფხევი; შდრ. ვაჟა IV საფხეველი).

საქალეთო ქალთა საზოგადოება. „საქალეთი გაწყდა, როგორ მაიყვანა ცოლათ?“

საქალეთის ქალი ღირსეული, გამოჩენილი ქალი; ღამაზი ქალი. „როცა იცოდეთ, რა საქალეთი ქალი მყავ, მეგწონებათ“.

საქალე მაჭარი ორი-სამი დღის ადულებული მაჭარი, ტბილია და შუშხუნა.

საქამრე წელი, სადაც ქამარს ირტყამენ. საქამრეს ქვემოთ წელქვემოთ.

საქარე საკოქედ მოსწორებული სახ-

ლის გერდის კედლებზე, კოქების მალა, ერთიმეორის პირისპირ პირაზიდულად აყვანილი ცალპირი კედელი (ნ.; წინა და უკანა კედელი უფრო დაბლაა), რომლებზედაც გადებულია სათავე და შემდეგ სათავედ ნაკვია დაკრული წინა და უკანა კედლებზე. საქარეს უფარდებენ ქარის მიმართულებას. რადგანაც კიზიყში აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქარი იცის მხოლოდ, საბლსაც ასეთი მიმართულება აქვს (შდრ. ბერ. სა-ქარი).

საქარიანი კედელი საქარეყვანილი კედელი (ნ. საქარე).

საქვე გასაქვევებელი. წყავლა: „აი, შენ საქვევე, შენა, მოდი აქ, მეზობელთან გამეგზავნე“.

საქმითვის თავის გამოზმა საქმის დამთავრება.

საქმის გაჯღლაბარდება საქმის დახლართვა, გართულება, საქმის არეუდარევა, საქმის დაუმთავრებლობა (ნ. გაჯღლაბარდება).

საქონლის დამნალავი ჩლიქგაყვანილი მუშა საქონლის (ხარისა და კამეჩის) მკედელი, ნაღბანდი.

საქორწილო ქორწილის წინ ნეფედდოფლისათვის (უმთავრესად პატარძლისთვის) ნევაკრი ფართლუელი: ტანისათვის და ქვეშაგების მატერია (ქვეშაგებს თემცა ქალის მშობლები ატანენ მზითვად, მაგრამ იგი მითლებშია (ნ. მითელი) შეკერილი, სამოსელი (პირი, თეთრეული) არა აქვს, ნეუიანი მოვალენი არიან ქორწილის წინ მიიტანონ. გადამოსავენ და ისე მოიტანენ ქალის მზითვეს ქორწილის წინა დღებში). ცოტა რამე ნეფისთვისაც იქნება და ოჯახის სხვა წევრებისთვისაც, როგორც ნიშანი ქორწილობისა (შდრ. საბა, ჩუბ., წერ.).

საქცივი ნ. გუთნი საქცივი (ნ. საბა, ჩუბ., ჯავახ. საფ. სახ. 139).

საღვარე ხევის პირას მდებარე მამული, რომელსაც დიდი წვიმების დროს ნიაღვარი გადაუვლის ზოლმე, ან შეიძლება ოდესმე ნიაღვარმა გადაუაროს. გაყრის დროს ასეთ მამულს საუარესო (ნ.) ეძლევა, ე. ი. სართი ეძლევა (შდრ. ქ. ყ., 1 ლ. საღვარეა/ე).

საღვინე ღვინის ქურჭელი თიხისა, 1—2 ხელადა (ნ.) ჩადის; მუცელი მრგვალი აქვს, ძირი საშუალო ზომისაა, ცალყურიანი, ყელი მომაღლოა და ვიწრო, მაგრამ არც ისე ძალიან, როგორც რუყრუყა ნიტრას (ნ.) აქვს, პირი ტუჩიანა და ბგე დავიწროებული (შდრ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ., ჯ ა ვ ა ხ. საფ.-სახ. 86, 90, სამართლის ისტ. II, 190—194).

საღლაში (ქეპოკლეული სიტყვაა საღლა მათი) საღი.

საღ-საღამათი საღი, ჯანსაღი, არავადმყოფი (ნ. ჩ უ ბ.).

საღსალაჯი, ხანსალაჯი, საყსალაჯი (Pistacia mutica) ერთგვარი მაკარი ხეა, წინეი ფოთოლი აქვს, მწვანე-მოყვითალო ქერქი ბროწეულს მიუგავს (ნ. ჩ უ ბ. საღსალაჯი).

1. საყარი თევზის თავმოსაყარი ადგილი. როცა მდინარეს გადაუგდებენ და წყალი წრტება, მაშინ თევზმა იმ ადგილას იცის თავმოყრა, საიდანაც სულ ბოლოს გაიწურება წყალი.

2. საყარი საქონლის დასასვენებელი ადგილი. ქიხიყში საქონლის სამოყარი ცალკე გამოყოფილი და დასასვენებელ-გასაგრილებელი—ცალკე ძრახვა (ნ.) ძოვს დილა-სალამოს, შუადღისას კი სიცხეში ტყეში, გრილოში, ვერა დგება, ბუზი აწუხებს, და მიდის შიშველ, ღია ადგილზე, სადაც წყალია და ბუზი არ არის, და იქ ისვენებს (ნ. ქ. ყ.).

საყვარი გუთნის ნაწილი: ძელია, რომელიც გუთანში ჰაპანის მაგივრობას ეწევა. გუთანს სულ სამი საყვარი აქვს. საყვარს დათვასთან (ნ.) აქვს ცოტა მოგრძო ჰაპანი და უღელთან—ერთ-

ორ მტკაველზე წნელი, რომ მოძრაობა შეეძლოს. მარტო საყვარი რომ იყოს, ხარებს მოძრაობა არ შეეძლებოდათ.

პირელი საყვარი საგლეჯზეა (ნ.) მოზმული. ამ საყვარს მესამე უღელი ხარი, ანუ შუა სადგომი ხარი (ნ.) უბია. ორი საყვარი კიდევ ამის შემდეგ არის. წინა ხარებს საყვარი არა აქვთ, მათ კვანტი (ნ.) აქვთ (ნ. გუთნული; ნ. ჩ უ ბ., მ ა კ ა ლ. მთიულეთი, 44; შდრ. ს ა ბ ა).

საყენიო მხხალი მხხლის ჯიშია, მხხვილი, მაგარი, კომხისებრი.

საყენი 1. კონილა, ურმის შესადგამი (შდრ. ჩ უ ბ.); 2. ზობანდის ხელსაწყო: დედალი ხის (ნ.) ამოსაყენებელი სამფეხა ხეა.

საყვავე (უქანა მხარში), სათავე სახურავის შუაში მთავარი ძელი, სახლის თავზე საქარიდან საქარეზე (ნ.) გადებული ძელი, რომელზედაც კავები ეწყობა კრამიტის დასახურად (ნ. ს ა ბ ა).

საყველაწმინდა უქანასკნელი სადღეგრძელო. ქეიფის გათავებისას თამადა იტყოდა: „ყველა წმინდა ღვთისმშობელი შეგვეწიოსო“ და სხვ. (ნ. ბ ე რ. სა-ყოვლაწმინდაო).

საყოლი საქონელი ფური საქონელი მოსაშენებლად (შდრ. შ ა რ შ. საყოლი).

საყსალაჯი ნ. საღსალაჯი.

საყუე, ყალამი მკედლის იარაღი: თიხისა და ცულის ყუის გასახვრეტი და დასაყალიბებელი.

საყუნწური კარისა უწინდელი სახლის კვედა ზღურბლში ამოღებული ადგილი კარის ქულის ჩასაჯდომად.

საშულავე, შაშულავე საფეიქროში შულოს, კეიფის (ნ.) ამოსახვევი იარაღი: ჯარასავითაა და ფეხზე ბრუნავს, ოთხ ალაგას მანკვალი აქვს დარკმული და ზედ ძაფს ახვევენ, შემდეგ ძაფს წააძრობენ და დაკეცავენ შულოდ (ნ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ., წ ე რ. საშვილაო).

საჩანგლე ალაგი ადგილი წყალში, სადაც ჩანგლით თევზაობა შეიძლება (მორევეში იცის თევზი).

საჩენი მხარე დასანახავი მხარე, მხარე რომ ჩანს (ნ. საბა, ჩუბ.; შდრ. შპნ. I საჩინი).

საჩენი სახლის კარისპირა დერეფანი, სახლის სახურავის ქვეშ რომ არის. საჩენის წინა ნაწილი სახლის წინა სვეტებზეა დაყრდნობილი, უკანა კი—კედელზე (ნ. საბა, ჩუბ., ბარნ., ვაჟა III; შდრ. ბერ. სა-ჩიხე, სა-ჩეხე).

საჩხრკევი ცეცხლის გასაწივ-გამოსაწივი იარაღი. მკედლებს რკინისა აქეთ, ოჯახში კი თორნის მოსაჩხრკევად ხეა (თითებწამწვარი ხაჩაკალი ნ.) (ნ. ჩუბ.).

საცალო ბაწრის (ნ.) ტომარა, 7—10 ფუტი ჩადის (შდრ. ჩუბ., წერ.).

საცალტელო კვერი მკედლის იარაღი: ცალი ხელით საცემი კვერი (ნ. ბერ. სა-ცალხელო; შდრ. საორკელო).

საცერა 1. საქმეზე გულდაუდებელი და თანაც მკვებარა ადამიანი; 2. მეტ სახელია კაცისა.

საცეცხლური ქურის ნაწილი, სადაც ცეცხლი ანთია (შდრ. საბა, ჩუბ.).

საცევთი შალის პირკი, შარვლის ტოტებს ინახავს. მწყენსებს აცვიათ მინდვრად (შდრ. ჩუბ.).

საციკველი მეზობლის მიერ მეზობლისათვის მიტხოვებული რაიმე აჯათი—ცული, ბარი, წვრაკევი, აგრეთვე ქვაბი და მისთ. *ს. წ. წ. წ.* „აუ მეზობელ ცეცხლიც საცეციკელი ვკონაო“, ე. ი. ცეცხლი ვთხოვე და არ გამომატანაო (ასანთის დაზოგვის გაცო მეზობლები ერთიმეორეს ნაკვერცალებს სთხოვდნენ ხოლმე დასანთებად) (ნ. ჩუბ., ბერ. სა-ციკველი; შდრ. საბა, წერ., ჟღ., ჯაგახ. საფ.-საზ. 92).

საციკველმადილა რამეს რომ ათხოვებს, ან არუქებს და შემდეგ დააყვედრის: კარგი არ გყავი, რომ გათხუეო (ან გაჩუქეო).

საცულე კაჩო რჩხა, შოლტკავში (ნ.) ფამფალაკის ახლოს გაყრილი სამკაპა ხე ცულისა და ტოპრაკის (ნ.) ჩამოსაკიდებლად (ტოპრაკში სოლებია. ხენის დროს დათლილი ხის სოლები მიიქეთ თან, რომ, ვინცობაა დასკირდეთ გუთანში სადმე, მაშინვე გააკეთონ).
საცხენე საჯინიბო, თავლა, ცხენის სადგომი (ძიწის ზემოთა თავლა უმთავრესად წნულია).

საცხოზო გამოსაცხოზი, ცხოზა. იტყვიან ხოლმე: დღეს საცხოზი მაქვსო დღეს პური გამოსაცხოზი მაქვსო.

საცხოზის სახლი სახლი, სადაც ფქვილი იცრება, ცომი იხილება, გამომცხვარი პური და თვითონ ფქვილიც ინახება (შდრ. ჩუბ.).

საცხოვრებელი სახლი ნ. სადგომი სახლი (ნ. ჩუბ. საცხოვრებელი).

საძალღე ძალღის საკმელი ფქვილი ქერისა, სიინდისა ან ხორბლის ქატო (შდრ. ჩუბ.).

საძეკა სახეაელი, სატკეპნი კეტი.

1. საძირე, სანამყენე ხე ძირი, რომელზედაც ამყენან (ნ. მაც.).

2. საძირე ლანჩა, ფეხსაცმლის ძირატყავი.

საძირის ჯარები (სადგომი ჯარები) საკლეჯრს (ნ.) წინა ჯარები, გუთნიდან მესამე უღელია. საძირის კარები საყვერით (ნ.) არიან მობმული (პირველი საყვეარი აქედან იწყება). ჭკვიანი ხარბია. აქ უდგას შუალა მებრე (ნ.).

საძირკვლის ამოღება მიწის ამოთხრა საძირკვლისათვის.

საძირკვლის ამოყვანა საძირკვლის ამოშენება მიწის ზედაპირამდე. საძირკველი უფრო სქელოა, ვიდრე საჩენი კედელი. საძირკვლის ამოყვანის შემდეგ კედლის სიგანეს მოუკლებენ ხოლმე.

საძირკვლის ჩაგდება საძირკვლის ჩაყრა, საძირკველში ქვისა (აგური არ შეიძლება) და კრის ჩაყრა. უწინ სახლის კურთხევაც იცოდნენ ამ დროს.

საძნე ურემი ძნისა და თივის საზიდი დიდი მალალკალეზიანი ურემი (შდრ. საბარო ურემი; შდრ. ჩ უ ბ.).

საწარბავე ზუროს იარალი: თხელი სატრეხივითაა, ხისტარიანი, მპარობენ ფერაო-სოლის ნაპირებუან საკვერცხავად (სასწორებლად) (ნ. წარბვა; ნ კ ყ.).

საწესო ზელოსნის, ოსტატის გასამრჯელო, იმაზე მცირეა (განსახლერული არ არის), რამდენიც ღირს ზელოსნისგან შესრულებული სამუშაო (შდრ. ჩ უ ბ.).

საწვეთი სახლის ირკვლივ სახურავქვეშ ადგილი, ზომით დახლოებით 30-იოდე სმ, სადაც სახურავის წვეთი ჩამოდის. აშენებისას საწვეთს ტოვებენ, რომ სახლის წვეთი თავის მიწაზე ჩამოვიდეს. ამდენად კედლის ამოყვანა ნიჯნდეს არ შეიძლება (მეხოზობელი არ მისცემს ამის ნებას). ძმათა გაყარასას სახლს საწვეთს აძლევდნენ, როგორც აუცილებელ საკუთნს (ნ. ბერ. სა-წვეთელ-).

საწველელი სარძეული, პიზგანიერი თიხის ჭურჭელი ან ტოლჩა (ნ.), რაშიც წველიან (ნ. ჩ უ ბ.).

საწველი 1. მეწველი ცხვარი (ფარა) (შდრ. ჯ ა ნ ა შ ე. საწელი); 2. მეწველი ცხვრის საძოვარი ადგილი მთაშუ.

საწვინე წინის ამოსაღები გრძელტარიანი და ღრმაპირიანი ჩამჩა (ნ. ჩ უ ბ.).

საწიწკარა ფრინველის (ქათმის, ბატის, იხვის, ინდაურისა და მისთ.) ზურგი ნეკნებითურთ და ფილტვიანად, ძალიან ცოტა ხორცი აქვს (შდრ. სა ბ ბ საწინწკარა, ჩ უ ბ. საწინწკარო, გურამ, ეაჟა I საწინწკარი, IV წიწყ: საწიწკარად).

საწკეპი ჩაქუჩი ნალბანდის იარალი: პატარა, საცალხელო (ნ.) კვერია, რომლითაც ლურსმნებს წვერს უწყებენ, უწერილებენ.

საწობელა საწებელი: ტყემლის წვენი. ტყემალს მოხარშავენ, საცერში გა-

ხეზავენ, რომ ქერქი და ლეშკი (ნ.) არ გაჰყვს, გაწურავენ, სანელებელს უხამენ და შეინახავენ. ხმარობენ მუქანი ხოოცუელისა და მწვადის საწებლად (შდრ. სა ბ ბ, ჩ უ ბ. საწებელი).

საწყაო მოსარგები, სარგო. „ჩემი საწყაო ტანისამოსი“.

საწყევტი 1. უნაგირის ტახტავე (წინ და უკან) ჩაბმული წყვილი თასმა ხურჯინის ჩასაკრავად (ნ. სა ბ ბ, ჩ უ ბ., კ ყ. საწყევტი); 2. მოლტის ბოლოს მობმული სატყალაშენებელი თასმა.

საწყულითინ მოხწორება კედლისა კედელს სასარტყლედ რომ აიყვანენ, სალა ქვა (ნ.) უნდა გაუარონ და ზედ დადებულ სილა-კირის ნაქელს წყალი დაახან, რათა წყალმა კირი ყველა კუნძულში ჩაიტანოს და კედელი გამოკედლოს. სარტყლის შემოვლების შემდეგ წყლის დასხმა არ შეიძლება, რადგანაც სარტყლად აგურებია გამოყენებული და ის წყალს არ გაატარებს.

საჭე ორკაპა პალო, სიგრძით ერთი მეტრი. კაპების მხრიდან ასობენ მღინარის პირას, წვერზე აქვს თოკით მობმული ჩანგალი, რომელიც წყალშია ჩაშვებული თევზის დასაქერად (შდრ. სა ბ ბ, ჩ უ ბ.).

საჭედი ჩაქუჩი ნალბანდის ჩაქუჩი, ორივე მხარე გრძელი აქვს. ცალ მხარეს თავი ფართოა და დაწორილი, რომ, ლურსმანს როცა სცემს, არ გასხლტეს, მეორე მხარე გაწვრილებულია.

საჭერი მქრელი იარალის ზოვადი სახელია: ცული, წალდი, დანა, მძალი და მისთ. (ნ. სა ბ ბ, კ ყ. სამქრელი; შდრ. ჩ უ ბ. საჭრელი).

საჭერის დატალახვა უწინ მქედლები საჭერს (ნ.) კეთების დროს ტალახში ახვევდნენ თურმე, რომ სიცხოველე თანაბრად განაწილებულიყო რკინაში და თანაბარი ჰქონოდა კვეთის ძალა. რკინაც არ იწყებოდ აო.

საქმო საქმელი. „ჩვენებიანთ ვენაკი ჩვენი საქმოა“ (შდრ. ჭყ.).

საჭრელი ჩაჭრი ნაღბანდის კვერი, ორივე მხრივ ერთნაირთავიანია, ოთხკუთხი, ოდნავ მოხრილი, მოკლე ტარი აქვს დაგებული. ამას მაკრატელსა სცემენ და ნაღს აჭრევენებენ (შდრ. ჩუბ. საჭრელი).

საჭრელი ცული შეშის, მორისა და მისთანათა ტყეში მოსაპოვოელი ცული, ბრტყელპირაა და გრძელტარიაანი.

სახაშე ზაშის შესანახავი თიხის ქურქელი, მრგვალია, დაბალი, პირლია, უყურო.

სახეთქი ცული შეშის სახეთქი (საპობი) სქელი ცული, ზომით პატარაა, მაგრამ მძიმეა: ორ კილოს იწონის. შეშის დაპობისას უროს სცემენ ყუაზე.

სახელო ღვთისა ვერ გვითქვამ გამოქვაობა: ღვთის სახელი ვერ გვიხსენებია. „სახელო ღვთისა ვერ გვითქვამ, ქაა, იგეთი ამოსაწყვეტია, სუაი მგონია და გვიჩხუბება“.

სახეში წვრილი სოლები (ბლომადა), რომლებითაც ურომის თვალში (მორაგვეში) ღერძს გასკედავენ, მოხეშავენ (ნ.; ნ. ხეში).

სახვარბლე, ჯვიშირა წისქვილის ნაწილი: ხეიშირა, კონუსის მსგავსი შეკრული ყუთი, რაშიც ხორბალს ყრიან დასაფქვევად.

სახვევი წვივზე წინდის დასამაგრებელი დაგრებილი ბაწარი (ნ.), წინდის ყელს აბია ზედ (ნ. ჩუბ., ჭყ. სახვიელი).

სახლარო 1. საცალოს (ნ.) საბანდავი ჩაოო (ნ.); 2. წინდის ყელზე მატყლის ძაფის პატარა ყულფე ბი, რომლებშიც სახევეა (ნ) გაყრილი.

სახლის გამართვა სახლისათვის ხის ნაწილების (კარ-ჟანჯრის, იატაკქერისა და მისთ.) გაკეთება, დამზადება. აქედან: გასამართი. „კედლები როგორც იყო აეროჩხე, მაგრამ გასამართი დამჩა“.

სახლის მოყრა საყოველ ნ. საყოველ მოყრა სახლისა.

ყაწიშები შ. ვერცხლის მასრები, ვერცხლის ძეწივით შემყულა ჩოხის გულ-მკერდზე იკეთებდნენ (შდრ. საბა, ჩუბ. ყაწიბი, ბესიკი, ვაჟა IV ყაწიბი, ბუქურ.).

ყაჭი ნაყარტრაში მოხარშული (უმთავრესად ჰეპელაგამოსული) პარკი ან პარკის გამონახარი ჰერანგი, რომელსაც თითის ტარზე ართავენ საშინაოდ ღველმანუხის დასაკერებლად (ნ. საბა, ჩუბ.; შდრ. ერისთ., ელ. შარშ. ყაჭ-აბრეშუმი, წერ. შალ-ყაჭი).

ყაჯარი ცხენის აკახმულობის დასამშვენებელი ნაწილი: მოქარგული მუღია ან ნოხ-ფარდაგული. თოქალთოს ზემოდან გადააშლიან და შემდეგ უნაგირს დაადგამენ. თითქმის ცხენის მთელ ზურგსა ჰფარავს კისრიდან გავმდე და ფერდებამდე (ნ. ჩუბ., წერ. ყაჯარი).

ყბაცა ყბამოქცეული ადამიანი (შდრ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ. ყბაჩუა, ა ლ ა ვ. ყბაუჩა).

ყბაწითელი ქლივარი ქლიაეის ჯიშია, მოწიოალო-მომწვანო. გრძელია და მსხვილი. კლუკა ვრიდება.

ყდები (შალვაძე შაყელა) ფარდაგისა და ზორტის დასაქმელავი ჩარჩო. დიდრონი ძელებისგან შეკრული ოთხკუთხედი ჩარჩოა, რომელზედაც სიგრიძი დაქსელილია საფარდაგე ან საზორტე ქსელი (ნ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ. ყდა).

-ყე: -ყე ჩაქალაქი იხმარება ზმნაში ნარკალობითში დასმული ირიბი დმატების აღსანიშნაად: „მე თქვენ გწერყე წერილს, მე მათ ვწუაყე წუილს, შენ იმათ აწერაყე წერილს, იმან იმათ მიაწერაყე წერილი. იშვიათად გაიგონებს კაცი მოაუტეებისაგან ყე-ს ხო ლნეობითის მინიშნელობითაც. მაგ.: „წუწინ ბეროკაცებმა შევი ჩოკა ჩაიცივი აწყე“—თქვა ერთმა მოხუცმა (ნ. ბ ე რ.; შდრ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ.; დაწერილებით ა. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა. ყე ნაწილაკი ფერეიდნულში: „წელიწდული“).

ყვარი, მყვარი ორუღელი საქონელი, ოთხი სული მუშა საქონელი (პარი, კამერი) (ნ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ., ვევა IV, ჯ ა ვ ა ბ. ქართ. და კავკ. ენები, 394 და სხვა).

ყველა, შეყველა, შეყველა გახაფხულზე სანამულე რქის (ნ.) მიკვრა სარზე სვიო ან მხრალით (ნ.), რომ ქარმა არ ატოკოს ვახი და მიწახე არ ჩამოაგდოს (ნ. ს ა ბ ა ყელ. ჩ უ ბ.).

ყელი ხალაშურიხა სალამურის ნაწილი თავიდან პირველ თვლამდე (ნ. ჯ ა ვ ა ბ. მუსიკის ისტ., 199).

ყეყეჩა ყეყეჩი, იდიოტი, შტერი (ნ. ჭ უ., შ. ჯეყეჩი, კირ. ყეყე, ა ლ ა ვ. ყეყეტი).

ყვაილი, ყვაილი 1. სამსხმო, ადამიანს აყრის მთელ ტანზე და პირისახეზე, იცა; 2. აბრეშუმის ქიის ავადმყოფობა: ყვითლდება და იხოცება. წამლად ნაწონს ახსურებენ (ნ. ს ა ბ ა ყუთვილი,

ჩ უ ბ.; შდრ. ბ ე რ. ყვაილ-ბატონები), ყვაილი ნ. ყვაილი.

ყვახალია ნ. ყვა-ყვაობა.

ყვა-ყვაობა საბავშვო თამაშობაა. ერთი ხელის ცერსა და სალოკ თითს მეორე ხელის ზურგზე მოჰკიდებენ და კანს ასწვენ. ასე რამდენიმე ერთმანეთს გადააბამს ხელებს (დიდებიც და პატარებიც. მაგრამ პატარებს ართობენ), ერთმანეთზე გადაბმულ ხელებს მალლა-დაბლა ამოძრავებენ და თან ამბობენ: „ყვაა, ყვაა, ყვა-სალია, ყვას დედა ნაყვდომია, წასუღა და უტირინია, მოსულა და უმღერინია, ფრრრრრრ!“ და ხელებსაც გაუშვებენ და მალლა აიშვერენ, თითქოს მართლაც ყვაეები აფრინდნენო. ბავშვი ერთობა, იცინის, თან ენასაც იტეხინებს.

ყველა წმინდის პერანგად გადაქცევა ჯაყ. საქმის დაუსრულებლობა, საქმის გაუთავებლობა. „რა ყველა წმინდის პერანგად გე დემექქა, ოკერი, ველარ გაჯათავე!“ (შდრ. შარშ. ხთიშობლის პერანგი).

ყველი, კვერული, კვერი (ნ.) ყველი ასე კეთდება: დელამას (ნ.) ჯობს მოურევენ, აიჭრება, შრატის ხემოთ წამოვა, ყველი კი ქვევით წავა. შრატს მოსწურავენ და მისგან ახლაკს (ნ.) გააკეთებენ, ქვევითას (ყველს) დაქრიან კოდშივე ხანჯლით თანასწორ ნაწილებად, იმ ვარაუდით, თუ რამდენი კვერი (ნ. 1) გამოვა. პარკში ამოიღებენ. სიბზე დადებენ და ხელით თან გაწურავენ და თან სასურველ ფორმას მისცემენ. ორმოში ბალახია ჩაფენილი და შიგ ჩადებენ. თუ შრატი შერჩა, გაუვა, თანაც გაფუფდება აქ. მეორე დღეს მარილს დააყრიან და გულაში ჩადებენ (ნ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ.; შდრ. ა. ბ ე ქ ა უ რ ი, გულამაყრის ლექსიკის ნიმუშები: „სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული“, გვ. 223).

ველიური, შ. ველიურები ზ.მ-ის გატუნისა და გახაფულის მომავლობის ღღესაწაული, დიდმარბის დაწყების წინა კერა. თებერვალ-მარტში ჰყვებოდა ველიურში კამდნენ მხოლოდ ერბოღულს. ყველს, კვერცხს, თევზედლსა და ბისთ., ხორცეული არ შეიძლებოდა. მოელი კვირის განმავლობაში კამდნენ ძალიან ბევრს. თითქოს მომავალი ზეიჯკვირიანი დიდმარბის შესახვედრად ემზადებინაო.

ყველიურში მიდიოდნენ ერთმანეთში საქეიფოდ, იმართებოდა საჯახაფხულო ღღესაწაული: კიდაობა (სხვადასხვა სოფლისანი ეპიდავებოდნენ ერთმანეთს), კრივი, ყვინობა (კიდაობისა, კრივისა და ყვინობისათვის ახლომანხო სოფელულები სოფ. ევემო მახხანში იყრიდნენ თავს, ხოლო სიღნაღელები—სიღნაღში), საქანელებზე ქანაობდნენ ახალგაზრდები, იმართებოდა ცეკვა-თამაში და სხვადასხვა ფიზიკური გასართობი. კიდაობასა და კრივში, თუ ვინ გაიმარჯვებდა, იმის მიხედვით მკითხაობდნენ მომავალი წლის ამა თუ იმ სოფლისაუვის ავ-კარგიანობაზე, უხუ მოსაულოიანობაზე და სხვ. (ნ. ჩუბ., გ რ ი შ.)

ყველის შაკამანი წვინანი შეჰამანდია. დაფხვილ ყველს წყალში ხარშავენ და მწვანელით (ცერეცოთი და ქინძით) შეახაფხვენ.

ყვერანა ნ. კვერანა (ნ. ბერ. ყვერა, წერ.).

ყვინანა ჯველა, ყინანა ჯველა ყვინანა ხველა. КОКЛЮТ (ნ. კყ. ყვინანა-ხველა).

ყვინაზი, ყვინაზობა ყოყლოჩინობა, მამლაყინწობა. „რა იყო, რამ იყენი ხები, ემობილო?“ (შდრ. საბა ყვინინი).

ყვინტილა კვირა (ნ. თრშალაღა).

ყვინტილი წვინტილი, ცხვირიდან გაინონადენი სიღნე, ცინგლი.

ყვინტილი ქოცო წვინტილიანი. ცინგლიანი ადამიანი.

ყვინტიყვინტი ბურჯყენი, თავისაუვის ნიშაბლა ჯავრობა, უმცაყოფილების გამომყვანება. „რასაა ყვირტიყვინტი, ადამიანო, რა მოგივიდა, ვის უჯ-ვრდები, თქვი.“

ყვირილობა გახაფხულზე ცხოველთა სქესობრივი ატეხილობა. აპრილში მწვანეს რომ მოსძოვს, მამალი ცხოველი ატყვდება და დედალზე დაიწაუბებს წვეასა და ყვირილს (შდრ. კყ. ვეა I. III ყვირ: ყვირილი ირმისა, ყვირილობა).

ყვიციანი ყვიციელი ადამიანი, ციებციებლებისაგან გაყვიცილებული (ნ. საბა. ჩუბ., ბესიკი ყულყვიციანი, ალა ვ. ყვიცი).

ყიმათი ძალიან ხმელი ყინვა და სიცივე (შდრ. შარშ., ღლ. ყიამეთი). ყიანა ჯველა ნ. ყვინანა ჯველა.

ყიწილყურთი საქონლის სატყევირია: ეოთბაშად კლავს. იტყვიან: ყიწილყურთი ეცა და მოკლაო.

ყინვარი შაქარი დაკრისტალებული შაქარი თეთრი ან ვარდისფერი. асаеиис. ძალიან მიღებულთა ქიზიყში ბავშვების საჩუქრად (ნ. ჩუბ. ყნეაყ შაქარი).

ყინტორა (Chaerophyllum. ნყრუა) კვირისმავარი მცენარეა, ღრუ გული აქვს, მოტკბოა. იმნება, მაგრამ მწვანელად ათა იმარობენ (ნ. საბა, ერისთ., ჩუბ.). ჯამაშე. ყინტორაჲ, ბარან. ჯაეაბ. II. 225, 246, მაყ.; შდრ. კყ. ყინტორის ყივა).

ყინჩად გაბედულად. ეაქაეცურად, თამამად. „ყინჩად წაუდგა წინ და უთხრა: აქ კელი არა გაქოლ!“ (შდრ. საბა ყინჩ, აყინჩულო. კყ. ყინჩვა, ყინჩი, ბერ. ყინჩვა, ყინწილი, ეაა I, III. შან. კეეს.).

ყირანი, ყირანის აგება კვდომა, სიკვდილი; ხოცვა, ქლელა. „რალაჲ კირი გაჩნდა და საქონელ ყირანი აუგო“; „ყირანი აუგო ხალხ“.

ყირმიზი წითელი (ნ. საბა ყირმიზ, გააყირმიზა, ჩუბ., შპან. I, II, გრიშ. საათ., ცაგ.).

ყიხინა ლვიძლისფერი, წებგოსფერი. „ყიხინა ჩოკები ეცვაყე უწინ ბერიკაცებ“ (ნ. ჩუბ. ყიხინის ჩოხა).

ყისმათი ბედი, ილბალი (ნ. ვაჟა III, IV, ალავ.; შდრ. ჟღ. ყიხმეთი).

ყიტანელი მეტსახელია სულ მინდვრად მყოფი კაცისა.

ყიყვი ჩიყვი: 1. ადამიანს ყელის ჯირკვლები უსივდება, უმუწუყდება და განუყურნებელი იარები უჩნდება. გახაფხულობით იცის აშლა (ნ. ქყ., ცაგ.); 2. აბრეშუმის კიის სენია: სიცხის გამო ყელი უსივდება, ჭამას აღკვეთს, თავს მალლა ასწევს და იხოცება. წამალი არ იციან. ამბობენ: თუ მრავალმა (ნ.) მოუსწრო (ჩნდება ივნისის შვიდს ძვ. სტ.), უღებულად გაუჩნდებაო; ამიტომ ცდილობენ ისე მოაწყონ საქმე, რომ ამ დროისათვის კია უკვე წასული (ნ.) იყოს.

ყიჭაჭვი, ჳიჩაჩვი „ჩიჩაყვი“, „ჩინჩაბვი“ ადამიანისა. „იმთენი ჳამა, რო ყიჭაჭვამდინ ამოუვიდა“.

ყლარტა ბალახი თამამლეროიანი ბალახია (ნ. საბა, გრიშთ. ყლარტა, ჩუბ. ყლარტი, ჯაგახ. II, 164).

ყლეთო ხარმაცი და ცოტა მკვეხარა, ნაცარქეჳია.

ყლურტუნა ლაპარაკში ნერწყვის რომ ყლაპავს, ისეთი კაცის მეტსახელია (შდრ. საბა ყლუნტი, ჩუბ. ყლურტვა).

ყლურწვა ყლაპვა ღვინისა და მისთ., პირში დაგუბება სითხისა და მერმე ნაწილ-ნაწილ ყლაპვა. „ღვინი ყლურწვარო გიყვარს, მოდი გაისარაჯე“ (შდრ. ჩუბ. ყლურტვა, ლ. ყლუნწვა).

ყლურწუნი ნერწყვის ყლაპვა, როცა კაცს გასაკირი დაადგება, ენა ჩაუვარდება და სიტყვას ევლარ პოულობს.

ყმაწვილი ბავშვი ათ წლამდე (ნ. ჩუბ., აბუღ. ყმა წვრალი, ვაჟა III, ჯანაშვი. ყმაწულ, შან. კვეს.).

ყობი თევზის საყარი (ნ. I) ალაგი. თევზმა წყალში ზოგ ალაგას იცის ხოლმე თავის მოყრა.

ყონება დამშვიდება. დაწყნარება ვისიმე. „გაანებე თავი, რალა აყოინებ, კისერიც შოტუტებია, რაც უნდა, ისა ქნაჲ“ (ნ. დაყოინება).

ყოლოაჩოხა, ყოლორჩოხა საქმის ყურისგდება, ნიადაგ ჰატრონობა; გაპატრიება მიწისა. „ვენაჲ დიდი ყოლორჩოხა უნდა“.

ყოლფუნი ორმო გზაში, ყახან. „უპატრონობი გამო გზა ყოლფუნებით არი სამსე“.

ყონალი, კონალი ნაცნობი თათარი; სტუმარი (ნ. გრიშ. ყონალობა); გაჭატ. ცოლი.

ყორე ერთ ადგილას დაგროვილი ქვა. დაბუშავებულ მამულში, უმთავრესად ვენახში, ქვას არჩევენ (კრებენ) და ერთ ადგილას აგროვებენ. ზოგი ყორე სახლის სიმალლეა.

ყორე კედელი უკროდ ან უტალახოდ აშენებული ქვის კედელი; ეზოს გალავანს აგებენ ასე (ნ. საბა, ჩუბ., ვაჟა IV, შან. კვეს., მაყ. ყორე).

ყორულე ნაკრძალი სათიბი ალაგი. გარკვეულ დრომდე არავის აქვს შიგ შესვლის უფლება. ვადაზე გაიყოფენ სათანადო წესით და გათიბავენ (ნ. მაყ., შან. რეცენხია ყოროლი; შდრ. ჩუბ.).

ყორღანი (қырған) მინდვრის მიჯნა, სამანი, სწვადახვა სოფლის მიწაწყლის სახლერის ერთმანეთისაგან გასარჩევი ნიშანი: ან დიდი ქვაა, ან აკოკოლავებული მიწა (ნ. კირ.).

1. ყოტი ბალახეულის ალაღებული ღერო; საერთოდ: ღერო მწვანისისა. „მწვანილ ყოტი ამავსელია, რაღათ ვარგა“. აქედან: ყოტიანი ღერო-იანი.

2. ყოტი ზეჟი, რაც კოტა (ნ.).

ყოყინა (ალბათ ყრყოინა) ზაქი (ნ. ბუჩინა).

ყოში 1. ქართული კაბის (ნ.) მაჯახე სამკუთხედად გარდნაკეცი (ნ. საბა, ჩუბ., გრიშ. ყოშებიანი კაბა); 2. ბაყლის ნიჩაბი ფქვილის ან მარცვლის ამოსაღებად (ნ. ტექნ. ტერმ., მაყ.).

ყოში ნერბი (ნ.), დაუყვერავი ცხვარი, სანერბავად არის გაშვებული ხუთ წლამდე (ნ. ჟყ., საათ. შპ, ცაგ., შან. კვეს., მაკალ. თუშეთი, შპ; შდრ. კირ.).

ყოჩის გარევა, ყოჩის შაყრა ყოჩის გაშვება დედალ ცხვარში სანერბავად სექტემბრიდან ნოემბრამდე (1-4 სექტემბრიდან 8 ნოემბრამდე ძვ. სტ.) (შდრ. ყოჩის დარჩევა).

ყოჩის დარჩევა ყოჩის გამოყოფა ფარიდან, რომ დედალ ცხვარზე აღარ მივიდეს სანერბავად (8 ნოემბრიდან 14 სექტემბრამდე ძვ. სტ.) (შდრ. ყოჩის გარევა).

ყოჩის შაყრა ნ. ყოჩის გარევა.

ყრა ერთგვარი კოკაობაა. ორი მოთამაშე თანასწორი რაოდენობის კოკებს (2-2, 5-5 და მეტს) ყრის. ჯერ ერთი ყრის, შემდეგ—მეორე. ვინც ყრის, თუ მხოლოდ თოხანი დაუჯდა (ერთი ან მეტი), დამჯდარსა (დამსხდარს) და თავებს აკრებს ცალკე, ხელში ექნება, ხოლო კუკები (რ.)—ცალკე, დაბლა ექნება. თუ მარტო აღჩუ დაუჯდა, ისევე მოიკცევა, როგორც თოხნის დაჯდომის შემთხვევაში. თუ თოხანიც (თოხნებიც) დაუჯდა და აღჩუც (აღჩუებიც), მაშინ სწორადად თვალს გადა-

ავლებს (დიდხანს დაკვირება არ შეიძლება) და იტყვის: «თოხნა ვარო» ან «აღჩუსა ვარო», იმ ვარაუდით, რომ, რომელსაც იტყვის, იმის საკუთვნი კოკები (თოხნისა—თაფები და აღჩუსი—კუკები) უნდა აკრიბოს თავისთვის, და სარფა, რომ მეტი იყოს. მეორეც ყრის, ისიც ასევე იკცევა. რომელსაც მეტი დაუსხდება, ის არის ნახევრად გამარჯვებული,—მისი ნათქვამის (თოხნის ან აღჩუს) მიხედვით თავისასაც და მოწინააღმდეგის სათანადო კოკებს მიიღებს, ხოლო მეორე ჯგუფი კოკებისა დაბლა რჩება სათამაშოდ. გამარჯვებული გაშლის ხელში აღებულ კოკებს, მოწინააღმდეგე ერთ-ერთ კოკს ამოარჩევს აქედან იმ ვარაუდით, რომ დაჯდომა ნაკლებ მოსალოდნელი იყოს მისგან, ხოლო გამარჯვებული დაბლა დარჩენილი კოკებიდან, იმავე თვალსაზრისით, გამოარჩევს ერთ კოკს, თაფად დაღებს და მოწინააღმდეგის მიერ არჩეულ კოკს დაჰკრავს თაფად დადებულს. თუ გადააბრუნა კუკად, აიღებს და ახლა სხვას გამოიყვანს და იმას დაჰკრავს; თუ ვერ გადააბრუნა. მაშინ მოწინააღმდეგე დაჰკრავს მის კოკს, რომელიც ან თაფად იქნება, ან კუკად. და, თუ გადააბრუნა, აიღებს და ახლა სხვას გამოიყვანს და დაჰკრავს (დაბლა დარჩენილ კოკებს ორივე ეთამაშება და, ვინც იგებს, ის აიღებს). თუ დაკვირისას კოკი აღჩუ დაჯდა, აღჩუ კუკს იგებს, და ვისიც დაჯდება, ის მოპირდაპირის კუკს აიღებს; თუ თაფა, ხელახლა დაჰკრავს, გინდა მისი ჯერი არც იყოს. თუ თოხანი დაჯდა, მაშინ თოხანი იგებს ყველა დაბლა დარჩენილ კოკს და, თუ თაფია მოთამაშე კოკი, იმასაც; თუ კუკია, დაჰკრავს და. თუ გადააბრუნა თაფად, აიღებს; თუ არადა მოპირდაპირე დაჰკრავს. თუ

ორივე დაჯდა. გინდა აღჩუები, გინდა თოხნები. ვინდა ერთი თოხანი და მეორე აღჩუ, ფრება (ნ.). ამ ხელის დასაწყისიდან გამოყვანილ ორივე პირის კოქებს შუახე გაიყოფენ და თამაშს ხელახლა შეუდგებიან.

ყრალი საქმედ ტყავი, ტყავის ქედის საპირე.

ყრაჯა აკაი, კაცი ყარაჯალი (ნ.).

ყრუბელა ყურბელა, ვოთგვარი მწერი, მოგრო, წაბლისფერი, გრძელი უღვაშები და ფეხები აქვს, უღვაშივით კუდიც აქვს. მძინარეს ყურში უძვრება და ტყვილს იწვევს (ნ. საბა, ეჩისთ., ჩუბ. ყურბელა, ქყ. ყურმელა, ჯანაშვი. ყურბელა).

ყრუჩუჩა ყრუ; გაჯტ. შეუსმენარი, გაუგებარი ადამიანი. „ვე, ყრუჩუჩი, ცოტა თავი გაანძრივე და გაიგე, რაფგებნებიან“ (ნ. კირ. ყრუჩუნა).

ყუა ნ. პურის ყუა (ნ. საბა, ჩუბ.).

ყუა, კვერის ყუა კვერის (ნ. 2) მრგვალი ძხარე.

ყუაზე გაყვანა გაჯტ. ძალიან გაღარიბება ვინმესგან (მაგ., ცოლისაგან და სხვ.). „ყუაზე გაგვიყვანე ამ წყეულებმა“ (შდრ. ჩუბ. ყუა).

ყუაზე დაყვანა გაჯტ. საქმის მიყვანა გათავებამდე (შდრ. შარშ. ყუაზე მიყენება, აღავ. ყუაზე დაყენება).

ყუათი (არაბ. 'ძალა, სიმაგრე') სინოყვირე, ღალა, სიმსუქნე. „ერთი ბეწო ყუათი არა აქ ამ საქმელ“ (ნ. ჩუბ.).

ყურორმაჯა ყურთმაჯი, ქართული კაბის (ნ.) ნაწილია (ნ. საბა ყოთურმაჯი, ჩუბ. ყურთმაჯი).

ყუოლი ტურათა და ძალღთა ღამით ხმაგაბმივ ყმუილი (ნ. საბა, ჩუბ. ყუეილი, ჯანაშვი. ყუილი); გაჯტ. ძელების ტყვილზე იტყვიან: მიყუიძელე ბიო (ნ. საბა ყუეილი).

1. ყულაბა დახურული კოლოფი ან თიხის ქურქელი ღითონის ფულის შე-

სანახად. თუ არ გატყვს, ფულს ვერ ამოიღებენ; გაჯტ. ფული..

2. ყულაბა კარის ჩამოსაკიდი მოწყობილობა: რკინის ქუდივით (რგოლი) არის გაკეთებული და კარზე შებმული, ჩარჩოს კი ყუნწიანი ანჯაძა აქვს და ხედ ჩამოაცვამენ ყულაბას, რომ კარმა იტრიალოს. უფრო ალაყაფის კარს ჰკიდებენ ამით (ნ. ბერ. ყულაბი).

ყულაჩი, ყულაჯი ზომის ერთეულია: ორივე გაშლილი ხელის სიგრძე თითის წვერებიდან მოკიდებული გულმკერდის ჩათვლით, მეტრზე მეტია. იხმარება თოკის სიგრძის საზომად. იტყვიან: ხუთი ყულაჯი თოკი, ათი ყულაჯი და ა. შ.

ყუმბარა ყარფუში სახამთროს ჯიშია: მრგვალი სახამთრო.

ყუნთუწყვირი, ყუნთუწყვერი თიაკრის წამალია.

ყუნჭული ხოლისხის (ნ.) კუნჭული.

ყურბაბტა ყრუსავით, მოყრუო, წაყრუო.

ყურდაგდებული, ყურმოდგრენილი უდარდელი, საქმეზე უზრუნველი. „ნუ ხარ ყურდაგდებული, კაცო!“

ყურდაკრილი ნ. მორად მოკრილი.

ყურე მდინარის მიერ ნახევარკუნძულსავით შემოწერილი ხმელეთი, მდინარის ნახევარკუნძული (ნ. საბა; შდრ. ჩუბ.).

ყურების ჩამოყრა გაჯტ. დაღონება (ნ. ჩუბ. ყური, ბარნ.).

ყურთა გლეჯა 1. საბავშვო თამაშია: ჰაწიაწობა (ნ.; ნ. კირ.); 2. ცოტა რამეს ბევრი ხალხი რომ მიაწყდებდა და ყველას უნდა მისი მიღება, იტყვიან: ყურთა გლეჯა აო (შდრ. საბა ყურთა-გლეჯა, ჩუბ. ყურთა-გლეჯა).

1. ყური ფიცრული სახლის გარე კუთხე, ფიცართა ნასკვი კუთხისა. ყურიან სახლსა (ნ.) აქვს (შდრ. შან. II ყურე, შან. კევს. ყურე).

2. ყური ნ. კაკლის ყური.

3. ყური, სახლის ყური სახლის გვერდის კედელზე საჩხვამდე (ნ.) წამომბული კედელი. გვერდის კედელი იმ სიგრძეა, რომ საჩხვასაც სწვდება, დატანებული აქვს ბუხარი, განჯინები და სამხარეულოს მაგიერობას ეწევა (შდრ. წყრ. ყურის ოთახი).

ყურიანი სახლი, ჯვარყურიანი სახლი ფიცრული სახლი, რომლის კედლის ფიცრები კუთხეში ერთიმეორის გადასკვეთად არის გადანასკული, ქილიქიანი სახლი.

ყურიანი ჩუხტები ჩუსტი, კოკებაშდე რომ სწვდება ყურები.

ყურის მოდერენა წაყრუება, ყურადღების მიუქცევლობა. აქედან: ყურმოდერენილი (ნ.).

ყურის სერი საქონლის (ძროხისა და ცხვრის) ყურზე დადებული ნიშანი — დანიტ გაჭირილი (ნ. სერი და თავთავის ადგილას: ბოძური, ისრის კილო, ფთავავარდნილი, მორად მოჭრილი და სხვ.).

ყურის ძირში ყოლა (ქონა, ყოფნა) ძალიან ახლოს ყოლა (ქონა, ყოფნა, იქვე ყოფნა). „აკო, გოგო იქვე ყური ძირში გყავთ გათხოილი და იმაჲ მაინც შაატყობინებდით, რო მოსულიყო“; „წყარო იქვე ყური ძირში აქვთ და წყლი მოტანა კი ეხარებათ, ცივი წყალი არ უდგათ

ხოლმე“ (შდრ. ჩუბ. ყური, შარშ. ყურის ძირში).

ყურმოდერენილი ნ. ყურდაგდებული. „ნუ ხარ ყურმოდერენილი, კაცო, ქვეყანა აივისო და შენ კი აინუნშიაც არა ხარ“ (ნ. ყურის მოდერენა).

ყურშა — ყურშავი) მინდერის ძალი, გონიერი, მომუდელი ძალი (ზღაპრებშიც იხსენიება) (შდრ. გორშია; ნ. ვაჟა I, შარშ. ყურშავი; შდრ. საბა, ერისთ., ჩუბ.).

ყურძნის მორჩევა რთველში, კრეფის დაწყებამდე, დიასახლისი ვენახში მოჭკრეფს უხიანო თხელ მტევნებს და ფრთხილად შეინახავს, რომ არ დაიჟლას და არ გაფუჭდეს. საკიდრებით ეზიდებიან, გაშლიან და ჩრდილში აშრობენ. შემდეგ აჯაგანავენ.

ყურძნის ჩურჩხელა — გაჟა, რაც ჩამინის ჩურჩხელა (ნ.).

ყურჭი ძალიან შავი. „იგეთია, როგორც შავი ყურჭი“ (ნ. საბა; შდრ. ბერ.).

ყუყუ ძალიან შავი. „ყუყუასავით შავია“ (ნ. საბა).

ყუყულუპი, ჩუჩლუპი 1. სანახევროდ გამომცხვარი მკადი; 2. თუთლუპი (ნ.), ძალიან მწიფე ხილი (ლეღვი, მსხალი).

ყუყუნი 1. საყვირის ხმა; 2. კენესა, კენესა-ტირილი, ტყვილისაგან ადამიანის გამოცემული ხმა. „იმისმა ყუყუნმა არ დაგვაძინა“ (ნ. საბა).

უ

შა- შე- პრევერბია, გვხვდება აღმოსავლურ დიალექტებში, მათ შორის ქიზიყურშიც: შაკვრა — შეკვრა, შაფერება — შეფერება და სხვ.

შაალალა შაბათი (ნ. ორშაალალა).

შაალმართება შეალმართება, აღმართის შედგომა, აღმართზე გასვლა.

შაბაქის ხერხი, გველკულა ხერხი

ხელის წვერწვერილი ხერხია, ნახვრეტში შეკყოფენ და გამოხერხავენ (შდრ. გრიშ. შაბაქა).

შაბიკება აღუღებელი რძე რომ ცოტათი შეცივდება და ნაღები თავს შეიკრავს.

შაბოში ნ. ხაბოში (მაკალ. თუშეთი, 57).

შაბქლიავა ქლიავის ჯიშია, მრგვალი, მწვანე. ძალიან რომ დამწიფდება, თუ მზის მზარეს არის, ღია მოყვითალო გახდება, მწკლარტე გემო აქვს, კურკა არ ერიდება (შდრ. ე რ ი ს თ. შავ-ქლიავი, ჩ უ ბ. შავი ქლიავი, ქ ლ. შან-ქლიავი, მ ა ყ. შავქლიავა).

შაგირდანა შაგირდისთვის მუშტრის ნაჩუქარი ხურდა ფული (5—10—15—20 კაბ.). ყულაბაში ინახავდა და შაგირდობის დასრულების შემდეგ გატეხდა და ფულს მოიხმარდა.

1. შაგირდი ხელობის მოსწავლე (ნ. საბა, ჩ უ ბ., დაწვრილებით გ რ ი შ. 40, 42 და სხვ.).

2. შაგირდი დაბლის იარაღია: კავიანი ჯოხი, რომელიც საპირის (ნ.) კისერზეა მობმული, ზედ ქვა აბია და ხარისაზე ისეა გადაკიდებული, რომ ტყავი ერთ მხარეზეა, შაგირდი მეორე მხარეზე, სწონის, რომ ტყავი არ ჩამოვარდეს.

შავბალახა (Leonurus cardiaca) შავი საღებავის დასაყენებელი ბალახია (ნ. საბა, ე რ ი ს თ., ჩ უ ბ., მ ა კ ა ლ. შთიუღეთი, მ მ, მ ა ყ.).

შავი დინდგლი ნ. დინდგლი. შავი თევთუხი ნ. თევთუხი (ნ. ჯ ა ვ ა ხ. I, მ 50).

შავი თევზები გოქას და მისთ. (ნელლისაც და ხმელისაც) საერთო სახელია.

შავი თუთა თუთის ჯიშია, შავი, საშუალო სიდიდისა.

შავი ლეღვი ლეღვის ჯიშია, შავი, მსხვილი და მრგვალი ლეღვი იცის, კარგი ხარისხისაა. ორჯერ ისხამს კაკრას. პირველად მოსხმული კაკრა გუდაფშუტაა და ცვივა. თუ ნოტიო წელიწადია, შეიძლება დამწიფდეს იენისივლისში. მეორე კაკრა მწიფდება შემოდგომაზე სექტემბრიდან.

შავი ფული სპილენძის ხურდა ფული. შავშაობა ძალზე გაპირვებულად ყოფნა, ძლიერობით ყოფნა.

შავჩოყა მზალია, დიდმარბვაში მო-

დის (კინკრის მოსვლის დროს), ყოტიანია (ნ.), გრძელი ფოთოლი აქვს, ლურჯ წვნიც ყვავილს იკეთებს.

შაზვერვა დანახვა, დანახვა და დანსომება გულში. „გუშან შ ა ვ ხ ვ ე რ ე ქ რ თ ი ლ ე ღ ვ ი, თ ვ ა ლ ი შ ა ს უ ლ ი ყ ო“; „ჩვენებიანთა რაღაც ჩოჩქოლი შ ა ვ ხ ვ ე რ ე, მ გ ო ნ ა ვ, ი ყ რ ე ბ ო დ ნ ე ნ“.

შათირი შიკრიკი; მხლებელი. „მე რ ა შ ე ნ ი შ ა თ ი რ ი ვ ა რ, რ ო წ ა რ ა მ ა რ ა მ გ ზ ა ე ნ ი, ს ა ც ა გ ი ნ დ ა“; „ჩე რ ა შ ე ნ ი შ ა თ ი რ ი ვ ა რ, რ ო ს უ თ ა ნ გ ა ხ ლ დ ე“ (ნ. საბა, ჩ უ ბ., გ რ ი შ., შ ა რ შ.).

შათრეულა საერთოდ ხვნის მოთავების შემდეგ მოხნული დლიური, ბოლო დლიური, ეკუთვნოდა გუთნისდედს უწილოდ. ხანდახან ხდებოდა, თუ კენტად იყო დარჩებოდა. სავალდებულო არ იყო (შდრ. გათრეველა).

შაკვალთა ტანისამოსის კალთების მალა აწვევა და სარტყელში ჩატანება. აქედან: შ ა კ ვ ა ლ თ ი ლ ი კ ა ლ თ ე ბ ა წ ე უ ლ ი; გ ა ლ ო. ყოჩალი, ჯომარდი (ნ.; ნ. აკვალთა).

შაკვრა გაჯიკ, შეკვრა, გაჩერება, დადუმება; სქესობრივი უნარის დაკარგვა. შ ა ვ ი კ ა რ ვ ე ლ ა რ ა ფ ე რ ი ვ თ კ ე ვ ი; „ჯადო უღდო და შ ა კ რ ა“—სქესობრივი უნარი დაუკარგა.

შაკვრა ამქრისხა ნ. შეკვრა ამქრისა.

შალეშვა (ნაწარმოებია სიტყვისაგან ლ ე შ ი ნ.) გასუქება, ლეშით (ხორცით) ავსება საქონლისა; გაჯიკ. იტყვიან კაცხედაც. აქედან: შ ა ლ ე შ ი ლ ი გა ს უ ქ ე ბ უ ლ ი, ხ ო რ ც ი თ ს ა ე ს ე.

შამადგომის მატყლი შემოდგომაზე გაკრუპილი ცხვრის მატყლი. ბევრია, ბევრჯერ გრძელია, მაგრამ მაგარია და ცხიმოვანი.

შამაია საუკეთესო თევზია (ნ. ჩ უ ბ., დაწვრილებით ცაგ.).

შამაიკოკა შემოიგროვა (ნ. კოკბათ).

შამამდგარი ძალიან მონდორებული რაჟებე და ამისთვის მახვეწარი. მძა-

სარობლიანთ შაქრო შამამდგარი ია: ქალი მამეციოთა (ნ. შამოდგომა).

შამანა უდედო და დაუდღულებელი ლვინო, ტკბილია, ძალა არა აქვს და სასმელად არ არის მიღებული (ნ. მაც; შდრ. საბა, ჩუბ., ცაგ, ბარნ, მაკალ. თუშეთი, III შამანი).

შამანი შავი, თითქმის ჩირქნარევი, ჩამპალი სისხლი.

შამბი მალალი და მსხვილი ბალახი (ნ. საბა, ჩუბ., ვაჟა III, გურამ; შდრ. შაჰ. I, II, მაც).

შამღგარი ცომი აოაზილი ცომი, მაგარი ცოჰი. ზოგი პური, სხვადასხვა მიხეხის გაჰო, საკიროებს, რომ მაგარი ცომი იყოს მოხელილი, რადგანაც ფულიში თანდათან ჩვილდება და თორნეში ჩაკერისას თორნის კედელზე ველარ ჩერდება, შიგ ვარდება კვლად.

შამღევი ნ. პერანგის შამღევი.

შამოღვამება ნ. შემოღვამება.

შამოღგომა მოწადინის დაჟინებით თხოვნა, მუდარასავით. „ციბალანთ მალხაზი შამამდგა, კარი და ბანი აღარ დამიგდო, მეზვეწა, ქალი მამეცი ბიკითვინო, მეტ უარი ველარ უთხარი, ავლუ და მივე გოგო“ (ნ. შამამღგარი).

შამოკაწყნა (ნაწარმოებია სიტყვისაგან კაწყანი ნ.) მცირედ შემოლობვა, გაწალკებით შემოლობვა.

შამოკვერცხა ირგვლივ შეოსწორება უსწორმასწორო ნაპირებისა (ნ. დაკვერცხა; შდრ. ჩუბ. შემოკვერცხა).

შამონარცხება შეხეტქება; გაჭაჭ. მოკვლა ჯაფითა და უყურადღებობით. „აილო და შამანარცხა კედელ“; „დიდმა ოჯახმა შამამინარცხა, მამკლა“.

შამოსული შემოსული, ნწიფე. „კახეთში ეხლა ლელვი შამოსული იქნება“ (ნ. ჩუბ., ჯაჟახ. I, 259, მაც შემოსული).

წაოსული ბალახი ნ. დაპურებული ბალახი.

შამოქნა, სროხალის შამოქნა ქვევრ-ზე ქვევრის კედელზე სროხალის (ნ.) დადება და შემოგლესა კედლის ასაშენებლად; ასე შენდება ქვევრი (ნ. ქნა; ნ. წერ. შემოქნა თიხისა).

შამოცინება შემოცინება. შამაგცინაო--იტყვიან, ნაქურდალ ნიეთს რომ პატრონი ნახავს და მაშინვე იცნობს.

შამოხოხმიკება ირგვლივ შემოკრება, შემოქუჩება. „გაქირებამ შეიღები, შვილი ცოლები და შვილიშვილები შამამიხოხმიკა“.

შამშველზელი 1. შემშველებელი, შემწე, დამხმარე. „ჩემი შამშველებელი დღერთ კაცი არ გაუჩენია“; 2. ადვილად მოსარიგებელი, ადვილად დასათანხმებელი კაცი. „რა არი ავეთი გაკურპება, კაცი შამშველებელი უნდა იყო“.

შამშრალე ნ. სამშრალე.

შამღლებელი შემღლე: ღონიერი, ჯანინანი. „ჩვენი გიორგი ძალიან შამღლებელია: სამკოდინან საცალო იგრე იკიდებს ზურგზე, ნითამდა არაფერიოა“; გაჭაჭ. მდიდარი. „ჩვენებიანთ ალექსანდრე ძალიან შამღლებელი იკაცი იყო, გლენიკაცი კვლობაზე იმაჟ არავეინა აჯრობდა ამ ახლომანხლო სოფლებში: ორ ათასამდე ცხვარი იყოლებოდა, ორას-სამასამდე ძროხა; ორმოც-სამოცამდე ცხენი, აგრე ჯოროი. კაი კარურეში ორი და სამი შაბმული, ორი გუთნითა მკნამდა: შუადღემდე რო ერთი ება, შუადღეე მერე სხვაე შაბამდა; ვენაკები იმასა მქონდა და სახლები. მოჯამაგირეები იყვანდა, შვილმრავალიც იყო და იმითვინ. თითო შვილი თითო საქმეზე იყვანდა. ეგრე იცის ძმებში გაგონებამ და დიდი ადამიანი დაჯერებამ“ (ნ. ჩუბ. შემღლებელი).

შანარი ნელი, მძიმედ მოსაქმე, მუშაობაში თავს რომ ინახავს. საქონელზედაც იტყვიან და ადამიანზედაც (ნ. კ. ყ. შარავანი; შდრ. ს ა ბ ა).

შანდაცი სწორი, ვაკე ადგილი (ნ. მოშანდაკება; ნ. ჩ უ ბ.; შდრ. ს ა ბ ა).

შანშვლა ნ. ვაშანშვლა (ნ. ბარ.).

შაპარულა 1. ნაადრევი ბატკანი. ცხვარში იცის: ადრე გაიპარება ყოჩი და განერბავს ცხვარს და უღროოდ გაჩნდება ბატკანი; 2. ნაბიჭვარი, ჯვრის დაწვრამდე დაბადებული ბავშვი.

შაჟუნჭრუკება შეზარხოშება, ღვიინისაგან გამხიარულება.

შარანი შავი სისხლი. „შარანი წამოუვიდა“.

შარვლის სათაური, სათაური შარვლის სარტყელი, ან შარვლის ის ნაწილი, რომელშიც ხუნჯარია გაყრილი.

შარი მწკრივი ვახისა ვენახში, მწკრივი ხეხილისა, სწორედ გავლებული თხრილი ვახის ჩასაყრელად და მისთ. (შდრ. კ ი რ.).

შარიგება შერიგება: დახვება; მორიგება, შეთანხმება ვაჭრობაში. „ხუთ თუმანზე ნულა შაიშლებით და შარიგდით“ (ნ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ. შერიგება).

შასაბამი საქონელი უღელში შესაბამი საქონელი, მუშა საქონელი: ხარი, ხარკამეჩი.

შასარანვა გამორჩენის მოლოდინში სხვის შეყურება. „რამ შამამსარი ან ავ კატასავით, გადასაყრელი არაფერი მაქ“.

შატაბუტა არადარბაისელი ადამიანი, ცუნდრუკი (შდრ. ს ა ბ ა შეტაბუტა, კ. ყ. შეთე-მუტა, ა ლ ა ვ. შეტამუტა).

შატლოყნილი ზორბა, უშნო ადამიანი, უშნო აღნაგობის ადამიანი. „შატლოყნილია, რათ ვარგა, მაგამ ქალ როგო მივცემ“.

შატყაპუნება, შეტყაპუნება გადატანობვარი ნივთის შენარჩუნება, რომ აღარ დაუბრუნებს პატრონს. „ჩვენებიანთ წაილე ბარი და შაიტყაპუნეა“.

შაუბრალებელი ავანტყოფი, შეუბრალებელი ავანტყოფი „გაგა“ (ვ. ხერა-ქვერა ავანტყოფი (ნ.).

შაუხედავი შეუხედავი, უშნო, უღამაზო. „ძალიან შაუხედავიან საწყალი, პატარძალი“ (შდრ. შარშ. შეუხედავი).

შაფეთებული შეფეთებული: აღტაცებული; გონებადაკარგული. შაფეთებული სიყვარული ძლიერი სიყვარული. „აგეთი შაფეთებული სიყვარული არ გამიგონია, ქაა!“ (ნ. ფეთება).

შაფერება შეფერება, მიღება, შეთვისება. „დედამთილმა რძალი კარგა შაიფერა“ (ნ. ჩ უ ბ. შეფერა, შეფერება).

შაფურჩქნა შეფურჩქნა (ნ. ფურჩნა; ნ. კ. ყ. შეფურჩნა).

შაფუცუნება ნ. შეფუცუნება (ნ. აშტანი).

შაქათუნება, გულის შაქათუნება გულის შეტოვება, გულის აძგერება, შეკანკალება შიშისა ან სიხარულისაგან (ი. ქათუნი, გულის ქათუნი).

შაქანებული ნიტრა მარცვლელის აწყვის დროს საწყაო ქურქელს (ლიტრას) შეაქანებენ (შეანჯღრევენ), რომ შიგ ბევრა ჩაეტოს (შდრ. ფიფქვლივ სამსე ნიტრა, თავმობმული ნიტრა და სხვ.).

შაქი, შიშაქი წლის დედალი ცხვარი, ორჯერ გაპარსული. ბატკანს პირველად მთაში გაპარსავენ სექტემბერში და თხლი (ნ.) იქნება, მეორედ წლის დედალ ცხვარს ბარში გაპარსავენ გახაფხულზე და შაქი იქნება ორნაყოლობამდე. პირველ ყოლაზე ხამი შაქია, მეორეზე—ნაშაქარი, შემდეგი ცხვარი.

შაქრის ყარფუხი სახამთროს ჯიშია: ძალიან ტკბილი წვრილკურკიანი სახამთრო.

შადირლიტება შეყურება, თვალიერება, ხვერვა. „რაა შადირლიტებ მანდ, ბიჭო, პატრონი ყყავ და თავითინ უნდა“ — ეტყვიან ბავშვს, სხვის ხეხილს რომ დაუწყებს თვალიერებას მოპარვის მიზნით.

შადირლიტება ნ. ღირლიცი.

შაყელვა ნ. შეყელვა (ნ. ჩუბ.).

შაყელთება თავის მობეზრების გაცნო მოთმინებიდან გამოყვანა, მეტისმეტად გაჯავრება. „შამაყელთა, კაცო, მეც კაცი არა ვარ, ვეღარ მოითმინე და ვცემე“.

შაყენებული ჩიბუხი ნ. ჩიბუხი 1.

შაყოლება გულგარულად შეყოლება, წასვლა. „ნელ-ნელა შაყაყოლებ“; შაყაყოლე! — წადი! (შდრ. ჩუბ. შეყოლა).

შაყოლივება შეყოლიება, შექცევა, გართობა. „ნელ-ნელა შავიყოლივე ლაპარაკში და სოფელ გავაცილე“.

შაშალაკი ლეღვი, მწვანე ლეღვი ლეღვის ჯიშია: ძალიან მწვანე ლეღვი. მაკრატელა ფოთოლი აქვს, ლეღვი მწვანე მწიფდება, ზოგს დაჰკრავს ცვილისფერი. წელიწადში ორჯერ ისხამს კაკრას (ნ.). აღრე გაზაფხულზე მოსხნიული კაკრა გუდა ლეღვად (ნ.) მწიფდება იენის-იელისში. მეორე კაკრა ცოტა გვიან გამოაქვს და მწიფდება სექტემბერში, გვიანობამდე გასტანს, თითქმის ოქტომბრის გასილამდე. ლეღვი აყროსავითაა, გულაბ მსხალივით დაეკიდება ხოლმე. საკმაოდ მსხვილიცაა, თუ ნორმალურად ნორტო ადგილასაა, მაგრამ თუ ხირბატშია (ნ.) და თან გვალვიანი წელიწადიც დაერთო, წვნიცდება. ძალიან ტკბილი ლეღვია. თავ ლეღვად ითვლება.

შაშარი ნესტარი, ლანცეტი, მუწუხის გასაკრელი ან კანის დასაშაშრავი

პატარა დანასავით (ნ. დაშაშრა: ნ. საბა, ჩუბ., აბულ.; შდრ. ვაჯა I).

შაშვებული: ერთშაშვებული. ორშაშვებული, სამშაშვებული და ასე ხუთშაშვებულამდე ეწოდება ნერბს. პირველ წელიწადს რომ ცხვარს განერბავს. ერთშაშვებული ჰქვია, მეორე წელიწადს — ორშაშვებული და ა. შ. ხუთშაშვებული იშვიათად ვარგა (შდრ. მოვლილი).

შაშველება ნ. მოშველება 2. „მოდი შაშველდით, ცოტა რამეხე ნუ დაიშლით და გაკეთებულ საქმეა ნუ ჩაფშლით“.

შაშობილი მალღარი, ხეხე აშვებული ვაზი (ნ. ჯავახ. II, 309).

შაშულავე ნ. საშულავე.

შაცახვა აბრეშუმის ჭიისათვის ცახის შედგმა; გაჭრ. გახდომა, დამკლევება, აუდმყოფობის შედეგად დასუსტება. აქედან: შაცახული. „რატო მაგრე შაცახულხარ, რა დეგემართა?“

შახანხლა ოდნავ შეწვასავით. „კორცი ერთი ბეწოთ შახანხლა და შაყლაპა ნახვერათ უმი“ (ნ. ხანივლა; შდრ. ჰყ. შეხანხლა).

შეგნებით მუშაობა დინჯად, ნელა მუშაობა.

შეთე 1. ადგილიდან ფეხმოუცვლელი ადამიანი, კერპი, მძინედ მოძრავი, ცოტა არ იყოს ბრიყვიც. „შეთე ვეწესი და რიგი არ უნდა იცოდე“; „შეთე კამეჩი ხანტი, მაგრამ ღონიერი კამეჩი (ნ. ალავე; შდრ. ჩუბ. შეთი, საბა შეთიანი, შან. I, სადათ.); 2. კამეჩის სახელია.

შეიღიშო ქალის ქვედასაცვალი აბრეშუმისა, გრძელტოტებიანი, ტოტებზე ბუზმენტმოვლებული. ბუზმენტი მშვენიერი სახეებით (ჩიტებით, ვარდებით და სხვ.) არის ნაქარგი (ნ. გრიშ; შდრ. ჩუბ., გურამ. შიღიში, ჯავახ. I, 107).

შევკრა აპქრისა ამქრის წესების დამრღვევის მიხარტ გამოყენებული სასჯელი: ახლოს არ გაიკარებდნენ, მასალას არ აყიდვინებდნენ, მუშაობის ნებას არ მისცემდნენ.

შემოდგამება, შამოდგამება გუთნეულში შეამბანაგება (ნ. მოდგამი).

შენზე გაცილებული აღამიანი ვიყო შენზე უარესი ვიყო.

შენობა შენიახები, შენი შინაურობა. „შენობა გაწყდებ, როგორც შენ ჩემობა (ნ.) აპააგდე“.

შენსობას შენ იქ ყოფნისას. „განა შენსობას არ უთქვამ ეგ?“ (შდრ. ნენსობას; ნ. შარშ.).

შეტყაპუნება ნ. შატყაპუნება.

შეუბრალებელი ავანტუოფი, შეუბრალებელი ავანტუოფი აჟაჟა, რაც შერა-ქვერა ავანტუოფი (ნ.).

შეფუცუნება, შეფუცუნება ბალნის ცვივნა ანთებისა თუ დიდი სიციხის გამო. ტყავს შიგნიდან კირ-წყალს წაუსვამენ, დაეცავენ და შეახურობენ ხოლმე ბალნის გასაცლელად (ნ. გალვერვა).

შეყელვა, შეყელვა ვახის მიკვრა სარზე. სანამ კვირტი არ გამოსვლია. მარტში იციან. ვახს შემდეგნაირად შეჟელავენ: კიგოზე (სარზე) ერთ ადგილას ძველიანს (ნ.) მიუბამენ, შემდეგ სამამულის (ნ.) ყელს მიბამენ, მერმე მონარიან სანამულის რკალივით და წვერს დაახლოებით იმავე ადგილას, სადაც ყელი მიბაჟეს, მიუყრავენ. ვახი მიწაზე აღარ გაიბრუნება და ქარი ვეღარ ატოკებს (ნ. ყელვა; ნ ჩუბ., ჯაეახ. II, 332, 333, მახ.).

შეშმიში ნ. ეშმიში.

შეშული სავაჭრო საქონელი: წვრილმანი, ფაოთალი (შდრ. კირ. შეშუტი).

შედენა მოთმენა, ატანა, შეთვისება. ატანა: - უნიფხო ნიფხავ ვერ იშვიდენს (შდრ. უშედენარი).

შედენულობს III : ითვისებს, იტანს. „ავი რძალი დედამთილ ვერა შედენულობს“.

შვილის წირვა ახალმცვალებულის სულის საცხონებლად მვიდ დღეს აწირვინებდნენ, რადგანაც სწამდათ, რომ შვილი დღის განმავლობაში „სული კორცს არ ეყრება“ (ნ. ბარნ. შვილი).

შვილად მოკიდება, მოკიდება შვილება, შვილად აყვანა სხვისი ბავშვისა (ნ. კყ. მოკიდება შვილათ; შდრ. ჩუბ. შვილად აყვანა).

შვინდარწლა (Cornus sanguinea, რაი) ხეა, შინდსა ჰგავს, მაგრამ ანწლის ყვავილის მსჯავს ყვავილს იკეთებს, თეთრს, ნაყოფი შვად ბწიფდება. არ იქმება (ნ. ერისთ., ჩუბ. შვინდ-ანწლა, შვინდარწლა, შინდ-არწლა, კყ. შვინდ-წლა, ჯანაშვი. შუდანწლ, მახ. შინდ-ანწლა).

შვინდის შაჰმანდი შინდის შეჰამანდი. ხამთარში ხმელ შინდს მოხარშავენ, გაწურავენ, კურკას გადაყრიან, წვენს ფქვილს მოუკიდებენ და მარილითა და ნივრით შეხავებენ. კისელსა ჰგავს. მდაზე მოძყვანია და ავადმყოფს ურჩევენ (შდრ. პურიჯული).

შვლება სახრით ცემა (შდრ. ჩუბ.).

შიბაჰი ხის მილი აკვანში ბავშვის შარდის სადენად. ლეიბი არა სველდება, ბავშვი მშრალად არის და მოსვენებით (ნ. საბა, ჩუბ. შიბაჰა, შიბაჰა, ბერ. შიბაჰა, ბოქშო).

შიბი ლასტისა და გოდრის ნაპირი, კაპანივით ხვეულად შემოწნული, რომ არ დაიშალოს (შდრ. საბა, ჩუბ., ჯანაშვი, შან. კვეს.).

შიგნეული შიგანი, ფაში, ნაწლავები და მისთ. (ნ. საბა, ჩუბ. შიგნიერი, შიგანი, ჯანაშვი. შიგნიერი).

შიგნით კახეთი აკოქა, „სც წინა მკარი (ნ.) კახეთისა.

შიგკიდელა თამაშია. ბიკები წრედ დასხდებიან, ერთი შუაში ჩადგება, თვალებს დახუკავს და დატრიალდება, მერმე გულალმა გადაიქცევა, თავი ვისკენაც ექნება, იმას ეკიდავება. იკიდავებენ. წაქცეულს თავი ვისკენაც ექნება, იმას უნდა ეკიდოს წაქცეული, წამქცევი ჯდება მის ადგილას და ა. შ. აქედან: შ ი გ კ ი დ ე ლ ა მ ჩ ა ბ მ ა. „შიგკიდელა ჩაბემა“.

შიგკრელად თხლად, მეხხრად, რამე რომ აქა-იქ იქნება. „ში გ კ რ ე ლ ა დ ასხია ყურძენი“; „წლეულ შ ი გ კ რ ე ლ ა დ არი მოსავალი“; „ში გ კ რ ე ლ ა დ იკოცება ხალხი“.

შილაფლავი, ჩილაფლავი, ჩლაფი ცხვრის ზორცი და ბრინჯი ერთად მოხარშული და პილბილით შეხავებული (შდრ. ჩ უ ბ., სადათ. შილა).

შიმალი მოხარდი ხე, ჯერ ნორჩი ხე. „პაატუნა შ ი მ ა ლ ი გვიდგა, იმან ჯერ რა ვაშლი უნდა დისხაჲ“ (ნ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ., ბესიკი, ქ ყ, ვაჟა III შიმელა).

შიშა ხელოსნის საზომი და სახაზავი იარაღია, ადლის სიგრძისა (ნ. ს ა ბ ა შიმში, ლელწამი, ჩ უ ბ., გ რ ი შ, სადათ. შ ი შ ა ტ ი).

შიშშილით გადარძობა ნ. გადარძობა (შდრ. მიღძობა).

შინაკაცი, მეწვრე შინ მომუშავე მავაკაცი, მინდორში არ გადიოდა. ძმარავალ ოჯახში, დიდ ოჯახში ერთი ძმა ცხვარში იყო, მეორე—ძროხაში, მესამე—ხარ-გუთანზე, მეოთხე შინ იყო, საშინაო საქმეებს უძღვებოდა და ვენახის მოვლა-პატრონობა ებარა. თუ სახლში იმდენი ძმა არ იქნებოდა, მაშინ ძმათაშვილები იქნებოდნენ, სულ ერთი იყო, სამუშაოს კაცის კვა-

ლობაზე გაინაწილებდნენ, შემოსავალიც (ზოგი) მკლავზე იყოფოდა (შდრ. ჩ უ ბ.).

შინაური ძაღლი, ეზოს ძაღლი ქოფაკი ძაღლი, სახლის საყარაულოდ რომ ჰყავთ.

შინაური ჯელადა ნ. კელადა.

შინჯაფი ბეწვის სარჩული ქათობისა (მელიას ან სხვა ცხოველის ბეწვს უდებდნენ).

შირა სიმესტქე წენიანისა, სისქე ლენისა ან ბადაგისა, დღეყო ყურაშისა და სხვა ხილვეულისა და ძი. (შდრ. ჩ უ ბ.).

შირვაშლა ხეა.

შირიში 1. წენიკი თეთრი კენკი ცარცივით. თუ ქურბელს შეჰყვა, გამოწვანი სიცოცხლისაგან გაფუცდება და ქურბელს გააუფეს; 2. ბუჭისა და თირკმლების კენკი (ნ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ.).

შიშაქი ნ. შაქი (ა. თოხლი; ნ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ., სადათ. შ შ ი შ ა გ ი, ბ უ ქ ე რ.).

შიშლიკანა შიშველა (შდრ. კ ი რ. შ ი შ ლ ი).

- 1. შლა ნ. ცხვრის აშლა.
- 2. შლა ნ. ცხვრის გაშლა.

შლაში მდინარის მოტანილი მიწა, წვრილ ქვიშასავითაა. შეგუროები ხმარობენ, თუ ლამი (ნ.) არა აქვთ. ამას აყრიან ყალიბს და შემდეგ გუნდას დებენ, რომ ყალიბს არ მიეკრას. შლამი არ ვარგა, ნიავე რომ სვდება, იშლება აგური. ლამა სჯობია (ნ. ჩ უ ბ., ვაჟა I, IV, მ ა ყ.).

შოლტი 1. კაპანივით დაწეული თასმის, კიპის ან მხრალისაგან (ნ.) საქონლის გასარეკად (შდრ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ.); 2. საქალანედ დაპირილი ტყავი (ბარისა ან კამეჩისა და მისთ.) სიგრძივ მთელ გაყოლებაზე ოთხი თი-

თის გაშლის სიფართოდ (ნ. საბა, ჯაგაბ. საფ.-სახ. 136, კირ. შოლტი ტყავი).

შოლტივით ბიკი, შოლტივით ქალი ტანადი, მოქნილი ტანის ბიკი, ქალი:

შოლტკავი, შოლტყავი ფამფულაკში (ნ.) გაყრილი ძელი, რომლის მეორე მხარეს უღელთა დამაგრებული და შიგ გუთნი თავი ხარება (ნ.) შებმული (ნ. ჯაგაბ. 1, 187, 188, 196, 235).

შოლტყავი ნ. შოლტკავი.

შოროქანი მწირი ადგილი, არც მოსავალი მოდის და არც რაგინი ბლახი (შოროქანი მცენარის მნიშვნელობით ქიზიყში არ იციან, მაგრამ) შოროქანი მწირი ადგილია, სადაც მხოლოდ შოროქან მცენარე ხარობს.

შრათი სველი, ყველის ამოღების შემდეგ დარჩენილი სითხე. მეცხვარეები მას ან გადაღვრიან, ან მოადუღებენ და ახლაკს (ნ.) აკეთებენ (ნ. საბა, ჩუბ.).

შრეტა დაესება, გაქრობა; რაჭა. მუშაობაზე მოცდენა. „დღევანდელი დღე იმი ლოდინში დაეკიშრიტენით“. ე. ი. მოვედით (ნ. საბა, ჩუბ.).

შრეტელა ცხვრის ჯიქნის ავადმყოფობა: ჯიქანი იხდენად უფუქდება, რომ ცხვარი შუბა.

შრიდიალა ცემის მუქართ დაშინებასაკით. ეგების თვალების ბლევრასაც ნიშნავდეს. „დგაა და მიშრიდილალებს ჩემი ქმარი, მაშინებს—ქვემო, მოკვლამო!“

შრაშანი (Sturnus vulgaris L., cunopeu) შოშია, მგალობელი ა (ნ. საბა, ერისთ., ჩუბ., ჩხ.).

შუა კაცი საშუალო ქონების პატრონი. შუა კაცად ქიზიყში ის ითვლებოდა, ვისაც ეყოლებოდა 200—500-მდე სულეი ცხვარი. ურგები და ურმის საქონელი (ყვეარი), 3—10 ფური და ოციოდე ტანამანა (ნ.); ხნავდა გადაბმით

(შეიძლებოდა საკუთარი გუთნეულიც ჰყოლოდა) და მოჰყავდა 2—3 წლის სარჩო; ჰქონდა ქვიტირის სახლი ორი თვალი: ერთში ცოლ-შვილი ჰყავდა, მეორე სამეურნეო დანიშნულებისათვის ჰქონდა; ჰქონდა აგრეთვე თავლა, გომი და მისთ.; ექნებოდა ერთი დღიური ვენახი (ნ. თავაკაცი).

შუალა მეჭრე მესამე უღელში, საძირის ხარებში (ნ.) ჩაყენებული მეხრე. იგი ლამის მეხრეცაა.

შუალა ხადგომი ჯარები ნ. სადგომი კარები.

შუა მოსართავი უნაგირის ამოსაკირებელი მოსართავი. იგი ამავრებს ბალიშს კეხზე და მთელ საკახშს (უნაგირს) ცხენიხ ზურგზე.

შუა ფევის კალაპოტი ნ. ნამდვილი დედაკაცის კალაპოტი.

შუა ჯორცად ყოფნა შუათანად, არც ძალიან მსუქნად და არც გამხდრად ყოფნა.

შუბის ტარი ზომის ერთეულა. იტყვიან: „მზე ერთ შუბიტარზე იყო, როცა მინდვრიდამ წამუელ და ჩემა ლურჯამ მზიურ მამიყვანა შინ“.

შუბლი, ქვის შუბლი ქვის ბრტყელი და სუფთა მხარე, ქვის მეკრდი.

შუბლიანი ქვა, შუბლის ქვა ქვა, წინა გვერდი რომ სუფთა, გათლილივით ეწეება. ქიზიყში რიყისქვას ხმარობენ საშენ მასალად და არ ითვება, ამიტომ კედელში აქ მხარეს (ქვის შუბლს) გარეთ მოაქცევენ.

შუბლის კედელი ნ. განჯინი კედელი.

შუბლის ქვა რაჭა, რაც შუბლიანი ქვა (ნ.).

შუბლის ქინძითავი, შუბლის ჯილა ჩიხტაზე შუბლის ადგილას გასაბნევი ქინძისთავი, ოქროსია ან ვერცხლისა, ძვირფასი ქვით შემკული.

შუბლის ჯილა ნ. შუბლის ქინძითავი.

1. შუბსაფენი (← შუბლსაფენი), შუშტაკი, ყასაბა, კასაბა, კირპინტი წინათ თავისებურვის დროს ლეჩაქის ზემოთ, შუბლზე, შუბსაფენი ჰქონიათ შემორტყმული, შეძლებისდაგვარად ძვირფასი ქსოვილისგან შეყვრილი ბრტყელი ზონარივით (შდრ. ჩუბ. შუბლ-საფენი).

2. შუბსაფენი შუბლსაფენი, საოფლე (ნ. შ. საოფლე).

შულია, ყულია საბავეშვო სათამაშოა. თითისოდენა ფიცარს გათლიან, ბოლოებს გაუწვეტებენ, შუაზე ორგან განზერტენ, შიგ ბაწარს (უეჭველად მატყლის ძაფს) გაუყრიან, ფირფიტას შუაზე დააყენებენ, ბაწარი მხოორწვრილი იქნება, ცალ წვერს გამოყულთავენ, მეორეს გამოკვანძავენ, ყულფში მარჯვენა ხელის სალოკ თითს გაუყრიან, გამოკვანძულს ამავე ხელის სალოკითა და ცერით დაიქერენ, მარცხენა ხელის სალოკს გამოსდებენ ფირფიტის მეორე მხარეს მოქცეულ მხოორწვრილ ბაწარს. ასე დაქერის ერთ-ორჯერ შეატრიალებენ, შემდეგ ხელების გაწვევითა და მიახლოებით ბაწარი ხან იკიბება და ხან ბოშდება. როცა ბოშდება, იგრიხება, როცა გასწვევენ, იშლება და ხელების სწრაფი მოძრაობით ფირფიტა წაღმა-უყულმა ბზრიალებს სწრაფად და ყუის, ხმას იძლევა (შდრ. ბერ. ღვრილა/ე-ა).

შუკა: იტყვიან: „შუკას ავიით გაგისვრი, შუკას ავიით გაჯკრა“ და მისთ. (შდრ. საბა, ჩუბ, შაჰნ. I, გრიშ.).

შულო ერთი გაბმა (ნ.) ძაფი (ნ. კიფი; შდრ. შაშულავე; ნ. საბა, ჩუბ., წერ. შვილო, ჯაეახ. საფ-სახ. 127).

შუპვრა ტუქსეასავით; გალანძღვასავით, შეურაცხყოფასავით. „რად იშუპრებო, რა იყო?“ აქედან: გამოსუპვრა გამოლანძღვასავით, შეურა-

ცხყოფის მიყენება. „შენმა ბებიამ ერთი მაგრა გამამშუპრა“.

შურის კვირა ყველიერის წინა კვირის წინა კვირა. ყოველდღე იქმებოდა ხორცეული (ოთხშაბათ-პარასკევსაც). ჭინდა დევშუროსო, — ამბობდნენ, — თორენ მგმრე დიდმაზუვა მოდის და მხოლოდ სამარხვო საკმელები უნდა კამოსო. ამას მოსდევდა ნების კვირა, გარდა ოთხშაბათ-პარასკევისა. ყოველდღე კამდნენ ხორცეულს. ამბობდნენ: «ნებაზე უნდა კამოს კაცყო». შედეგ მოდიოდა ყველიერის კვირა, ამ კვირაში ხორცეულს არ კამდნენ. ერბო-ყველისა, თევზელისა და კვერცხის კამა შეიძლებოდა. ყველიერის შემდეგ იწყებოდა დიდმარხვა, რომელიც გრძელდებოდა შვიდ კვირას, ე. ი. აღდგომამდე (ნ. ჩუბ. შურის-კვირა).

შუფრი, შუფრის გაწვევა დაბალანაში თხის ტყავის გაწმენდა თრიმლისაგან.

შუქიანი კაკა. 1. სხივიანი, თეთრი ადამიანი (ნ. ჩუბ.); 2. ნწიფე ხალი. დაწმენდილი ფერი რომ აქვს.

შუშანა (შროშანა?) ბალახია.

შუშაყი ცხენის სატკივარია: ფეაე-ში უჩნდება. თავლაში ზღვე თუ არ არის დაგებული, სისველისაგან ჩლიქი უფუჭდება ცხენს (ნ. ჩუბ. შუაყა).

შუშვა, დაშუშვა ჯიჟი, წყ დაკალება (ნ.). „რასა დაშუშან, ქანა, საქმელთ გინდა?“ (შდრ. საბა, ჩუბ.).

შუშტაკი ნ. შუბსაფენი (ნ. ჩუბ.; შდრ. გრიშ., ცაგ.).

შუშუტი მილი, გულლარე ჯოხი, ძვალი, მასრა და მისთ. (ნ. ბუჭურ; შდრ. აბულ., მაკალ. მთიულეთი, 51 შუშუტა).

შუშხვა მყავეულისაგან პირის, ენის გაღიზიანება. წვა; მაგ., თუთუბო პირსა შუშხავს და ამიტომ აყრიან ნწვადს (ნ. ჩუბ.).

შრიპშიპი ცხიმეულის დადაღვის დროს გამოცემული ხნა (ნ. კირ.).

შარიწვა შიშინი, აღუღების წინ წყლის გამოცემული ხნა; გ.ა.ტ. ს.ი.ს.ლ

ნუ მი შხ რ ენ—სისხლს ნუ მიღუღებ, ნუ მალუღუღებ; -გული მი შხ რ ი ნ ა მ ს ბ რ ა ზ ის ა გ ა ნ“ (ნ. ჟ ა ნ ა შ ე. შრინვა).

ჩ

ჩაგულგულება მოსაელის აღება და დაბინავება.

ჩადი ჩადუნა, გვიმრა. ჩადს ყურძნის დაწურვის დროს ნავს (საწნახელს) ძირში ტოპკირზე (ნ.) გაუფენენ ხოლმე და შემდეგ ჰყრიან ყურძენს. დაჭყლეტისას მარცვალს იჭერს. რომ წვეს არ გაპყვეს (ნ. ს ა ბ ა ჩადე, ჩადო. ე რ ი ს თ., ჩ უ ბ. ჩადუნა, ჯ ა ხ ა შ ე. ჩად).

ჩავლაზე მეთამბაქოეობაში გავრცელებული ტერმინი იყო: პლანტატორის მიერ თამბაქოს დამმუშავებლისათვის წინდაწინ მიცემული ფული. ეს ფული თამბაქოს მოწევისა და გ.ყიდვის შემდეგ პლანტატორსა და თამბაქოს დამმუშავებელს შორის ანგარიშის გასწორებისას მხედველობაში არ მიიღებოდა, მიმღებს რჩებოდა, შემოსავალს კი პლანტაციის დამფინანსებელი და პლანტაციის დამმუშავებელი შუაზე იყოფდნენ. ჩავლაზე მიცემული ფული ცოტა იყო, ვიდრე აღებაზე. შეჟარდება იყო დაახლოებით 2 : 3. რადგან ჩავლაზე გაცემული ფული არ ანაზღაურდებოდა, პლანტაციის დამმუშავებელი ხშირად ზარმაცობდა, კარგად არ უვლიდა თამბაქოს. მოსავალი არ მოჰყავდა, მიღებულ ფულს შეჰკამდა და პასუხს არ აგებდა; აღებაზე მიცემულ ფულს კი მოშორება უნდოდა, ამიტომ პლანტაციას კარგად უვლიდა და ორივე მხარეს საკმაო მოგება რჩებოდა. ჩავლაზე მიუქთაბორები ეტანებოდნენ აღებას, აღებაზე კი—გამრჯელნი. ისინი ამთავითაც ხელს კარგად ინაცვლებდნენ და ბოლოსაც საკმაო შემოსავალს ღებულობდნენ (ნ. აღებაზე),

ჩაზანყება ოღროზოღრო გზახე ჟრმის თვლის ჩაღრმავებულ ადგილში ჩაეარდნა და ჩაკოკლება (შდრ. დაზანყება).

ჩათო თხის ბალნისაგან, ან ცხენის ძუა-ფაფარის ან ძროხის კვლის ბალნისაგან დაგრეხილი ან დაწული თოკი, თითის სისქეა, სიგრძით 2—3 მეტრი.

ჩათქვირებული ჩასუქებული (შდრ. ჩ უ ბ. გათქვირება, ჰ ყ. შეთქვირება).

ჩაილულის წყლის დაღევა გ.ა.ტ. გათაება, საქმის ჩაფუშვა (ნ. ბ ე რ. ჩაილული; შდრ. კ ი რ. ჩაილურის წყალი).

ჩაკეტვა კარის დაკეტვა შიგნიდან ჩანგლით (შდრ. ჩაჩანგლა; ნ. ჩ უ ბ. ჩაკეტვა).

ჩაკირვა კაკლის, კვერცხის, ქვევრისა და სხვა საგნის კირით (კირ-ქვიშის ნახავით) გამაგრება. კაკლსა და კვერცხში კირს შიგ ასხამენ, ქვევრს კი გარედან ახვევენ ქვიშანარევ კირს (შდრ. დაკირვა; შდრ. ჩ უ ბ.). აქედან: ჩ ა კ ი რ უ ლ ი კირჩახსმული ან კირში შეხვეული; გ.ა.ტ. მაგარი, უდრეკი; დიდხანს რომ ძლებს. „ჩვენებიანთ ბებერი ჩ ა კ ი რ უ ლ ი ა, არ შოკვდება“.

ჩაკლამება (ნაწარმოებია სიტყვისაგან კ ლ ა მ პ ი ნ.) ჩაწვეთება, მცირეოდენი სითხის ჩასხმა. „ერთი ბეწო წყალი ჩ ა მ ი კ ლ ა მ პ ი ე“; „ერთი ბეწო წყალი ჩ ა მ ა კ ლ ა მ პ ი ე“—ცოტა წყალი დაამალავს (ნ. დაკლამება).

ჩაკორტნა თავის დახილვისას თავში ტყუილად ცერების ფრჩხილთა მიტკაცუნება, თითქოს მკბენარსა კლავნო.

ჩაკრეფა ქსლისა ნ. ქსლის ჩაკრეფა.

ჩალა ჩალაკალამი, კაობის მცენარე, камыш. სახლის სახურავად იხმარება (ნ. საბა, ერისთ., ჯანაშვი. ჩალა; შდრ. ჩუბ., გურამი, ჯავახ II, 90).

ჩალაბულა ბალახბულახი (შდრ. ჩუბ.).

ჩალამბარა, ფამფართ ჭყიმისმაგვარი ბალახია, ლობის ძირში მოდის, ფოთლით ცოტათი სტაფილოსაც მიაგავს, მშვენიერი სუნი აქვს, ველური მწვანელია, ჰემენ მინდორში; გაჭრ. იციან ხოლმე თქმა: «კაცი ვარ თუ ჩალამბარა, რატო არაფრად მაგდებთო» (ნ. საბა, ერისთ., ჩუბ., დაწერილებით ჯავახ II, 224-225 და სხვ.).

ჩალანგარა ცალპირი კედელი, თბელი კედელი (შდრ. სიფარი კედელი; შდრ. საბა, ჩუბ.).

ჩალაღი, ჩალაღარჯი საქონლის კისრის უკანა ნაწილი სათბილომდე, ბეჭების ქვეშა ნაწილი ხერხემლის მალეების მორჩებითურთ. ძალიან გემრიელია წენადაც და ხორცადაც (ნ. ჩუბ., ცაგ., ულ. ჩალაღარჯი).

ჩალახეში აკენის ლეიბი მატყლისა (ნ. საბა, ჩუბ.).

ჩალთვა კუწვა, წვრილად კრა, დაქუცმაცება, დაჩხა, მაგ., ადამიანისა ხმლით. აქედან: დაჩალთვა (ნ.). „ო-ჰო-ჰო-ჰოო, რაჯულ დაუჩალთვამთ საწყლები“ (ნ. ბუჭუჩო.).

ჩალის დართვა ნ. რთვა.

ჩალიჩობა ცდილობა. „რასა დაჩალიჩობ, გინდა მატყურო ბერკიაცი“ (შდრ. საბა ჩალისობა, ჩუბ. ჩალი-სი, ჩალისობა).

ჩალოგინება ლოგინად ჩავარდა, მძიმე ავადმყოფობისაგან მუდმივად ლოგინში ჩაწოლა (ნ. ბარნ.).

ჩალური სახლი ჩალადახურული სახლი (შდრ. ჩუბ. ჩალური).

ჩამედგარა წყალა: „ჩაგტიტე და ჩაგმედგარე!“

ჩამიჩი გამზმარი ყურძენი. კარგად მწიფე ყურძენს, ლეშკიანი (ნ.) ჯიშისას, ნამხურალე თორნეში ჩაჰკიდებენ ჩხირებზე ასხმულს; რაც წყალი აქვს, აორთქლდება, მარცვალი კი დაჰკნება; თუ რამე სოკოები აქვს, ამოწყდება: ამოიღებენ და ჩრდილში გააშობენ. სახამთროდ ინახვენ, არ ფუჭდება, გემრიელია, რადგან ცოტა მოხალულივით გემო აქვს წიპწას (კურკას). არის უკურკო ჯიშით, მაგრამ ჩვენში იშვიათია, ადგილობრივი ჯიშით არ არის (ნ. საბა, ჩუბ., აბულ., მახ.).

ჩამიჩის ჩურჩხელა, ყურძნის ჩურჩხელა ჩამიჩისაგან გაკეთებული ჩურჩხელა (შდრ. ნიგვზის ჩურჩხელა).

ჩამობრენძილი, ჩამობრენძილი დაგლეჯილ-დაფლეჯილტანისამოსიანი.

ჩამოკანჭურება უშნოდ ჩამოკიდება, მოტეხილ ფეხით დაკიდება (მაგ., ხმლისა). „ჩამოუკანჭურებია კმალი და დადის“ (შდრ. აკანჭურება).

ჩამოყაჭვა ბლომად ფულის ჩამოსვლა. აქედან: ჩამოყაჭვინება. „ბლომა ფულეები ჩამაყაჭვინემა“.

ჩამსხნილება ბუხის მიერ ხორცეულში კვერცხის ჩაყრა, ჩაკვერცხვა. „კორც გადააფარე, თორენ ბუხმა ჩამსხნილა“ (ნ. მსხნილი).

ჩამწნილება გაჭრ. დიდხანს დარჩომა.

ჩანა ქვედა ყბა. „გაჭურდი, თორენ ჩანებ ამოგამტვრევ“ (ნ. გრიშ.).

ჩანახი ხის დიდი ქურქელი, რაშიც დაბლები ტყავებს აწყობენ გამოსაყვანად, დასალბობად და სხვ. (შდრ. საბა, ჩუბ., ჯავახ. საფ.-სახ. 69 და სხვ.).

ჩანგალი 1. კავიანი რამე (ნ. ჩუბ.); 2. მამალი კოჭაკი, კარის ჩასაკეტი კავიანი კოჭაკი.

ჩანგლის თოკი თევზის საკერ ჩანგალზე შებმული მაგარი წვრილი თოკი.

ჩანგურზე დაძახნა ჩანგურზე დამლეობა. ჩანგურს რომ უკრავს და თან მღერის, იტყვიან: ჩანგურ და ძახის.

ჩარა ღონე, საშუალება. „მეტი ჩარა არ არი, უნდა წაიდე“ (ნ. ჩუბ., ვაჟა III).

ჩარბულაღა უწერსიგო, ხმამალალი მუსიათი. „მანდ რა ჩარბულაღა გაქეთ?“ „რა ჩარბულაღა ჩაბით, რო ყურთასმენა აღარ არი?“

ჩარდახი სამეყდეღა ნაგებობა კალოხე: საბძლისმაგვარია, უკანა და გვერდის კედლები აქვს წნული, წინა კედელი არა აქვს, ჩალა ჰხურავს. შიგ ზმთობობით სსოფლო-სამეურნეო იარაღი უწყვიათ, ზღუხულში მეკალოენი იყენებენ, როგორც მარქაფ ქობს: შიგ საქმიანობენ, ცხოვრობენ (შდრ. ჩუბ., შპნ. II, ალავ. ჩაღდალი, შან. კეეს., ბუქურ.).

ჩარეჭა საწყაოა: თიხის ქურქელია, შალალი, ქუსლიანი, მუცელგაწეული, ყელში ოდნე მოვიწროებული, პირგადაწლილი, ცალყურა, ჩადის ხელადის ნახევარი: ერთი ლიტრი (ნ. მაყ.; შდრ. საბა ჩარეჭი, ჩუბ., შან. კეეს., მაკალ. შთიუღეთი 91, ჯავახ. საფ. სახ. 81—83 და სხვ.). აქედან: ჩარეჭიანი ჩარეჭი, ქურქელი, რომელშიც ლიტრი ჩადის.

ჩარფუზანა ხმარობა ცეკვა-თამაშით. აქედან: ჩარფუზანა ჩარბმა. „მანდ რა ჩარფუზანა ჩაგობამთ?“ (შდრ. კირ. ჯარფუზანა).

ჩარჩევა ხორცის ჩაშლა მეტი ხარშერსაგან. იტყვიან აგრეთვე გვამის გახრწანხედაც (შდრ. საბა დაჩარჩეა).

1. ჩარხი საკირის გუმბათის გარშემო შემოსაყრელი ნამჭრევი კირჭეა.

2. ჩარხი, მექურჭლის ჩარხი თიხის

ქურჭლის საკეთებელი მოწყობილობა: ვერტიკალურად დაყენებული ძელია, ბოლო დადებული აქვს ბრტყელ ქვაზე, რომელსაც ლითონს (ნ.) ეძახიან, მიწიდან, ერთი მტკავლის ზემოთ, აქვს მრგვალ-ბრტყელი დაფა (ნ.) (დიამეტრი 0,5—0,6 მ.), რომელსაც ფეხსა სცემენ და აბრუნებენ; თავზე აქვს მრგვალი ბრტყელი ფიკაჩი, რომლის დიამეტრი 0,20—0,25 მ. იქნება და რომელსაც ჩარხის თავი ჰქვია. ჩარხის თავის დაახლოებით ერთი მტკავლის ქვემოთ გამოთულია დახვა, რომელიც ჩარხის ლერძსაც ამგარებს და მაგიდაც არის. მექურჭლეს ზედ უწყვიცა საკირო ხელსაწყობები (შდრ. ჩუბ.).

ჩარხის ძეძუ საბლის საგრეს ჩარხზე ძეძუსავით გამოშვრილი კოტა, რომელსაც ჩანგალი იქვს. ჩანგალზე წამობამენ ხოლმე დასაგრესი საბლის ან თოკის წვერებს და ჩარხს ატრიალებენ. ჩარხი თითოეულ ძეძუს (სულ ოთხი-ხუთი ძეძუა) ცალ-ცალკე ატრიალებს და წვერებს ცალ-ცალკე გრებს, რომ ერთმანეთში არ აირიოს.

ჩარხის წისქვილი წისქვილის გარეთ დადგმულია ვეება ჩარხი—ბორბალი. ღართი წამოყვანილი წყალი ჩარხის გობებში ჩადის, ამძიმებს და ჩარხი მოძრაობაში მოჰყავს, რომელიც გადამცემების საშუალებით ამოძრავებს წისქვილის ქვას. ჩარხის წისქვილი უფრო სწრაფად ტრიალებს და მტკსაც ფეჭავს, ვიდრე კოდის წისქვილი (ნ.).

ჩასაკეთებელი აგ. კვ. 46 სამორე (ნ.).

ჩასპანდი ჩასხმული, კარგი აგებულების ადამიანი (ნ. კყ.; შდრ. გრიშ.).

ჩატეხილი ქული მალალი, თავჩაკეცილი ტყავის ქული (ნ. ჩუბ.).

ჩატეხილსახურავიანი სახლი ოთხ კედელსა და საჩხხე (ნ.) ცალ-ცალკე სიბრტყით დახურული სახლი. საქარე

აყვანილია შებლის კედელებზე თანასწორ-ფერდიანად, ასე რომ სახურავი სათავიდან ჩამოსული წინა და უკანა კედლებზე ეშვება საქარეების მიხედვით თანასწორფერდიანად; წინა მხარეს საჩხისთვის ჩატყდება კედლიდან და ახალ სიბრტყეს ქმნის (შდრ. თანასწორგვერდიანი სახურავი).

ჩატიტვა ნ. ტიტვა (ნ. კირ.). •

ჩატულარტვა ცომის ჩაწევა თორნეში: მიკრული პური რომ არ გაჩერდება თორნეში და ვარდნას დაიწყებს.

ჩაუტევარი კაცი ძალიან ფიცხი კაცი, რომ არავის არაფერს მოუთმენს, არაფერს აპატიებს.

ჩაუხა კოკლი. ერთი პატარა ლექსია, რომელსაც ბავშვები კოკლი კაცის დანახვაზე იტყვიან ხოლმე მის გასაგონად:

- კოკლი. კოკლი, ჩაუხა, ჩემი ცხვარი რა უყავ?
- ერთი მგელმა შამიკამა, ერთი ბატონ დაუკალ.

ასე დასცინიან ბავშვები კოკლს (შდრ. კირ. ჩახუნა).

ჩაფარიში ლურჯი აბრეშუმის ზონარი, ჩობახე მოსავლები შიგნიდან ნაკერებზე (ნ. ჩუბ., გრიშ.).

ჩაფარცხვა გაკ. მიჩქმაღვა, საქმის მიფუჩჩებდა; დაკარგვა, ამაოდ ჩაგლა. „ჩაკციმკვლელი იყო და ჩაფარცხე იმი საქმე, მითომდა არაფერიო“; „წავიდა, ჩაფარცხა ჩემი ასი თუმანი“ (ნ. ჩუბ.).

ჩაფი 1. ღვინის ზომის ერთეულია: შინაური წყვით ჩადის რვა ხელადა, ანუ 18 ლიტრი, დუქნური—ცხრა ხელადა, ანუ იგივე 18 ლიტრი. ახალი დუქნური წესით უკვე რვა დუქნურ ხელადას ანგარიშობენ, ე. ი. 16 ლიტრს (ნ. მაყ.; შდრ. საბა, ჩუბ., ულ., დაწვროლებით ჯავახ. საფ.-სახ. 85—86); **2.** ღვინის კურკელია თიხისა,

ცალყურა, შიმაღლო, მუტლიანი, მუტელს ქვემოთ კოკისანიარია, ოღონდ ძირი ოღნავ განიერი აქვს, რომ ასეთი დიდი კუჩქელი ხანდახან ფეხზედაც დაიდგას, ჩვეულებრივ მიყულებულია; დაბალი და განიერი ყელი აქვს, პირი კიდევ უფრო განიერი და გადაშლილი; პატარა ტუჩი აქვს, რომ ღვინო კარგად გადაიღვადმოიღონ, არ დაიღვაროს ჩამოსხმის დროს. ათ ხელადამდე ჩადის.

ჩაფლა ყალბი ოქრომკედლის იარაღია: ქვაზე საჯდომის (ნ.) საკეთებელი.

ჩაფრობა გაკ. რაყა ყაჩაღობა (ნ.; შდრ. ჩუბ. ჩაფარი).

ჩაფურა კანაპატი პატარა ჩაფი. ღვინის კურკელია თიხისა, ცალყურა, პირგანიერი და დაბალყელიანი, ჩადის 4—8 ხელადა (შდრ. ბერ., წერ. ჩაფულა).

ჩაფუფქვა მდუღრის მიცემა ჯავრის, ბუმბულისა და მისთანათა გასაყრვეინებლად (ნ. ფუფქვა).

ჩაქაფული გაკ. დაბალი ტანის აღმინი. „ჩვენებიანთ ჩაქაფული ბიკი“.

ჩაქაფული ბოზაში ქაფმოუხდელი ბოზაში (შდრ. მოქაფული ბოზაში).

ჩაქი ქიმი. ჩიხისა და ახალუხის უკანა კალთების გადანაკერებში, წელთან, გამოყვანილი ქიმი, ცოტათი მალა რომ არის ამოწული (ნ. საბა, ჩუბ., ბარნი, გრიშ.; შდრ. ულ. ჩაქურა).

ჩაღი ნათელი, სინათლიანი. „ჩაღი ოთახია“.

ჩაღრობი, ჩაღრობა ჩაკვლა, ჩაძალღება; ჩაკვდომა. „მაგითანა ძალღი შიმშილით უნდა ჩაღრო“ (შდრ. დაღრობა, მიღრობა; ნ. ჩუბ.).

ჩაყაყვა ბლომად მიცემა ფულისა, გადაცემა. „ხო ჩაყაყვე ფულები, რალა გინდა?“

ჩაყურუტება ჩაძველება, ჩალობა თივისა და მისთ. აქედან: ჩაყურუტებულ ი. „სუ ჩაყურუტებულ იყო თივა, იმაჲ საქონელი როგო აქამდა“.

ჩაშლა ნ. ქსლის ჩაშლა.

ჩაჩანგვლა კარის ჩაქეტვა ჩანგლით (ნ.).

ჩაჩუტკნული „ორმო“, სიცილის დროს რომ ლოყაზე დაჩანდებო ხოლმე აღდამიანს.

ჩაჩვა გაჭიმვა, ფეხების გაბოტვა; აკატ. ყოყლოჩინობა, ამპარტავენობა. „რაჲ ი ჩაჩხები, ძმობილო?“ (შდრ. საბა, ჩუბ.).

ჩაჩხიალა ნ. ჩაჩხიალა.

ჩაცემა ჩავარდნა. „გადახტა და შუა წყალში ჩეცა“ (შდრ. ჩუბ.).

ჩაცუცება 1. ჩაჯდობა ძალღივით (ნ. ჯანაშვი. ჩაცუნცება); 2. წიხლის ჩარტყმა მჯდომარე აღამიანისათვის.

ჩაცხობა ჩაცემა, ჩარტყმა. „ამან მე თაფში ძალიან ჩამცხო“ (შდრ. ჩუბ. ჩაცხება).

ჩაწკამება „აჲჲ“, „აჲ ჩაწკამება (ნ.). „რა ერთი კუქნა ჩააწკამა“.

ჩახანი კურკულის გატეხის ხმა. „კოკამ ჩახანი გაადინა“.

ჩახორხილი სახლი მრგვალი ხეებით ნაგები სახლი, ჯარგვალი.

ჩახრიალა, ჩაჩხრიალა პატარა ჩანჩქერი.

ჩახსაკრავი, წვირსაკრავი წვივსაკრავი, წვივზე პაიკის შემოსაკრავი აბრეშუმის ზონარი, კრელია და ზოგჯერ ზედ ლექსია ამოქსოვილი: „ჩახსაკრავი ვარ ნაქსოვი ტანად მზის, პირად აღვისა...“, ან „ტანად აღვა, პირად მზე ვარ, მისართმევი ვარ ლომისა“, ან „მუსლს ვესურვი...“ და სხვ. ქსოვდნენ პატარძლები მახლებსა, მა-

მამთილებისა და სხვა ახლობლებისათვის (ნ. კირ.).

ჩახსაკრავის კრელი ჩახსაკრავზე გ. მოყვანილი კრელი: ვიწროდ მიხვეულ-მოხვეული მცენარე.

ჩაჩინცვა, ჯინცვა ბევრის ჩაყრა ერთად; მაგ., კერძის ჯამში ბევრი პურის ჩაყრა (ერთგვარი სიხარბის მჩენებელია) (ნ. კყ.).

ჩაჯოჯობილი ცოტაოდენ წვეწმში, ხახვსა და ერობში მოხარშული ქათამი ან სხვა ფრინველი. ახლა პამიდორსაც უშვებენ (შდრ. ჩუბ. ჩახოხობილი ორაგული).

ჩაჯურება (ხორბლისა, თივისა და სხვ.) მომიკლს ან მოთიბულს რომ ტენი, სისეულ შეჭყება და შემდეგ გახურდება და გაფუჭდება. აქედან: ჩაკურებული (ნ. ჩუბ. ჩახურება, მაყ. ჩახურება).

ჩეკვა, გაჩეკვა, დაჩეკვა, სარის ჩეკვა სარისა, კიგოსა და მისთანათა წვერის წათლა. საჩეკად. უმთავრესად წალდსა ხმარობენ, რადგან გრძელი პირი აქვს, მრგვალი ტარი უგია და მსუბუქია. ჩეკის დროს მჩეკი მიწაზე ხის ფეხებგაწვდილი, კუნძი ფეხებშუა აქვს, მარცხენა ხელში სარი უჭირავს, ხოლო მარჯვენაში—წალდი და სქელი მხრიდან კუნძზე ფეხზე დაყენებულ სარს ჩეკს (შდრ. წერ. გაჩეკვა).

ჩეკი გუთნის საფხეკელი. ასტამივითაა, რკინისა, გრძელ ტარზეა დაგებული. მეგუთნეები ხმარობდნენ ხენის დროს გუთნის ფრთის საფხეკად, როცა ფრთა ტალახს იღებს (ნ. საბა ჩიკი, ჯაეახ II, 332 ჩეკა, მაყ. ჩიკი).

ჩელხი, ჯგელი ხეავის გაულეწავი თაფთავები, განიავებისას ზემოთ ვყრება. ერთი აღამიანი ცოცხით დგას, ავგის და გვერდზე აგროვებს. ანაკაზმს ბოლოს ხელახლა ლეწავენ (ნ. საბა, ჩუბ.; შდრ. კირ. ჩოლხი).

ჩელსის პური ჩელსისგან (ნ.) გა-
მონალეწი პური. ხშირად ბალახის თე-
სლი ურავნია.

ჩემობა ჩემიანები, ჩემი შინაურები.
„შენობა (ნ.) გაწყდევ, როგორც შენ
ჩემობა ამაგდელ“ (ნ. შან. კევს.).

ჩემობახ ჩემ იქ ყოფნისას. „ჩემ-
სობას არ უთქვამ ემ“ (შდრ. შენსო-
ბას: ნ. შარშ.).

ჩერქეზული ახალობი რეჩაქიანი
ახალუბრ, გრძელია.

ჩეფიჩი თიკნი შემოდგომიდან გა-
ხაფხულამდე (ნ. საბა ჩებიჩი, ჩეფი-
ჩი, ჩუბ.).

ჩეჭვა, ძაპიროზის ჩეჭვა პაპიროსის
წყვა. „ჩენი გიგლა დგა მთელი დღე
და პაპიროზსა ჩეჭვამს“.

ჩეშმა ოქრომუქ დღის საბერელის
თვალა ჰაერის გამოსასულელად.

ჩეჩქო: ფული ჩეჩქივით აყ-
რია ფული ბლომად აქვს (ნ. ბერ.;
შდრ. საბა ჩეჩქვა, კირ.).

ჩეხვა საკურკლე თიხის კრა (შდრ.
ჩუბ. ჩესა).

ჩენებთაანი ჩენი განაყოფები. ცმა-
თაშვილები, ბიძაშვილები (ნ. ჩუბ.
ჩენიანნი).

ჩიბუხი 1. ახლუტი (ნ.), პერანგის
გვერდებზე ჩასაყენებელი ნაქერი სიგა-
ნისა და ირიბობის მისაცემად. არის
ჩიბუხი შაყყეებული და ჩი-
ბუხი წელგადაბმული (ნ. 1
ხიტაკი; შდრ. ჩუბ., წერ. ჩიბუხე-
ბი); 2. ტყავის კალთა.

ჩივინა საქარგავი იარაღი. „ჩივინ-
ა ჩამიგდო“, ყაჩაყ. მოსვენება არ
მომცა (შდრ. ჩინგური; შდრ. ჩუბ.,
გრ. ჩივინი).

ჩიგლამა მოსათელი ნაბადი. „ჩიგ-
ლამასავით ჩიგდო და ერთი თუ
ორი გაუარა და გამოუარა, აცემა“ (ნ.
შან. რეცენზია).

ჩიკანი სადურგლო იარაღია: ხის
ნაჭრელს სახეების შიგნით რომ ამონა-

თალი დარჩება, იმის დასაწერტავი
ერთა ლახათი მსცეს.

ჩილაფლაფი ნ. შილაფლაფი (ნ. ჩუბ.
ჩილაფი).

ჩილიკა სათამაშო ჯოხია, ცერის
სისქე, 0.7-ოდე მეტრის სიგრძისა. ეს
საცემი ჯოხია. მეორე ჯოხი სიგრძით
ერთი მეტრადელია, თავბოლო ჩთლი-
ლი აქვს, რომ მიწაზე დაეღებულს ჯო-
ხი რომ დაჰკრან, მაღლა შეტეს (ნ.
ჩუბ. ჩილიკა, ჩილიკა-ჯოხი).

ჩილიკაობა ჩილიკით თამაშობა. იწ-
ყება შემდეგნაირად: გრძელი ჯოხით
მოკლე ჯოხს ჰაერში, მიწაზე დაუშვე-
ბლივ, კეპნიან (ნ.). ვინც ყველაზე მეტს
კეპნის, ის იწყებს თამაშს. წყვილ-წყვი-
ლად თამაშობენ. ბინა აქვთ დანიწრუ-
ლი: ქვა ძვეს. აქედან ერთი მოთამაშე
ჩილიკას გაჰკრავს ჯოხით, მეორე წინ
უდგას განსაზღვრულ მანძილზე (5—10
ნაბიჯზე, შეთანხმებაზე დამოკიდებუ-
ლი) და ცდილობს გამოკრული ჩილიკა
დაიჭიროს. თუ მიწაზე დაუშვებლივ
დაიჭირა, მაშინ გამკვრელი წაგებულია
და იცვლებიან; თუ ვერ დაიჭირა, აი-
ლებს და ესერის ბინაზე. თუ ბინაზე
შეაგდო ისე, რომ ერთი ჩილიკისოდენა
მანძილი არ დარჩა, წაგებულია და იცვ-
ლებიან; თუ შორს წავიდა. მაშინ გამკ-
ვრელი ჩილიკას დაჰკრავს და შეაბტუნებს
პატარა ჯოხს, შემეტარს შემოჰკრავს
გრძელ ჩილიკას და ცდილობს რაც შეი-
ძლება შორს გაისროლოს. სამჯერ გაი-
მეორებს; შემდეგ ზომავს მანძილს იმდენ
ჩილიკით და, რამდენიც გამოვა, იმდენ
ქულას მიითვლის. ასე აგრძელებს თა-
მაშს, სანამ დათქმულ ქულათა რიცხვს
(ას ერთია მიღებული) არ მიაღწევს.
რომ შეითავებს, შემდეგ მოშგები წამ-
გებს შეაჯდება და ერთი ჩილიკის გაკ-
რავე გააჰკენებს. ერთი ხელი თამაში
კარგმა მოთამაშე შეიძლება ისე და-
ასრულოს, რომ მოწინააღმდეგეს არც

კი მისცეს შესაძლებლობა ჩილიკოს გაკრისა (ნ. ჩუბ., კირ. ჩილიკაჯოხობა, ნაკალ მთიულეთი, 126).

ჩინგური: ჩინგური ჩამიგდო არ მოძეშა. არ მომასვენა. სანამ თავისი არ გაიტანა (შდრ. ჩიგინა ჩამიგდო: ნ. ჩიკინა).

ჩინჩაოტი: „ჩვენი ბეროკაცი ძალიან ჩინჩაოტი“ — სხვადასხვა სახელისნა საქმეს აკეთებს (შდრ. შარშ. ჩინჩაოტი).

ჩინჩაპეტი ნ. ჩინჩაპეტი.

1. **ჩინჩხარი** ხმელი ფიჩხის შტოები. „გადი, ბიჭო, და ჩინჩხვარი მოკრიფე, ცეცხლი შავანთოთ“ (შდრ. ჩუბ., ვაჟა III).

2. **ჩინჩხარი**, კ. ჩინჩხვრები კუნთი. „გუშინ ძალზე გავტკედი და ჩინჩხვრები მტკევა“.

ჩინჩხალი, **ჩინჩხალი** ჩუჩხური, ცეცხლის გამოსადვიებლად მუგუზულების შენძორევა ან საჩხრეკით ჩხრევა. „ბიჭო, რაჲ უჩინჩხილებ მა ცეცხლ“.

ჩიპიტაური, **ჟიპიტაური**, **კიპიტაური**. **კეპაპურტა** წყალწყალა ღვინო.

ჩირიანა 1. კიისაგან გულგამოკმული კაჯარი, მსუბუქია; 2. მეტსახელია მსუბუქი ქვევის კაცისა.

ჩიტები (მსლლლ შკ.) „გაკვ, რაც მახალაკი (ნ.; ნ. წერ.).“

ჩიტავშლა (*Cotoneaster pyracantha*, *кнзшлшшшк*) ხეა, კუნწლივით წვნიკი წითელი ნაყოფი ასხია (ნ. საბა, ერისთ. ჩიტის-ვაშლა, ჩუბ. ჩიტ-ვაშლა, მაყ. ჩიტავაშლა).

ჩიტინი ხე კრელის სახელია: ამოქარგულია ხე, რომლის ტოტებზე ჩიტები სხედან.

ჩითივალა ჩიტისთვალა, ვახის ჯიშია, შავი, მრგვალმარცვალა, შუათანა მტევანი იცის, ჯიშიც შუათანაა (ნ. ერისთ. ჩიტის-თვალა, ჩუბ. ჩიტისთვალა, ჯაყა ხ. II, 402, 485 და სხვ.; შდრ. მაყ. ჩიტისთვალა).

ჩიტირყია არადარბაისელი ადამიანი.

ჩიტის უქმე ბელურას რომ მოსაგალი არ გაეფუქებინა, ხაფხულში ერთ დღეს უქმ აძღნენ. ამ დღეს არაგინ-მუშაობდ არც მამაკაცი და არც დედაცატი. ქალები ფაფას გააკეთებდნენ ხოლმე, ფიტურებზე დადებდნენ და გარკეთიანადგამდნენ, ვითომც ჩიტები ამას უქმარენ და მოსაგალს ალარ წაახდენენო (შდრ. ჩიტოფაფაობა).

ჩითიფაფაობა ყველიერში იცოდნენ. ფაფას გააკეთებდნენ და ჩიტებს გაუდგამდნენ გარეთ: აპას შეკამებს და ყინას ალარ წაახდენენო (შდრ. ჩიტის უქმე; ნ. კირ.; შდრ. მაკალ. მთიულეთი, 133 ჩიტოფაფაობა).

ჩიქორთული არასწორი ქართული, ცუდი, დამაინჯებელი ღაროფლი (ნ. ბერ. ჩიქორთული, ჟღ.).

ჩინჩაპეტი, **ჩინჩაპეტი** ხარახის იარალია: ახალშეკერილი წულის გადასარუნებელი ჯოხი (ნ. ბერ. სინჩაპეტი, ჩინჩაპეტი).

ჩინია ხორცი ბევშვის ენახე (ნ. ჩუბ., ცაგ.).

ჩინჩალი ცხვრის სატყევიარია. წინა მხარში (ნ.) გაფუქებულ ბალახს რომ ცხვარი მოსძოვს, ავად ხდება, ფარალათდება და იხოცება. ხალხში წამალი არ იცან.

ჩინჩინა მეტსახელია მამაკაცისა (შდრ. ჟღ.).

ჩიხი კიტის (ნ.) დასახვევი, მაკოში დებული ძაფის დასახვევი. როცა ძაფს ჯარატარზე (ნ.) ახვევენ, რომ ადვილად წაადრონ და თან არც აიროს კიტი, წინდაწინ ჯარატარზე ჩიხს შემოაცვავენ ხოლმე, მერმე ადვილად წასძვრება ძაფი.

ჩინბრთმა დედლის (ქათმის) ან ბატკნის წვენი ხახვით, ფქვილით, ძმრით, კვერცხითა და ჭინძით შეხაზებული (ნ. ჩუბ.).

ჩიხლა ბავშვის საალერსო სახელია.

ჩიხბა ჩიხტი. ქალის თავსაბურავის ნაწილი, სალტესავით. ჯერ ამას იდგა-
ჟენ თავზე, შემდეგ ლჩაქს იხურავენ (ნ. ბერ.).

1. ჩლა კინჭი, ჩვარი (ნ. საბა, ნუბ.).

2. ჩლა დგომი (ნ. ჩუბ.).

ჩლაფი ნ. შილაფლაფი (ნ. ჩუბ.,
ჯანაშვილ., ჩილაფი).

ჩლაჩუნა თითლე (ნ.), ჩანჩურა
(ქერ. ბერ. ჩლაჩი, ჩლაჩუა).

ჩოგანი 1. კანი (ნ.), კანაობის დროს
საბმარო ჯიბში, 1.5 მეტრამდე სიგრძისა
იქნება, თავი ბლაგვ კუთხედ აქვს
წიწრილი, ერთ ციდამდეა. თამა-
შის დროს მუშტისოდენა კოჭურს სცე-
პენ და ფრეკებიან (ნ. საბა, ჩუბ.,
საბათ.; შდრ. ქუ. ელ.); 2. მენახშირის
იარაღია: ხის თონი ქუტიდან ნახში-
რის გამოსახვეტად.

ჩოკინა მუჭურეტი, ჩოჩორი (ნ. კირ.,
შდრ. ქუ. ჩოკი).

ჩოლახბალია (კომპოსიციკა: ჩოლახ
+ ბალია) კოკლი (ნ. ბალია, 1 ჩოლახი).

1. ჩოლახი კოკლი (ნ. ბერ. ჩოლო-
ხი, ჩარუხა).

2. ჩოლახი აკაკი, აკაკი სახორხი (ნ.).
ჩოლფოთი მოშვებული, დუნე (ნ.
საბა ჩოლფოტი. ჩუბ., კირ.).

ჩონჩა ჩამჩა; აკაკი, უწვრთნელი ქა-
ლი, თუახმი რიგიანი მიდგომ-მოდგო-
მა რომ არ იცის, ადამიანთა მოპყრო-
ბაში ზრდილობა, თავახიანობა და მო-
სიყვარულე გული რომ არ ექნება,
ბრაცივი.

ჩოთრს წიგლა ეტყვიან ადამიანს,
ფერო კი ბავშვს; როცა არ ესაამოყენე-
ბათ ვინმე და ის კი ხმას ამოიღებს
(შდრ. ჩორუცა!).

ჩორკნა უხვირო თლა. „ნუ აჩორ-
კნი მა სვეტი!“ (ნ. გაჩორკნა; ნ. ჩუბ.,
ჯანაშვილ., ჩორკ, ვაჟა [1]).

ჩორხო 1. უბერე (ნ.), კვადრატო;

2. დიამეტრი. „ნუ ჩორსოდ შეიდი
მტყვეული იყო“ — დიამეტრი შეიდი
მტყვეული ჰქონდა (ნ. ჩუბ.).

ჩორუცა წიგლა ეტყვიან ხოლმე
ადამიანს, როცა არ გაიგონებს (შდრ.
ჩოთრ! ნ. კირ., ცაგ. ჩორუცა).

ჩორჩალი ნ. ჩრჩხალი.

ჩოფი დაბეგვლი თრინლის უფოთ-
ლო ტოტები.

ჩოფური ნაყვავილარი. უსწორმას-
წორო ზედაპირი რომ ექნება საგანს
ან პირნაყვავილარი ადამიანი რომ იქ-
ნება, იმაზე იტყვიან (ნ. ქუ., კირ. ჩო-
ფურა).

ჩოქიქალაი კუტიკალია, დიღია,
დიდზე სტის.

ჩოქურთმა ჩოქი ხელისა და
ჩოქურთმა (ნ. ჩუბ.).

ჩოყლაყი 1. აკაკი, აკაკი (ნ.);
2. უნუ და ახმახ აკებულების კაცის
მეტსახელია.

ჩოჩლე უმარიფათო. უფხო ადა-
მიანი.

ჩოხი პურეული გრძელი. გასლურ-
ტული (ნ.) თავთავი და მარცვლი აქვს,
ფიანია. ყანაში ურეკია, აცლიან მარ-
ველის დროს (შდრ. მ. ა. გ.).

ჩოვის გული ჩოვის გულსპიროს
ნაწილია: მკერდის ადგილი.

ჩოჩხალი. ჩორჩალი, ჩოჩოლი დაგ-
რებილი წნელის პატარა რგოლი, რო-
მელიც ლერძის თავზეა შემომგველი
მოზგვა და კინჯილაქს შუა, რომ კინ-
ჯულაქი არ ვაძვდვს (ნ. ბერ. ჩოჩო-
ლი).

ჩოჩილი ჩაჩილი (ნ. საბა, ჩუბ.
ჩრჩილი).

ჩოხვი რამდენიმე ცვის წიწილა-
ბუმბულის გამოცვლის შემდეგ. ბუმბუ-
ლი რომ დაუსწორდება და დედალი
რომ პეკვლას დაიწყებს, ვარი აწვოდ-
ბა, ხოლო მამალს — მამალაყიწა
(შდრ. საბა ჩოხვ: დაჩოხვა, დაჩო-
ბული, დაჩოხული, კირ. კოხვი).

ჩუა ცხენი. ანკისა: «თათარი სხვი-სა ჩუაჲ თავი ჩუაჲ ეახოდაო».

ჩუგრი, ჩუგრია ძალის დაძახება მოალერსებით.

ჩუკჩუკი, ჩუქჩუკი ნ. ლუკლუკი. ანკისა: «ჩუკჩუკმა ქვეყანა ამაგ-დოო» (შდრ. შარშ. ჩუქჩუკი).

ჩუღი ცხენის სახურავი. უნაგირის ნოხდის შემდეგ დალილ-გაოფლიანებულ ცხენს გადააფარებენ, რომ არ გაცივდეს, ხალიჩასავითაა, ცხენის ზურგს წოლად ფარავს და მკვრდზედაც ეხვევა. ზოგი ყაჯრის (ნ.) მაგიერ საკახმის ჭვეშ ამს ხმარობს (ნ. საბა, ჩუბ., შაჰს. I: შდრ. ვეჟა III, ალავ.).

ჩულუხი დურგლის იარაღია: დიდი სატეხი. უფრო ხურო ხმარობს მორგვის გასახვრტად (ნ. საბა, ჩუბ.).

1. ჩუმა მუდამ ჩუმი, წყნარი კვივის ადამიანი.

2. ჩუმა აუღუღებლივ (რძის) ჩადე-დებული მაწონი (შდრ. საბა, ჩუბ.).

ჩუმი ბოლი ნ. ბოლი.

ჩუნდური მუჯღღუნის კვრა; ანკისა: ჩუნხური; ჩაციება, არმოშება. «დგა და უჩუნდურებს, წადი, ეგრო უთხარო».

ჩუმატი ნ. ჩესტი.

ჩურგენაობა კოჭობა. ორი მოთამაშე თანაბარი რაოდენობის კოჭებს ჩამოვა და ჯერ-ჯერით ყრიან. თუ თოხანი დაჯდა, მეორე წყებს (ნ.) კოჭითვე, წააქცევს და ახლა თვითონ ყრის. თუ აღწუ დაჯდა: ერთი აღწუ ჩურგენია და ერთი ქულა იქნება მოგებისა, ორი აღწუ პატივია (ნ.) და ორი ქულა იქნება მოგებისა, სამი აღწუ ქიშია (ნ.) და მოგებაა, — თამაში კიშზე თავდება. შეიძლება კიში პირველსავე ყრაზე მოვიდეს (კოჭები ხომ ბევრია), ქულები გროვდება. თუ აღწუც დაჯდა და თოხანიც, რამდენიც გინდა იყოს (ან საჩურგენო იქნება.

ან საპატივო, ან საქიმო), თოხნებს მეორე წყებს კოჭითვე. თუ წააქცია, ქულა მას ჩავთვლება; თუ ვერ წააქცია, მეორე წყებს; ვინც წააქცევს, ქულა მას ეთვლება. წყების დროს თუ რომელიმე აღწუ დაჯდა, ქულას ემატება.

ჩურგენი ნ. პ. ტივი (შდრ. კირ.).

ჩურთვა გმანვა. «რასა ჯჩურთაჲ მანდ? — ქუქრუტანებ ვჩურთამ, რო სიცივე არ შამოიდენა» (ნ. დაჩურთვა; ნ. საბა, ჩუბ.).

1. ჩურჩა ლობიოს ან სხვა მცენარეთა პარკი უმარკლებოდ. მარცვლის გამოცლის შემდეგ დარჩენილი პარკი. აქედან: ჩურჩვა, დაჩურჩვა (ნ.).

2. ჩურჩა ქლივრისა, შვინდისა, ბლისა... კარგად მწიფე ქლიავს, შინდს, ბლსა და მისთ. კურკას დაარიდებენ, გააპობენ, მარილს დააყრიან და მზეზე გააშრობენ. ხმარობენ მსუქანი ხორცულის (ბატის, ინდაურის, ღორის ხორცის) შესაკახმად, ხოლო ბლისას ისე კამენ (ნ. საბა, ჩუბ., მაყ, შან. რეცენხია).

ჩურჩვა, დაჩურჩვა კურკიანი ხილის (ქლიაის, შინდის, ბლისა და მისთ.) კურკის გამორიდება, ჩრჩნა; პარკოსანი მცენარის ნაყოფის დაჩრჩვა, მარცვლების გამოლება.

ჩურჩუტი მოსულელი (ნ. კ. ხ.).

ჩურჩხლის გავლება ჩურჩხლის ამოვლება თათარაში (ფელამუში).

ჩურჩხლის დაშაქვრა: ჩურჩხლის დასაშაქრავად, გასათეთრებლად ყურძენს დაქვლენ, წვეს მთადულებენ და ორი დღის ნაშრობ ჩურჩხლას წაუხვებენ, ერთ დღე და ღამეს შეხვეული აქვთ. შემდეგ განლიან. ნზე როგორც კი დახედავს, გათეთრდება.

ჩურჩხლის ხათური, ხათური, თავდება ჩურჩხლის თავზე შემბული ორწვერა ძაფი გავლების დროს ხელის წასავლებად და ქაოზე ასცემლად და გასაქვებლად, მერმე აკრიან.

ჩურჩხლის ჩამოკრა გამამარი ჩურჩხლის ჩამოღება ჯოხებიდან (ვიგოებთან), სათაურების (ნ.) დაკრა და წენახვა.

ჩურჩხლის ძაფი ჩურჩხლის (ჩამიჩის, ნიგვზის) ასაბნევი ძაფი. ჩურჩხლისათვის საგანგებოდ დამზადებული ბამბის ნართია, ორწვერი, მომსხო.

ჩურჩხლის ხევი ეხლში ჩაყრილი კაპებიანი ბოძები ჩურჩხლის ჯოხების გასადებად.

ჩუსტი, ჩუჯი ჩეჭა (ნ. დაკვილი; შდრ. საბა, ჩუბ., ჯავახ. I, 200).

ჩუბი გაბერილს რომ დააცარიელებ და დაიფუშება. აქედან: დაჩუტიება, დაჩუტვა. დაჩუტებუდი (ნ. ბყ.).

ჩუტრუკი მუტრუკი, ჩოჩორი, ვიჩის შვილი.

ჩუქში თოქში, ვირის გასაჩერებელი შედახილი (ნ. კირ. ჩოქშ).

ჩუქჩუკი - აკაკი, რაც ჩუქჩუკი (შდრ. შარმ. ჩუქჩუკი).

ჩულუნია ქვექვეშა ადამიანი (შდრ. ჯანაშვილი ჩულურ).

ჩუჩა მამაკაცის სასქესო ორგანოზე გადაფარებული ტუავი, წინდასაცემი (ნ. საბა, ჩუბ.).

1. ჩუჩუკი - აკაკი, რაც ყუყულუკი (ნ.).

ჩუჩუნა განძრევა, საძრაობა; მოძრაობა. „რაცულ დაგიშარტამ ყმაწვილი, ერთი ბეწო ჩუჩუნა არა აქვ“; „გალმა მკარში ლევი ჯარი ჩუჩუნა არალი“ (ნ. საბა, ჩუბ., შან. კეეს. ჩუჩ: გაჩუჩეა).

ჩუჩრისი, ჩუჩრისი! ხარებისა და ცხენების მოალერსებით დაძახება დასაქვრად.

ჩუჩუა ბლაგვი, არამკრული. „ჩქილა დანა“ (შდრ. ბყ. ჩუჩუგი); აკაკი. ჩანჩუა კაცის მტკსახელია.

ჩუქერთვა გლეჯა, ფლეთა. „ჩვენ

ბიჭ ცხენი შადგა ი ვერანა და სუ დაჩქლირთა“ (ნ. საბა, ჩუბ. ჩულუნა).

ჩქლორვა გულისა გულის ჩქოლორვა. „გული უჩქლორამს“; „საწყალ ბაღლ შიშისაგან გული აუჩქლორდა“ (ნ. ვეა IV ჩქოლოვა).

ჩქუთი, ჩუთი ხის კურკლის გულის განაალები იარალია, მოხრილიპირიჭი (შდრ. ხოწი; ნ. საბა, ჩუბ.; შდრ. ჯანაშვილი, ჩუბ., შან. კეეს.).

1. ჩა ვახის ძალიან მსხმოიარე ტოტი, მოკრილი მტყუნებიაჩქებიადა, ტოვებენ მხოლოდ სამამულს (ნ.; ნ. ჯავახ. II, 300, 477, კირ., შაყ.).

2. ჩა კაჩო (ნ.), კაპებიანი ტოტი კედელზე ან ბოძზე მიკვდილი რისამე დასაკიდებლად (ნ. საბა, ჩუბ. კრჩა, კირ., ჯანაშვილი).

ჩახავა, გაჩახავა ცუდად წერა, ჯღაბნა. „რასა აჩახავამ ემნდ, ვისა აწერამ წერილ?“ (ნ. საბა, ჩუბ., შარმ. ჩხიბეა).

ჩაჩოთი (Turdus viscivorus viscivorus L., аrhoд аерhна) ჩიჩინაკი, გარეული ფრინველია, მიწისფერი, იკმება (ნ. საბა, ვრისთ., ჩუბ., ჩხ, ბესიკი, ელ.).

ჩხეტი ჰეგეტი (?), რამე მოსაწონს რომ დაინახავს, მაგრამ ვერ მიიღებს.

ჩხვრვა, ჩხორვა უხეიროდ ქსოვა. „წინდი ჩხვერვა“.

ჩხინკი 1. ჩხიკი (ნ. ჯანაშვილი. ჩხუნკი); 2. გრძელ ცხვირიანი ადამიანი.

ჩხიბვა ერთმანეთში გაცმა, გახლართვა (ნ. გაჩხიბეა; შდრ. საბა, ჩუბ., შარმ.).

ჩხინჩხილი ნ. ჩინჩხილი.

ჩხირი ჩირის ასახმელი კაპებიანი ჩხირი. ტოტს (ჯიშს არ არჩევენ, კარგი კაპები კი ჰქონდეს) მოკრიან თავის შტოებიანად, გაასუფთაებენ და მის კაპებზე ლეღვს. ატამს აასამენ გასა-

ხმოზად (შდრ. საბა, ჩუბ.; შდრ. ჯავახ. II, 316, 318 და სხვ.).

ჩხორი კედელს იშვიათად მომხველი სტუმარი რომ მოვა სოლმე, იმაზე იტყვიან: როგორ მოხდა, რამ გაცდინა, რომ მოხვედიო, თან ხოგჯერ მართლაც ჩხორს აიღებენ და კედელში შეუღოვობენ სოლმე.

ჩხორის სათაური. სათაური ლეღვი-ქა, ატმისა და მისთ. დასაჩიროვად ასა-ბნევი ჩხორის (ნ.) წვევოში ორწვრივ შემბჰული კანაფი, რომლითაც ჩიორის ჩამოკადება შეიძლება კარხე ან სარხე, რომ ლეღვი გაჰკიდონ და გააშრონ.

ჩიიტ. ბრიც ადამიანს, უფრო კი ბევრს, რასმე რომ დაანახებენ, არ მის-ტყენ და გამოაჯავრებენ: აი, ესა მაქვს და არ გაძლევო. შეიძლება თითებიც მიიღონ ძვლებზე და დაღუბტონ (შდრ. ჩხეტა).

ჩხლართვა უხვიროდ დაწვანა. ზაგ., კალათისა, გოდრისა და მისთ. (შდრ. მონხლართული წნური; შდრ. ჩუბ.).

ჩხნაკი 1. ენაწარე, გესლიანი სიტყვის პატრონი; 2. ცხარე ღვინოზედაე იტყვიან (შდრ. საბა, ჩუბ. ჩხნატი).

ჩხნდო ჯაგანივით, კონასავით ვართად შეკრული რაშე. „ერთი ჩხნდო აკილოები მაიტანა“, „ერთი ჩხნდო ფეცამოსი მაიტანა, რომ არა მესვენოდეა, ათი წყვილი იქნებოდა“ (შდო. საბა, ჩუბ. ჩხნდე).

ჩხორვა ნ. ჩხვერვა (შდრ. საბა, ჩუბ.).

ჩხრიშალი ფიჩხის წვრილი ნამჭკრევი. „გაიქე, კუქი, პატა ჩხრიშალი მოკრიფე, ცეცხლი ავანთოთ“. აქედან: ჩხრიშალ ჩხრუშალი ი. „შამაგ, პატა ჩხრიშალ ჩხრუშალი მოკრიფე“.

ჩხრიშლების კრეფა გაკრ. მიზეზ-მიზეზობა, მიზეზის ძებნა შარის მოსადებად ან უარის სათქმელად. „შენ ბევრ ჩხრიშლებს ნუ აკრეფავ, ადე, წამოდი!“

ჩხუტი ნ. ჩქუთი.

3

ცა ნაბდის ქუდის მადლითა ნაწილი, ქუდის გული, კინკრიხის რომ იდება (შდრ. წერ. ცა 3).

ცალგულბარანინანი მარწუხი მკალა-ეების მარწუხია, ცალი პირი ნახევარწრედ აქვს მოხრილი, მეორე კი სწორე. ხმარობენ, მოკალის დროს ქვაბის წასაულებად (შდრ. გულბარანი).

ცალვა გადაწონა, ჩძივე ცალის (ნ.) მიეო მეორე—მსუბუქი ცალის გადაწონა, როცა ორივე ცალი საკიდარს ჰკიდია აქეთ-იქიდან (ნ. გადაცალვა. დაცალვა).

1. ცალი შეკრული საქონელი, ტუჩ (ნ. ჩუბ.).

2. ცალი ღვინის საწყაოა. ზოგი 20 ჩაფს ანგარიშობს, ზოგიც—16 ჩაფს, ნამდილად 16 ჩაფი უნდა იყოს, რადგანაც საპალნის (32 ჩაფის) ნახევარია (რაც შეეხება 20 ჩაფს. ეს ახალი საწყ-

ყო ერთეული უნდა იყოს, 10 ჩაფიანი, ანუ 60 ვედროიანი კასრის ცვალბაზე აღებელი) (ნ. მაჟ.; შდრ. ჩუბ., ჯავახ. საფ.-სახ. 76).

3. ცალი დღე-ღამის ნახევარი, 12 საათი. მიღებულთა რწყვასს დროესათველავ ერთეულად. იტყვიან: ორა ცალი შერგება წყალი, ხუთი ცალი და ა. შ.

ცალკე გახვლა ძმის გამყოფა თჯახისაგან და ცალკე დასახლება ცალწვილით, ან გაჩრისას მშობლების სულ ცალკე დასახლება (შდრ. ერთად გასვლა—დამატებანი).

ცალმაგი წინდა ცალპირი, ერთი ბაწრით ნაქსოვი წინდა.

ცალპირი კედელი სიგანეზე ერთი წყება აგურით ან ერთი წყება კვით ნაგები კედელი (შდრ. ჩუბ.).

ცალური ბოგორი ერთი ხე ზიდად გადებული წყალზე.

ცალუბიე თქმა უგულოდ თქმა, სხვათა შორის თქმა; უგულოდ მოპატივება (შდრ. ბარნ. ცალუბიე თსუთა).

ცალუვერა კენტად დარსენილი, თამაშობაში ბავშვების ორ ჯგუფად გაყოფიან; დროს კენტად რომ ვინმე დარჩება. თამაშობის გარეშე რომ აო დარჩეს (ყოფდა), იმასაც ირევენ თამაშობაში. ოღონდ ყოველთვის შემტევე ჯგუფშია.

ცალუფრა კაცლის უწროსაგან (ნ.), ლენის ნაბევისაგან ასმული ჩურჩხელა.

ცამოწმენდილზე ა.ა.ა. უჩიხუოდ. რა იყო. ამ ცამოწმენდილზე რა დეგემართა. რა ცაფსა ზურა?"

ცანკველა ნ. სულის ცანკველა, არა რყო, რა სული გეცანკველება, მიიკადე. შენც მაგხედება".

ცა ჩამობერება დიდხანს ცოცხლობა. არა ცაე ჩამაბერდა მიმინო ცოლი იამზე, არა კვდება ოჯაქური ბებერი!"

ცარიელ გულაში მათუაქუნებელი ამპარტაენი ღარიბი.

ცარიელი მამული უვენასო, უხეხილო მამული ვენახის ახლოს; სათიბი, საჯრამე ადგილი შუა ვენახში შესასვლელად (შდრ. საესე მამული).

ცარცახუბა მოსულელთსავით მამაგა ჩვილებთან ცარცახუბა იამზე იამადა".

ცაცია მემარცხენე, მარცხენა ხელით რომ ემარჯვება მუშობა. асааа (ნ. ჩუბ.).

ცახხ ბალახი ცახისთვის გამოსადეგი ბალახი; სატა(ჭრი) (დაბერებულნი). სხვადასხვა წვრილსტოებიანი კაპაქა ბალახები.

ცელის სარჩიელი ცელის ტარზე შემოქმული რკინის რგოლი (ნ. სარჩიელი).

ცური ა.ა.ა. წნელის მონაქერი მხარე, სქელი მხარე; მთის ცური მთის ნაპირი (შდრ. ბუქურ.).

ცურღელალა. ცურღელელა მოღრეცილი ადამიანი, გვერდ-გვერდ რომ დადის.

ცაუხლის და(ჩ)ჩაბა ბუხარბი ან ლეშელში ბეერი შემის შეყრის განი. ცეცხლს ქაერი რომ ვერ შეუვა და ბოლი ვერსაით წავა.

ცვივანი ვახის ჯიშია, წითელი რქა აქვს ოქროს ყურძენსავით (ნ.). ფოთილი მაკრატელა და ბუსუსიანია, თხელი გრძელი მტევანი იყის, მრგვალი მარცვალი, ცვილისფრად წწიფდება. დამწიფებისას მარცვალს ცვიენა ახასიათებს. ურეუნი ტებილია (ნ. ერისთ. მცვივანი, ჩ. ბ. მცვივანი, ჯაქაბ. II, 442, 443 და სხვ.; შდრ. წერ. ცვიენა).

ცია (-ცივა?) ცეხლი ბავშვის ენაზე. „ცია დაანთე, დედი, ცია, თორენ წამცივა“— დედა იტყვის ხოლმე ბავშვივით, როცა ცეცხლის დანთების დრო შოვა (ნ. კიო.).

ციბა საერთო სახელია ყველა ჯიშის ძაღლისა. ა.ა.ა. (დაცნეისი იტყვიან ადამიანზე): „ციბა გარეთ არ გავიდა, კურდღელი შინ არ შევიდაო“ (შდრ. საბა, ჩუბ.).

ციბალა უკონელი ამპარტაენი კაცის მეტსახელია (შდრ. კუ. ციბალი). ციბანი ნ. სიბანი.

ციბტო, ციპტო არამკითხე შოამზე, მეტიჩარა.

ცივად მოხარშული დედალი წყალში უბრალოდ მოხარშული დედალი (ქათამი). ამოღებენ და მარალს მოაყრიან. გააციებენ, საწებლად დანაყილ ნიორს მოუმხადებენ, რომელსაც ბლომად აქვს მარილი და ზედ მკავე ბოწეულია დაწურული. საწებელს ცალცალკე იღებენ, ხორცს აწებენ და მიირთმევენ. ძალიან მიღებულა. ამასთან ღვინოც გემრიელი ჩანს.

ცივთ თეთრი შთლად თეთრი, უნიშნით თეთრი (ნ.).

ცივათ შავი მთლად შავი, უნიწონო შავი (ნ.).

ცივეკერა 1. ნალბანდი ან საერთოდ მკედელი ცივ რკინაზე რომ ამუშავებს კვერს; აკაკ. უხეირო მკედელი; 2. მეტსახელია უხეირო მკედლისა.

ცივწყალა აღუღებულ წყალში გათქვეფილ ფეტვის ფევილს ჩაასხამენ გახურებულ კეცში, რომელსაც ძირზე ვაზის ან მუხის ხმელი ფოთოლი აქვს დაფენილი, ხევიდანაც ასეთსავე ფოთოლა დააფარებენ და ხედ კეცს დაახურავენ, გამოცხეება ძალიან კარგი მკაღი.

ციკა არადარბაისელი გოგო. ცოტა მეტრინარა გოგო.

ციკინიყურა მხალია (ნ. ერისთ. ციკინს-ყურა, ჩუბ. ციკინს ყურა).

ციკრიყელა (?). ერთ ლექსშია ნახმარი: „ციკრიყელა მთაზედა გველი აქა მკარხედა“ (შდრ. კირ. ჩიკრიყელა).

ცილაშალი ქერქ-და ცილაშემომპალი მუხის მანა. გამძლეა, ვახს უდგამენ კიგოს მაგიერ და, თუ სქელია, მანადაც იყენებენ.

ციმფია მსუნაგი (ადამიანი, ძალლი), აქა-იქ რომ დაჭრება და საკმელს ეწებს. „ციმფია ძალლო შენა!“

ციმციმ ერთბაზად, უცებ. „ციმციმ ააჭივე და წაიღე“ (შდრ. კირ. ციმციმათ. წერ. ციმციმ აღება).

ციმცვლა, ცინცვლა ართმევა, გამოტყუება (ნ. გამოცინცვლა; ნ. ჩუბ. ცინცვლა).

ცინცობილი, წინწოფელი დურგლის იარაღია: ხელის რანდა ნარიშანდის ამოსაღებად.

ციბტო ნ. ციბტო.

ცირცელი (Sorbus aucuparia, რანსა) ქნაეი, მწორო, ხეა, ნაყოფს ისხამს, იკმება (ნ. საბა, ერისთ., ჩუბ., ბესიცი, მაყ., კუ. ცირცული; შდრ. შან. კვეს. ცირცლოვანი).

ციხიერო: ცქის იერზე ჩანს სერზე მდგომი ცის ფონზე რომ ჩანს (შდრ. საბა, ჩუბ., წერ.).

ციხმარე დღე მთელი დღე. ცისმარე დღე იმი კელები არ დადგება“ (ნ. ჩუბ. ცა, კირ.).

ციხ ნამის დაცემა ხალხის ცრურწმენით, ღამე რომ ნამს გააგდებდა. თუ ვისმე დაეცემოდა, დაადუნებდა, დამბლას დასცემდა. ცალმხარედადუნებულ ადამიანზე ამბობენ: „ციხ ნამი დაეცემიო“.

ციფრიფანა სიფრიფანა, თბელი რამ.

ციცანა 1. კატის ან ძაღლის ცხვირის დაცემინებაზე უპასუხებენ ხოლმე; ზოგჯერ ადამიანის ცხვირის დაცემინებაზედაც უპასუხებენ ხოლმე ხუმრობით; 2. კატისა და ძაღლის ცხვირის-ცემინების სენი.

ციციან დავა გაკაკ. გაუთავებელი დავა. „ციციან დავა გაყდა, თალა!“

ციცირი ციციო, ყეცარკა (ნ. ერისთ., კირ.).

ციციტყავი ძალიან თხელი ტყავი.

ციცილიზო პატარა სახის ადამიანი.

ციცკვი ცქეტიტი, მარდი (შდრ. შარშ. ციქციტი).

ციცქნა ნ. ცუცქნა (ნ. საბა, ჩუბ.).

ციხის ძმარი ძალიან ცხარე ძმარი (ნ. შარშ.).

ციშუკვა ჯდომელა ან დგომელა ტოკვა, მოუხენრად ყოფნა (ნ. ჩუბ.; შდრ. საბა ცმშტვა).

ცოდვით ხამზე ცოდვიანი, ცოდვების მქონე. „შე ჩემი ცოდვით-სამსევე, მეტყოდი და მეც წავიდოდი, ვნ:ზამილი“.

ცოდვის კითხვა განკითხვის დღე; დიდი გაკირვება, დიდი უბედურება. „ვიჰ, ქაა, რა უბედურება დავკატყდა თავ, რა ცოდვი კითხვაა!“ (ნ. ჩუბ. ცოდვა, ალავ. ცოდვიკითხვა). აქედან: ცოდვი მკითხველი სხვის შენა-ცოდარ საქმეებში ჩამრევი კაცი, სხვის

ცოდვას ომე სკითხონ კისრულობა. ჩემი ცოდვი მკითხველი იყოა.

ცოდვის მამკდელო ნ. ცოდვის მოკდა.

ცოდვის მკითხველი ნ. ცოდვის კათხეა.

ცოდვის მოკდა ცილის დაწამება უმებურად. „ეიმ, ჭაა, თერმე ცოდო მთეკადე, ის არაფერ დანაშაულში ყოფილა!“ აქედან: ცოდვის მამკდელი ცილის დაწამებელი, სხვას რომ ცალს დასწამება და ამით იმის შენაკოვარა თითონ იტვირთავს. ჩემი ცოდვი მამკდელი იყოა. — იტვირთვან ცრუმორწმუნეები. — ვინც მე უდნაშაულოა ცოდვასა მწამებს და ამით მრავლბუქებს სასჯელ განკეთხვი დღეა“.

ცოდვის მტვირთელი სხვისი ცოდვის მიმღები ცალს დაწამების გამო. ჩემი ცოდვი მტვირთელი იყოა; „იმი ცოდვი მტვირთელი ვიყო, თუ ვტყუოდე, და, რასაც ვამობ, იმა არ ჩედიროა“.

ცოდვის შაკმა ღარიბს რომ რამეს ესესებინ და არ დაუბრუნებენ, ვალის გადაუხდელობა. „იგრე როგო გამიკირუება, რომ საცოდავი ადამიანი ცოდვა შეაკვამო“.

ცოკვა ცმუკვა, ჟგომელა ან ჯდომელა ტოკვა, მოუსუფნრობა. „რასა აცოკაჲ?“ (შდრ. ბერ. ცოკილი).

ცოლეურთი ცოლის მშობლების ოჯახი (შდრ. საბა ცოლეურნი, კეცოლოური, ჯაგვახ. სამართლის ისტ. II, 372 ცოლეულნი).

ცომის გუნდა ერთი პურის გამოსახეანი ცოპი ვარკლიდან ამოღებული და დამრგვალებული.

ცოცხალი ზე გაუხერხავი, მთელი ხე, ბოძად გათლილი ხე.

ცოცხაგარა (Lythrum, жербежник) ნცენარა. მის ძირს მცელის კიის წაპ-

ლად ხმარობენ (ნ. ერისთ. ცოცხაგარა, ჩუბ. ცოცხომგარა, მაყ.).

ცრეხა განრუდებ, ზოღრეცა. აქედან: ფეკა ცმლის ცრეხა (ნ.).

ცრიატი დღე მზიანი და ცივი დღე ხანთარში (შდრ. საბა, ჩუბ. ცრიატიღღე).

ცუდათ ყოფნა 1. უსაქმოდ ყოფნა. „ცუდათა ვარ“. აქედან: ცუდაობა უსაქმობა, უშუშეერობა (შდრ. საბა, ჩუბ. ცუდად); 2. ავადმყოფობა.

ცულა კაცი უქნარა, ხარბაცი ადამიანი, თვისა დღენი უსაქმოდ რომ დაღის (ნ. ჩუბ.; შდრ. შარწ. ცულაკაპი).

ცულაობა ნ. ცუდათ ყოფნა 1.

ცულიპირა (Lathyrus sativus, носенная обыкновенная чина, урасветный горох) ცულისპირა. ცერცხაირი მცენარეა, ბარდი იცის, პარკოსანია, მარცვალი ცულის პირს მიუგავს (ნ. საბა ცულისპირა, ერისთ. ცულისპირა, ჩუბ. ცულისპირი, აბულ. ცულისპირა, ჯაგვახ. II, 20 და სხვ. მაყ. ცულისპირა).

ცურსლო კია-ლუათა და საერთოდ წვრილ ცხოველთა (თაგვისა, კერულლისა და მისთ.) განავალი (ნ. საბა. ჩუბ.).

ცუცუნი ცოცვასავით; კუქუნი (ნ.). ცოტ-ცოტა მუშაობა ბერიკაცისა. „კია ცუცუნიებს“; ჩემნი ბერიკაცი მელანელა თავითინ ცუცუნიებს ვენაყვი“ (შდრ. საბა, ჩუბ. ცუცუნა).

ცუცურა კუქუა, ბავშვის (ბიჭის) სასქესო ორგანო (ნ. საბა).

ცუცქა, ციქქა კიქა (ნ.). ძალიან პატარა, პაწაწინა, მცირე რაჲ, ცოტა რაჲ. „ერთი ცუცქა კვეი მამიწიწქენე“ (შდრ. წიწქა; შდრ. საბა ციქქა, ჩუბ., ალაგ. ცუცქა, გუცუქა, კირ ცუცქა-კუქა. ბეო. ერცუცქენა-კა).

ცუხუბი მარდი გატყევა პატარა ტანის ადამიანისა. „აბა, გაიქე. გაიქე.

რა კიი ცუხცუხი გკოდნია! აქედან: გაცუხცუხება. მოცუხცუხება (ნ.) გაცუხცუხდი და მოცუხცუხდი; აბა ერთი გაცუხცუხე ეს! — ერთი გაქვეით წაიღე ეს!

ცქლეფა ნ. გაცქლეფა. „ქვეყანასა ცქლეფამდნენ, გალატაკე ხალხი“ (შდრ. ბერ. ცქაფა).

ცქლაფუნი ჩქარა და ევის დაბმით ლაპარაკი, რომ ვერც კი გაიგებს ადამიანი ნაღქემს. „რამ აცქლაფუნებე. გამაგებინე!“

ცხავი ხევის საცერი. ძირი კოპისა ან პწყლისა აქვს, თელები მსხვილია, მარცვალი გადის და ჩელები (ნ.) შგ რჩება (ნდრ. ცხრილი; ნ. გაჯა IV, მაც., ალავ. ძღავი; შდრ. საბა, ჩუბ.).

ცხარე თონე ძალიან გახურებული თორნე, პურს არ იყენებს, პური თაფად ცვივა (ნ.; შდრ. ნელი თონე).

ცხელი ბოლი ნ. ბოლი.

ცხენის ბინა შეცვარეთა ბარგიბარხნა ცხენებზე აკიდებული. მთიდან მომავალ მეცხვარეებს ყველი, მატყლი (საშინაო), ქონი და მისთ., რაც ბინის (ნ.) მუღმივ თანამგზავრს არ შეადგენს, ცხენებზე აქვთ აკიდებული და შინ მიაქვთ ხოლმე (შდრ. ჯორის ბინა).

ცხენის ხურჯინი ცხენზე გადასაკიდებელი დიდი ხურჯინი (შდრ. საჯერო ხურჯინი).

ცხვარი 1. საერთოდ ცხვარი (დედალაყ და შაჰალიყ); **2.** ადგალი ცხვარი; **3.** ფარა ცხვისა (შდრ. საბა, ჩუბ. ცხოვარი. ერისთ.).

ცხვირი ურმის თავის წინა ნაწილი.

ცხვირის ხატეხლა (Adonis, ροπι-υι: τ, αδοις) მცენარე, წითელი ყვავილი იცის, ნაყოფი ერთადაა შეკრებილი ხორკლიან თანანაყოფად. ბავშვები

ყვავილს ცხვირში იკრავენ და სისხლს იღენენ (ნ. საბა ცხვირის-სატეხლა, ერისთ., ჩუბ., კყ., მაც.).

ცხვირის აშლა, შლა დაწოლილი ცხვირის აყენება და საბალანოდ წაყვანა, დაწოლის ნების მიუხედავად. „მთაში ბატკანს ზეაზე ყრა უყვარს, რადგან ცხელა, შლა უნდა, თორენ მატყლი არ გვედება“.

ცხვირის გაშლა, შლა ერთ ალაგას გაჩერებული ცხვირის გაშლა, საძოვრად გაშლა.

ცხვირის ძალი ქოფაკი, ცხვარში რომ ჰყავთ საყარაულოდ (შდრ. ძროხის ძალი).

ცხრა სათვალავი ერთეულია. იტყვიან: ერთი ცხრა, ორი ცხრა და ა. შ. სარიტუალო სათვალავი, ძუნის სათვალავი ერთეულია (ხუთი ცხრა ნახუჭი, შვიდი ცხრა პერი და სხვა). ბებრები ჩვეულებრივ ცხრაობით თვლიან (ნ. კირ., შარშ. ერი ცხრაი. ჯავან. საფ.-სახ. 127—128).

ცხრა ზნის დედა მრავალი (ყოფი ზნის ადამიანი, ქურდი, უფრო კი მრუმზე იტყვიან. „მაგითანა ცხრა ზნი დედა ვინ გააცემს კმა, ვინ მიიკარებს ახლო“ (ნ. ათასი ზნის დედა; შდრ. ბერ. ცხრა-რჯულა, შარშ. ცხრა პოტივი ენა).

ცხრატყავა (Lonicera, жимолости) ზეა, ბებქად იზრდება. წვნიკი ფოთოლი იცის, თხელი ქერქი აქვს რამდენიმე პირი, შვე წვნიკ ნაყოფს ისხამს, ჩიტები კამენ (ნ. საბა, ერისთ. ცხრატყავა, ჩუბ. ცხრა ტყავა, მაც.).

ცხრაწევნა ლაქი-საზოგადო სახელია ლობიოს შეგამანდისა. შობის წინ, 23 დეკემბრის ღამეს, ე. ი. მარხვის დასასრულს. შედგამდნენ ლობიოს მოსახარად. ამზობდნენ: ცხრაჯერ უნდა

დასხა წყალი და ცხრაჯგო დაწმრო. ამ შექმანვით ისტუმრებდნენ მარხვას (მდრ. სანა ცხრა-წვენა, ჩუბ. ცხრა წვენა, ბერ.).

ცხრიანი კვლედა ნ. კვლედა.

ცხრილი ხორბლის საცერი, ძირი კობისა ან პწყლისა აქვს, თვლები წვრილია, მარცვალი არ გადის, გადის მხო-

ლოდ ბერი (ნ.; შლო ცხავი; ნ. საბა, ჩუბ. მაც.).

ცხრილი გული ცხრილის გულივით კრული.

ცხრილქვეითი ხორბლის გაცხრილვის ღირის ცხრილში გასული წვიმი მარცვალი, ბალახის თესლი, მაწა და მისთ.

ძ

ძან ძალიან (ნ. კირ., ვეა IV).

ძაგრა, გაძაგრა კიშვა, გაკიშვა, გაწვევა. „რასა ძძაგრამ ძა ტყავ, არ გააწვიღო“; „ქარგა გაძაგრე თასმა!“ გაწავ. გაწურვა ადამიანისა გასაკირონ. „ქარგა გაძაგრე გამოცდაზე“ (ნ. კ. კ.; მდრ. ვეა IV ძაგარი: დაძაგრული).

ძალთ მაცხონე ადამიანი ძალით რომ გააკეთებინებს რასმე თავის სასარგებლოდ: ძალით იჩუტებს ხოლმე რამეს, თვითონ დაეპატიებინება და მისთ. „ჩენი გიგო ძალათ მაცხონეა, ყველა გამაძარჩება“.

ძალიან ძალიან.

ძალი საპენტლის ღარა; ჩანუურის სიმი, ცხვრის ნაწლავისაგან კეთდება (ნ. საბა, ჩუბ. შან II, ვეა I, III).

ძალუ ბიცოლა, ბიძის ცოლი (მდრ. ჩუბ.).

ძახველა (Viburnum opulus, კალინა) ძახველი, ხეა (ნ. საბა ძახველი, ჯაკველი. ერისთ. მძახველი, ძახველი, ჯაკველი (sic), ჯარხველი, ჯახველი, ჩუბ. ძახველი, მძახველი. ჯარხველი. ჯახველი, მაც. ძახველი, ალაკ. ჯანხველა).

ძარღვი ქვისა ქვას რომ ზოლებად გადასდევს და მასზე გაიბობა (ნ. ჩუბ. ძარღვი).

ძარღვის აყრა ძარღვის გაკიშვა.

ძალა რკინის აჯასპი, ძალა მისი ყუიყუი, ტყავის გასაწვებელი მასა-

ლა (მდრ. ერისთ. ჩუბ. მაც. კალ. შოიულეთი, 7(1)).

ძალარა ქათიბზე მოსაყვები ბეწვეული (მდრ. საბა, ჩუბ.).

ძალთოდენი ძალიან ბევრი, მოავალი. „ჩვენებისა მასლა მუნარება, ძალთოდენი ღოგო-ბიკები მავო და თავ-პირ მამკაშენ ხოლმე, ყურთასმენა ალარალი“ (ნ. კირ. ძალთოდენი).

ძალთიარქმა, ძალთიარქმა ვაზის ჯეშა. ვაზი საქაოდ თამაში იზრდება, მსვილი გრძელი რქა აქვს. დიდრონ ფოთილი, მსბვილი ძტვეანი იცას, მრგვალი მარცვალი, მარცვლი ჭოლავა, დიდი მოსავალი იცის. თემცა აპო საქმელი ჯიშა და არც საღიბე (ნ. ერისთ. ძალი-არქმა. ჩუბ., ჯაკვ. II. 405, 515 ძალთი არ ქაშა).

ძალღის გუთანი ძალღის გუთანი ძალღის პატრონი დასკინან და ეტყვიან: „ძალღი გუთანი ალა უნდა შააბა. რეერთი ძალღები დაკიქჩიხია?“ ასევე ეტყვიან ბევრი ქატის პატრონი: „ქატი გუთანი უნდა შააბა?“

ძალღის თუთა ბალახია, ღეროიანი და ბრტყელფოთლიანი, თუთასავით ნაყოფს ისხამს. ნაყოფი ჯერ წიოლდება და შემდეგ შავდება. ძალღი ქაშა და არწყევს.

ძალღის ძილის დრო განთიადი, გა-
ნებების ხანი. „რა ემძაჟა ავაყენა ამ
ძალღი ძილი დროჲ, არ გაათე-
ნებდი?“

ძალღნიორა, ძალღნიორა (Ornitho-
galum, орнитогалумი) ველური მცე-
ნარეა, სათესლე ხახვის ნერგისნაირ
გულსაყუე ღეროს იყეთებს. ბოლქვიანია,
თავზე ყვავილს იბამს, ხოლო, რომელ-
საც ბოლქვი კბრლებად აქვს, Allium
atroviolaceum-ია. ორივე იცის ვენა-
სებსა და ნაბარებში (ნ. საბა, ჩუბ.
ძალღის ნიორა, ერისთ. ჯავახ.
I', შნ ძალღ-ნიორა, მაყ.)

ძალღუმადღობაში ყოფნა, ძალღ-
უმადღოდ ყოფნა ცუდ პირობებში ყოფ-
ნა, უპატრონოდ ყოფნა. „მონუცებულო-
ბაში ძალღ უმადღოდ არ იქნები“
(შდრ. ვაჟა III ძალღუმადღური).

ძალღური ცურაობა წყალში ხელე-
ბის ღრმად ჩაყოფა, მოსმა და ისე
ცურვა (შდრ. შარშ. ძალღური).

ძალღნიორა ნ. ძალღნიორა.

ძახა დართული ძაფის ორი ან სა-
ნი წვერის ერთმანეთზე გადაგრება,
ერთ ძაფად ქცევა (ნ. საბა ძახა,
ჩუბ.).

ძკარაძგური გულის ძგერის, გულის
ცემის ხმა.

ძგნაფვა ნ. გაძგნაფვა. „რამ იძ-
გნაფები, რისა გეშინიან, არავინ
ნოგრტაკებს“ (შდრ. საბა აქნაფვა).

ძევიჩი ნ. ხევიჩი.

ძეკვა ნ. გაძეკვა. „რაჯულია ძე-
კვამ, აღარ გინდა დაეცალო?“

ძელი მოხრილი ხე, გადებული გო-
ნის ჯგერდის ბოძებსა და ნუღა ბოძზე.
ისე რომ კამარასავით იყოს; ბოძებზე
გადებული ხე, ჭრელია (შდრ. საბა,
ჩუბ., ვაჟა I, IV ძელა, ჟღ. ჯავახ.
II, 475 და სხვ.).

ძენგლი ძელგი, терпакви, უმწიფა-
რი ხილის გემოს მქონე სასმელი, მაგ,
ძენგლი ღვინო (ნ. ბერ. ძელგი,
ნაყ. თუღი ღვინო).

ძენძი გაწეწილი თოკი, паяж (ნ.
დაძენძა; ნ. საბა, ჩუბ., მაყ.).

ძეობა მშობიარობა (შობა ძისა თუ
ასულისა) „ძეობა აქეთ“ (ნ. ჩუბ.).

ძერა-ძერაობა საბავშვო თამაშობა.

ერთი ბავშვი დედა იქნება, ერთი—ძერა,
სხვა ბავშვები კი წიწილებია და დე-
დას კალთაში მოეკიდებიან: ერთს დე-
დას კალთაზე უვლია ხელი, მეორეს
ამის კალთაზე, მესამეს მეორისაზე და
ასე გაწეწივდება დედის უკან რამდე-
ნიმე ბავშვი (წ—7 და მეტი; რაც მე-
ტია, უფრო სახალისოა). ძერა დედის
პირისპირ დგას და ცდილობს წიწილა
მოსტაცოს (სულ ბოლოს რომელიც
არის, ის უნდა მოიტაცოს). ხან იჭი-
დან შემოურბენს, ხან აქედან, დედა
ყოველთვის წინ ეფაფრება და არ უშ-
ვებს წიწილებამდე. ამ მცდელობაში
დედას უკან კალთაზე მოკიდებული
წიწილების გრძელი კუდი გველივით
იკლანება და დიდ სიცილსა და ინტე-
რესს იწვევს. ღამაზია საყურებლად.
ძერამ ბოლოდან თითო-თითო უნდა
მოიტაცოს (ნ. კირ. ძერაობა; შდრ. ა.
წერეთლის ქორობია: „ჩემი
თავგადასავალი“).

ძეძება, დაძეძება გაკირვება; გაკირ-
ვებული ადამიანის სიარული. „ამთენი
ძეძება არ გამიგია, ვის არ უქირ-
და“. აქედან: დაძეძებული (ნ.).

ძეჯორციელი ადამიანი. „ძეჯორ-
ციელ არ გაუვლია დღეე აქა“.

ძველიანი, ძველიანი რქა ვაზისა
ვაზის ერთ წელზე მეტი ხნის (ორი
წლის) რქა. ახალგასაშენებლად რომ
ვაზს რქას ააპრიან (ერთი წლისა უნ-
და იყოს), ძველიანს ერთი გოჯის ოდე-
ნას მიაყოლებენ. „თუ რქას ძველია-
ნი არ მიაყოლე, არ იხარებსო“ (შდრ.
ჯავახ. II, 300).

ძველკაობურა ძველის მიმღებარი,
კონსერვატორი.

მედიკალიზაცია ლაპარაკი მედიკალიზაციის ამბების მოყოლა; გ.ა.ტ. პატარის დარბაისლურა ლაპარაკი.

ძვირი გული: ძვირი გული აქვს გულანწყენა, წყენის გამო სძულს. „ჰაა. რა დღეზე ჩემ დედამთილ, რომ ჩემზე ეგეთი ძვირი გული აქვს!“ (შდრ. საბა, ჩუბ. ძვირი).

ძვირი კაც ხელმოკერილი, ძუნწი კაც. „ჩენი ნიკა ძალიან ძვირი კაცია, სუ გამოზოგვითა და გამოზონით აქ ყველაფერი, თავი დღემი კელი არ გაუშლია“ (ნ. ჩუბ., აბუღ. ძვირი).

ძვირი სიტყვა ბოროტი სიტყვა, ავი სიტყვა. „კაცმა სხვაზე ძვირი სიტყვა არ უნდა თქვას“ (ნ. ჩუბ. ძვირი-სიტყვა; შდრ. საბა ძვირის-ზრახვა).

ძვირი წყალი წყაროზე ბევრი ხალხი რომ იქნება და ადამიანს გვიან შეხვედბა ჯერი.

ძლიგულა 1. ძილის მოხერხული (ნ. ჩუბ. ძილის-გულა); 2. ერთგვარი მწერი ტყეში ხის ტოტზე კვერცხს დადბს და გარშემო პარკსავით შემოაკრავს, მაგარია, მოწაბლისფრო. ამ პარკს ძლიგულას ეძახიან თუ ეს პარკი ადამიანს შეუწინეველად დააკერვს, ძილად იქცევაო (შდრ. ერისთ., ჩუბ. ძილის-გულა).

ძირი, თვისი ძირი მიწაზე დადგმული თივა საზამთროდ (ქვემ ძმევი უგია, რომ წყალმა არ გააფუტოს) (ნ. ჩუბ. ძირი თვისა).

ძირიპური ძირის პური, თორნის ძირში დაკრული პური, ცეცხლი ძალას ატანს და ტკრესს, ქერკეს უწვავს. მაღლე იხდბა. იტყვიან ხოლმე: „ძირიპური ები აიტკრია“; „ძირიპური ეთ აგტკრეკამ“ (შდრ. პირიპური).

ძირის ქურა ნ. ქურა.

ძირკვა ტანდაბალი და სქელი ადამიანი, ჯმუხი.

ძირკვი ფესვი, ძირი ხისა, კარა, ძირი (ნ. კირ., ჯანაშვიტ. ხტრკ. მაცხ; შდრ. საბა ძირკვი).

ძიძგილი მამულის ან ქათმების ჩხუბი. ძიძგილის დროს აქვებებენ: „ძიძგი, ძიძგი, მამალო, მე გიშველი, დედალო!“ (ნ. კირ. ძიძგილი, ძიძგი-ძიძგი; შდრ. საბა ძიძგინი, ჩუბ. ძიძგ-ლაობა, ქუ. წაძიძგილება).

ძიძვა ბალახია.

ძიძობო პატარა ხორცმეტი, მუქეკივით (შდრ. ქუ. ძიძობი, ბერ. ზიზიობა, კირ. ძიძობები, შარშ. ძიძობა).

ძიძო თრიმლის თავი (ნ.), დაქრილი თრიმლის ტოტები ზვინივით დაწყობილი.

ძიჭვი ნ. ჯიჭვი.

ძმაღ ჩაუნება გაყრასას მშობლები-სა ან დისთვის წილის მიცემა სადიდოსა და სამარხის ან მზითვეის ნაცვლად. თუ ქონება იმდენი არა ჰქონდათ, რომ მშობლებისათვის სადილო და სამარხი მიეცათ და დისთვის—მზითვეი, მაშინ ძმები, თავიანთი სარფის გულისათვის, მშობლებსა და დის ძმად ჩაყენებას რჩეობდნენ. იყო ხოლმე შემთხვევა, როცა ბევრი ქონების დროს თვითონ მშობლები ან დები მოითხოვდნენ ძმად ჩადგომას იმ ახრით, რომ ბევრი გაეტანაო სახლიდან, რაც უკანონოდ ითვლებოდა (ნ. წილში ჩადგომა).

ძმარვა ნ. გულის ძმარვა (ნ. საბა, ჩუბ.).

ძმარწყალი შეკამანდია. ხაფხულში ცივ წყალსა და ძმარს შეაზავებენ, ვისაც რა სიცხარისა ესია მოუნება, ზახვს, მწვანოლსა და მარილს უზამენ და ცაელ პურთან ჰკამენ. გრილია.

ძმაცე, ჯმაცე ჯიჭვი მშობილო.

ძნის ჩაშლა კალთში ძნის გაშლა გასალეწად.

ძორძობი, ძორძოცი, ძორძოცინა დიდი ტანის მსხვილი და სქელი ადამიანი

ნი (შდრ ჩუბ. ძონძროხი, შარშ. ძუნძურეხი).

ძრახვა ლაპარაკი, პასუსის მიცემა. ერნე რამ ლაპარაკს დაიწყებს იმ მიზნით, რომ ამიძრახდნენ, ე. ი. დამელაპარაკონ. და წავენზბოლო. აქედან: აძრახება ალაპარაკება, ჩხობის გუნებაზე მყოფი ალაპარაკებული ადამიანისათვის პასუხის მიცემა და ჩხობის განოწყვევა. „ღმერთმა დაიფართო ჩვენებიანთ თინა აძრახება, თავი თავ გაგაცილებს“: ჩვენმა პატარძალმა, წაელი დღე იღგა, იყბედა, იყბედა, აცა, თუ ვინმე ამიძრახდებდა და განოვლანძლო“ (ნ. საბა, ჩუბ. ევ. I, III, IV. ძრახ. ძრახვა, შან. ევ. ს. ცრახ-ღ)

ძროხან ძლიერ (ნ. ევა IV).

ძროხი ძროხის სატკივარია: მზარბარკალი უსივდება და კლავს. არ იციან, რაა მიხეხი და რა არის მისი წამალი.

ძროხა საერთოდ ერთად შეყრილი ნსხვილფეხა რქოსანი საქონელი (ხარი, ფერა) (შდრ. საბა ზროხა. ევა III, IV).

ძროხის ძალი ქოფაკი, ძროხაში რომ ჰყავთ საყარაულოდ (შდრ. ცხვრის ძალი).

ძროხის წვენი ძროხის ხორცის ნახარში, მარილითა და ნივრით (ჯამებში) შეზავებული.

ძუგარა მეტსახელია კაცისა.

ძურწა (Setaria, щетинник, мыши) ბალახია. პურეულსა ჰგავს და თავთავი ექვს. თავთავი ადამიანს ტანისამოსზე ვევრის და უსიამოვნებას აყენებს. შემოდრომის ძურწა მწვენიერი საყვება პიროტყვისა (ნ. საბა, ერისთ., ჩუბ)

ძურწა ფეტვი (Setaria italica ssp. moharium, могар, венгерское просо) ფეტვის ჯიშია, შესახედავად მთლად ძურწა ბალახსა ჰგავს, ოღონდ უფრო

თამამია, თავთავი დიფი აქვს. ყვითელია (ნ. ჭვრიმა ფეტვი; ნ. მაყ. ძურწა-ფეტვი).

ძურწვა ნ. მოძურწვა. ჩვენებიაანთ გიგო ჩვენ ვენაკში გადასულიყო, დაუყვირე, ერთი იგეთი უძურწვა, ცოწინალამ სრარ გედევო“ (შდრ. ძუძგვა; ნ. ბერ.).

ძუძგვა, მოძუძგვა გაქ ევა, ერთბაშად მოწყვეტა და გაქცევა. „შაუსახელე თუ არა, მაშინვე უძუძგვა“ (შდრ. ძურწვა: შდრ. საბა).

ძუძუ საბლის საგრეხი ჩარბის ხედადგარის ნაწილია; სულ ოთხი, რომლებზედც საბლის შემადგენელი ძაფსწველს შიბაბქნ ხოლმე.

ძუძუდა ერთი ძუძუ რომ უწოვიათ სხვადასხვა მშობლების გოგონებს (ნ. ძუძუმბა; შდრ. საბა ძუძუს-მღე, ჩუბ. ძუძუს მტე).

ძუძუვაშლა ვაშლის ჯიშია, მოგრძო, ყუნწის მზარეს უფრო სქელია, ბოლო მზარეს—მოწერილებული (ნ. ჩუბ, ერისთ., ჯავახ. II, 281 ძუძუვაშლა).

ძუძუმაცვალა (Rubus caesius) მაცვალა, მიწაზე ერთხმება. ჩოდილიან და წყლიან ადგილებში იცის და ამიტომ ზოგი ნაყოფი უგემურია, ჩვეულებრივ კი ტკბილია, მჟაგე არ გამოდის, ნაყოფი ძუძუსავით მოგრძია (ნ. ერისთ. ჯავახ. II, 281. ძუძუმაცვალა, ჩუბ. ძუძუ მაცვალი, მაყ.).

ძუძუნახსლებტა ძუძუს ახალნოშორებული ბავშვი.

ძუძუს/ა ტკივილი ნ. მაშრატელა (ნ. მაკალ. თუშეთი, 61 ძუძუს მაშრატელა).

ძუძუს/ა წაგერება ნ. წაგერება.

ძუძუმბა ერთი ძუძუ რომ უწოვიათ სხვადასხვა დედ-მამის ვაჟებს (ნ. ძუძუდა).

ძღაბი ხლარბი (ნ. საბა. ერისთ., ჩუბ. ძღარბი, შარშ. ძღაბლი).



წაგერება, ძუძუ წაგერება ძუძუ-დან ოძის გადმოდინება თავისთავად. როცა ბავშვი ცალ ძუძუს წოვს, მეორიდან ოავისით დაიწყებს ხოლმე რძე დენას, ან როცა დედა შორს არის და ბავშვის ძუძუს კმევის დრო შოვა ხოლმე, ძუძუებიდან რძე დენას დაუწყებს ხოლმე. იტყვიან: „ყმაწვილ მამიშივდა, ძუძუმ წამიგერაო“.

წავალწავალა სტუმარი სტუმარი. რომელიც სულ წავალო იძახის, მგრამ იტყვ რჩება. ზღაპარში: „წავალ წავალა სტუმარი ისევე შინა რჩებოდა“.

წავიდა აბრეშუმის კიამ პარკის გაკეთება მოასწროთ, პარკი გააკეთა (შდრ. წასულღი).

წათლილი ყურის სერი (ნ.): ყურის წერი გვირდიდან წვერისაკენ სწორედ წაჭრილი (ნ. მაკალ. თუშეთი. ნპ).

წაი წუთხე, მოდულეებული მიღარი მარტილწალი, ყველს ასხამენ, რომ არ გაფუტდეს (შდრ. კ. წაი, მაკალ. თუშეთი, 57 წაი).

წალა გაწყალეებული ჩარქი. „პრილობიდან წალა აღის“ (ნ. საბა, ჩუბ.; შდრ. შარშ., აღავ. წარალი).

წალამი ვაზის ნახსლევი (ნ. საბა, ჩუბ., გურამ., ჯავახ. II, 327).

წალდი მოგრძობიარანი და ნილიანი (ნ.) საჭრელი იარაღი, ყუნწი აქვს, რომლითაც დააგებენ ხოლმე ხის ტარზე (მეკრ. ბურჭული; ნ. საბა, ჩუბ., ჯანაშვი. წალდ, კლ., ჯავახ. II, 331, 360)

წალდის სარჩიელი წალდის ტარზე შემოცმული რკინია რგოლი, რომ ტარი არ გასკდეს და ყუნწი გამამგროს ტარში (ნ. სარჩიელი).

წალდულა ქსანთისი უარსი პატარა წალდი.

წალიკი მწყოვი. „მინდვი ბატები

წალიკ - წალიკად „მიფრინავენ, გეგონება, სალდათები არიანო“. აქედან: დაწალიკება (ნ.; ნ. საბა წალკ. ჩუბ. დაწალიკება).

წალკა ბალახი (Polygonum hydropiper, водная перцы) მცენარეა, გვრუჯოსა (ნ.) ჰვავს, წყალში მოდის (ნ. საბა. ერისთ., ჩუბ., კირ., კლ., მაყ., ჯავახ. II, 102 წალიკა).

წალო სახლის კედელში დატანებული განჯინასავით, უკარაო, ფარდა აფარია, შიგლოგინს აწყობენ (ნ. საბა, ჩუბ.).

წალოს კედელი სახლის უკანა კედელი, რომელშიც წალოა დატანებული, სისქით ხუთი ჩარქია.

წამოტანება წატანება. „წუხელ ჩადირი წემემეტანა და ცხვარი მამტაცა“ (ნ. ტანება; ნ. ჩუბ., კლ. წატანება).

წამოღვარება წინ გაძლოლიება. ისეთი საქმის ჩადენა, რაც ცრუმორწმუნეთა ახრათ. აღამაანს საიქიოს წინ წაუძღვება ან ცოდვად ან მადლად და რაც განსჯის დროს თითქოს მხედველობაში მიიღება. „არც იმან წამოძღვარა კარგი საქმეები“ (შდრ. ჩუბ., შარშ წადღენიჩა).

წანაკედი წანახდენი, საქმლის ან აღამაანის მიერ გაფუჭებული მამული ან მოსავალი: ყანა და ისთ. (მაგ., მოძიკებული ყანა, დამჩრეული ვაზი, გაყრევიებული ყურძენი და მისთ.) (შდრ. მოწანაკედე; ნ. ჩუბ., ვაქა IV წანახედი).

წანდილი კოლიო, მიცვალბებულს სულის სამადლოდ მოხარშული ხორბალი, შეხაეებული თაფლით ან შაქრით (ნ. საბა. ჩუბ., აღავ. წადილი, გურამ.; შდრ. კირ.).

წანტაკო ტურტლიანი, ფინთი. „გა-
დიგოგე, შე წან ტაკო, შენა“

წანწალი საცალფეხო ხიდი, ხიდად
გადებული ერთი ხე მდინარესა ან ხევ-
ზე (ნ. საბა, ჩუბ.).

წანწალი ხეტიალი, უთავებოლოდ
სიარული. გზარეული სიარული. „ცხვა-
რი რომ ბატანი მიიგებს, გამწვავებულ
დეძინება. ბატანი წანწალ დაი-
წყებს; ადამიანი ნამუს რომ დაჯარ-
გამს, მემრე სხვისა მამულში დაიწყებს
წანწალ“ (ნ. ჩუბ.).

წანწკარა, წანწკარა 1. ბოლოქან-
ქალა, მამბაკუნა, ნაცრისფერია, სიგრ-
დი თეთრი და შავი ხოლებივით გას-
რღვეს. გრძელი ბოლო აქვს, წყალზე
იკის, დახტის და ბოლოს ატოკებს;
2. კვიშიდან გამომავალი პატარა წყა-
რო. ასეთ წყაროზე უყვარს წანწკა-
რას ყოფნა (შდო. საბა, ჩუბ.
წანწკარი).

წაბერანგვა ფიჩხის, ძეძვისა და
მისთ. თხლად წაფენა და ხედ თხლად-
ვე მიწის გაშლა; მაგ., საბძლის სახუ-
რავზე ფიჩხს წაყრიან, ან გომს ზევი-
დან ძეძვს დაადებენ და შემდეგ მიწას
დააყრიან.

წარაფი წვრილი ტყე სადმე მინდ-
ვიანში, ღელის პირად, ტანყრილია,
ხუთიოდე წლისა თუ იქნება (ნ. საბა;
შდო. ჩუბ., ვაჟა III, IV).

წარბვა, დაწარბვა ხის რამეების
(კარის, ბოძის, ურმის ნაწილებისა და
მისთ.) დაკვერცხვა-დაკრეღება და ნა-
პირების დასწორება (შდო. საწარბავი;
ნ. კუ., ვაჟა I წარბ: დაწარბული, სა-
წარბავი).

წარბაქება ფეჭისა წასხლტომა ფე-
ხისა. „ფეკი წაურიაკდა“: გაკტ.
მარცხი. „რაკი კაც ერთი ფეხი წაუ-
რიაკდებდა, მორჩა!“

წარუჯა უბერიო, მაწანწალა. „წა,
დაიკარგე, შე წარუჯავ, შენა“

წარწი ძალიან თბელი ჩითი ცუდი
ხარახისია.

წახაკრავი კარები მეოთხე უღელი
ხარები გუთანში. საძირის ხარებას (ნ.)
წინ შემბული, მეორე საყვირის (ნ.) ხა-
რები. ამას მეხრე არ უღვას. შულა
მეხრე ერეკება: სახრას წვერს წაჰკრავს.
ყოველგვარი ხარი გამოდგება.

წახული აბრეშუმის ქია პარკის კე-
თებას რომ დაიწყებს—წახულიაო—
იტყვიან (შდო. წავიდა).

წახალევა 1. წათრევა. „წავიდა,
წახალდა, როგორც იყო“: 2.
წარტყმა, გარტყმა. „ორიოდე წახუ-
ტიალე და მოკვიანდება“.

წაქუქუხება დამუქრება-დაღვრება,
საცემად გაწევა, შეტევა. „მამალმა
წაქუქუსა დედალ“ (ნ. ჭუსჭუსი).

წალმარაო უკულმართის საპირის-
პირო, სწორე. „წინდი ყელ ერთ რომ
წალმართ გაუვლით, მეორე—უკუ-
ლმართ. აგრე ნაქსოვი ყელი ფეკ მოუ-
ქერამს და წინდი ყელი კარგა დადგე-
ბა“ (ნ. საბა, ჩუბ., აბულ; შდო.
შარშ. წალმაი).

წაყუღება დაუპატიუებლად მისვლა.
„სად წეე ყუღე, რა გესაქმება მანდ?“
(შდო. ჩუბ.).

წაცადუნება წაცდევინება, შეცდენა
და საიდუმლოს თქმევინება. „წავი-
ყადუნე და ყველაფერი ვათქმევინე“.

წაწყაპა წაწაპა, წართმევა.
წაწყება კოკის წყება (ნ) კოკისათ-
ვის.

წაწუე: დელაქობა მეტათ წაწუ-
კი რამეოა—თქვა ერთმა სიღნაღელმა
ძველმა დალაქმა.

წაჰაგნა თავისა ნ. თავის წაჰაგნა.
(დამატებაში).

წაჰირება წასვლა წათრევასავით.
წეეკირე—წეთირე! (ნ. მოკირება).
წაჯე-შაჯაჯე ხან წინ წაჯღომა და
ხან უკან წამოჯღომა.

წაჯე-შაჯაჯე ციცხლი წვრილი შე-
შის, ფიჩხის, შამბისა და მისთ. ალიანი

ცეცხლი, რომელმაც სწრაფად იცის დაცხლები (მაშინ უკან წამოვდება ადამიანი) და სწრაფადვე ჩაქრობა (მაშინ წინ წაჯდება ადამიანი, რადგან შესცოვია). ამის შესახებ არის იჯავი (ნ. პურისპური; ნ. ჩუბ. წაჯე-უჯეუჯეტი).

წებოს გაშვება ზოგი საგანი რომ დასერილდება ან დაძვლდება, სითხეს გაუშვებს და შეკვრას დაიწყებს ხოლმე, იმაზე იტყვიან: წებო გაუშვაო.

წელგადაბმული ჩიბუხი ნ. ჩიბუხი 1.

წელდითავი ახალი წელი, აიალი წელიწადი.

წელზევით წელის ზემოთ, საქამრე ადგილის ზემოთ, ზედა ტანი.

წელი ქართული კაბის, წელიანი კაბის ზედატანი.

წელიანი კაბა კაბა, რომელსაც ზედატანი და ქვედატანი ერთმანეთზე აქვს გადაბმული და სარტყელი აქვს მოკელებული.

წელი არ მამდევს ხელმოკლედ ვარ, ლარიბი ვარ.

წელის თამბაქო თამბაქოს მცენარის შუა წელის ფოთლების თამბაქო, დიბის (ნ.) ზემოთა ფოთლების თამბაქო. პირველი ხარისხისაა.

წელის მძივი მალა. „წელი მძივი მეტიკინა ფეხზე დგომისაგან“.

წელკავი საქონლის სატყვივარია: წელში მოიგრიხება, გვერდ-გვერდ დაიწყებს სიარულს; ხან მოიგრიხება, ხან გასწორდება. თვითონვე გაუვლის სატყვივარიო. „როცა დაგვიკლამ აგეთი საქონელი, გვანახებ, რო წელი (ხირხიმლის) ტვინი გაწყალბებული ექონიათ— თქვეს. ემართება ხოლმე კაცსაც (ნ. საბა, ჩუბ., ულ., ცაგ.).“

წელფარდა გზა ფერდობზე მიმავალი გზა.

წელქვევით წელის ქვემოთ, საქამრე ადგილის ქვემოთ, ქვედა ტანი.

წელდია უსარტყლო, უსარტყლოდ, უქამროდ (შდრ. შარშ. წელშიშველია).

წერვა კარ ფანჯრის სხვადასხვა ნაწილების დახაზვა და ამოჭრა.

წერნაგი მცენარეთა პარაზიტი, ე.წ. წუქებსავით აყრის; იცის კიტრბა, ნესემბა, როცა ბევრი წყალი დის ბოსტანში.

წერნაქი საღებავი თიბა, თიბის კურკელს უსვამენ. წერნაქი ოზონირია: ორივეს ფერი კროლაა, ოღონდ გამოწვის შემდეგ ერთი ჯურა წითლდება, მეორე თეთრდება (ნ. საბა, ვრისთ. წერნაქი, ჩუბ.).

წესმეცნიერობა წეს-რეის იაცვა. დამყარება „რასა მწესმეცნიერობა?“ (შდრ. საბა წესმეცნიერობა).

წეწვა 1. მატყლის ხელით რეწვა, გაბუფება (ნ.; შდრ. საბა წეწვა, ჩუბ.); 2. ცემა-ტყევა.

წვალემა მკირეწლოვანთან სქესობრივი კავშირის დაქერა.

წველა მაწონი (ნ. ჩუბ., ჯანაშვი. წველა).

წვერი ნ. პურის წვერი.

წვერმოჭრილი ყურის სერი (ნ.): უხრის წვერი მორად აქვს მოჭრილი.

წვირხაკრავი წვირსაკრავი (ნ. ჩახსაკრავი; ნ. ჩუბ. წვირ-საკრავი; შდრ. შარშ. წვირსაკრავი. წვირსაკონი, წერ. წვირსაკრები).

წვინვა დიდი განსაცდლის ან ხიფათის გამოვლა, გეგება. „შენც იწვინე?“

წვინიანი წვენი, ცყი (ნ. საბა წვინიანი, ჩუბ., ჯანაშვი. წვინი).

წვინი 1. წვრილი, პატარა (ნ. ჩუბ.); 2. წვრილი ტილი ბლომად.

წვრილის მიწა უკუწვლიანობა: თიხა, რომლისაგანაც წვრილი კურკელი კითდება: ჯამი, ლიტრა და მისთ. ეს მიწა ნელდი (და არა მზებუ გაფენილი, გამხმარი, როგორც სხვილის მიწა ნ.) უნდა დაიღობოს (ახალმოთხრის მაშინვე ასხამენ წყალს დასაღობად) და დაიხილოს.

წიკოცოლა ჭიკოცონა. დიდმარხვის უკანასკნელი კვირის ოთხშაბათ საღამოს, ე. ი. ვნების კვირის დიდი ხუთშაბათის წინა საღამოს ყოველი მეკომური დაანთებდა ხოლმე თავის ეხოში კოკონს სამ ალაგას კუდიანების საწინააღმდეგოდ. მაგნე სულუბისაგან განსაწმენდად კოცონზე ხტებოდნენ, სანამ ცეცხლი ჩაჭრებოდა (მგებოლნი ბავშვები ეოთიბეარისას მიდიოდნენ და ხტებოდნენ). ზოგერთი უფროსი თავს იკავებდა და არ ხტებოდა, ალი რომ ჩაჭრებოდა, ნაბჭვარს ხედ გადააბოტებდა. ახალხის ცრურწმენით, ამ საღამოთი კუდიანები გამოსული იყვნენ და, ვის ეხოშიოც ცუცხლი არ ენთებოდა, იმათ სახლში შევიდოდნენ (ნ. ნ. ლომოურის „ქაჯანა“; შდრ. ბერ. წიკოცოლა, წერ. წიკოცონია).

წიგნარა საქონლის კუჭის განყოფილება, რინელიც შედგება მრავალი ფურცლისაგან. ძალიან ძნელია მისი გასუფთავება. ხაშად აკეთებენ (ნ. საბა, ჩუბ., ბერ. წიგნობელა; შდრ. წერ. ცხრაწიგნა).

წიგო-წიგო წიწილების დაძანება: ჯუჯუ-ჯუჯუ! (ნ. ჯანაშვი. წიგნაწიგი).

წიდა მანდულის დნობის დროს მიღებული ნასერტებიანი მასა, шалак; აგურის გამოწვის დროსაც ხდება ხოლმე, ზომაზე მეტად გახურების გამო, აგურის წიდად ქცევა. რკინის წიდა იზნარება სამღებროში შავად შესაღებად (ნ. საბა, ჩუბ., მაკ.).

წითელი ბადრიჯანი პამიდორი.

წითელი დოლი, წითელი დოლის პური, წითელი დოლის ყანა პურის ჯიშია, შემოდგომაზე ითესება, ფხინია, მახვილთავთვანი, წითელი მარცვალი აჭვს. უმაღლესი ზარისხის პურია (ნ. ჯავახ. I, 334 და სხვა).

წითელი თავთუხი ნ. თავთუხი (ნ. ჯავახ. I, 349, 385).

წითელი კაბია შაკერვა, წითელ-ყვითელი კაბის შაკერვა კაჭა. გაჯავრებულ გულზე იტყვიან, დუსწრებლივ რომ ადამიანს ემუქრებიან: „სად იყავ, სუ წითელ კაბა აგიკერამდი, რატო მალოდინე ამთენი?“ „სადა ხარ, გოგო, დედაშენი წითელ-ყვითელ კაბა აგიკერამს“.

წითელი კაჭი ბობოლა, დიდი ვინმე. „შენ რალა წითელი კოჭი მყევხარ!“

წითელი პარასკევი აღდგომის წინა პარასკევი, ვნების კვირის პარასკევი. ამ დღეს არც მღვშობდნენ, არც ლხინობდნენ, არც ღვინის გემოს ნახავდნენ (ბ. კირ.).

წითელი პოშოლა პურის ჯიშია, უფხო, საკმაოდ მსხვილთავთვანი, წითელმარცვლიანი. შემოდგომაზე თესავენ. ახალი შემოსულია (ნ. ჯავახ. I, 336 და სხვ. პოშოლა).

წითელი რაწითელი ვახის ჯიშია, თეთრი, სიმწიფისას ღაღანა ვარდისფერი ხდება; ტროლდება, ფანჯატი, ძალიან წვრილი თხელი მტევანი იცის, მრგვალმარცვლიანი. მცირემოსავლიანია. ღვინო თეთრი დგება, უმაღლესი ხარისხისა. თეთრი ყურძნისა და ღვინის მეფედ ითვლება (ნ. რაწითელი; ნ. ჯავახ. II, 402, 406 და სხვა).

წითელი უფხო შემოდგომის პურის ჯიშია, წითელი მარცვალი და უფხო თავთავი იცის.

წითელი ქარი კანის ავადმყოფობა: სახე ან სხეულის სხვა ნაწილი წითლად უსივდება, риха. იცის ხოლმე ხელახლა მოკითხვა (ნ. ჩუბ., მაკალ. თუშეთი, 190—191).

წითელი ქარქატი ნ. ქარქატი.

წითელ ყვითელი კაბის შაკერვა ნ. წითელი კაბის შაკერვა.

წითლად ლუის ნ 2 ლუილი.

წიკამაკა წერილ-წერილი ნივთები. აქედან: წიკამაკის კოლოფი წერილმანი ნივთების-ნემსის, ძაფის, სათითისა და მისთ. შესანანი კოლოფი.

წიკაწრა, ხათქაში დურგლის იარაღია: ხის გასახაზაუი. ფიცარს ცალ მხარეს გარანდავენ სუფთად, მეორე მხარე კ რომ ამის პარალელურად გარანდონ, წიკაწრას ძიადებენ გარანდულ ნაარეს, წიკაწრაში გაყრილი ხხირის ბოლოს დარტყული ლურსმანი მეორე მხარეს გახაზავს სიგრძივ იმ მანძილზე, რა ხომაზედაც არის დაყენებული (მღრ. რუხა).

წიკლა პატარა, პაწაწა. წიკლა ქვაბი. აქედან გვარი: წიკლა შვილი. წიკწიკა კეკლა, კეკლუცობის მოწყობული ქალი (მღრ. ბერ.).

წილის ამოგდება გაყრისას ოჯახის რომელიმე წევრისათვის წილის მიუცემლობა, უწილოდ გასვლა. მაგ: შეიძლება ბოლა გასათხოვარი და ან ძმად ჩაყენებინათ (ნ.) და წილი მიეცათ, ან შეიძლება არ მიეცათ წილი; აგრეთვე მშობლები შეიძლება ან ძმად ჩაყენებინათ, ან მიოლოდ სადილო (ნ.) და საძვედრო (ნ.) მიეცათ, ან შეიძლება სულ არაფერი მიეცათ, თუ ცოტა ქონება ჰქონდათ. ასეთ შემთხვევაში ძმები თანასწორად გაიყოფნენ და მშობლებს ჯერ-ჯერით შეინახავდნენ სიკვდილამდე და მერმე საერთო ხარჯით დამარბავდნენ. წილის ამოგდება არ იყო მიღებული (ნ. ძმად ჩაყენება)

წილის გატანა 1. საერთო ქონებიდან თავისი წილის მიღება; 2. დავის შემდეგ, არა მოწილის ან უწილოდ გასული მოწილის მიერ სახლიდან გატანა თავისი წილისა.

თავიანი ნიტრა, თავმობმული ნიტრა მარცვლეულის საწყაო ლიტრა, რომელსაც აწყვიან დროს გადასასმელს (ნ.) კი არ გადაუსვამენ, არამედ თავმობმულს გასცემენ, თანახმად პირობისა. ასეთი ლიტრით აწყული მარცვლეული 13 გირვანქზე მეტი გამოდის (შდრ. გადასმული ნიტრა — დამატებაში; ნ. შარშ. თავიანი).

თავის გამოშმა საქმის დამთავრება. „ძმაო, ეს საქმე შენ დაიწყე და თავიც შენ გამოაბი“ (შდრ. შარშ.).

თავის გაზრა მოვალეობისათვის თავის არიდება. „თუ ვე ჩემი ვალია, მე

თავ არ გავიხროი (შდრ. შან. კვეს. თავ: თავის გაზრა).

თავის მიგლა ნ. მიგლა.

თავის მიწა თავის დასაბანი მიწა, თავსაბანი მიწა, მონაკრისფროა, ცხიმს შეიცავს, იცის ნავთობიან ადგილებში (ფხოვლის არეშარეში, ივრის ხეობის მარცხენა მხარეს). წყალში დაალბობენ და მით თავს დაიბანენ. ძალიან კარგად ბანს. ამით ბანას შეჩვეული საპნით თავს ალარ იბანს (ნ. შარ შ.). თავსაბანი მიწა).

თავის მოქონვა ენატკბილობით სხვისი დაყოლიება და თან მოტყუება. „თავი მოუქონე და კაი მალარჩი დაეტყუე“ (ნ. შარ შ.).

თავის ქალა ნ. შ ქალა (ნ. ხუბ. ქალა).

თავის წაჭაპვნა ჩალურისთვის სახურავის ზურგზე ჩალის ქაპანივით დაწვნა, შიბის (ნ.) გაკეთება (შდრ. ბუქურ. ჩამოქაპვნა).

თავმცემული უყურადღებო, თავმინებებული ადაჰიანი, საქმის დამგდები „ღეთის ანაბარად“, თეთისით გაკეთდება—რომ ფიქრობს. „ჩვენი ბაგრატი ძალიან თავმციემული კაცია, არ იტყვის, ერთი მივხედო ვენაჰ, რა მოუვიდა, იქნება სუ გადაკმაო“.

თავმომბული ნიტრა აგუჰ, წყ თავიანი ნიტრა (ნ.).

თავ-პირზე ხაყრელი აგუჰ: წყ თავზე საყრელი (ნ.).

თავში მიტლა ნ. მიკლა.

თანახორფერდიან (თან: წორგვერდიან) სახურავიანი ხახლი სახლი, რომელსაც სახურავი სათავის აქეთიკით სწორ-სწორ წახაგებად აქვს ჩამოშვებული. ასეთი სახლის სათავე გადებულია არა სახლის ოთხი კედლის შუაზე, არამედ სახლ-საჩების ცენტრში (საქარეებოც ასევე—სახლ-საჩების ცენტრზე აყვანილი) და სახურავიც ორი თანასწორი გვერდისაგან შედგება (შდრ. მეტ-ნაკლებ სახურავიანი სახლი).

თავი ნ. აღჩუ (ნ. საბა, ჩუბ, კირ., გრი შ.).

თვალეზდაცრეხილი ნ. თვალების დაცრება.

თვალეზდაწნეხილი ნ. თვალების დაწნება.

თვალეზის დაჩხეტილება თვალების დაქვევტილება, რამე მოსაწონს რომ დანახებ და მერმე აო მისცემ (ბ. ჩხეტა).

თვალის კვრა თვალის ცემა, გათვალვა, ავი თვალით შეხედვა. ხალის ცრურწმენით, ზოგ ადამიანს ავი თვალი აქვს და როგორც კი შეხედავს ადამიანს, მეტადრე ბავშვს ან საქონელს, მაშინვე ავად გახდის: ბავშვი ატირდება, ალარ დაიძინებს... საქონელი დაფრთხება ან რამე ფათერაკი შეემთხვევა. არჩენენ შელოცვითო. აგრეთვე რაიმე კარგი საქმის დაწყებისას ვინმემ რომ ავი თვალით შეხედოს, საქმე უკუღმა წავაო (ნ. ხუბ. თვალი, კვრა, კირ.).

თვალნაცრიანი კაჰაჰ. ქნარშვილამოწყვეტილი. „ქპარი წინა ომში დეკარგა, ვაიშვილი ახლა მოუყვდა და დარჩა უბედური თვალნაცრიანი“.

თვალსა და კელ შუა თვალწინ. „თვალსა და კელ შუა დეშეკარა ბეჭედი, ქა!“ „თვალსა და კელ შუა ამართვებ ხურჯინა“ (ნ. შარ შ. თვალდახელშუა).

თვლის ჩავარდნა წინდის ქსოვისას გამოყუღფულის ჩხირზე აცმის მაგერ დაბლა ჩავარდნა და ყულფის მოშლა. თუ მაშინვე არ ამოიღეს, ყულფები დაისწება დასწვრივ და წინდა დაირღვევა. „მოდი, გოგო, თვალი ჩამივარდა და ერთი ანამილე, ვერა ვხედან“—ეტყვიან ხოლმე მოხუცები უმტროსებს (ნ. შარ შ. თვალის ჩავარდნა)

თიაღორა ყელის ჯირ ვლების ავადმყოფობა. უყურნებელი იარა ჩნდება

და ყოველ გაზაფხულობით უურო აქტიური ხდება (ნ. ჩუბ. თია, თიადო-ოა; შდრ. ს ა ბ ა, გურამ.).

თოთხმეტება ნ. დათოთხმეტება.

„შენ რა ეთოთხმეტები, რა კული გაქ სხვისა მამულთან?“

თოხანი ნ. ალჩუ (ნ. ჩუბ.).

თქერა ნ გათქერა (შდრ. ბერ. თქერ: და-თქერვა, ამო-თქერვა, ვეა I).

0

იარის გამოვლება ალაჯ. გაქორე-ბული კაცისათვის დახმარების გაწევა, შველა. „ერთი ცხერი დაკარება საწყალ კაც რა იარაგ გაუშთელებს!“

თი მეე, თა ჰეე შიდასკეპული აკგორ-კეპო ციმე. „იი ჰეე, ჰაა, რას ამოზ?“ (ნ. ჩუბ. იიმე).

იმო შიდასკეპული გეკეპეპო ციმე. სხვისი ნათქვამი როცა არ მოეწონებათ, გაკვირვებით შესძახებენ: „ომო!“

იწიკეკო, ბიწიკეკო: ყვა-ყვაობისებრი (ნ.) საბავშვო თამაშობის დროს სათქმელი ლექსის დასაწყისი სიტყვებია:

„იწიკეკო, ბიწიკეკო,
ყვანურო, ყვაეს უკან,
ჩიტმა გავეა თვალს უკან“.

ბავშვს ხელის ზურგის კანზე ჩქმეტით თითებს წაველებენ ისევე, როგორც ყვა-ყვაობის დროს: ჯერ ერთი ხელი ბავშვისაა, მერმე დიდისა, შემდეგ ბავშვისა და მერმე კვლავ დიდისა, თან ამ ლექსს ამბობენ. ლექსის გათავებისას ხელებს აუშვებენ და ბავშვის თვალებთან მიიტანენ და უკანასკნელ სიტყვეს ეღებებიან. ბავშვს ამით ენას ატეინებენ და თან იქცევენ.

იწილო, ბიწილო საბავშვო თამაშობაა. ბავშვები და მათთან ერთად დიდებიც (ერვიან ბავშვების გასართობად) დასხდებიან და ორსავე ფეხს გაიწვდიან წინ. ერთი ხელში ჯოხს აიღებს და ცალი მხრიდან მოჭყება ფეხების „თვლას“ და თან ამბობს:

„იწილო, ბიწილო,
შროშანო, გვრიტილო,
აღხო, მაღხო, ჩიტმა განახო,
შენი ფესუ, ფესვმადუი,
აჯღქ. მაჯქ. ნეფეე, ჩაჯქ.
დედუფალო (პატარძალო), ფეეხე
ადიქ“.

ყოველი სიტყვის თქმის დროს ჯოხს თითო ფეხს სცემს და თან ინაცვლებს, ბოლოს რომ ვეა, შემობრუნდება. რომელ ფეხზედაც ითქმება „ადიქ“ სიტყვა, იმ ფეხს შეიკეცვენ და ისევ თავიდან იწყებენ ლექსს და ა. შ., ვიდრე ყველა ფეხს არ შეიკეცვენ. ვისი ფეხიც უკანასკნელი დარჩება, იმას ფეხქვეშ გააძვრენენ (ორი ფეხებს ერთიმეორის გადაადებს — დამსხდრები არიან), თან ფეხებს მოუქერენ, რომ ძლივ გაძვრეს, აწვალებენ და იცინიან. ამის შემდეგ თამაშს თავიდან იწყებენ. ბავშვებს ართობენ (შდრ. იწიკეკო, ბიწიკეკო; ნ. ვეა IV იწილა-ბიწილა).

კ

კაკლის ჩაკირვა ნ. ჩაკირვა.
კანტური ჩამოკიდებასავით „ნუ გიყვარს, გოგო, ადამიანი კანტური,

რა სუ კალთახე მეკიდები!“ აქედან: კანტურება. ჩამოკანტურება (ნ.; ნ. ვეა IV).

კარის დაგულვა ნ. დაგულვა.

კატის გუთანი დაფსკო ვისაც ბევრი კატა ჰყავს, მასზე იტყვიან: „რა არი, რევრთი კატები ყვაე, კატ ი გუთანი ხო არ უნდა შააბაჲ?“ (შდრ. ძალის გუთანი).

კაქკაჲ ზოლოჲ—ასე ეტყვიან ხოლნე ბაუმეს, როცა ყველა ლოგინს ან საჯდომს გარნაწილებს და ის იკითხავს: „მე ესაღლა დაეწვე (ან დავჯდე)ოა. ხუმრობით შეიძლება დიდსაც უთხრან მსგავსავე შემთხვევაში.

კბილისა: ჩემი კბილისა ჩემი ტოლი. „ჩვენებიანთ გოგია ჩემი კბილისაჲ“ (შდრ. ჳყ. კბილა).

კვანჭილანთ მელა: ამაჲკრა კვანჭილანთ მელამ—ეტყვიან იმას, ვინც უადგილო ადგილას იტყვის სიტყვას.

კვდომ-კვდომით ლაპარაკი ძლივ-ძლივობით ლაპარაკი, ენას რომ ძლივ სძრავს ლაპარაკში. „კაცო, ამიღე კმა, რა კვდომ-კვდომითა ალაპარაკობ“.

კვერის ყუა ნ. ყუა.

კვერცხი წონის ერთეულია, უდრის 50 გრამს. ოცი კვერცხი ერთი სტილია (ნ.; ნ. ჩუბ.; შდრ. ჯავახ. საფსახ. 127).

კვერცხის ჩაქირვა ნ. ჩაქირვა.

კვლანჭა მრეზა. „რამ იკვლანჭები სუ?“ (ნ. აკვლანჭა).

კოკოცა მეტსახელია კაცისა.

კორკვალი აკოკი, აკორკაგი, სირსეალი (ნ.; ნ. ულ).

კიწვა ბილეულის კრევა სულ (ნ. გაკიწვა; შდრ. კიწი).

კლანძვა ფხეკა (ნ. გაკლანძვა).

კორუმი, ხორუმი ერთად დაწკობილი, ერთად დაყრილი (ქვიშა და მრსთ.). „ლორღის კორუმი“, „ქვიშის კორუმი“ (შდრ. საბა, ჩუბ. კორუმი, ვაჲ I კურუმ-კურუმი, III კურუმი).

კოჭაყანა შუათანა სიმაღლის ყანა,— უკეთესიაო: კარგად არის გამძღარიო.

კოჭყური კარის ჩამოსაკიდი კოჭი (ნ. შარშ, ჟღ. კუჭყური).

კუდალა უკუდო. კუდალა ძალი უკუდო ძალი (შდრ. საბა, ჩუბ. კუდა, ვაჲ III, ჯანაშვი. კუდურ, შარშ. კუდალი).

კუდის აწვევა აკაჲ. საქმეში წახმარება. „კუდი ხო არ უნდა აუწივო, მე რალა მინდა იკა?“

კურტინა მეტსახელია ტანდაბალი კაცისა (შდრ. დაკურტნული).

ლ

ლაშაში გაჲტ. კარგი. „გიორგიმ დაგეპატიჯა და ლაშაში პური გვაქამა“ (ნ. საბა, ჩუბ., შან. კვეს. ლამაზად).

ლეგა შავ-ყვითელი. ლეგა ბიჭი, ლეგა კაცი შავ-ყვითელი ფერის ბიჭი, კაცი; გაჲტ. ყოჩალი ბიჭი, კაცი (შდრ. საბა, ჩუბ., ვაჲ III, IV, ბუქურ. ლეგა).

ლეშკვა (ნაწარმოებია სიტყვისაგან ლეშკი) ტყავასათვის ზედ გაყოლი-

ლი ხორცის ნაწილების აცლა (ნ. გალეშკვა; შდრ. საბა ლეშკი).

ლინჯა ნივთების ერთმანეთში არევა. „მანდ რა კვლევ ურევ და აღინთამ მანდავრობაჲ?“ (ნ. აღინთვა).

ლოგინის ზღვენი მელოგინისათვის (ნ.) მირთმეული ძღვენი. ნათესავები მოგალენი იყვნენ, სანამ მელოგინე იწვა, მისულიყვნენ, მოზობიარეც და ბევრეც ვნახათ და ძღვენიც მიერთმიათ. თუ გაჲი შეგძინებოდა, უფრო კარგ

გაკეთებულ კურტელს—ქილებსა და სხვებს სწორე ძირი (შდრ. მექვევრული ძირი).

მზითვის ყმა პატარძლის ძმა მზითვის ნაცვლად გაყრღებული სიძისათვის. თუ პატარძალს მზითვის წიგნში ჩაპოწვირილ მზითვეს ვერ აუთავებდნენ, მაშინ სიძე მოითხოვდა, რომ სანუჭყოფი (ნაცვლად) ძმა გაეყოლებინათ მისთვის. მზითვის ყმას ამუშავებდნენ ისე, როგორც დაქირავებულს, მხოლოდ აქმევდნენ და ასმევდნენ, ქალამანსაც ჩააცმევდნენ, მაგრამ შეიძლებოდა ტანისამოსი არ ჩაეცმიათ. ყმობის ვადა დამოკიდებული იყო დანაკლისი მზითვის ოდენობაზე (1—2—3 და მეტი წელიწადი). ზოგჯერ, თუ საპატარძლო უმზითვო იყო, თავიდანვე აღუთქვამდნენ სასიძოს პატარძლის ძმას მზითვის ყმად.

მთვარის დაბადება ახალი მთვარის გამოჩენა (ნ. ჩუბ. დაბადება).

მთვარის შაშლა აგაჟა, რაც მთვარის ჩაერღნა (ნ.).

მთვარის ჩავარდნა, მთვარის შაშლა ხანი—მთვარის მოლვეიდან (ე. ი. 28-29 დღისა რომ გახდება) ახალი მთვარის დაბადებამდე, მთვარე რომ არა ჩნდება.

მთის ცერო ნ. ცერი.

მიგლა, თავის მიგლა რახედმე თავის მიხლვეინება, თავის მიწაყვა. „გაჩემდი, თორენ, მა თავ კედელზე მიიგლი“

მიჯეჯგვა მიბეგვა (ნ. ჯეჯგვა).

მოზარენი შ. მიცვალებულის დატირებისას მოთქმით მოტირალნი. ხემო მხარში (ნ.) მიცვალებულის დატირებისას ერთი თვლიდა (მოთქმით ტიროდა), ხოლო სხვანი, ასე ვთქვათ, „ბანს აძლევენ“ მისი სათვალავის ყოველ მუხლზე. ზოგჯერ მოზარენი იმდებად დახელოვნებული იყვნენ, რომ სხვა მიცვალებულის დატირებისას საგანგებოდ იწვევდნენ, როგორც თავიანთი ხელობის კარგ მოკოდნეთ, კარგი ხმის პატრონთ (ნ. ხარი; ნ. ჩუბ. მოზარე).

მომაშება გახატულზე შორიქანზე (ნ.) საქონლის გარეკვა და მარილის მოლოკვინება. „წელიწადში ერთხელ ყველთვინ მაამლაშებენ საქონელ“.

მონაგარი შენაძენი, ნაშოენი. აქედან: **მონაგრება** (ნ. ნაგრობა; ნ. საბა, ჩუბ., შან. II).

მონაგრება შეძენა, შოენა (ნ. ნაგრობა; ნ. ბარნ.).

მოხლურტვა დაეწროება. აქედან: **მოსლურტული** დაეწროებული. „მოსლურტული ტანისამოსი“ (ნ. ამოსლურტვა).

მოყავა სრულად მოტანა; ბევრის მოტანა. „აბა ერთი მოყავე, რაცა გაქ!“ (ნ. ამოყავა—დამატებაში).

მოძუძვა ნ. ძუძვა. „აბა ერთი მაიძუძვე და ცივი წყალი მარბენინე“ (შდრ. საბა ძუძვა).

მოწყვეთა ღონეზე მოწყვეთა (ნ.), ძალ-ღონის გამოლევა. დასუსტება. „ამოღნი სიარულისგან მოწყვედი, აღარ შამიძლია მქტი“; „სიარულისგან ღონეზე მოწყვედი“. აქედან: **მოწყვეტილი** ძალიან დაღლილ-დაქანასული. „კაცი წუხელ მოწყვეტილი მოიდა და მაშინვე დაწვა“ (შდრ. ჩუბ. მოწყვედა, მოწყვეტა).

მტკიცე ქსოვილი კარგად ნაქსოვი, კარგად ნაბეკო ქსოვილი „მტკიცე ქსოვილი მალე არ გაცდება“ (ნ. საბა, ჩუბ. მტკიცე).

მუში — მუშტი (ნ. ტაშიმუში).

მუცლის ღოღება ნ. ღოღება.

მუჭლის ჩარა ჩაჯდომა ცოტა ხნით; აჯარ. ცოტა დასვენება. „ღღე, მთლო დრე ჯარასავით ვბრუნამ, მუჭლი არ ჩაძიხარია“.

მწვანე ლეღვი ლეღვის ჯიშია, ხე ხშირტოტიანია, ფოთოლი ძალიან შეჭრილ-გამოჭრილი აქვს მუჭი მწვანე ფერისა. ლეღვი ძირბრტყულია, უფრო წვრილი ეთქმის, მწვანე ფერისა მწიფდება, ზოგიერთი გაყვითლდება. ტბილია, თეთრ ლეღვსა სჯობია. ზოგი შა-

შალაყ ლელეს მწვანე ლელესაც ეძახის, მაგრამ შაშალაყი ლელე (ნ.) და მწვანე ლელე ერთმანეთისაგან დიდად განსხვავდება.

მწკრე ნ. წკრე.

4. მკარი რთვის დროს ერთი მხარის გაშლაზე გატანილი წართი. აქედან: მკარი გატანა მატულის დართვა ერთი მხარის გაშლაზე. „ამ მატულ კარგი მკარი ვერ გააქვ, არ გააძღვს, წყდება“ (შდო. ჩუბ. მხარი).

მკრის გატანა ნ. მკარი.

მკრის ქვევა ორიენტაციის დაკარგვა. „ტყეში ვიყავი, მკარი მექცა, ველარ ვივანი, საღ ვიყავი და საით უნდა წავსულიყავი“.

მკრის ხურჯინი პატარა ხურჯინი, მხარზე გადასაკიდებელი ლურჯინი (შდრ. ცხენის ხურჯინი, საჯურო ხურჯინი).

6

ნახურგი ხნულს შუაგულში ორი ერთმანეთს მიწოლილი კვალი. თუ ხენა შუაგულიდან დაიწყეს, მაშინ ავლაზე რომ კვალი მარჯვენა გადაბრუნდება, ჩამოვლახედაც მარჯვნივ გადაბრუნდება (ორივეჯერ რომ შუაზე აივლ-ჩაივლის გუთანი) და კვალი კვალს მიეღება, ბელტი—ბელტს, შემდეგ მისდევნენ და ამ ხნულს გარშემო ჯვლია და ჯმატებენ (შდო. ნალარი).

ნაოვთი პური მოშვის შემდეგ ყანაში მოკრეფილი ნარჩენი თავთავების პური. ჩვეულებრივ ბევრჯერ კრეფენ და თვითონ მოიხმარებენ, როგორც უნდა.

ნათაფავარი პური ცხარე თორნეში სწრაფად შექცევარი და ჯერ ისევ ცომად ჩავარდნილი პური; გაინაცრება ხოლმე. შიგვე ჩააყუდებენ და ისე გამოაცხობენ (ნ. თაფად ჩაყრა, თაფად ცვივნა; ნ. კირ. ითაფა).

ნამცეცობა დიდმარხვის პირველ ორშაბათს, წმინდა ორშაბათს (ნ) ყველიერის მონარჩენ საჭაბადა: თევზს, ყველსა და მისთ., რაც არ შეინახება, ჭამენ: შეიძლება, არ არის ცოდვა, ნამ-

ცეცობა ა.ო. უფრო ბევრებს ატყევენ (ნ. ჩუბ.).

ნარდიბაზრობა, ნალდიბაზრობა კაჭკა. აღვილად და სწრაფად შოვნა. „რა იყო, რა დეგემართა, ნარდიბაზრობა ბო არალი, რო აგრე მალე გინდა“.

ნასაკირალი ადგილი, სადაც წინათ საკირე იყო და ახლა ორმოა დარჩენილი.

ნასოსლი ანაკელა (ნ.), ხელებიდან ანძრობი ცომი.

ნალდიბაზრობა ნ. ნარდიბაზრობა.

ნემსის წვრით ნაქარგი ხურჯინი ფარდაგულად ნაქსოვი ხურჯინია. ოლონდ სახეები აქვს ნაქარგი ნემსით. მომცროა, იმბარება მხარზე გადასაკიდებლად და ცხენზე უნაგირის ტახტაზე ჩასაკრავად (ნ. მკრის ხურჯინი; შდრ. ფარდაგული ხურჯინი, ხალიბური ხურჯინი).

ნეფე-მკარი ნეფე და მკარი; კაჭკა. ნეფე-მკარი მეელისო — იტყვიან, როცა ადამიანი სახლ-კარის დავვა-დაწმენდას დაიწყებს საფუძვლიანად და საერთოდ დიდ სამზადისშია.

ნიახურა ლეჩაჟი დაბალი ღირსების ლეჩაჟი, უხეირა ლეჩაჟი.

მ

ორმო სულადის (ნ.) შესანახი ორმო წინათ. ორმოს ამოთხრიდნენ 1,5—2 მ. სიღრმისას, ძირი უფრო ფართო ჰქონდა, ვიდრე პირი. სულადი რომ არ

დანესტილიყო, მის ჩაყრაშდე ორმოს ძირზე ერთი მტკავლის სისქეზე ბზეს დაყრიდნენ, ორმოს კედლებს ჩალას ააყრავდნენ რკალივით მოხრილი სახ-

რით, რომელსაც კავიანი პალოებით დაამაგრებდნენ ორმოს კედელზე; რამდენსამე სარტყელს შემოავლებდნენ ასე. რომ კედელზე აკრული ჩალა დაეჭირა. ზემოდან პირზე ოთხკუთხ ხის ჩარჩოს დაადებდნენ და გაამაგრებდნენ; სუ-

ლადს რომ ჩაყრიდნენ, პირზე ხის ბადიმებს (ნ., ორია) დააფარებდნენ და მიწას მოკრიდნენ (ნ. საბა, ჩუბ., ჯავახ. II, 95).

ორპირი (ვენახი) სავენახე მამქლში ორპირად ჩაყრილი ვახი, მწყრივად გაწებებული ვენახი (შდრ. ჩუბ.).

3

პაპიროზის ჩეჭვა ნ. ჩეჭვა.

პასუხომა ქადაგის, მონის (ნ.) ქადაგება. მამასუხა მამადა.

პაწპაწუნა პაწაწინა, პატარა. „პაწაწუნა ყმაწვილები მოიძინენ“ (შდრ. საბა, ჩუბ. პაწაწა).

პირბანელა პირდაუბანელად. „პირბანელა პური ქამა და წიგნი კითხვადარ შაიძლება“.

პირის ვაჭვა F. კაკვა.

პირიფარეში პიროსფარეში, მომრთველ-მომკახშველი. პატარძლის პირიფარეში პატარძლის მხლებელი და მომრთველი ქალი. „პატარძლი პირიფარეში და ყველთვინ მუღია“ (იგულისხმება უმცროსი, გაუთხო-

ვარი მული). „მული პირისფარეშია“ („ეთერიანიდან“) (ნ. ჩუბ. პირისფარეში).

პირ მუწუკი შეერილება—იტყვიან ხოლმე, როცა პირში ნაკლის თქმას ღოერიდებთან, პირში რომ საწყენ სიტყვას არ ეტყვიან. „რა იყო, ქაა, რა პირში მიაკალე, პირ მუწუკი შეერიდე ბა!“

პირში შიკლა მოურიდებლად პირში თქმა ნაკლისა, პირში თქმა. „რა პირში იცი სიტყვი მიკლა!“ (შდრ. ჩუბ. მიხლა).

პირში ჩაგდება პირში მიცემა. „იმი პირში ღმერთმა ჩემი მტერი ჩააგდოა, შამკაშს“.

უ

უამი შავი ჭირი; უაღრ. ძალზე უსიამონო, თავის მომბებურებელი ქალი. უაღრ: უფანდუხუცი გაკვდება, უამი სახლში დარჩებაო—იტყვიან ულამაზო და ავ პატარძალზე (ნ. ჩუბ., აბულ, შლ.).

უეფლვა ნედლის უხეიროდ ლეწვა; ბეგვა (შდრ. გამოყეწვა; შდრ. საბა

უეფა, ალავე. უეწელვა) უინჯლი წერილი წვიმა, სინსლი (ნ.). აქედან: უინჯლელა. „უინჯლელავეს დღევანდელი დღე უხეიროთ“ (ნ. საბა, ჩუბ., კყ., ვაჟა I უინჯლი, III უინჯლვა; შდრ. ბუქურ, შარშ. უინჯლი).

რ

რგუნება წილის შეხვედრება, წილის კუთვნიება. „რასაც გარგუნებ, უნდა დააჯერდე“ (შდრ. რგენა; ნ. ჩუბ.;

შდრ. ვაჟა I I რგ). როშვა ნ. რომი (ნ. ჩუბ., ალავე. რომი, ვაჟა IV რომ).

ს

საგაჯავი წნები, პრესი (საგაჯავები ადგილი სახელია უკანა მხარეში) (შდრ. ქაჯვა).

სალაგმე კბილი, ხაქერე კბილი ცხენის ქვედა ყბის გვერდებზე, აქეთიქიდან, შუაზე ამოსული ობოლი კბილი. ამოსდის მესამე-მეოთხე წელს. ამ კბილით ქერს ამტერევსო, ლაგამი ამასვე ედებოა (ნ. საბა, ჩუბ. სალაგმე).

სამი ჰუე ნ. კლდე.

სამჯრე ხურჯინი მხარზე გადასაკიდებელი ხურჯინი, მიმცროა, ლაძახად კრელი. სახედარ ცხენზე უნაგირის ტახტაზე ჩასაკრავდაც იხმარება (ნ. მკრის ხურჯინი; შდრ. საჯერო ხურჯინი, ცხენის ხურჯინი; ნემსის წვრით ნაქარგი ხურჯინი, ფარდავული ხურჯინი, ხალიურთი ხურჯინი).

სამჯრეულეები გულურაში გაყრილი წნელები (ერთი მარჯვენა და მეორე მარცხენა მხრისთვის), ომელთაც გადმოიტარებენ მხრებზე და ისე აიკრდებენ ხურგზე გულურას (შდრ შარშ. სამშრე).

სარის ჩეკვა ნ. ჩეკვა.

სასაპოვნი სასაპე, კამეჩის რქა, რომელშიც საპონია გაქნილი და კალზე ჰკიდია. აქედან საპონს უსვამენ ღერძს, რომ ბრუნვაში არ გახურდეს და არ აენთოს (ნ. ჩუბ. სასაპნი).

სახის ჩაწყვეტა ხმის ჩაწყვეტა, ხმის გაკმენდა, გაჩუმება. სასი ჩაიწყვეტი — გაჩუმდის (შდრ. ჩუბ. ჩაწყვეტა: ხმის ჩაიწყვეტი).

სახკორავი (ნაწარმოებია სიტყვისაგან სკორე, რომელიც ქიზიყში არ იხმარება) მსხვილფეხა რქოსანი საქონლის უკანა ნაწილი. საჯარე კბოა სასკორავში შეეტყობოა, გჯარე. ყოჩად ადამიანს სიმარჯვეზე, გარჯილობაზე შეეტყობოა (ნ. საბა, ჩუბ. სკორე).

საფურე დედალი ხბო, დედალი ხაქი, როქლისაგანაც ფური გაიზრდება. „ჩენენა ფურმა საფურე კბო მაიგო“ (შდრ. საკაო).

საქერე კბილი აჯიგა. საც სალაგმე კბილი (ნ.); აქედან გჯარე. ჯერ საქერე კბილი არ ამასველია — ჯერ არ მომწიფებულა, ჯერ არ დავაქაცებულა (ვაქი), ჯერ არ დაქალბულა (ქალიშვილი).

საქობოურ კაცხავით გაყვითლებული გჯარე. მალარიისაგან დაავადებულ-გაყვითლებული. ქიზიყში ციებ-ცხელებით ყველაზე მეტად საქობოელები იყვნენ დაავადებულნი, რადგანაც მათი კალოები კაობიან ალაგას იყო — ნაგუბარზე, დღევანდელ სადგურ წნორზე. ახლა სოფელია. გჯარე: საქობოელ კაცს წინ წესვები ეწყო გასაყიდად (ნესვი ციებ-ცხელების ამშლელად არის მიჩნეული), შემუშარი მივიდა და შევეპტრა, ფასზე ვერ მორიგდნენ. საქობოელმა კაცმა თურმე ბიკს უთხრა: „მაგორე, ბიკო, აქათ (ნესვი), მაგ ფასად შენ კი არ მოგცემ და ისევ მე შევეპტმო და არით ციებას ციება დაუშატაო.“

საქონლის დარუება ნ. დარუება საქონლისა.

საცერივით ხედვა ბუნდოვნად ხედვა, საცერში გამხედვარსავით ხედვა. „საცერივითა გხედამ“.

სახილობელი ხილეული. „წლეულ წყალთაწყე იყო სახილობელი და ჩვენ გოგოა კი ვერაფერი ვახილეთ, კელი ვერ მივაწვდიეთ“.

სახლიკაცი ძმა. „ჩემი სახლიკაცი შინ არალი“ (ნ. შან. კევეს. სახლის კაცი; შდრ. ჩუბ. სახლი: სახლის კაცი, კიო., უღ.).

სახლის გაწყობა სახლის გამართვა (ნ.).

სახლის გაცხნა მგლოვიარობის მოთავეების შემდეგ, დაახლოებით წლის თავზე, რიგის (ნ.) გადახდის შემდეგ სახლში პირველად მღერა. ამას სჭადიან იმ მიზნით, რომ მგლოვიარობა მოთავებულად ჩათვალონ და მზიარულეობას მიეცნენ (შდრ. ფეკის გაცხნა).

სახლის მოწყობა სახლის მორთვა ავეჯეულობით.

საჯარე მამალი ხბო, მამალი ხაქი. „ჩვენმა ფურმა საკარე კბო მაიგო“ (შდრ. საფურე; შდრ. ჩუბ.).

საჯიჩარი ხეობარი; კრილობებისგან დამახინჯებული (ნ. ჩუბ. სახიჩარი; შდრ. საბა სახიჩარი).

სახარო ორ ერთნარი საგანს შუა დარჩენილი ხარვეზი; მაგ.: იატაკის ფიცარსა და ფიცარს შუა, შკაფსა და შკაფს შუა დარჩენილი თავისუფალი ადგილი. „ფიცრებ საკსარი დაუგდია“; „ქაცო, იგრე დადგი ამბრები, რო პატა საკსარი ექონდე, რო კაცმა გაიარო“; „წისქვილში იმთენი საფეკვი იყო, რო ერთი ბეწო საკსარი არ იყო, რო საცალოები დემეწყო“ (ნ. უსაკსრობა).

სახხრობა საშუალების, შევების მიცემა. „შენ ხო აღამიანი საკსრობა არ იცი, წაუჭირებ ყელში და დაჯრობ“; „ერთი ბეწო არ მისაკსრა“ (ნ. საკსარი; შდრ. საბა საკსარი, ჩუბ., ბუქურ. სახსარი, გურამ. სახსრად).

საჯობური ჯიბის პირი, ჯიბისათვის გაჭრილი ადგილი.

ხვრემა ერთმანეთში არევა; მაგ., ძალის სალაფავს აუსერემენ (შდრ. ჩუბ.; ბარნ. სერემედა).

სიამოვნის მტრედი (ტრედი), სიამოვნების მტრედი სიამოვნების მახრობელი, სიამოვნების მომტანი. „შენ კი, შენმა მხემ, ძალიან სიამოვნის მტრედი იხარ, აი, კაცმა რო შავისანელო, მაშინვე გაუგონებ არა?“

სიამტკბილობა სიამე და ტკბილობა, ტკბილი ცხოვრება. „არან ცოლქმარნი სიამტკბილობაში“ (ნ. შარშ.).

სიგძე სანთელი მძიმე ავადმყოფი, ბავშვის მშობლები სალოცავს დაჰპირდებოდნენ: „ოლონდ მოგვირჩინე ავადმყოფი და იმი სიგძე სანთელ დავინთებთო“ და მართლაც ბავშვის სიგრძე სანთელს ჩამოქნიდნენ და სალოცავს აუნთებდნენ. სანთელი სულ უნდა დამწვარიყო (ნ. შარშ.).

სილაზე ამსება საწყაო კურკლის პირამდე აესება, გადასასმელგადასმული აწყვა (ნ. სილაზე სამსე ნიტრა; ნ. საბა სილა).

სიმწვავის ქარი მწვავე ტკივილი, ამათუ იმ ორგანოს ტკივილისაგან გამოწვეული მთელი სხეულის ტკივილი. „თითში გარკმულა (ნ.) გამაზვიდა და იმი სიმწვავე ქარი მთელ ასოტანში მივლის“.

სისხლის დაბლა დაუშვებლობა დანაშაულის ან შეურაცხყოფის უპატიებლობა. შენ სისხლ დაბლა არ დაუშვებ — არ გაპატიებ, არ შეგარჩენ დანაშაულს.

სიტყვის საამბოლოთ გაჯა განდობილი სიტყვის გამეღავენება, ამბის გავრცელება. „ჩებნიანთ თინაზე ერთ რამე გეტყვი, ოლონდ, თავი ნუ მოგიკედება და ამ სიტყვა დასამბოლობათ კი ნუ გაძიკდი, იმი პირში ნუ ჩამავდებ!“

სიძის მამულზე მოყვანა უძეო მშობლები მემკვიდრის უყოლობისა თუ მუშახელის უყოლობის გამო ქალს გარეთ კი არ გაათხოვდნენ, არამედ სიძეს თავის სახლში მოიყვანდნენ; ასევე წვირღვილი ქვრივი ქალი ქმარს თავის (პირველი ქმრის) სახლში მოიყვანდა. ქალიშვილის სახლში მოყვანილ ქმარს ზედსიძე ერქვა (ნ. ზედსიძის

მოყვანა), ხოლო ქვრივი ქალის სახლში მოყვანილ ქმარს—მამულზე მოყვანილი (ნ.).

სიმბარი სიხმარი.

სიმბარში დამწვარი ბავშვებს ემართებათ: კანი აებურცებათ, თითქოს დამწვარი იყო (ნ. შარშ. სიხმარადამწვარი).

ხლურტვა წურვა, კრუნჩხვა; ვიწრო ტანისათვის გარდა. „რად ის ლურტები, ბიკო, ქცივა?“ (ნ. ამოსლურტვა).

სული მწარეთ ნდომა ძალიან ნდომა, თ. თქმის სულწასულობამდე ნდომა. „სული მწარეთ მინდა ჩვენი გოგო ნახვა, ქაა, და ვერ მუაკერკვე ერთი გადაესულიყავი და მენახა“.

სულის აჯახნა მარხვაში გარდაცვლილი და მარხვაშივე დასაფლავებული ადამიანისათვის ხსნილში (რამდენიმე

თვის შემდეგ) გამართული ქელგნი. ცხვარს უკლავდნენ უეჭველად (ცხვრის სულია მიცვალებულის სულის ასახსნელად განკუთვნილი), შეიძლება დაძროხაც დაეკლათ (შდრ. ელ. სულის ახსნა).

სუნთქვა გაჯატ. ლაპარაკი. „რასა დასუნთქამ, ბალო?“—რასა ლაპარაკობ?

სხვათა კელში შაყურება უქონლობის გამო სხვისგან თხოვნა. „მამწყინდა ამთენი სხვათა კელში შაყურება, უნდა გავიჭირო საქმე და როგორმე ჩემთენ ვიყოლიო კარურემი, მოყვანა, მოვთესო და მეც მექნებოა—იტყოდა ხოლმე ლარიბი ქიხიყელი (შდრ. შარშ. სხვისი ხელის შემხედვარე).

ტ

ტაბლა მექურქლის ჩარხის ფენის საცემი ქვედა ფატარი (შდრ. საბა, ჩუბ., გურამ.).

ტალალუკა სულელურად რომ ხან ერთს იტყვის და ხან მეორეს ისეთი ადამიანი.

ტარაბუა ქახრაცხე დაგებული მოძრავი საშულავე (შაშულავე ნ.), ძაფის ამოხვევის დროს ტრიალებს (ნ. საბა,

ჩუბ.; შდრ. შარშ. ტარაბო, წერა. ელ.).

ტარტლი გუქყა, სიბინძურე, წვირე. „რატო მაგეთია, სუ ტარტლი ჩამადის“ (შდრ. საბა ყარტლი).

ტიყვა ნაწლევი ბრმა ნაწლევი. „ტიყვა ნაწლევი ატყვიდა“.

ტუტრუცანა ტუტრუცი გოგო (ნ. ჩუბ. ტუტრუჩანა, ტუტრუცანა).

უ

უამური უსიამოვნო, არასიამო. „შვილო, შენი უამური ნურა გინდარა, არ მოგწონს სხვებთან ერთათ ყოფნა, გიყარეყე“ (ნ. შარშ.).

უგერშით, უგეშო უკვალოდ, უნიშნოდ. „საწყალი ჩვენებანთ მაღზაზი

უგეშოთ დაიკარგა“ (ნ. გერში; ნ. საბა, ჩუბ. გერში).

უმლაგრდება III ო. ნ. გამლაგრება. „იარა სიცივეზე უმლაგრდება კაც და ვერ ურჩება“.

ურჩი მეტსახელია კაცისა. ურჩის არხობა ნ. არხობა ურჩისა.

უსაკსრობა უადგილობა. „წინაპე-
ლებში უსაკსრობაა და საფუკევი
ვერსად მივიტანე, ალაგი არ იყო, რო
დემეწყო“ (ნ. ს.სარი).

ულრალი ტყიან-კლდიანი ადგილი,
უჯხო და უკაცრიელი ადგილი. „ელ-
დარი ულრალი ალაგია, ვერც ურემი
ივლის და ვერც ცხენი, შენ როგო უნ-
და წაზეიდე?“ (შდრ. საბა, ჩუბ.
ულალი).

უჩინმაჩინის ქული ზღაჰჰაჰა ახსენაჰს
ქული, ვინც დაიხურავს, უჩინარს რომ
განდის. „უჩინმაჩინი ქული ხო
არა გხურამ, რო ალარსადა მჩანხარ?“
(ნ. კირ.).

უმო გაჰჰ. ძმის უარმყოფელი.
„ეე, უძმო!“ (შდრ. საბა).

უწილოდ გახვლა თჯახის გაყრისას
წილის მიუღებლად გასვლა. იყო შემ-

თხვევები, როცა რომელიმე ძმა, თუ
ის ნასწავლი იყო, თავის ნებით უწი-
ლოდ გავიდოდა სახლიდან. წილს არ
აიღებდა, რადგანაც მის სწავლაზე ფუ-
ლი იყო დახარჯული და თან სახლში
მონაგრობაც არა ჰქონდა; კანონით კი
ერგებოდა წილი მამა-პაპული ქონები-
დან და შეეძლო აელო. მაგრამ მოხდე-
ბოდა ხალხმე, რომ შემდეგი თაობა—
შვილები ატებდნენ დავას და მამის წილს
გამოიტანდნენ (ნ. წილის ამოგდება).

უჭელობა მუშახელის უყოლობა,
მუშახელის ნაკლებობა. „უკელობა
გვაქვ“. სახლში რომ მუშახელი ნაკ-
ლებად იქნება და საქმე ვი მტკია,
იტყვიან: „უკელობა თა ვართ და
საქმე თავ-პირსა გვეკამს, არ ვიცით,
რა ვქნათ“ (შდრ. ჩუბ. უხელობა).

ფ

ფაფუ რამე რომ გათავდება
და აღარ არის, მაშინ ბავშვს ეტყვიან
ხოლმე: „ფააფუ, გათავდა, ტურამ
წაიღო“ (შდრ. კირ.).

ფარდაგული ხურჯინი ფარდაგის-
ნაირად ნაქსოვი ხურჯინი, შეიძლება
დიდიც იყოს და ბატარაც (შდრ. ხემ-
სის წვრით ნაქარგი ხურჯინი, ხალი-
ჩური ხურჯინი).

ფარდულა გვერდებლია დახურუ-
ლი ნაგებობა. საჩრდილობლად იხ-
არება. ბომბზე ხეობია დაწყობილი
და ხედ შეყრილია ფოთლიანი ფიჩხი ან
თივა ანდა სხვა რამე (შდრ. საბა,
ჩუბ., ქდ. ფარდული).

ფაჩუჩი შინაური ფრინველისათვის
ფეხზე შემბული ნიშანი. „ქათამ ფაჩუ-
ჩი მიბია, არ ენერევა სხვისში“. აქე-
დან: ფაჩუჩის შაბმა გაჰჰ. და-
ნიშნა; ნიშნის დადება. „დღეობაჲ ვი-
ყავ და ერთ ქალ ფაჩუჩი შაგაბი“,
ე. ი. ქალი დაენიშნე (ნ. კირ.).

ფერის დადება ავადმყოფობის შე-
დგებად ადამიანს რომ სიწითლე დაე-

კარგება და სიყვითლე დაჰკრავს. „ვიშ,
ქაა, ჩვენ გოგოჲ აცივებდა და ფერი
დგედო, ვისლა მვეწონება!“

ფესვმაღუკი ნ. იწილო, ბიწილო.

ფეფი ფეხი ბავშვის ენაზე. „ფეფი
არ იტყინო, შეილო, ფეფი!“ (შდრ.
კირ. ფეფები).

ფეფქვა ნ. დაფეფქვა (დამატებაში).

ფეშაფეშ ვაპრობა ნ. ფეხზე ვაპ-
რობა.

ფეჭე ვაპრობა, ფეშაფეშ ვაპრო-
ბა ხეზე ვაპრობა, ღუქის გარეშე ვაპ-
რობა, ხელდახელ ყიდვა-გაყიდვა (ნ.
შარშ. ფეხზე ვაპრობა).

ფეჭე მოვაპრე ხეზე მოვაპრე,
ღუქის გარეშე მოვაპრე.

ნ ფეჭე: ერთი ფეკი და დგმა
ადამიანის ფეხის ტერფის სიგრძე, მი-
ღებულია ზომის ერთეულად და ულ-
რის დაახლოებით 21—30 სმ.

ფეჭის მოთრევა გჰჰ. დაგვიანება,
გვიან მისვლა დაბარებულ საქმეზე,
ჯანჯალი. მაგ., ადამიანს რომ დაუ-

ძახებენ და მალე არ მივა; რომ დაიბარებენ და დროზე არ მივა. „მოდი, კაცო, რა ფეკებ ითრევე“; „ნუ გიყვარს შენ ფეკი მოთრევეა, დროით იცოდე მოსვლა, შენ კი არ დეგელოდებიან“ (ნ. შარშ. ფეხის თრევა).

ფეცის წარიაკება ნ. წარიაკება ფეკისა.

ფეცშველობა მარიანობითფეში როცა სახლში დიდი გაკირება იქნებოდა, სახლის უფროსი ქალი, უმთავრესად დედა, ალთქმას დებდა (ერ-

თი წლით ან რამდენიმე წლით, ხდე-ბოდა ხოლმე, ზოგი სამუდამოდ აღუთქვამდა): „ღმერთო (უმთავრესად წმ. ბარბარეს აღუთქვამდნენ), ოლონდამ კირს გადამარჩინე და ნუ მაშიკლავ შვილ (იშვიათად ქმარზედაც ხდებოდა, თუ მას დედა აღარა ჰყავდა) და მარიანობითფეში ფეცშველა ვივლიო“. ადამიანი ხშირად ნახავდა სოფლის შარაგზაზე ნათესავში მიმავალს კოაწიად გამოწყობილ ღეჩაქბაღდადიანს, ფარჩის ან შალის კაბიან ქალს, მაგრამ ფეცშიშველას.

ქ

ქალაქური ლეღო აგაჰა, აც ბუერა ლეღვი, ბურთა ლეღვი (ნ.).

ქანჩახი გაუვალი კლდიანი ალაგი. „შენი ფური ქანჩახებში ვნახე, მგელ გედეფდო და შეეკამნა“ (ნ. ვაჟა I, III, IV).

ქანჩი ჩლიქის ის ნაწილი, სადაც სისხლი გადის და ლურსმნის დაკერა

არ შეიძლება (შდრ. საბა, ჩუბ., კყ.).

ქვა და ხვინჭა ზედ აძე (ადე)—ასე იტყვიან ძალიან მსხმოიარე ხეხილზე. „წლელულ ნუმებ ქვა და ხვინჭა ზედ აძე“.

ქვევრის ჩაკირვა ნ. ჩაკირვა.

ქვევრული ძირი აგაჰა, აც მექევერული ძირი (ნ.).

ღ

ღვინის დაწყება ნ. დაწყება (დამატებაში).

ღოღო ლოღი (ნ.), ფოთოლშეკმული მცენარე, გაროკილი შტოები. „ცარიელი დიდებე იყო“; „ვენაკში კბორები შასულიყვენ და დიდებე დეყენებინათ“ (შდრ. საბა, ჩუბ. დიდველი).

ღორდაღორ კიდაობის დროს როცა ორივე ფალავანი ისე დაეცემა, რომ ორივე ნახევრად არის წაქცეული, იტყვიან: „ღორდაღორ არიანო“ და ხელახლა აკიდავენ.

ღოღება, მუცლის ღოღება მუცლის ღორება, მსუნაგობა. წუწკობა. „რად აღოღებ მუცელ“

ყ

ყელის ჩაკოკლოზინება ქამის გათავების შემდეგ ჩვეულებრივ ტკბილდულით პირის ჩაგემრთილება. „დედაკაცო, ერთი ლეღვი ჩირი გამაიტანე,

ყელი ჩაკოკოკლოზინოთ“ (ნ. კირ, ალავ. ჩაკოკროზინება).

ყვანურო ნ. იწიკწიკო, ბიწიკწიკო (დამატებაში).

ყინწის მოწყვეტა კინწის მოწყვეტა, დასუსტება. „ყინწი მადწყ და ყვა- წვილ, ქაა!“ (ნ. კირ. ყინწი მოსწყდა; შდრ. საბა, ჩუბ. კინწი; ჯანაშვი. ყინწიპ).

ყრანტი ძალიან ბებერი. „შანშანთ ყრანტი ბებერა გადაიკვალა“ (შდრ. დაყრანტებული).

ყურამის დაჩამიჩება ნ. დაჩამიჩება.

უ

ზავ და უკულმა ის დღე წუგლი „ჩვე- ნი საცოდავი ბიჭი რომ დავმარხოთ, შავ და უკულმა ის დღე, მაშინ დიდი წვიმა იყო“.

ზაკვეთა შეჩვევა. „ბაშვი ბებია შვეკვეთა და ველარ მოგვიშორებია“. აქედან: შაკვეთილი, შვეკვეთილი.

ზამოზრვა ვაღტ. შემოგუბება. „ალაზანმა შამაბბერა და ყურეები წვლით ამსო.“.

ზანახული კაცი 1. შენახული კაცი, სიბერეშუპარებელი, ჯერ კიდევ კარგ ჯანზე მყოფი კაცი. „ჩვენებიანთ აღესანდრე კარგაა შანახული“; 2. თადარიგის, შემონახული, ყველაფერი რომ თავის რიგზე აქვს. „შანახული კაცი ხარ, ღირს გეჩვენება საკალოთ გადადებული, დაგვაღვიწიე“.

ზარბათი საგანგებოდ დამზადებული ტკბილი, ახალჯვარდაწერილ ნეფე-დე-დოფალს ასმევდნენ. ჯერის დაწერის შემდეგ საყდრიდან შინ რომ დაბრუნდებოდნენ. ნეფე-დედოფალს კარებში ჩაყენებდნენ, პირი ს:ხლისაკენ ექნებოდათ, მყრები და სხვები ულოცავდნენ ბედნიერებას და თან ყველა მიმლოცველი თითო კოვზ შარბათს ასმევდა. პირველად დედმამიანს მიალოცვენებდნენ ხოლმე—ბედნიერი იყოს ნეფე-დედოფალიო, მერე მშობლებს, ნათესაებსა და მერე სხვებს. ამ ბოლო დროს კარებში ჩაყენების მაგიერ სახლში იციან მაგიდასთან ცალკე დასხმა და მილოცვა. პატარძალს კალთაში ვაყს ჩაუგორებენ ხოლმე—ვაჟი იყოს ღებო (ნ. ჩუბ.).

ზასანდობარი შესანდობარი, მიცვალეზლის სულის სახსენებლად დაღეული ღვინო. თამადა სასმისს აავსებდა, თავს გადაუქცევდა პურზე (ერთ-ორ წვეთს და.სამდა) და იტყოდა: მავანი და მავანა აცხონოს (var. შაიწყალოს) ღმერთმაო და დაღედა ღვინოს. ასე მოიქცეოდნენ სხვებიც. შესანდობარის დაღევა მიღებული იყო მარნიდან ახალგაშობილი სველი ხელადით (ნ. საბა, ჩუბ. შესანდობლო, შან. კვეს. შაშანდობარი).

ზაწყენა მოწყენა; მობერება. „ფურჩა თუ შაგეწყინო, თოკე“ (ნ. ჩუბ. შეწყენა; შდრ. ვაჟა III).

ზეკვეთილი, შაკვეთილი შეჩვეული. „ძალიან შეკვეთილი მყავ ბაშვი ბებია“ (ნ. შაკვეთა).

ზეოლთნაყიდი ძალიან ძვირად ნაყიდი, შეილის ფასად ნაყიდი. „ზეოლთნაყიდი ხო არალი, აიღე და მიეერთი ბეწო ბაღ“ (შდრ. შარშ. შეილის ფასათ).

ზეინდა ნ. ლურჯი კარი (ნ. ვაჟა I).

ზეიმშატის კოვზი, ჩიმიშატის კოვზი (მცირე ახის ქალაქ შიმშატიდან?) ხის კოვზი, შაგარი ხის, ბნის კოვზი სწორედ გათლილი (ნ. საათ.).

ზოროქანი (ნ. ძირითადში) ზოროქნიან ადგილში ნაავდრზე რომ მზე დააცხუნებს, მარილს დააყრის. საქონელი მიუღით მოსამლაშებლად (ნ. მომლაშება) არა მარტო წინამზრულებს, რომელნიც ახლო არიან, არამედ უკანამზრულებსაც წელიწადში ერთხელ უმშველად, გაზაფხულბით.

ჩ

ჩაკენკვა ამბის მიტანა, ყველაფრის თქმა, დასმენა. „ეშმაკურაანთ დათია მისულა და ჩაუკენკია სუყველაფერი“ (ნ. კირ.; შდრ. ჩუბ. ჩაკენკვა).

ჩაკვდომა (ლაქისა და მისთ.) გაჯდომა, ლაქა რომ ჩარჩება ქსოვილში და აღარ ამოვა. „შალი კაბაჲ ქონი დეესაა და ლაქა ჩააკვდა“ (ნ. კირ.).

ჩაკოკლოზინება ნ. ყელის ჩაკოკლოზინება.

ჩაკუნო ცულის ცემის ხმა, შუშის კრისა ან ტყ. სკრის დროს რომ გამოდის. „ემანდ რომელი ხარ, რაჲ აჩაკუნებ, ცული ფეკში არ მიიტყა“ (შდრ. ბერ., ვაჟა I ჩხაკუნი).

ჩამოადგომა: ჩამოდეგი—გზა დაუთმე, პატრეი ეცი. „შენმა მზემ, შენ კი

ჩამოდეგი-ს გიკეთებს ქვეყანა, აიუ“ (ნ. ჩუბ.).

ჩამოკდომა ბინისა ნ. ბინის ჩამოკდომა (შდრ. საბა ჩამოკდომა, ჩუბ. ჩამოხდომა).

ჩაროზი პირის ჩასაგემრიელებელი: ხილი, ტებილეული; საერთოდ: დესერტი. „ჩაროზად რაჲ მიირთმევ? — ყურძენ“ (ნ. გრიშ.).

ჩარხის დაფა ნ. დაფა.

ჩიმჩატის კოვზი ნ. შიმშატის კოვზი.

ჩიტალეკო წვრილი შავი ლეღვი. ძველი ჯიშა, იშვიათად თუ უდგას ვისმე. ბევრია ძველ ნაციხარზე ხორნაბუჯს (ნ. შარშ. ჩიტლეღვი).

ჩიხანხალა ნარჩვენურჩევი ხალხი. „სუ ჩიხანხალა ხალხილა იყო“ (შდრ. საბა, ჩუბ. ჩიხა, შარშ. ჩახარხალა).

ც

ცოდვის მოხილება დიდი საცოდობის ნახვა. „მეზობლიანთიდან ტარილი კმა მოიდა, წაველი, ბიკი მადკვდომოდათ, ტიროდნენ საწყლები, ქა, რა ცოდვი მოხილება იყო!“ (შდრ.

საბა მოხილება).

ცოდინობა საქმის კურსში მყოფება. აქედან: მაცოდინე საქმის კურსში მამყოფე, გამაკებინე (შდრ. ჩუბ. ცოდინება).

ძ

ძაკრავება ზღა, კვრა. ტაყება. „რაჲ აძაკრავებთ თავებ ერთმანეთ?“ (ნ. დაძაკრავება).

ძვად ჩადგომა დისა ან მშობლები-

სავან მხითვისა ან სამკვდრო-სამარხის მიღების ნაცვლად წილში ჩადგომა (ნ.) და ვაჟიშვილების თანასწორი წილის აღება.

წ

წამოწყულობა მოულოდნელად მოსვლა სტუპრისა და სჯ., შემოსწრება. „სადილად ვსხედით, ერთი ქილა მაწონი გვქონდა სამთ, ვამოდით, გვე-

ყოფაო, მოიხედე და ჩვენებიანთ გიორგი წამოგვაწყდა, ოთხსავ კი აღარ გვეყო“ (შდრ. წამოწყვეტება; შდრ. ჩუბ.).

წამოწყვეტება შემთხვევით შემოსწრება, მოულოდნელად მოსვლა, საიდან-
ლაც გამოჩენა სტუმრისა და სხვ. აქედან: წამოწყვეტებულნი (შდრ. წამოწყვედომა).

წამოწყვეტებულნი შემთხვევით შემოსწრებულნი, მოულოდნელად მოსული სტუმარი და სხვ.

წეხი მენსტრუაცია (ნ. ჩუბ.).
წითელი გუდა, გუდა გაღო. მუცელი. „წითელი გუდაში შანახული ძეობია, ვერაინ შამეცილება“.

წისქვილის ჯერი ნ. ჯერი 1.
წკრიშალი ჩირიშალი (ნ.), ფიჩხის წვრილი ნამტერევი.
წყლის დარუება ნ. 2 დარუება წყლისა.

ჭ

ჭაბუკა კაცი ნი წელს გადასული კაცი, კალარაშერთული კაცი. „ჩვენებინათ გიორგი ჭაბუკი კაცია“ (ნ.

დაკაბუება; შდრ. საბა, ჩუბ.).
ჭოლორი სიღნაღის ახლოს მდებარე სოფლის სახელია (ნ. აანგე კოტორი).

ხ

ხალიჩური ხურჯინი ხალიჩური წესით ნაქსოვი ხურჯინი, ხალიჩასავით ხალიჩანა. ასე ნაქარგი ხურჯინი მამ. ცროა, იხმარება მხარზე გადასაკიდებლად და ცხენზე უნაგირის ტახტა-

ზე ჩასაკრავად (ნ. მკრის ხურჯინი; შდრ. ნემის წვრით ნაქარგი ხურჯინი, ფარდაგული ხურჯინი).
ხუტა კაცის სახელია (ნ. ვაჟა IV, ბუქურ. ხუტი).

ჯ

ჯაფრის შაჰვა ჯაფრის შერჩენა, საშაგიეროს გადაუხდელია. „შენ ჯაფრ არ შავკამ“; „იკრე არ ამოწყდებიან, ჯაფრი შაჰვამონ მტრისანი“ (ხალხურ ლექსიდან).

ჯეჯგვა ცემა, ბეგვა. „ერთი შაგრა გჯეჯგვამ“. აქედან: შიჯეჯგვა (ნ.; შდრ. საბა ჯეჭვა, ჩუბ. ჯაჰკა, ბერ. ჯეჯვილა/ე-ა).
ჯლაყვა დანა უხეირო, წელმოწყვეტილი დანა (შდრ. ბერ. ჯაყვა).

ი ნ ზ ო რ მ ა ტ ო რ ე ბ ი

ალადაშვილი სანდრო თომას-ძე, 67 წ., წიგნიერი, სიღნაღელი, დაბალი.

ალთუნაშვილი დ., ველისციხელი, ღურგალი.

ანდრონიკაშვილი (ყარალაური) მარიამ გიორგის ასული, 66 წ., წიგნიერი, ფხოველელი, დიასახლისი.

ახუნდოვი ჯამალა ამახის-ძე, 47 წ., წიგნიერი (ქართულად), ველისციხელი, მეაგურე.

ბაბაკიშვილის მოწაფეო (თავისი სახელი კი დამალა), სიღნაღელი, ოქრო-მკედელი.

ბაშინჯალოვა გარეგინ ივანეს-ძე, 50 წ., წიგნიერი, სიღნაღელი, კონი.

ბეჟაშვილი ქარუმა სანდროს-ძე, 35 წ., წიგნიერი, ნუკრიანელი, მონადირე.

ბეროშვილი გიორგი თომას-ძე, 52 წ., წიგნიერი, ჯიმითელი, მეკრამიტე-მეაგურე, მეთორნე.

ბეროშვილი ვასო ზაქარიას-ძე, 29 წ., წიგნიერი, სიღნაღელი, ღურგალი.

ბეროშვილი მაშო სოლომონის ასული, 60 წ., ფხოველელი, დიასახლისი.

ბიკაშვილი ბაბო, 60 წ., მირზაანელი, დიასახლისი.

ბიკაშვილი მანანა, 45 წ., მირზაანელი, დიასახლისი.

ბიკაშვილი (კუპრაულა) მინა გურგენის ასული, 56 წ., წიგნიერი, მირზა-ანელი, დიასახლისი.

ბოსტაშვილი მიხეილ სიმონის-ძე, 45 წ., წიგნიერი, მაჩხაანელი, მკედელი.

გაბიტაშვილი ნიკო სოსიას-ძე, 50 წ., წიგნიერი, ველისციხელი, მკედელი.

გეთიაშვილი ნიკო ვასილის-ძე, წიგნიერი, ჯიმითელი.

გეთიაშვილი სანდრო გიორგის-ძე, 56 წ., უწიგნური, ჯიმითელი, კალა-ტოხი.

გელაშვილი ალექსი სოსიას-ძე, 27 წ., წიგნიერი, ნუკრიანელი, მეფალნე.

გელაშვილი გიგო იასეს-ძე, 42 წ., წიგნიერი, სიღნაღელი, სარაჯი.

გელაშვილი (გოგოლაუოა) ვეა იოსების ასული, 75 წ., წიგნიერი, კარდე-ნახელი, დიასახლისი.

გველკოშვილი თედო ოთარის-ძე, 62 წ., წიგნიერი, ვეჯინელი, მევენახე.

გოგინაშვილი გიორგი, 43 წ., სიღნაღელი, ნალბანდი.

გოგინაშვილი სერგო ილიკოპ-ძე, 35 წ., წიგნიერი, ნუკრიანელი, მეურმე, მკედელი.

გოგოსაშვილი იოსებ სტეფანეს-ძე, 40 წ., ნუკრიანელი, მესაბღე.

გოგოსაშვილი სტეფანე ვასოს-ძე, 43 წ., სიღნაღელი, დაბალი.

გოდერძიშვილი, სიღნაღელი, მღებარი.

გოზალაშვილი არჩილ გეგენას-ძე, 32 წ., წიგნიერი, ბოდბისხეველი, მე-კურკლე.

გორგიშვილი ადამ ლევანის-ძე (მთელი სახლობით), 61 წ., წიგნიერი, ვე-
ლისცხელი, კალატოზი.

გურაშვილი ბაბო, 42 წ., ნუკრიანელი, დიასახლისი.

გურაშვილი ბასიკო ნიკოლოზის-ძე, 81 წ., უწიგნური, ბოდბელი.

გურაშვილი დათა იოსების-ძე, 48 წ., წიგნიერი, პრასიანელი, მეწისქვილე.

დარჩაშვილი ისაკო თევდორეს-ძე, 80 წ., წიგნიერი, ნუკრიანელი, მკვდელი.

დარჩაშვილი შაქრო დიმიტრის-ძე, 76 წ., წიგნიერი, ანაგელი, დალაქი.

დოლაშვილი სიკო ზაქარიას-ძე, 40 წ., წიგნიერი, ფხოველელი, მესაქირე.

დოლაშვილი ტუკლუჯა, ფხოველელი, მოლექსე.

ზარაფიშვილი ალექსანდრე სტეფანეს-ძე, 43 წ., წიგნიერი, ქვემომაჩხა-
ანელი, კალატოზი.

ზარდიაშვილი (სიფრაულა) ვარო ვანოს ასული, 43 წ., წიგნიერი, გურჯა-
ანელი, დიასახლისი.

ზურიაშვილი ვანო ალექსანდრეს-ძე, 49 წ., წიგნიერი, სიღნაღელი.

თანდაშვილი ლევან ნიკოლოზის-ძე, 50 წ., უწიგნური, ანაგელი, მექვევრე.

თოდაძე სანდრო სოლომონის-ძე, 50 წ., წიგნიერი, მეღაანელი.

იაგანაშვილი ვანო მიხას-ძე, 60 წ., უწიგნური, ფხოველელი, მორთავი.

იაკობაშვილი თებრო, 60 წ., ზემომაჩხაანელი, დიასახლისი.

იაკობაშვილი ნატო, 60 წ., ზემომაჩხაანელი, დიასახლისი.

ინანაშვილი შაქრო სოსოს-ძე, 100 წ., მეღაანელი.

ინასარიძე მიხაკო ნიკოს-ძე, 52 წ., წიგნიერი, ველისციხელი, დურგალი.

ინაშვილი გიგოლა აბრას-ძე, 75 წ., უწიგნური, სიღნაღელი, მონადირე.

ირომაშვილი ვარდო ივანეს-ძე, 67 წ., უწიგნური, მეღაანელი, მეურმე.

კანაშვილი სოსიკო, 90 წ., წიგნიერი, ურიათუნბელი, მეგონე.

კანდელაკიშვილი კოტე დავითის-ძე, 65 წ., წიგნიერი, ნუკრიანელი.

კანკიაურიშვილი ვანო მიხეილის-ძე, 27 წ., წიგნიერი, სიღნაღელი, ნალბანდი.

კანკიაურიშვილი მიხო ნინიკოს-ძე, 63 წ., უწიგნური, სიღნაღელი, ნალბანდი.

კოკილაშვილი ლიბონ დავითის-ძე, 50 წ., წიგნიერი, ბოდბისხველი, მე-
ქურკლე.

კორაშვილი ლადო ალექსის-ძე, 35 წ., წიგნიერი, სიღნაღელი, დაბადი.

კორკოტაშვილი გიორგი ილიას-ძე, 60 წ., წიგნიერი, ანაგელი, ხარაზი.

კოკლამაჩაშვილი ხატო მალხაზის-ძე, 63 წ., უწიგნური, ბოდბელი, მეზადური.

ლოლაშვილი სანდრო ივანეს-ძე, 45 წ., წიგნიერი, სიღნაღელი, დურგალი.

მახიაშვილი ქარუმა შიოს-ძე, 35 წ., კოტორელი, მეგონე.

მარტინოვი სიმონ ივანეს-ძე, 68 წ., კლემენტურელი, დურგალი.

მარტიროსიანცი აბრამ სარქისის-ძე, 71 წ., ანაგელი, ნალბანდი.

მატინოვი წყალობა გეოს-ძე, 100 წ., უწიგნური, კლემენტურელი, მკვდელი.

მენტეშაშვილი (ღვინაურა) ანანა მალხაზის ასული, 100 წ., წიგნიერი, ქვე-
მომაჩხაანელი, დიასახლისი.

მენტეშაშვილი ბაგრატ გურგენის-ძე, 55 წ., წიგნიერი, ქვემომაჩხაანე-
ლი, მევენახე.

მენტეშაშვილი გიგო ალექსანდრეს-ძე, 24 წ., წიგნიერი, ქვემომაჩხაანელი,
მეტყავე-ჭონი.

მენტეშაშვილი ნიკო, 55 წ., წიგნიერი, ქვემომაჩხაანელი, დურგალი, კალატოზი.

მენტეშაშვილი (პოპიაური) პარასკო ყარამანის ასული, 61 წ., წიგნიერი, ქვემომაჩხაანელი, დიასახლისი.

მესტიაშვილი სანდრო ბეროს-ძე, 43 წ., უწიგნური, ნუკრიანელი.

მესტიაშვილი შაქრო სტეფანეს-ძე, 30 წ., წიგნიერი, ნუკრიანელი, მეფუტკრე. მკერიშვილი ნიკო ვასილის-ძე, 62 წ., უწიგნური, ოზაანელი, მხენელ-მთესველი და მეგუთნე.

მინდორაშვილი დათიკო (ია) სოსიკოს-ძე, 70 წ., წიგნიერი, სიღნაღელი, დურგალი.

მოსაშვილი რამან გიორგის-ძე, 32 წ., წიგნიერი, სიღნაღელი, მონადირე.

მოსესოვი არტემ მელქოს-ძე, 52 წ., წიგნიერი, სიღნაღელი, ხარაზი.

მოსულიშვილი გიგა ქიტელას-ძე, 51 წ., წიგნიერი, ქვემომაჩხაანელი, ნალბანდი.

მკედლიშვილი ვანო ფარსადანის-ძე, 61 წ., წიგნიერი, ანაგელი, დურგალი.

მკედლიშვილი ილო, წიგნიერი, სიღნაღელი, დურგალი.

ნადირაშვილი გიორგი მიხას-ძე, 26 წ., წიგნიერი, ნუკრიანელი, მესაბლე.

ნადირაშვილი იოსებ ვანოს-ძე, 25 წ., წიგნიერი, ნუკრიანელი, მეთრიმლე-შეშის მკრელი, ქვის მთლელი.

ნადირაშვილი მიხა მახარეს-ძე, 63 წ., უწიგნური, ნუკრიანელი, მესაბლე.

ნათიქე ნიკო თედოს-ძე, 33 წ., წიგნიერი, მელაანელი, მკედელი.

ნატროშვილი იოველ ტიტას-ძე, 67 წ., უწიგნური, ზემომაჩხაანელი, მეცხარი.

ოსიფოვი შაქრო ივანეს-ძე, 45 წ., წიგნიერი, სიღნაღელი, ოქრომკედელი.

ოტიაშვილი ვანო სიმონის-ძე, 65 წ., წიგნიერი, ქვემომაჩხაანელი, მეტყავე კონი, მეთევზე, დალაქი.

პილატოვი წყალობა სტეფანეს-ძე, 64 წ., წიგნიერი, სიღნაღელი, ყასაბი.

რუსიშვილი გიორგი ბაგრატიის-ძე, 43 წ., წიგნიერი, ურიათუბნელი, მეურმე.

სოლომანიშვილი ბ. ა., 37 წ., წიგნიერი, ურიათუბნელი, ნალბანდი.

ტურაშვილი მიხო სტეფანეს-ძე, 33 წ., წიგნიერი, ჯიმითელი, მესაკრავე.

ტურაშვილი სიმონ, 43 წ., წიგნიერი, ჯიმითელი, მეფუტკრე.

უსუფაშვილი ფირან ლუკას-ძე, 55 წ., უწიგნური, საქობოელი, მელორე.

ფარსადანოვი არშაკ სიმონის-ძე, 67 წ., უწიგნური, სიღნაღელი, ნალბანდი.

ფირანიშვილი ევა გიორგის ასული, 65 წ., წიგნიერი, ჯიმითელი, დიასახლისი.

ქადაგიშვილი ხატო მიხას-ძე, 60 წ., უწიგნური, კელმეჩურელი, მკედელი.

ქიტესაშვილი მარიამ გლახას ასული, 90 წ., უწიგნური, ანაგელი, დიასახლისი.

ქურდიაშვილი არჩილ გიორგის-ძე, 38 წ., უწიგნური, ნუკრიანელი, მეაგურე. ყორღანაშვილი ღვთისო, ნამწყემსარი.

შაიშველაშვილი ივანე ილიას-ძე, 66 წ., წიგნიერი, ნუკრიანელი.

შალვაშვილი თედო დათიკოს-ძე, 52 წ., უწიგნური, ნუკრიანელი, მეთრიმლე

შალვაშვილი სანდრო ილიკოს-ძე, 36 წ., წიგნიერი, ნუკრიანელი, მკედელ-ნალბანდი.

შანშაშვილი გიგო ვანოს-ძე, წიგნიერი, ქვემომაჩხაანელი, ხარაზი.

შანშაშვილი ვასილ ვანოს-ძე, 39 წ., წიგნიერი, ქვემომაჩხაანელი, კვის-მთლელი.

შანშაშვილი (კუპრაულა) კეკა გურგენის ასულა, 60 წ., წიგნიერი, ქვემო-მაჩხაანელი, დიასახლისი.

შანშაშვილი (ბეგაურა) მარიამ გიორგის ასული, 40 წ., წიგნიერი, ქვემო-მაჩხაანელი, დიასახლისი, ფეიქარი.

შანშაშვილი მოსე, 56 წ., წიგნიერი, ქვემომაჩხაანელი, ხარაზი.

შინჯიკაშვილი რამაზ მიხეილის-ძე, 33 წ., წიგნიერი, მელაანელი, მეცხვარე.

შინჯიკაშვილი სოსია ლევანის-ძე, 50 წ., მელაანელი.

შუხოშვილი გიორგი ნიკოს-ძე, 22 წ., წიგნიერი, ველისციხელი.

ჩითინაური ლიზა, 59 წ., წიგნიერი, ჯუჯაანელი, მჭელ-მყვრული.

ძამუკაშვილი სოლიკო მიხეილის-ძე, 48 წ., წიგნიერი, ურიათუბნელი, მკედელი.

წიკლაშვილი ბესო გიორგის-ძე, 35 წ., წიგნიერი, ქვემომაჩხაანელი, მე-ქურტლე.

ჭაბაშვილი გიგა დავითის-ძე, 63 წ., წიგნიერი, ბოდბისხეველი, მეგურე-მეკრამიტე.

ჭაბაშვილი გიორგი იოსების-ძე, 43 წ., წიგნიერი, ბოდბისხეველი, მე-ქურტლე.

ჭაბაშვილი შაქრო იორდანეს-ძე, 45 წ., წიგნიერი, სიღნაღელი, თერძი.

ხაჩიშვილი გიორგი სოსიას-ძე, 50 წ., უწიგნური, ნუკრიანელი, მენახშირე.

ხეჩუმოვი საქულ არ უთინას-ძე, 85 წ., წიგნიერი, სიღნაღელი, დერცკი.

ხმალაძე შაქრო დავითის-ძე, 40 წ., წიგნიერი, ნუკრიანელი, მეთრიმლე.

ხუციშვილი ვასილ თომას-ძე, 75 წ., წიგნიერი, ჯიმითელი, მეურმე-მეგუთნე.

ჯაგარაშვილი დათა სოლომონის-ძე, 85 წ., ფხოველი.

ჯამასპიშვილი (პაპაჩაური) ანა, 70 წ., წიგნიერი, ზემომაჩხაანელი, დიასახლისი.

ჯამასპიშვილი (ალადაური) მარიამ, 80 წ., უწიგნური, ზემომაჩხაანელი, დიასახლისი.

ჯანიკაშვილი კოტე სანდროს-ძე, 55 წ., წიგნიერი, კლემქურელი.

ჯანყარაშვილი ნიკოლოზ გიორგის-ძე, 52 წ., წიგნიერი, ქვემომაჩხაანელი, დურგალი.

ჯანყარაშვილი სიკო, 55 წ., წიგნიერი, თვითონ ისწავლა ვეტფერშლობა, ქვემომაჩხაანელი.

51	II ₁₅	დანა ვთული	დანაქვთული
55	II ₁₂	ა მ ღ ა ხ	ა მ ღ ა ხ
	II ₁₄	ა მ ღ ა მ ღ ა ტ ა ბ	ა მ ღ ა მ ღ ა ტ ა ბ
63	I ₂ ქვ.	სანახშო	სა-ნახშო
64	II ₉	7—10 ლიტრი	10—15 ლიტრი
65	I ₁ ქვ.	სიტკბო,	წუენი,
66	II ₁₅	დღღუვი	დღღუვი, დღღუ
67	I ₁₈	ი კარი	ნი კარი
	I ₂₂	ქერქისა	ქერქისა
	I ₃ ქვ.	ვანანთ მგელი	ვანან მგელი
	II ₂₃	ვაჟაკი	ვაჟაკი
71	I ₂₈	თავიუანა	თავიუანა
80	II ₅	მდულარის	მდულარის
84	II ₂₂	კ ი დღე	კაი დღე
93	II ₁₂ ქვ.	კოტა (ფხოურად),	კოტა, უოტი (ფხოურად),
108	I ₁₀	ვენაკ:	ვენაკ:
110	I ₁₈	ასწევენ	თავით ასწევენ
112	I ₁₂	მზის	მზის
127	II ₁₈	ქიერის	ქვეერის
133	II ₂₀	მაგიერ ხელით	მაგიერ ზოგჯერ ხელით
137	I ₁₀	გ ა მ ე ე ლ ი ვ ა	გ ე მ ე ე ლ ი ვ ა
	II ₁	სავსე	სამსე
140	I ₃₃	ორს	ორს
150	II ₁₄ ქვ.	ხაღლევი	ხაღლევის
162	II ₁₃	(ქვეშაებზე	(ქვეშაებზე
182	II ₄ ქვ.	ისტ. III).	ისტ. III).
190	II ₁	მაზე	იმაზე
	II ₂	შვილო,	შვილო,
193	II ₈	ტვირთის	საკიდრის
196	I ₉ ქვ.	კაცისა (ნ. ჰყ.).	კაცისა.
197	II ₁₀	დაიძახეს	დაიძახეა
199	II ₂₁	ღია ფერი, აშვარა ფერი.	ღია ფერის, აშვარა ფერის
			მქონე.
200	I ₁₂ ქვ.	ღვთისგანი	ღვთის გარეგანი
	I ₀ ქვ.	შავი	შავ
	I ₄ ქვ.	შიგნული	შიგნეუ-
	II ₃ ქვ.	მაგ	მა
207	II ₈	„რასაჲ ყვინტყვინ-	„რასაჲ ყვინტყვინ-
215	I ₂₈	შაშალაკი ლეღვი, მწვანე	შაშალაკი ლეღვი, (ხოგის
		ლეღვი	თქმით) მწვანე ლეღვი
218	II ₁₇	ცხენიზ	ცხენის
223	I ₁₄	არავიზ	არავის

223	II ₇ ქვ.	ჩალრძობი	ჩალრძობა
278	II ₇ ქვ.	გ უ რ ჯ ა ლ ო - გ უ რ ჯ ა ლ	გ უ რ ჯ ა ლ · გ უ რ ჯ ა ლ
279	I ₂₆	ამოკრეფა, დგიმზე (ნ.)	ამოკრეფა დგიმზე (ნ.).
281	I ₆ ქვ.	შემდგარნი ⁴ .	შამდგარნი ⁴ .
283	II ₃ ქვ.	ჯირ ვლების	ჯირკვლების

და ე მ ა ტ ო ს

6	I ₁₇	ზოგჯერ ალოს ემატება ერთი დღიური—შათრეულა (ნ.).
10	I ₁ ქვ.	(ნ. ბაონ. აქარვება).
18	II ₄ ქვ.	(ნ. ქუ ძოვარა, შ ა რ შ. ძუარაი).
20	II ₆	2. ბეჭდის თელის ჩასასმელი ადგილი.
31	II ₁₀ ქვ.	(ნ. შ ა ნ. კვეს. ჩვენ: განჩენეობა).
44	II ₉	ამაზე ნათქვამი: «თუ გ უ ლ ი გ უ ლ ო ბ ს, ქ ა დ ა ო რ ა კელით იკმებაო».
46	I ₁₀ ქვ.	(ნ. ბარნ).
57	II ₁₂ ქვ.	(ნ. წალიცი; ნ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ.).
94	II ₆ ქვ.	3. კრავის ტყავის საქუდე; გ ა ლ ტ. ქუდი.
103	II ₂₀	(შდრ. ვაჟა IV ლოლიობა).
126	I ₂₄	(ნ. ჯ ა ნ ა შ ე. ცხობელ).
142	I ₁₃ ქვ.	(შდრ. ბ ე რ. ბაბლაყვერა).
174	II ₁₆ ქვ.	სტილის მეოთხედი (250 გრ.).
197	I ₁₅	ძაღლის წაქეხება.

დაემატოს და ასე შესწორდეს

24	II ₁₄	(შდრ. შ ა რ შ. განთება).	(შდრ. შ ა რ შ. განთება, ა ლ ა ვ. გამთება).
31	II ₂₀	(შდრ. საერო).	(შდრ. საერო; ნ. ბარნ.).
43	I ₂₁	3. სადგომი კარები,	3. საძირის კარები— სადგომი კარები,
45	II ₂₄	შდრ. კ ი რ.).	შდრ. ს ა ბ ა ძმარვა, კ ი რ.).
94	II ₆ ქვ.	კვახუჯი).	კვახუჯი, ჯ ა ნ ა შ ე. ყოხუე).
110	I ₁₇	ფეხზე დაყენებენ	თითქოს ბავშვს ფეხზე და- აყენებენ
126	II ₁	მწვანე ლეღვი...	მწვანე ლეღვი ნ. დამატებაში
126	I ₁₂	მცონარე).	მცონარე, ცონ: მცონარე).
127	II ₉	ხრალი,	ხრალი (ნ.),
142	I ₂₀	ჩ უ ბ.).	ჩ უ ბ., ქ ვ. ყ ლ. ბალდუმი).
178	II ₇	მ ა ყ.).	ვაჟა I, III, IV ურძანი, მ ა ყ.).
196	I ₂₂ ქვ.	დაგაქრი ⁴ .	დაგაქრი ⁴ (ნ. ქ ვ.).
197	I ₁₄	ქსი, ქსი-ქსი	ქსი, ქსი-ქსი, ქსიგე
205	II ₁ ქვ.	ყაუარი).	ყაუარი; შდრ. გ რ ი შ. უყაჯ- როდ).
206	II ₂₅	კვერი (ნ.)	კვერი (ნ.) თავი ყველი.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/II 1944 წ.
ბეჭდურ ფორმათა რაოდენობა 20
სააქტორო ფორმათა რაოდენობა 28
უე 00071; შეკვ. 1710; ტირაჟი 1000

საქ. სსრ ადგ. მრეწ. კომისარიატის სტამბა, ფურცელაძის ქ. № 5.